

თენგიზ სანიკიძე
ინგა სანიკიძე

**ქართული ენის პრაქტიკული
სტილისტიკა**

ბამონცემლობა ინტელექტი
თბილისი 2009

ნიგნში განხილულია ქართული ენის ლექსიკურ და ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური თავისებურებანი. აქ ვხვდებით სტილთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

ნიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი ნანა მეტრეველი
დალი ფხაკაძე

I ტაპი

სტილისტიკის რაობა, ფუნქციური სტილი

§1. სტილისტიკის ცნება, მიზანი და ამოცანები

სტილისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და, მარტივი განმარტების თანახმად, სტილს სწავლობს. თავად სიტყვა სტილი საერთოა ევროპული ენების უმრავლესობისათვის და, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ლათინური *stilus* ფორმიდან მომდინარეობს. *stilus* ნვეტიან, სანერ ჯოხს ნიშნავდა და მისი თავდაპირველი დანიშნულება წერა და ნაწერის გასწორება იყო. მოგვიანებით მან გადატანილი მნიშვნელობაც შეიძინა და უკვე წერის მანერასა და ტექნიკას აღნიშნავდა. იგი განსაკუთრებულ ნორმატიულ დისციპლინად ჩამოყალიბდა და რიტორიკის, ანუ ორატორული ხელოვნების, საფუძველს წარმოადგენდა.

სიტყვა სტილის თანამედროვე გაგება მნიშვნელოვნად ფართოა, ხოლო სტილის შესაძლებლობები განუსაზღვრელი, ამიტომაც, რომ სტილი შეიძლება არაერთგავროვნად შეფასდეს. იგი შეიძლება იყოს მაღალი, დაბალი, კლასიკური, რეალისტური, ორატორული, ეპისტოლური, სადა, შაბლონური და სხვა.

სტილისტიკა დღეს ენობრივი სტილების, ანუ ენის გამომსახველობითი საშუალების, ნაირგვარობის შემსწავლელი დარგია. ის არის „ნაწილი სიტყვიერების თეორიისა, რომელიც გვასწავლის, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენი ენა და წერა-ლაპარაკი, ჩვენი სიტყვა-პასუხი, სტილი იყოს კანონიერი და ლაზათიანი“ („სიტყვიერების თეორია“ – შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფ., 1898, გვ. 4). ამრიგად, სტილისტიკა წარმოადგენს სიტყვის ხელოვნების შემსწავლელ მეცნიერებას, სიტყვის ხელოვანი კი, თავის მხრივ, სამეტყველო საშუალებებზე დაყრდნობით (ვგულისხმობთ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს) ჯერ აფასებს, შემდეგ არჩევს, აგროვებს ნაციონალური ენობრივი

ფონდიდან თავისთვის მისაღებ, მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ნიმუშებს და კარს უხსნის განსაკუთრებულ, თვითმყოფად ენობრივ სამყაროს.

სიტყვის ესთეტიკის, კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობას კარგი ცოდნა რამდენადმე დამოკიდებულია ლექსიკოლოგია და გრამატიკის ცოდნაზე, მაგრამ, ამასთანავე, მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი ამოცანა და გამოყენების მასშტაბი, როცა საქმე სტილს შეეხება.

გრამატიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორი მეტყველებისა და წერის სწავლებაა, სტილისტიკის არსი კი ის არის, რომ, სიტყვიერების კულტურაზე დაყრდნობით, ენისა და მიაი ყველა საშუალების სრულყოფილი გამოყენება შევძლოთ.

მორფოლოგიიდან სტილისტიკა იმ საკითხებს განიხილავს, რომლებიც გრამატიკულ ვარიანტებს შეეხება. მათ შორისაა: ბრუნების სინონიმური მნიშვნელობის ფორმები (ქართული ენისათვის ეს არის მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის განსხვავებული ვარიანტები), ზმნისწინთა წარმოების ნაირგვარობა, სიტყვათწარმოების შემთხვევაში სინონიმური აფიქსების შერჩევა და სხვ. ამასთანავე, სტილისტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სინონიმურად განსხვავებული ლექსიკური ერთეულების ექსპრესიულობის ხარისხს კონკრეტულ კონტექსტში. ამგვარად, ეროვნული ენის სტილისტიკა ენის თითქმის ყველა მხარეს მოიცავს – ბგერობრივ წყობას, გრამატიკას, სიტყვასა და ფრაზეოლოგიას. დასახელებული კომპონენტები სტილისტიკას ფუნქციური დიფერენციაციისათვის სჭირდება.

გადმოსაცემი შინაარსისა და გადმომცემი ენობრივი საშუალების ურთიერთობა სტილისტიკის ძირითადი პრობლემაა (არნ. ჩიქობავა), აქედან გამომდინარე, მას საქმე აქვს ენობრივ ნორმებთან, ენობრივ კანონზომიერებებთან. ნორმატიული გრამატიკა ამოსავალია, საყრდენი, რომლის გარეშეც არ არსებობს სათქმელის როგორც ფორმობრივი, ისე შინაარსობრივი გამოხატვის გარანტია, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორმეტყველება მხოლოდ ტექნიკური მხარეა და ის ვერ უზრუნველყოფს ენობრივ ექსპრესიას, რაც სტილისტის შექმნის შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა.

აქედან გამომდინარე, სტილისტიკა მეტყველების ხელოვნებას სწავლობს, ხოლო თითოეული სტილისტი თავად ქმნის

სტილისტურ ფორმას, ხშირად მსუბუქად იხრება ძირითადი ენობრივი ნორმიდან და ინდივიდუალურ, თვითმყოფად სახეს იძენს. კონკრეტული სტილისტის სტილისტური ნორმა შეიძლება მეტყველების კულტურის ნორმადაც ჩამოყალიბდეს, რომლის შექმნაში ენაში არსებული მხატვრული საშუალებები მიიღებს მონაწილეობას.

ამრიგად, სტილისტიკის ცნება რამდენიმე უძირითადეს კომპონენტს აერთიანებს. ესენია: 1. ცოდნა ფუნქციური სტილების შესახებ; 2. ლექსიკური და გრამატიკული სინონიმისა და 3. ენობრივი საშუალებების შემოქმედებითი, გამომსახველობითი გამოყენება.

§2. ფუნქციური სტილის გაგება

თითოეულ ენას თავისი საკუთარი ასაკი, გრამატიკული კანონები, მოქმედების არეალი, ლექსიკური და ლიტერატურულ-ჟანრობრივი მრავალფეროვნება აქვს, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის (ეთნოსის) საერთო კულტურა და ლიტერატურული აზროვნების ხარისხი. როცა საუბარია საერთონაციონალურ ენაში სტილთა გამოყოფის შესახებ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მაინც, რა უნდა ვიგულისხმოთ სტილის ცნებაში და რა პრინციპი უდევს საფუძვლად სტილების გამოყოფას?


ენა, როგორც სოციალური მოვლენა, განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს და ადამიანის მოქმედების სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. ენის ზოგად ფუნქციათა შორის მოიაზრება: 1. კომუნიკაციური, ანუ გაგებინების, ფუნქცია; 2. ინფორმაციის გადაცემის, ანუ ინფორმაციულობის, ფუნქცია და 3. ზემოქმედების ფუნქცია.

ჩამოთვლილ ფუნქციათა რეალიზაციის მიზნით ისტორიულად ჩამოყალიბდა ენობრივი განსხვავებულობანი, რომლებმაც ხელი შეუწყო განსხვავებულ სტილთა ფორმირებას. თითოეულ მათგანს თავისთვის დამახასიათებელი ლოგიკურ-ფრაზეოლოგიური, ხშირად სინტაქსური საშუალებანი აქვს. ამ სახესხვაობებს სხვაგვარად ფუნქციური სტილები შეიძლება ეწოდოს.

თავდაპირველად ისინი ექსტრალინგვისტურ (არაენობრივ) საფუძველზე გაჩნდა, მაგრამ მოგვიანებით მჭიდროდ დაუკავშირდა ენობრივ შინაარსს, ე. ი. გადმოსაცემი ინფორმაციის სემანტიკურ-ფორმობრივ მიზანს; დღეს კი ფუნქციური სტილი დაკავშირებულია საერთონაციონალური ენის სამეტყველო საშუალებების შერჩევასთან, მათს ურთიერთდაკავშირებასა და ტექსტის ორგანიზაციის საკითხებთან.

ენის ზოგადი ფუნქციების გათვალისწინებით, გამოყოფენ 2 ძირითად სტილს: **სასაუბროს**, რომელშიც ძირითადად ენის კომუნიკაციური ფუნქცია მონაწილეობს, და **წიგნურ** სტილს; წიგნური სტილი, თავის მხრივ, მოიცავს 1) სამეცნიერო და ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილებს, რომლებშიც ენა ინფორმაციის გადმოცემის ფუნქციით მონაწილეობს და 2) პუბლიცისტურ და მხატვრულ-ლიტერატურულ სტილებს, რომლებშიც ენის ზემოქმედების ფუნქციას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება.

სქემა:



მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ სტილს საკუთარი ენობრივი ჩარჩო აქვს (რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი), რომელიმე ერთი სტილი მაინც არ წარმოადგენს ისეთ კერძო საშუალებას, რომელსაც მეორე სტილთან საერთო არაფერი აქვს. ზოგჯერ მათი ფუნქციებიცა და გამომსახველობითი საშუალებებიც მსგავსია, რაც ხშირად აძნელებს რომელიმე ტექსტის კონკრეტულ სტილზე მიკუთვნების საკითხს.

ენობრივი მასალა არის ის ძირითადი პირობა, რომლის მიხედვითაც უნდა განირჩეს, თუ რომელ ფუნქციურ სტილს

შეიძლება შეესაბამებოდეს იგი. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციურ სტილთა სახეობებს აქვს განმასხვავებელი, სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განაცალკევებს. თითოეულ ენაში იძებნება ისეთი ენობრივი ნიშნები, რომელნიც ერთისთვის არიან დამახასიათებელი, მაგრამ უჩვეულონი არიან მეორე სტილისთვის. სწორედ ეს სპეციფიკურობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ხუთი ძირითადი კლასიფიცირებული ჯგუფი გამოიყოს და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ეწოდოს; თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტის, რომელიმე სტილისთვის მიკუთვნება, არ არის მარტივი საქმე, რადგან მათ ენობრივად ბევრი რამ აერთიანებს და, ამდენად, სტილის კლასიფიკაციასაც აძნელებს.

ცნობილია, რომ, რაც უფრო მოკლეა ინფორმაცია, გადმოსაცემი მასალა, ნათქვამი ან ნაწერი, მით უფრო ცხადია სტილის სახეობა და, პირიქით, რაც უფრო ვრცელია ტექსტი, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ერთი სტილი მეორე სტილით გადაიფაროს და რაღაც განზოგადებული, საზიარო სტილი შექმნას.

დიფერენცირებული სტილის სახეობებს მონოლითურობა და ორგანიზებულობა ახასიათებს, ხოლო ცალკე აღებული სახეობა რთული და გარკვეულწილად არაერთგავროვანია. ყველაზე ხშირად ისინი ლექსიკური განსხვავებულობით უპირისპირდებიან ერთმანეთს, რადგან სწორედ ენის ლექსიკური შედგენილობა არის ის კრიტერიუმი, რომელიც სხვადასხვაგვარობას გამოავლენს; თუმცა ეს არ არის ერთადერთი საკლასიფიკაციო ნიშანი, ამასთან აუცილებელია ენობრივი სისტემის სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინებაც – ფონეტიკურის, ფრაზეოლოგიურის, მორფოლოგიისა და სინტაქსურის.

საინტერესოა ისიც, რომ, მეტყველების ტიპების მიხედვით, განასხვავებენ ორ ძირითად ჯგუფს. პირველ ჯგუფში შედის სამეცნიერო, პუბლიცისტური და ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ისინი ძირითადად ეყრდნობიან თანამიმდევრულ, ლოგიკურ მსჯელობას, ე. წ. მონოლოგს; მეორე ჯგუფში კი შედის სასაუბრო და ძალზე ხშირად ლიტერატურულ-მხატვრული სტილები, რომლებიც დიალოგს ეფუძნებიან.

§3. სამეცნიერო სტილი

სამეცნიერო სტილი, როგორც ზემოთ ითქვა, მიეკუთვნება სალიტერატურო ენის წიგნურ სტილს, რომელსაც მთელი რიგი აზრობრივი და ენობრივი თავისებურებანი ახასიათებს. სამეცნიერო ტექსტში დასმული საკითხი სათანადოდ გაანალიზდება, დაიშვება ვარაუდები. ნაწერს, ჩვეულებრივ, მსჯელობის ხასიათი აქვს და აზრი ზუსტად, ერთმნიშვნელოვნად გამოიხატება. სამეცნიერო სტილში ლოგიკურ თანამიმდევრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პირველი აზრისგან მეორე გამომდინარეობს, მეორისაგან – მესამე და ა. შ.

სამეცნიერო სტილი მკაცრად არგუმენტირებულ მსჯელობას მოითხოვს, აქ ანალიზი ენის გამომხატველობით საშუალებებს ერწყმის და ხან განზოგადებული, აბსტრაქტული მსჯელობით, ხან კი კონკრეტულით ყალიბდება სტილური თავისთავადობა, აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული მიდგომა ლექსიკურ ერთეულთა შერჩევის მომენტშიც; თხრობა დახვეწილია, ლაკონიური, რამდენადმე ერთფეროვანი, ობიექტური და, რაც მთავარია, სამეცნიერო სტილში შემცირებულია ემოციურობა, ამიტომ ექსპრესიულობის ხარისხი მინიმუმამდეა დაყვანილი. ჩამოთვლილი მახასიათებლები შეიძლება იმისდა მიხედვით მერყეობდეს, თუ რომელი ჟანრია გამოყენებული, რა თემას ეყრდნობა ნაშრომი და რა ფორმით იწერება, იქმნება იგი.

სამეცნიერო სტილის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ცოდნის ევოლუციასთან. ითვლება, რომ თავდაპირველად სამეცნიერო ნაშრომის სტილი ახლოს იყო მხატვრულ თხრობასთან. ამ ორი სტილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ალექსანდრიულ პერიოდში მოხდა, როცა ბერძნულ ენაში, რომელსაც იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა დაიწყო. შემდგომში სამეცნიერო ტერმინოლოგია ლათინური ენის ბაზით შეივსო, ეს უკანასკნელი კი ევროპული შუასაუკუნეების ინტერნაციონალურ სამეცნიერო ენად გადაიქცა. აღორძინების ეპოქის მეცნიერები მიისწრაფოდნენ ზუსტი, შემოსაზღვრული მეცნიერული აღწერისაკენ, რომელიც თავისუფალი იყო მხატვრულ-ემოციური ელემენტებისაგან და ეწინააღმდეგებოდა მოვლენების აბსტრაქტულ ასახვას. ცნო-

ბილია, რომ გალილეის¹ თხზულებების „მხატვრული“ ხასიათი აღიზიანებდა ბევრ მის თანამედროვესა და შემდგომი ეპოქების მეცნიერთ. ითვლებოდა, რომ მისი სტილი გადამეტებულად ბელეტრისტული იყო. მოგვიანებით სამეცნიერო სტილის საუკეთესო ნიმუშებად ნიუტონის² მკაცრად განსაზღვრული და ლოგიკური თხზულებები გახდა.

სამეცნიერო სტილს მთელი რიგი საერთო ნიშნები აქვს, მიუხედავად მეცნიერების დარგებისა (საბუნებისმეტყველო, ზუსტი და ჰუმანიტარული) და გამოხატვის განსხვავებული ფორმებისა (მონოგრაფია, 'სამეცნიერო' სტატია, 'სახელმძღვანელო, ჰობსენება), საერთო ენობრივი და აზრობრივი ნიშნები იმის უფლებას გვაძლევს, რომ ვიმსჯელოთ სამეცნიერო სტილზე, როგორც ერთ მთლიანობაზე. ამასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ტექსტები ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკასა და სხვა დარგებში შესამჩნევად განსხვავდება ფიზიოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის სამეცნიერო ტექსტებისაგან.

სამეცნიერო სტილში სიტყვა ხშირად ზოგადი გაგებისა და საგნის აბსტრაქტულად წარმოდგენის გამოსახატავად გვხვდება, ანუ სას ცნებითი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ „არსებითი სახელი საგნის აღმნიშვნელ სახელს ეწოდება“, საგანში ვგულისხმობთ არა მხოლოდ კონკრეტულ ნივთიერ საგანს (ბურთს, თავს, კალამს), არამედ მოვლენასაც საგნობრივად წარმოვიდგინოთ (სიყვარულს, ვაჟკაცობას, რანდობას), ე. ი. საგანი არსებითი სახელის განმარტებაში გაზოგადებული შინაარსის შემცველი სიტყვაა, იგი გრამატიკული ცნებაა.

სამეცნიერო სტილში სიტყვის ამგვარი აბსტრაქტული, განზოგადებული ხასიათის გამო ვხვდებით სპეციალურ ლექსიკურ ერთეულებს, ისეთებს, როგორებიცაა: ჩვეულებრივ, რეგულარულად, ყოველივე, ყოველთვის, საფიქრებელია, სავარაუდოა, ამრიგად და სხვ.

სამეცნიერო სტილისთვის დამახასიათებელია აგრეთვე რთული შინადადებები, პასიური ფორმები (ენიჭება, ეძლევა,

¹ გალილეო გალილეი - XVI ს-ის იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი.

² ისააკ ნიუტონი - XVII ს-ის ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი.

მიიჩნევა...); სპეციფიკური ფრაზელოგიზმები (მზის დაბნელება, წყლის მოქცევა, მახვილი კუთხე, მუღერი თანხმოვანი, რთული ქვეწყობილი წინადადება და სხვ.); სხვადასხვა სახის კლიშეები (საქმე ის არის/ აქედან გამომდინარე/ ვფიქრობ, რომ და სხვ.).

სამეცნიერო სტილის სინტაქსური თავისებურებებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ტენდენცია მიმართული რთული კონსტრუქციებისაკენ, ასეთი სტრუქტურები მოხერხებულია სამეცნიერო აზრის რთული სისტემის გადმოსაცემად, რადგან სამეცნიერო მსჯელობა ეფუძნება დასასაბუთებელი მასალისა და დასაბუთების, მიზეზისა და შედეგის, დიაქრონიული და სინქრონიული ანალიზის ლოგიკურ შეერთებას.

ზმნის, როგორც წინადადების უძირითადესი ერთეულის, ფუნქცია განუსაზღვრელია და მაინც ერთი ტიპის სამეცნიერო შრომებში (იგულისხმება ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომები) აზრის ლაკონიური გამოხატვის მიზნით ზმნა ხშირად გამოტოვებულია, თუმცა – ნაგულისხმები.

სამეცნიერო ნაშრომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დარგობრივ ტერმინოლოგიასაც. ტერმინი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (terminus) და „ნიშნავს გარკვეული ცნების აღმნიშვნელ სიტყვას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში, ტექნიკაში, წარმოებაში და სხვ.“ (ქეგლ).

საქმე ის არის, რომ ახალი ტერმინის განმარტება კონკრეტული მეცნიერების დარგისთვის დამახასიათებელი სხვა, უკვე გავრცელებული, ტერმინებით ხდება. მაგალითად: „ზმნის შემადგენელ ნაწილს, რომელთანაც დაკავშირებულია ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და რომელიც ზმნის ფორმაცვალების დროს უცვლელი რჩება, ფუძე ეწოდება“ – წერს ფ. ერთელიშვილი.

მოცემულ მაგალითში ტერმინ ფუძის ასახსნელად მეცნიერს გამოყენებული აქვს 2 სხვა გრამატიკული ტერმინი ზმნა და ფორმაცვალება, რათა ნათელი გახადოს ფუძის, როგორც ტერმინის, გაგება.

სამეცნიერო სტილის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს:

უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად ჯერ-ჯერობით ის მატიანე უნდა ჩაითვალოს, რომელიც შატბერდისეულის ხელნაწერში წა ნინოს ცას წინ უძღვის და სათაურად აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ამის გამო მას ჩვენ მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ვუწოდებთ. რასაკვირველია, ეს თხზულება პირველი ქართული მატიანე არ უნდა ყოფილიყო და უძველესად იგი მხოლოდ იმიტომ ითვლება, რომ ამაზე უწინარესი ამგვარი თხზულებები ჯერ აღმოჩენილი არ არის, ან იქნებ ჩვენამდის არ მოუღწევია.

არც დრო, როდესაც უნდა შედგენილი იყოს იგი, არც შემდგენელის სახელი თვით თხზულებაში აღნიშნული არ არის და არც სხვა რომელიმე თხზულებაში მოიპოვება ამის შესახებ ცნობები. ვიცით მხოლოდ, რომ იგი შეტანილია X საუკ. განთქმულს შატბერდისეულს კრებულში და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ თვით მატიანე მეათე საუკუნეზე ცოტა ადრე მაინც უნდა ყოფილიყო შედგენილი. ამ დასკვნას ის გარემოებაც უფრო ადასტურებს, რომ X საუკ. შატბერდისეული კრებულის მწერლებსაც ამ მატიანის შემდგენელის სახელი აღარა სცოდნიათ. ამასთანავე ამ აზრის სიმართლეს ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენს უცნობს მემატიანეს ჯერ კიდევ წა ნინოს ძველი ცხორებით უსარგებლია და შატბერდისეული ცნობაგან არც ერთი ცნობა არა აქვს ამოღებული (ივ. ჯავახიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე“, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 112).

ზოროასტრიზმი, ახლო და შუა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში გავრცელებული რელიგია, ცეცხლთაყვანისმცემლობა. აღმ. საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ადრინდ. ქრისტიანულ ხანაში ზ-ის გავცელებაზე ცნობები უხვად შემოგვინახა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, რ-თა მიხედვითაც, ამ სარწმუნოების მიმდევარნი თბილისში ცხოვრობდნენ. აქ საქალაქო ცხოვრების დაწყებიდანვე. ზ-ის გაძლიერებისათვის ხელშემწყობი პირობები შეიქმნა IV-VI ს.ს.-ში, როდესაც ქართლი სასანიანთა ირანის გავლენის სფეროში მოექცა. ამიტომ მეფის კარზე ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად მოგვთა მეთაურიც იმყოფებოდა, რ-საც ქართ. საისტ. წყაროები „სპარსთა

ეპისკოპოსს“ უწოდებს. თბილისში განსაკუთრებით გაძლიერდა ცეცხლთაყვანისმცემელთა პოზიციები, როდესაც იგი სპარსთა მარზპანის რეზიდენცია გახდა. სავარაუდოა, რომ VII ს. II ნახევარში თბილისს თავი შეაფარა არაბთაგან დაპყრობილი ირანიდან დევნილ ზ-ის მიმდევართა ერთმა ნაწილმა. ზოროასტრული სპარს. თემი თბილისში არსებობდა მთელი შუა საუკუნის მანძილზე. ამის უტყუარი მოწმობაა ცეცხლის ტაძარი – ათეშ-გა, რ-ის ნაშთები შემორჩენილია ძვ. თბილისში, ფეთხაინზე (თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002 წ. გვ. 485).

§ 4. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი

წიგნურ სტილთა შორის ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი გამოირჩევა თავისი მდგრადი და ჩაკეტილი ხასიათით. ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში ამ სტილმაც გარკვეულწილად იცვალა სახე, მაგრამ ბევრი ნიშან-თვისება უცვლელად შემოინახა. ესენია: ისტორიულად ჩამოყალიბებული ჟანრები, სპეციფიკური ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინტაქსური კონსტრუქციები, რაც მას, საბოლოოდ, კონსერვატიულ ხასიათს სძენს.

ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში თხრობა დახვეწილია, ზედმეტად ლაკონიური, სათქმელი ზუსტად, ნათლად არის გადმოცემული და დაცლილია ზედმეტსიტყვაობისაგან. ამ ყველაფერს თავშეკავებული და ოფიციალური ტონალობა გასდევს. ხშირ შემთხვევაში, იგი შტამპების ენაა და არ ერიდება ინტერნაციონალურ-ლექსიკას, ამიტომ აადვილებს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა შორის გაგებინებას. თუკი სხვა სტილებისათვის შაბლონური შესიტყვებანი, წინადადებები სტილურ ხარვეზად ითვლება, აქ უმრავლეს შემთხვევაში ისინი ბუნებრივია და მისაღები.

ამგვარად, ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი დოკუმენტების ენაა, ენა საერთაშორისო შეთანხმებების, ნორმატიული აქტების, იურიდიული კანონების, დადგენილებების, ბრძანებულებების, ინსტრუქციებისა და, ერთი სიტყვით, საქმიანი ქალაქებისა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში მრავალი ოფიციალური დოკუმენტი შეიქმნა, ბევრი მათგანი ჩვენამდე მოღწეული არც არის.

პირველ ოფიციალურ ქართულ დოკუმენტად ითვლება IX საუკუნის „დანერილი ფავნელთა მღვიმისადმი“. დანერილი იმ ეპოქაში სამართლის სპეციალური ტერმინია, იგი იურიდიული დოკუმენტის ერთგვარი სახეობაა. როგორც წესი, ამგვარ დოკუმენტს ღმრთისადმი მიმართვა აქვს წამძღვარებული, ხოლო მიმართვას მოსდევს ბოძების, ჩუქების, წყალობის გადაცემის შინაარსის შემცველი ტექსტი.

„დანერილი ფავნელთა მღვიმისადმი“

(ნაწყვეტი):

ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაითა, შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა ივოვანე ნათლისმცემლისაითა, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და სამეოცდაათთა ქალწულთაითა, რომელთა გუ(ი)ქადაგეს განკორცი(ე)ლება| სიტყუისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამის| შიოსითა...

მას ჟამსა, ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ლომისა მსგავსი ფავნელი მკუდარი დარჩა და ერთი ცოცხალი. ესე უარესი წამეკიდა: ერთი უხუცესი შვილი ქავთარ შინა მამიკუდა.

ვთხოვენ ჩემნი მკუ(ი)დრნი მამულნი ჩემნი მკუ(ი)დრნი მამულნი მეფესა და მიბოდნა, რომე ტყ(უე)ნი დავიჭხსნე და მკუდრისა სული ვაურვო. ვთხოვე[[ლ]]ნ ოთხნი სოფელნი ცხევერეთი, გუელდესითურთ, გავაზელნი კოტმითურთ, ქუემო| გუ(ე)ლდეს ორი გლეხი: შულიას ძე და ტარიკას ძე...

(ქართ. ისტორიული საბუთები, IX-XIII სს, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984).

ადრეულ ქართულ იურიდიულ საბუთებში უხვად ვხვდებით აგრეთვე სიგელებს, ანდერძებს, რომლებიც ქონების გადაცემის დასტურად იწერება და ბრძანების ელფერი დასდევს.

ნაწყვეტი „დავით აღმაშენებლის ანდერძიდან“:

და თქ(უწ)ნ, შ(ემდგომა)დ მომავალნო მეფენო, ჩ(ე)მს ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შ[ემ]კველრებ, წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა შეკრებასა ჩ(უწ)ნსა, რ(ომე)ლ არ სირცხულისა თ(ა)ნამდებ(ა)დ იხილვნეთ ღ(მრ)თისა და ანგ(ე)ლ(ო)ზთა მისთ(ა)გ(ა)ნ, მოიქსენეთ ვედრი ჩ(ე)მი და ნუ ოდეს დამიციწყებთ ღ(ავი)თს, ჰნახვედით გ(უ)ლსმოღვინებით ქმნილსა ჩ(ე)მსა ეკლესიასა. და ნუ ოდეს ვის გაარყუნევით კულა მ(ა)ს დ(იდე)ბ(უ)ლსა ლავრასა.

და აწ, შ(ე)მდგ(ო)მ(ა)დ ამისსა, ანუ მეფემ(ა)ნ, ანუ მთ(ა)ვ(ა)რმ(ა)ნ, ანუ ეპისკ(ო)პ(ო)სმ(ა)ნ, გინა მ(ო)ნ(ა)ზ(ო)ნმ(ა)ნ, გინა კ(ე)ლისუფ(ა)ლმ(ა)ნ ვინ, თუნდა გლახმ(ა)ნ და თუნდა აზნაურმ(ა)ნ ანუ ანდერძი ესე ჩ(ე)მი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს, ანუ ქრთამისათჳს, ანუ თუ თუთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღ(მრ)თის მსახურებასა რასმე არუშნებდეს, ანუ მღვმესა შიგ(ა)ნ სადგომად იურვოდეს, ანუ თ(ა)ვისათ(ჳ)ს რადმე მოსაჯარებლად, ანუ გარეშე მ(ო)ნ(ა)ზ(უ)ნისა მწ(იგნობართ)-უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაა გუარი, გინა ვინ იყოს, — პირველად შ(ე)ნ, დაუსაბამო და დაუსრულებელო ღ(მერ)თო, მიაწიე რისხვაა შ(ე)ნი დაუსრ(უ)ლებ(ე)ლ(ა)დ მის ზ(ედ)ა, ნუმცა უხილავს ნ(ა)თ(ე)ლი ღ(მრ)თეებისა შ(ენ)ის(ა)დ, ნუმცა მიეცემის წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)დ შ(ე)ნი ნუცა ცუარის(ა)გ(ა)ნ ზ(ე)ცისა, ნუცა ნ(ა)ყ(ო)ფის(ა)გ(ა)ნ ქ(უწ)ყ(ა)ნისა. იყ(ა)ვნ სამკვდრებ(ე)ლი მისი ოკერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ. მოლოდებასა შ(ინ)ა წყალობის(ა)სა რისხვაა შ(ე)ნი ეწიენ; გონებისა, ცნობისა და ხელვის(ა)გ(ა)ნ ოკერყავი იგი, ღმერთო!

ხ(ოლო) შ(ე)ნ, ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, გ(ა)ნყოფასა მისსა კ(ო)რცთ(ა)გ(ა)ნ გ(ა)ნყავ იგი ნაწილის(ა)გ(ა)ნ ცხოვნებულთადასა და შური იძიე, ვ(ითარც)ა მგმობარსა შ(ე)ნსა ნესტორს ზ(ედ)ა!

ხ(ოლო) შ(ე)ნ, წ(მიდა)ო, ღ(მერ)თშემოსილო მ(ა)მ(ა)ო მხო, ოდეს დაჯდეს ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი გ(ა)ნსჯად წ(ოველ)თა ტომთა და ს(ა)ქმეთა, წარმოუდგ და გ(ა)ნესაჯე და ვ(ითარც)ა შემაწუხებელსა შ(ე)ნსა ზ(ედ)ა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღ(მრ)თისადათა!

უკ(უე)თუ ყ(ა)მი მომცეს ღ(მერ)თმ(ა)ნ და სხუა უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქ(უწ)ნ, თქ(უწ)ნმიერთა კანონი-

თა, უჯუარობითა, წყევითა და შერუშნეხითა დაამტკიცეთ, წმი-
დაო მეუფეო, ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზო და ყ(ოვე)ლნო მლდ(ე)-
ლთმოქდლუარნო!

და თუ სხვსა დაწერად ქ(ა)მი აღარ მომზუდეს, თუთ ესე
დაამტკიცეთ. და რაფთაცა რას ვინ მღუმესა დაკლებდეს,
კანონითამცა თქუშნ-მიერთა კრული არს გაუკსნელად.

ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცე-
და(!) უქციე.

(ქართ. ისტ. საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., შეადგინეს
'და' 'გამოსაცემად' 'მომზადეს' თ. 'ენუქიმემ,' ვ. 'სილოგავამ,' ნ.
შაშიაშვილმა, თბ., 1984).

თანამედროვე საკანონმდებლო ენა, ისევე, როგორც ძველი,
სახელმწიფო ენისთვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიასა და
ლექსიკას იყენებს და ხასიათდება ¹ თხრობის კომპაქტურ-
ობითა და ენობრივი საშუალებების ეკონომიურობით; ² ტე-
ქსტში მასალის სტანდარტული განაწილებით (მაგალითად,
პირადობის მონმობის, დიპლომის, ფულადი ქაღალდებისა და
სხვათა მითითებით, მათი ნომრების დამონშებით); ³ სპეცი-
ფიკური (დიპლომატიური, იურიდიული, სამხედრო...) ტერმი-
ნოლოგიის გამოყენებით.

ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი თითქმის მთლიანად
დაცულია ემოციურ-ექსპრესიული ენობრივი საშუალებებისა-
გან. მხატვრული ხერხები მას არ სჭირდება, ამიტომ დამწერ-
ის ინდივიდუალობა ნულამდგეა დაყვანილი. ეს სტილი გაურბის
სინონიმებს, ერთი და იმავე აზრის ნაირფეროვნებას და სპე-
ციალურ ტერმინთა მოშველიებით აზრს მკაცრად აყალიბებს.

ფაქტის ნათლად გადმოცემა არის აუცილებელი პირობა
ნებისმიერი იურიდიული დოკუმენტისათვის, ამიტომ სათქმელ-
სა და ნათქვამს შორის სრული თანხვედრა უნდა იყოს - ეს
არის ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილზე შექმნილი ტექსტე-
ბის უძირითადესი მოთხოვნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება, მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღდგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.


საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულიად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის განვითარება გულგრილი ქართული ხალხის კანონიერი და უპირობო ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღიარებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უმრავლესობის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტიაა.



თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

რადგან სახელმწიფო დოკუმენტები, აქტები ამტკიცებენ ბრძანებებს, კანონებს, დებულებებს, ამიტომ მათში არ ვხვდებით მსჯელობას, ახსნას, განსჯას. ისინი ნაკლებად იყენებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს. ამ თვალსაზრისით, ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი განსხვავდება სხვა სახეობებისაგან. აქ თავს იყრის ისეთი სახის ლექსიკა, რომელიც იურიდიული პირის ბრძანებას გამოხატავს. ასეთებია: დადგინდეს, დაინიშნოს, გათავისუფლდეს, განესაზღვროს, დაჯილდოვდეს და სხვ. იურიდიულ ტერმინთა (კასაცია, სამხილი, მოწმე, მოპასუხე, პასუხისმგებელი პირი...) სიჭარბეს ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი გვერდს ვერ აუვლის.

თანამედროვე ქართული ენის ოფიციალური სტილისათვის ბუნებრივი გახდა ე. წ. აღწერილობითი ვნებითის ფორმები, რომელთა გამოყენებაც სამეცნიერო და მხატვრულ სტილში არასასურველია, მაგალითად: შეტანილ იქნა, მოყვანილ იქნა, დაშვებულ იქნა; თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება მათი პირიანი ფორმებით ჩანაცვლება: შეიტანეს, მიიყვანეს, დაუშვეს.

ოფიციალურ-დოკუმენტური სტილისათვის შაბლონურია სიტყვათა ისეთი შეკავშირებები, როგორებიცაა, დადგენილების თანახმად, კანონის შესაბამისად, გადაუხდელობის შემთხვევაში და მისთანანი.

ამრიგად, ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი მკაცრად განსაზღვრული ენობრივი მარაგით იფარგლება, მისდევს ენობრივ ტრაფარეტს და სტილის განსხვავებულ სახეობას ქმნის.

§5. პუბლიცისტური სტილი

პუბლიცისტური სტილი წიგნური სტილის ერთ-ერთი ნაირსახეობაა და სწორედ მასში რეალიზდება ენის ფუნქციათაგან ერთ-ერთი – ზემოქმედების ფუნქცია, რომელიც ერწყმის მეორე – ინფორმაციულობის – ფუნქციას. ამგვარად, ერთი მხრივ, აგიტაცია – პროპაგანდა, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის უწყება-გადაცემა პუბლიცისტური ენის უმთავრესი ფუნქციებია.

პუბლიცისტური სტილის 'გამოყენების' არეალი 'საკმაოდ ფართოა, იგი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაა, ნაკლებად არის შეზღუდული გამომსახველობითი საშუალებების მხრივაც და განუსაზღვრელია თემები, რომლებიც პუბლიცისტური ნაშრომისთვის შეიძლება საინტერესო იყოს. პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ზნეობრივი, ფილოსოფიური, კულტურული, სამეცნიერო და სხვანი – ეს ის ჩამონათვალია, რომელზეც პუბლიცისტიკა მუშაობს და საზოგადოებისა და სალიტერატურო ენის განვითარებაში თავისი უდიდესი წვლილი შეაქვს.

საგაზეთო და საჟურნალო ენაში ყველაზე უკეთ გამოვლინდება პუბლიცისტური სტილის თავისებურებანი, თანამედროვე სივრცეში კი მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი ადვილად ზემოქმედებენ საერთო ენობრივ მასალაზე, ამკვიდრებენ ან ცვლიან ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას.

ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიას“ „საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი“ უწოდა, დღეს კი გაზეთი ბევრი სხვა საკითხის გაშუქებითაცაა დაკავებული, თუმცა, ძირითადად, საზოგადოების ინფორმირების ფუნქცია აკისრია. საკითხთა გაანალიზება და ამა თუ იმ ჟურნალისტის სუბიექტურ-ობიექტური დამოკიდებულების ჩვენებისათვის მრავალფეროვანი ჟურნალ-გაზეთი საუკეთესო ასპარეზად იქცა. თითქმის შეუზღუდავი ჟანრობრივი თავისუფლება მნიშვნელოვნად განაპირობებს მათს პოპულარობას.

ჟურნალ-გაზეთის ენის ძირითად თავისებურებებად მიიჩნევა: 1. ენობრივი საშუალებების ეკონომიურობა, ინფორმაციის გადმოცემისას თხრობის ლაკონიურობა; 2. საზოგადოებრივ-

„ივერია“ – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა (გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან).

პოლიტიკური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გამოყენება; 3. ამ სტილისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, სტერეოტიპური კლიშეები; 4. ჟანრობრივი მრავალფეროვნება.

ამასთან ერთად პუბლიცისტურ სტილს ის თავისებურება აქვს, რომ მას ყველაზე ადვილად შეუძლია სინთეზური სტილი შექმნას, ანუ შეერწყას მხატვრულ-ლიტერატურულ და ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილებს. მაგალითად, ისეთი ჟანრები, როგორებიცაა ფელეტონი⁴ ან პამფლეტი⁵ ე. წ. ნაერთებს („ჰიბრიდებს“) წარმოადგენენ, რომლებიც ერთდროულად ითავსებენ 2 სტილის – პუბლიცისტურისა და მხატვრულ-ლიტერატურულის თავისებურებებს.

ფელეტონი ღმერთმა ნუ დაგაბეროთ. (ნაწყვეტი)

ნავიდა ძველი წელიწადი – ეგ უგემური, უმადური, უმადლო, ილაჯგანყვეტილი და პირ-გამშრალი ბებრუცანა. გუშინ ღამის თორმეტს საათზედ ანდერძი ავუგევიტ და ჩავაბარეთ მის გაუმაძღარ პატრონს, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო და საუკუნობა ჰქვია. ნეტა რა პირით შეეყრება მაგ ულმობელს პატრონს ეგ პირ-შავი, პირ-უტყვი წელიწადი? რა ანგარიშებს დაულაგებს, დავთრებს რა მაცდურობით გადაუშლის, სასწორის უღელს როგორ ასწევს და დასწევს? ეს ძველი წელიწადი ჩვენგან კაცთაგან ისე გაცუღლუტებული იყო, რომ არა მგონია თავის უტყუარ გამკითხავის წინაშე თავისი ოინბაზობა დაიშალოს, ერთს-ორს მაღაყს მაინც გადავა. ხოლო მისი პატრონი საუკუნოება, თუმცა გაუმაძღარია და ბევრად ბევრი მაგისტანა წელიწადი გადაუყლაპავს, და როგორც ვეშაპს წვეთი, ისე ადვილად მოუნელებია, მაგრამ რომის პაპსავით შეუცდომელი გამკითხავია და თუ უწინდელ დიამბეგსავ-

⁴ ფელეტონი (ფრანგ. feuilleton – ფურცელი) იუმორით დაწერილი მცირე ზომის ნაწარმოები.

⁵ პამფლეტი (ინგლ. pamphlet) პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირული თხზულება, ძირითადად პუბლიცისტური ხასიათისა (ქართ. მწერლობაში მხატვრული პამფლეტის ნიმუშებია გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“).

ით დაუქრთამებელი არ არის, მაინც უნაგაროა. რაც არ უნდა მალაყებს გადავიდეს, იგი გამკითხავი თავის უანგაროს, უტყუარს და პირ-მოუფერებელს მსჯავრს დასდებს. ამ მსჯავრს არც აპელლაცია აქვს, არც კასსაცია, თუმცა კი ამაებში გავარჯიშებული, განურთვნილი და ადვოკატებისაგან გაცულ-ლუტებული ძველი ნელინადი თავისას ეცდება, რომ ერთი მოახერხოს და მეორეც. მაგრამ ამოდ კი: განაჩენი საუკუნოებისა დაურღვეველი და შეუცვლელია.

საზარელი სახე ჰქონდა ამ მიცვალებულს ბებერსა: კბილები ჩამტვრეული; პირის სახის კანზე შემსავით შემხმარნი, დამჭკნარ ლელვსავით დანაოჭებული, ნელ-ნახრილი, ხელ-ფეხ გაშეშებული, თვალზე ჩაცვივნილი, უსულო, უგულო, უსისხლო და უსიცოცხლო. შემზარა, თვალი მოვარიდე, ზურგი შევუქციე, პირი მზის ამოსვლისაკენა ვქენი და რა დავინახე? პატარა ოქროს თმიანმა, თურაშაულ ვაშლსავით წითურმა, ჩაბურთებულმა, ჩასუქებულმა, ახლად დაბადებულმა ბავშვმა შემომცინა თავის უმანკოებით სავსე მშვენიერ ღიმილითა. ზურგთ უკან ძველია, თვალ-წინ ახალი, იქ სიკვდილია, აქ სიცოცხლე, იქ გახრწნილებაა, აქ აღყვავება, იქ მზე ჰმლის, ალპობს და ჰხრწნის, აქ ჰბადავს, ჰზრდის და აკოკრებს, იქ მომწყდარია წყარო ცხოვრებისა, აქ დულს და ჩუხჩუხებს, იქ სამარეა, აქ აკვანი. ნავიდა ნავარდზედ ჩემი გულის-თქმა, როგორც გათამამებული მიმინო და ვსთქვი გულში, ამ ახლად შობილის აკვანს ნეტა რა რიგი ბედი დაარწევს მეთქი. ვაი თუ!.. მაგრამ რა ვაი თუ? დღეს ახალი ნელინადია და შავი ფიქრი შორს ჩვენგან.

(გაზეთი „ივერია“ 1, 1 იანვარი, ოთხშაბათი, 1886 წ.).

საგაზეთო პოლიტიკური ხასიათის მქონე პუბლიცისტურ სტატიებში უხვად ვხვდებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ზოგჯერ სამართლის ტერმინოლოგიას: დისკრიმინაცია, გენოციდი, ნეოკოლონიალიზმი, ნეოფაშიზმი, აგრესია, აქცია, რატიფიკაცია; აგრეთვე შეიმჩნევა სანყისთა სიმრავლე: შესრულება, წამოწყება, თაოსნობა, დასახვა განსაზღვრა, დარაზმვა// დარაზმულობა და სხვ.

სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება პუბლიცისტისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ ვხვდებით შესი-

ტყვებებს: პოლიტიკური კლიმატი / პოლიტიკური ატმოსფერო / პოლიტიკური სამყარო / დროის რიტმი / დროის პულსაცია და სხვ.

გამოიყენება სპეციალური ტერმინები: ინტერვიუ, კორესპონდენცია, რესპონდენტი, რეპორტაჟი, კომენტატორი, მიმომხილველი...

ამრიგად, დახვეწილი პუბლიცისტური სტილი უხვად იყენებს ნიგნური ლექსიკის (იშვიათად: სასაუბრო) ენობრივ მასალას, ნაკლებად სარგებლობს ჟარგონით და მოქმედების ყველაზე დიდი არეალი უკავია. საზოგადოებაზე ზეგავლენის კუთხით, პუბლიცისტური სტილი თანამედროვე სივრცეში პირველია, საოცრად ნაირფეროვანი, ცოცხალი, დინამიკური და შემოქმედებითი.

ნიმუში:
მწერლობას ეყოფა ღონე,
თავისი ჯვარი თავადვე ზიდოს

ორ თვეზე მეტი არ იქნება, რაც ეს ინტერვიუ მომზადდა, და თუმცა არა მგონია მაშინ ვითარების შესაფერისი არ ყოფილიყო, დღეს ისეთი შორეული და მოძველებული ჩანს, თარიღის მითითება უკვე აუცილებელია. დრო გამოცდილება უფროა, ვიდრე რეალობა: ერთი კომმარული ღამის რამდენიმე წუთი ზოგჯერ ეპოქას იტევს. ვის შეეძლო ენინასწარმეტყველა ეს შემზარავი აპოკალიპსი! კაცობრიობის სამარცხვინო ისტორიის ყველაზე მძვინვარე მკვლევებსაც კი შეაძრწუნებდა ჩვენი ცივილიზებული საუკუნის ეს „გმირობა“. მკვლელი უარესია ადამიანთა შორის, მაგრამ ადამიანია, ჯალათის ეს გაუგებარი ღრეობა კი ადამიანურ ფერგლებში ვერ თავსდება, რალაც დაუჯერებელ, შეუძლებელ კატეგორიაში გადადის. მეორე მხრივ, ამ სისხლიან გამოცხადებაში, უეჭველია, მაღლით მოცემული ნიშანი დევს: ცხრა აპრილი ჩვენი ისტორიის მწარე, მაგრამ მტკიცე წყალგამყოფად აღიმართა, რადგან საქართველოს საკუთარი შვილების წმინდა სისხლში განბანა დასჭირდა, თავის უძლეველობაში რომ დარწმუნებულიყო.

არ არსებობს ნუგეში, როცა წინ დაჩეხილი შვილის ცხედარი გისვენია, მაგრამ გამოცდილებამ იცის, რომ დრო მაინც შეუ-

კრავს პირს ჭრილობას, გონება გაარღვევს უკუნ ღამეს, ტკივილი აღარ იქნება ერთადერთი, რის გარეთაც არაფერი არ არსებობს, და ნუგეში მოვა. ნუგეში მოვა, ვინაიდან, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის სასიკვდილოდ იმეტებენ, მას უკვდავებისთვის ამზადებენ, ხოლო თავისუფლების მსხვერპლს თავისუფლების ღმერთი იფარავს – ღმერთთა შორის უპირველესი.

ის ადგილი კი, სადაც ჯერაც არ გამშრალა სისხლი, სადაც ქართველების თავისუფლებისმოყვარეობას ყოველთვის ყველაზე ხშირად და ყველაზე დაუნდობლად სცემდნენ, ჩვენი სამსხვერპლო და საკურთხეველია, ვინაიდან აქ დაღვრილი სისხლის ყოველი წვეთი იმ წმინდა საფლავებს უერთდება, რომლებშიაც 1921 წლის უთანასწორო ბრძოლის პირველი ზვარაკები გვინევს მომავალი გამარჯვების სიმბოლოდ. და ამ ადგილას გონების თვალი უკვე ხედავს წმინდა ჭალას, თავისუფლების ხეივანს, გამარჯვებულთა პანთეონს და ძლევაშოსილ საქართველოს, რომელშიც მოწინებით თავს ხრის უკვდავი შვილების წინაშე...

ბოროტებამ ღვარძლიანად გაიცინა და ხარბად დაენაფა სისხლს, მაგრამ მწარედ შეცდა. მან არ იცის, რომ, ვისაც კი ოდესმე საქართველოს გადაქელვა დაუპირებია, ამით საქართველოს აღდგენისთვის შეუწყია ხელი. მან არ იცის, რომ საქართველოში წმინდა სისხლი ის უმტკიცესი დულაბია, რომელიც ქვეყანას დაუმარცხებელ ძალად კრავს. მან არ იცის, რომ ბოლო წამი ჩვენია. მან არ იცის, რომ ცხრა აპრილს საქართველოში ახალი ერა დაიწყო. მან არ იცის, რომ ჩვენი დღევანდელი მწუხარება ჩვენი ხვალისდელი გამარჯვების მაუწყებელია.

ახლა ძალთა მოკრებაა საჭირო. მალე გლოვის ჟამი გავა და მოქმედების ჟამი დაგდება. მწამს და მჯერა, რომ ეს მოქმედება ისეთი იქნება, საქართველოსთვის დაღუპულთა ძეგლებს ყველაზე მაღალ, ყველაზე ნათელ, ყველაზე სპეციალ კვარცხლბეკს შეუყენებს.

(ჯ. ქარჩხაძე, გაზეთი „თბილისი“ 3 ივლისი, 1989 წ.)

§ 6. მხატვრულ-ლიტერატურული სტილი

მხატვრულ-ლიტერატურული სტილი წიგნურ სტილთა შორის გამორჩეულია თავისი ისტორიით, შესაძლებლობებითა და ენის ესთეტიკური ფუნქციით. სტილის ეს სახეობა ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომლებიც მხატვრული ტექსტების შექმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. იგი სტილისტურად განუსაზღვრელი და უაღრესად შემოქმედებითია.

მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში სიტყვის ესთეტიკას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. ყველა ენობრივი საშუალება აქ მხოლოდ მხატვრული სახეებისა და ზოგადმხატვრული სივრცის შექმნაში მონაწილეობს. ლიტერატურული სტილი თავისი არსით უაღრესად მყარი, ჩამოყალიბებული, მიზანდასახული სახეობაა. სიტყვათწერას, სიტყვათშემოქმედებას ამ სტილში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და სიტყვათა უბრალო (ვგულისხმობთ არამხატვრულ) სინტაქსურ შეერთებას ხშირ შემთხვევაში ღირებულება არა აქვს.

მხატვრულ-ლიტერატურული სტილის ძირითადი თავისებურებებია: ① სიტყვის ესთეტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის ერთობა; ② მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბე; ③ ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის წარმოჩენა, ეს კი, თავის მხრივ, ნებისმიერი ხალხის სალიტერატურო ენაში მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნებას ქმნის.

ლიტერატურული სტილი არ ერიდება დიალექტურ ან სასაუბრო მეტყველებიდან აღებულ ფორმებს, არქაიზმებს, ნეოლოგიზმებს, მაგრამ ეს ყველაფერი მას ეპოქის, ვინრო ეთნოსის, პერსონაჟის ხასიათის შექმნის მიზნით სჭირდება. გადაჭარბების შემთხვევაში ნაწარმოები კარგავს მხატვრულ ღირებულებას, იგი არაესთეტიკური ხდება და უფერულდება.

ენის, როგორც მასალის, ყველა შესაძლებლობა სწორედ მხატვრულ სტილში გამოვლინდება. სინონიმური, ანტონიმური წყვილები, სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნება, ფონემატური დატვირთვა (ალიტერაციებში), შერწყმული ფორმები და სხვ. მეტ გამომსახველობით სახეს სძენს ლიტერატურას.

სიტყვის, მხატვრული შესიტყვების ექსპრესიულობა მხატვრული ტექსტის თანამდევია, ის აძლიერებს ემოციას. მკითხველში, ზემოქმედებს მასზე.

სინტქსური თვალსაზრისით, მხატვრული სტილი შეუზღუდავია. თითოეული შემოქმედი შეხედულებისამებრ აწყობს და ასრულებს იმ აზრს, რომელსაც წინადადება ეწოდება.

სიტყვათხელოვნების, ლიტერატურის სირთულე ის არის, რომ ნებისმიერ კლასიკოსთან ის თვითმყოფადია, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და ინდივიდუალური.

*„მტკვარზე მისდევს ტივი ტივებს,
ტივი ტივზე მიტივტივებს.*

მიტივტივებს და ქანაობს,

ტივი ტივზე მიდის მწყობრად

და ტივი ტივს თვლის მეგობრად“.

(გალაკტიონი)

ტექსტის ფორმობრივი წარმოდგენის მხრივ, შეუზღუდავია მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია. მხატვრული რეალობა შემოქმედის სათქმელს გამოხატავს და ხშირად შორს დგას ყოფითი, მაგრამ არა ენობრივი რეალობისგან, ამიტომაც, რომ ეს სათქმელი ამომწურავად მხოლოდ ნიგნური ენით რეალიზდება. მხატვრული ფორმა (ფართო მნიშვნელობით) მწერლის აზრის, მისი მსოფლმხედველობის სავანეა, თვითდამკვიდრების ერთგვარი საშუალება.

პირამიდა

„ვა

შენე

პირამიდა,

დიდზე დიდი

პირამიდა. ახლა

ველარ გამოვდივარ

პირამიდის სპირალიდან.

რად მინდოდა პირამიდა დიდზე

დიდი პირამიდა, შუა კედელს ვეჯახებით,

მე კი განაპირა მინდა, ზემო, დედამინასავით

გაანათე პირამიდა, გზა მასწავლე, შენთან მოვალ

დიდი შესანიშნავითა. ვისაც უნდა იმას ჰქონდეს დიდზე დიდი

პირამიდა, – აღარ მინდა უკვდავება, – აღარც პირამიდა მინდა!.

ვახტანგ ჯავახიძე

მხატვრული ნაწარმოების კიდევ ერთ თავისებურებას მასში მკვეთრად გამოხატული „ავტორის (მთხრობელის) სახე“ ქმნის. აქ მწერლის პიროვნების უცილობელი ასახვა კი არ ხდება, არამედ მისი ერთგვარი ფერისცვალება და პერსონაჟთა სახეებში გარდასახვა. სიტყვების, ფრაზეოლოგიებისა და სინტაქსური კონსტრუქციების შერჩევა მთლიანობაში ქმნის მხატვრულ ტილოს და მთელი ნაწარმოების ენობრივ და აზრობრივ მახვილებს გამოკვეთს.

§ 7. სასაუბრო სტილი

სასაუბრო სტილი ფუნქციური სტილის დამოუკიდებელი სახეობა და ადამიანთა შორის ურთიერთობის, კომუნიკაციის ენობრივი საშუალებაა.

ტერმინი „სასაუბრო სტილი“ ორგვარად გაიგება. ერთი მხრივ, იგი გამოიყენება ენის ხარისხის აღსანიშნავად; გამოყოფენ: მაღალ (წიგნურ) სტილს, საშუალო (ნეიტრალურ) სტილსა და დაბალ (სასაუბრო) სტილს. ამგვარი დაყოფა მოხერხებულია ლექსიკის აღწერისას და ლექსიკოგრაფია მას ფართოდ იყენებს. მაგალითად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: ანაბანა (საუბ.) – იგივეა, რაც ანბანი.

მეორე მხრივ, ტერმინით აღინიშნება ფუნქციური სტილის ერთ-ერთი საყოველთაოდ გავრცელებული სახეობა. გარკვეული უხერხულობის გამო, რომელიც სასაუბრო სტილის ორმნიშვნელოვნებას უკავშირდება, ფუნქციური სტილის შემთხვევაში ხშირად გამოიყენება მეორე ტერმინიც – სასაუბრო მეტყველება.

სასაუბრო სტილი//სასაუბრო მეტყველება გულისხმობს არაწერილობით, საუბრის დროს მოპოვებულ მასალას. მასში ერთიანდება აგრეთვე ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუშის ჩანაწერი, პირადი წერილები, საყოფაცხოვრებო ხასიათის ტექსტები და სხვა, თუმცა სასაუბრო სტილი შეიძლება რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების სტილადაც იქცეს ან რაიმე მიზნით ამავე ნაწარმოების ზოგიერთი ადგილი შეაღამაზოს:

22 დეკემბერი:

- ვინ იქნება რედაქტორი?
- როდის დაიდება ხელშეკრულება?
- როგორც კი დაიდება ხელშეკრულება, წიგნი ჩაბარდება.
- შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქავთ.
- თუ დროზე არ გადავეცი წიგნი, მერე მეტყვიან: ეხლა გვიანააო. ჩაიბაროს წიგნი ვინმემ. ა?

25 დეკემბერი:

- წიგნი არ მიიღეს. ამბობენ: ადგილი არა გვაქვს, ვერსად შევინახავთო. ჰმ!

26 დეკემბერი:

- წიგნს არ იღებენ. არა და არა. რა უფლება აქვთ? არავითარი! მაგრამ...

(ჩანაწერი გ. ტაბიძის პირადი დღიურიდან)*

სასაუბრო მეტყველება წარმოადგენს ფუნქციური სტილის ერთგვაროვან სახეობას და იმდენად განსხვავდება წიგნური სახეობებისაგან, რომ მისი სალიტერატურო ენის ფარგლებიდან გატანაც შეუძლებელია. წიგნური სტილი კოდიფიცირებული, ანუ მოწესრიგებული და სისტემატიზირებული ფორმაა, ხოლო სასაუბრო – შეუზღუდავი და სრულიად თავისუფალი.

სასაუბრო სტილი არაოფიციალური, ბუნებრივი ენის გამოყენებით ხასიათდება და, ძირითადად, დიალოგის ფორმა აქვს. ერთი მოსაუბრე პირის ნათქვამი მეორე მოსაუბრეზეა დამოკიდებული, მეორე მოსაუბრისა – პირველზე და ა. შ. იმისდა მიხედვით, რამდენი მოსაუბრე ჰყავს დიალოგს, იგი ხან მარტივია (ორწევროვანი), ხან – რთული (სამ-და მეტწევროვანი).

ყველაზე ჩვეულებრივი სფერო სასაუბრო მეტყველებისთვის არის საყოველთაო, ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო ურთიერთობა. მას აზროვნების განსაკუთრებული ორიგინალობა ნაკლებად უკავშირდება. საუბარი, ჩვეულებრივ, ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს (ამიტომ მეცნიერები ხაზს უსვამენ სასაუბრო მეტყველების ავტომატიზმს); სათქმელი მოუმზადებელია, იმპროვიზირებული, მდგომარეობასა და თემაზე დამოკიდებული. მოსაუბრესთან ურთიერთობისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

* ვ. ჯავახიძე, უცნობი, თბ., 1988 წ., გვ. 10.

ინტონაციას, განწყობილებას, ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს – ჟესტებსა და მიმიკებს, მოქცევის ფორმას.

გამომდინარე იქიდან, რომ სასაუბრო მეტყველებაში გამო-
ნათქვამების წინასწარი შერჩევა არ ხდება, ენობრივი მასალაც
აბსოლუტურად მოუმზადებელია. სტილის შეფერადებაში უდი-
დეს ღირებულებას იძენს კონკრეტული სიტუაციური კონტე-
ქსტი. ორ ოფიციალური პირის დიალოგში სასაუბრო სტილი
ოფიციალურსაც შეითავსებს, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ –
მხატვრულ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ სტილებზე.

სასაუბრო ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი
შორისდებულთა სიჭარბეა. სხვადასხვა გრძნობის გამომხატვე-
ლი მარცვლები, სიტყვები ან ენობრივი ფორმულები ოფიციალ-
ური, მხატვრული და პუბლიცისტური სტილისაგან აცალკევებს
სასაუბრო მეტყველებას. შორისდებული ადამიანის ბუნებრივი,
შეუზღუდავი, ხშირად დაუფიქრებელი, აუნონავი აზრისა და
აფექტური მდგომარეობის ენობრივი გამომხატულებაა, ამიტ-
ომ ახლავს ის ასე ჭარბად ავტომატურ მეტყველებას. მის-
ალმების, დალოცვის, წყევლის, გინების ფორმულების ხმარება
ჩვეულებრივი მოვლენაა სასაუბრო ენაში (კეთილი მგზავრო-
ბა!/ კეთილი იყოს შენი მობრძანება!/ მოგიკვდეს დედა!/ მოუკ-
ვდი დედაშენს!/ დედას გიტირებ! და მისთანანი).

სინტაქსურ თავისებურებათა შორის გამოსაყოფია მოკლე,
ხშირად დაუმთავრებელი, შეწყვეტილი წინადადებები, ანუ,
სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასაუბრო მეტყველებაში წინადადე-
ბა არასრულფასოვანია, დეფექტური, მაგ.:

– მოდიხარ?

– არა!

– რატომ?

– არ ვიცი!

და სხვ.

სრული, დამთავრებული აზრი ამ სტილში, განსაკუთრებით
დიალოგის დროს, იშვიათად გაისმის, მაგალითად, სრული პასუ-
ხი კითხვაზე: – შევძლებთ? არის: – დიახ, შევძლებთ, ან უკუ-
თქმით ფორმაში – არა, ვერ შევძლებთ! სასაუბრო ენა კი პა-
სუხთა ინვარიანტულობას უშვებს და გვექნება: – როგორმე
შევძლებთ?-შევძლებთ, აბა რა?!/ – კარგი საქმეა – შევძლებთ!/
28

– აუცილებლად შევძლებთ! – საქმე მოითხოვს და შევძლებთ!
და მრავალი სხვ.

სასაუბრო სტილი ყველაზე უხეში დამრღვევია ენობრივი ნორმებისა და, ამ მხრივ, პასუხიც ნაკლებად მოეკითხება. თხრობის თავისუფლებაზე კანონები ხშირად ვერ ზემოქმედებენ. ენობრივი ეკონომია თავის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს და ამიტომ ხშირია არალიტერატურული, წიგნური ლექსიკური ფორმებიდან შორს მდგომი ერთეულების გამოყენება: კაი, ძაან, ადე! გაუ! (გაუშვის ნაცვლად) და სხვ.

სასაუბრო სტილს ყოფითი ლექსიკა ესაჭიროება, ამიტომ ტერმინების, უცხოური და აბსტრაქტული სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია, სამაგიეროდ, ჭარბობს კნინობით-საალერსო (სალიტ. – თამარი; სასაუბრ. – თამრო, თამრიკო, თათული, თათ! და სხვ.) სახელები, მეტსახელები, იუმორისტული შეფერილობის, ირონიის, დამცირების გამომხატველი მიმართვები, შესიტყვებანი, იდიომები (სალიტ. – გარდაიცვალა//მოკვდა; სასაუბრ. – გავიდა გაღმა, გავიდა მარილზე, თქვენი ჭირი წაიღო, ჩაძაღლდა, მიქელ-გაბრიელს ჩაჰბარდა და სხვანი).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სასაუბრო ლექსიკად მიჩნეულია: აბულბულებს, აბუნტებს, აგე, აკვარახჭინებს, ამოაყრანტალებს, ამოეთრევა, ამოიქაქანებს, ამოუყორავს, აპანლურებს და სხვ.

ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულების ოდენ სასაუბრო სტილისათვის მიკუთვნება არ ნიშნავს იმას, რომ მათი გამოყენება მხოლოდ ამ სტილითაა შემოსაზღვრული, მაგალითად, ილია წერს:

*„აგე, ის ქვა წყლით გალესილი,
ის გველი ბრწყინავს წელდაგრებილი“.*

ან:

„აგე, ზღვის ნაპირთან მოჩანს მწვანე კალთები“.

(გალაკტიონი)

ამგვარად, ფუნქციური სტილის შემადგენლობაში სასაუბრო სტილი შეიძლება დამოუკიდებელ, გამოკვეთილ ნაირსახეობად მივიჩნიოთ. მას თვითრეალიზაციის საკუთარი, პრაგმატული მიზანი აქვს და ენას, როგორც მასალას, მხოლოდ ამ კუთხით მოიხმარს. სასაუბრო მეტყველება თავისი ასაკით უსწრებს

ყველა დანარჩენ სტილურ სახეობას და მათი დაბადების შემდეგაც არ წყვეტს ფუნქციონირებას. ის ყველაზე ცოცხალი, ბუნებრივი, სპეციფიკური სახეობაა, საუკუნეების განმავლობაში მხატვრულ-ლიტერატურული სტილის გვერდით არსებობს, დღეს კი სტილის ყველა სახეობას ასაზრდოებს და ნორმატიული ენის ფორმირებაში განუზომელი წვლილი შეაქვს.

სასაუბრო სტილის კიდევ ერთ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ მოსაუბრე პირის, ან პირების, როლის განუსაზღვრელობა საუბრის პროცესში. ტექსტის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსაუბრეთა ინტელექტზე, სასაუბრო თემაზე, მათს სოციალურ კუთვნილებაზე. ენა და მეტყველება კონკრეტული ადამიანის სოციალური საფეხურის უტყუარი შემფასებელია.

II ტავი

ლექსიკური სტილისტიკა

§ 1. სიტყვის ესთეტიკური ფუნქცია

ენის უმთავრესი გამომსახველობითი ნიშანი სიტყვაა, რომლის სწორი გამოყენება, კონტექსტში სათანადო სელექცირება, მისი გადამუშავება სიტყვას ესთეტიკურ ფუნქციას ანიჭებს. ნაწარმოები ან ტექსტი (მაგალითად, ორატორული) ენობრივ ნიშანთა განსაკუთრებულ შეერთებას, კონსტრუქციას გულისხმობს, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს აღწერს, მკითხველს განსაზღვრული მიზნით წარუდგენს და ცნობიერებაში შეაქმნევინებს ამ სინამდვილის ახლებურ სახეს და მოდელს.

სიტყვის ესთეტიკური ფუნქციის კვლევა თანამედროვე ფილოლოგიის (როგორც ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. უპირველესად არკვევენ სიტყვის ესთეტიკურ ტრანსფორმაციას – გარდაქმნას, სახეცვლილებას. სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა, მისი ნიუანსური გააზრება ბაზისია ზედნაშენური ენობრივი სივრცისთვის, რომელშიც სიტყვას ესთეტიკური დატვირთვა ეძლევა.

მართლმეტყველების უმთავრესი პირობა არის ლიტერატურული ენისათვის მისაღები სიტყვის მნიშვნელობის სწორი გამოყენება, სიტყვის მართებულობა არა მხოლოდ რომელიმე სტილის მოთხოვნაა, არამედ, ზოგადად, მეტყველების კულტურისა და ცოდნის, აზროვნების პროდუქტი.

სიტყვის (ფართო გაგებით) ესთეტიკა პირდაპირ კავშირშია მის ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციასთან, რადგან ამ ფუნქციისაგან დაცლილი სიტყვა უბრალოდ აღმნიშვნელია ფაქტის, მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობისა და მის ესთეტიკურობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ემოცია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის გრძნობას, განცდას, სულიერ მღელვარებას, რომელიც შეიძლება იყოს შიში, სიხარული, განრისხება, სიყვარული, სიძულვილი, ნუხ-

ესთეტიკა (ბერძნ. *aisthetikos* – გრძნობადი) ფილოსოფიის დარგი, რომელიც არკვევს ხელოვნებისა და მშვენიერების ბუნებას, ღირებულებასა და საზრისს (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

ილი, დარდი//ჯავრი და სხვ. იგი გრძნობის ერთ-ერთი სახეა და სუბიექტის (ან სუბიექტების) გრძნობით მდგომარეობას გადმოსცემს; ექსპრესია კი ლათინური სიტყვაა და რაიმე გრძნობის, განცდის გამოხატვის ძალას, გამომსახველობას გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, ემოციურ-ექსპრესიულობა სიტყვის ორი სხვადასხვა მხარეა. პირველი, ძირითადად, სემანტიკას უკავშირდება, ხოლო მეორე – სიტყვის ადგილს, შესიტყვების ძალასა და მის მხატვრულ ფუნქციას. წინადადებაში – „გოგონას შეშინებული თვალები ჰქონდა“ – ცხადადაა გამოხატული გოგონას ემოციური განწყობის სახე – შიში, ხოლო სტროფში:

*„თვალებით თვალში! ერთნი ხედვენ
ნათელს, სხივმოსილს,
ძლევამოსილი და ამაყი
მომავალ გზებით,
მეორენი კი სისხლიანს და
შავს, დამპალს, წარსულს,
ბრჭყალებიან მხეცს, შეშინებულს
მზის მონათებით“.*

(გალაკტიონი, „თვალიდან თვალში“).

შიშის, როგორც ემოციის, გამოხატვის საშუალება მხატვრული კონტექსტითაა გაძლიერებული; ექსპრესია თვალნათელია.

სიტყვის ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით წიგნური სტილის ყველა სახეობა იკვებება. რაც უფრო გაძლიერებულია იგი, მით მეტია სიტყვის ძალა, მისი ქმედითობა და შთამბეჭდაობა.

ზოგიერთ სიტყვას დადებითი ან უარყოფითი ემოცია სემანტიკურად სდევს თან. არასოდეს აღძრავს ადამიანში დადებით განცდას სიტყვები: კუბო, სიკვდილი, მკვდარი, საფლავი, სასაფლაო, მიწისძვრა, ომი, ტრაგედია და მისთანანი. მათ მკითხველის განწყობილების შეცვლა შეუძლია:

*არ ვიცი, რატომ არავინ მოდის დაკრძალვაზე ჩვენსა
და გუახიროს ტომის ოთხი ინდიელის მეტი, რომლებიც*

ბაბუასთან მუშაობენ. ინდიელებმა ეს-ესაა ტომრით კირი შემოიტანეს და კუბოში ჩაყარეს. დედას რომ ასეთი უცნაური და დაბნეული სახე არ ჰქონდეს, ვკითხავდი, რა საჭიროა კუბოში კირის ჩაყრა-მეთქი. ინდიელებმა ცარიელი ტომარა გადმოაბრუნეს და დაბერტყეს, რის გამოც ოთახში თეთრი მტვერი აიშალა...

(გაბრიელ გარსია მარკესი, „ფოთოლცვენა“)

დადებითი ემოციის გამოწვევა შეუძლია აგრეთვე განსაზღვრული სემანტიკის მქონე სიტყვებს; ესენია: მშობელი, დედა, სამშობლო, პატარა//ბავშვი, აკვანი, ყვავილი, ახალგაზრდობა, ქორწილი, გაზაფხული და სხვ.

ომსა და დახოცილებზედ გლოვას მოჰყვა სიმხიარულე... საქორწინო სეფად გარდაიქმნა ნაჭარმაგევის სასახლე. ახლდებოდა ნადიმ-ზეიმი, თანისთანად ფართოვდებოდა; სახელოვანმა გამარჯვებამ შიშის ზარი დასცა მოსაზღვრე მფლობელებს და იგინი ყოველ მხრიდან მიისწრაფვოდნენ დიდებულის ძღვნით, რომ ეამბნათ მძლეთამძლე მეფისთვის.

(ვასილ ბარნოვი, „პირიმზე“)

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი მეტყველება და, აქედან გამომდინარე, მონათხრობის წერილობითი სახეც გარკვეულ ემოციას გამოხატავს. რაც უფრო ემოციურ-ესთეტიკურია სიტყვა თუ შესიტყვება, მით უფრო კარგავს საგნობრივ წარმოდგენას და, პირიქით, როცა ტექსტის შინაარსი ზუსტი და სრულია, იგი მოკლებულია ემოციურობას (ეს შემთხვევა ძირითადად სამეცნიერო და ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილებში გვხვდება).

სიტყვის მნიშვნელობის პოეტურ-ესთეტიკური გააზრება მუდმივად თან სდევს მხატვრული ლიტერატურის ენას. ამ შემთხვევაში სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა რამდენადმე გაფერმკრთალებულია და დამატებითი მხატვრული ნიუანსებით შევსებული. მაგალითად, გალაკტიონის „მთანმინდის მთვარეში“ პოეტი წერს:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი,
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით ინვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს,
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“.

ქნარი, – ვკითხულობთ „ქართული სალიტერატურო ენის განმარტებით ლექსიკონში“, – არის „სიმებნიანი სამუსიკო საკრავი ერთგვარი: თითების გამოკვრით აჟღერებენ“; მოცემულ კონტექსტში კი ქნარის პოეტურ (მხატვრულ) მნიშვნელობას მისი შესიტყვებანი, ენობრივად განსაზღვრებანი, განაპირობებს. აქ ქნარი შუალამისაა და, თანაც, მდუმარე სამოსში გახვეული; ამიტომ იგი რამდენადმე აცდენილია პირდაპირ საგნობრივ გააზრებას და მდუმარე მელოდიას – ზოგადად, დუმილს, უხმაურობას, უჩქამობას – გულისხმობს.

მაგალითში:

„სიცოცხლის სადგურში სიკვდილს ველოდები,
დრო გადის სიცილსა და მასხრობაში.
ლუდს დავლევ... გავივლი... მივდგები-მოვდგები...
მატარებელიც ჩამოდგება ამასობაში“.

(მ. ქვლივიძე, უსათაურო)

ლექსიკური ერთეულის – სადგურის – ძირითადი მნიშვნელობა „მატარებლის (ან სხვა ტრანსპორტის) გაჩერების ადგილია“ (ქეგლ), ხოლო მატარებელი – ტრანსპორტის სახეობა, მაგრამ ლირიკული ტექსტის მხატვრული გააზრების აუცილებელ პირობად კვლავ კონტექსტური შესიტყვებანი რჩება. სიცოცხლის სადგური წუთისოფელია, ეს ქვეყანა, ადამიანთა ხორციელი არსებობის საყუდელი, მატარებელი კი კვდომის დრო, იმქვეყნად მიმავლობა.

ამგვარად, სიტყვის//შესიტყვების ესთეტიკური განცდა მხატვრულ ნაწარმოებში ის ძირითადი ნიშანია, რომელიც მის ემოციურ-ექსპრესიულ დატვირთვას განაპირობებს.

ზოგადად, ესთეტიკასა და ხელოვნების თეორიაში ბევრს საუბრობენ მხატვრული სახეების თავისებურებათა შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია სიტყვიერ მასალასთან, ანუ მხატვრულ სახეებთან, რომლებიც ლიტერატურულ-ესთეტიკურ ობიექტს სიტყვიერი ქსოვილით ქმნიან. თავისთავად

ცხადია, რომ ისინი – მხატვრული სახეები – შესწავლილ უნდა იქნას ლიტერატურული ნაწარმოების კონტექსტით და მხატვრული სიტყვის შემოქმედებითობის სისტემის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მწერლის ინდივიდუალური სტილის, ლიტერატურული მიმდინარეობის ან მხატვრული ტექსტის საერთოენობრივი კომპოზიციის დანახვას.

სიტყვის დეტალური შესწავლა-გააზრება ბევრ იმ თავისებურებას გამოავლენს, რომლებიც ქართულ ენას ახასიათებს. მდიდარი ლიტერატურა, მისი მრავალსაუკუნეობრიობა, გამორჩეულობა და თვითმყოფადობა ქართული სიტყვიერი მასალის შესანიშნავი ნიმუშია.

§ 2. სინონიმის სტილისტიკური ფუნქცია

ზოგი გავითვალისწინებთ სტილისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს თეზას, რომ სტილი იწყება იქ, სადაც შერჩევის საშუალება გვაქვს, ადვილი მისახვედრი არ არის, რომ სინონიმებს ენაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მათი შერჩევითობა განაპირობებს სინონიმის სტილისტიკურ ფუნქციას. ენაში სინონიმები რომ არ არსებობდეს, არ იქნებოდა არც სტილი და არც სტილისტური მნიშვნელობები.

განმარტების თანახმად, „სხვადასხვა ბუნებრივი მოდელით გადმოცემულ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს სინონიმები ჰქვია“ (ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 56), (რუმცა მათი ლექსიკური ფუნქციის გასარკვევად აუცილებელია აღინიშნოს, რომ სიტყვათა შორის აბსოლუტური (სრული) დამთხვევა, ფაქტობრივად, არ ხდება – ეს ენობრივი აზროვნების მყარი და სუბიექტური გადანყვეტილებია. ერთი საგანი ორი სხვადასხვა ენობრივი ნიშნით არ უნდა გამოიხატოს, ამისი საჭიროება, უბრალოდ, არ არის, და მაინც, რა ქმნის სინონიმის?

ლექსიკური სინონიმების არსებობა მრავალი ფაქტორითაა შეპირობებული. პირველ რიგში, გადამწყვეტი ფაქტორი შორს წასული ენობრივი აზროვნებაა, რომელიც არ სჯერდება საგნის, მოვლენის, მოქმედების, ფაქტის აღნიშვნის ერთფეროვნებას და ცდილობს, აღსანიშნის შესახებ გაცილებით მეტი

თქვას, ენობრივად ამონუროს იგი, ამიტომ სინონიმური ერთეული ხშირად გადის ერთი, მარტივი სიტყვის ფარგლებიდან და სიტყვათწარმოების, კომპოზიციის, შესიტყვების საშუალებით ახალ ერთეულებს ქმნის.

მოსამსახურე – მსახური, ხელზე მოსამსახურე, მოახლე, შინაყმა, მოჯამაგირე, ფარეში, სახლეულნი, მოჯალაბე, გოგო, გომბიო, ბიჭი, ყული (ალ. ნეიმანი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“).

მიუხედავად ძირითადი სემანტიკური ერთიანობისა, თითოეულ სინონიმს საკუთარი გამოყენების არეალი, შეფერილობა და მიკროსემანტიკური ნიშნები აქვს. ერთი სინონიმი მეორეს ყოველთვის ადვილად ვერ ენაცვლება. მისი შერჩევა შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარეობს; მაგალითად, ლაზღანდარობა, ბაასი, ლაპარაკი, საუბარი და სხვა სინონიმური ჯგუფის სიტყვებია, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ უდრის, ე. ი. მსგავსება ტოლობას არ ნიშნავს.

„მეორე დღეს დილით ბატონი ეტლში იჯდა და მღვდელს და აკოფას ელაპარაკებოდა. ნუცა თავის ოთახში იდგა და მოლაპარაკეთ ჭუჭრუტანიდან უყურებდა. ბატონმა არ დაიბარა, არაფერი უთხრა. ნუცა კი მთელი საათი ერთ ადგილას და ბატონის ყოველ მოძრაობას, ხელის განძრევას და ლაპარაკს გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა“.

(მ. ჯავახიშვილი, „უპატრონო“)

მოცემულ ტექსტში მწერალს თავისთვის სასურველი სინონიმური ვარიანტი აქვს შერჩეული, რადგან ლაპარაკი* (ელაპარაკებოდა – პირიანი ფორმა და მოლაპარაკე – მიმღეობა) ნეიტრალური, ემოციურად დაუტვირთავი ფორმაა; ბაასი ტკბილ, გააზრებულ საუბარს გულისხმობს, ლაზღანდარობა კი – აგდებულ, ხუმრობანარევ ლაყობას, ამიტომ აქ, მწერლის სათქმელიდან გამომდინარე, ერთივე გამორიცხებულია და მეორეც.

* ლაპარაკი – „სიტყვების საშუალებით ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება, – საუბარი, მეტყველება“ (ქეგლ). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ არაფერია ნათქვამი ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ. იგი, სავარაუდოდ, IV-V საუკუნეების ქართულში ფალაუ-

რი (საშუაღსპარსული) ენიდან სპარსელთა ბატონობის ეპოქაში შემოდის და ამ უკანასკნელში „ურაკპარაკ“ მეიდანს ნიშნავს. ქართულმა ძირითადი სემანტიკური ხაზი მნიშვნელოვნად გადახარა და მეიდანის – შეკრების ხმაურიანი, მრავალი ადამიანის საღაპარაკო ადგილი – გაიზარა, როგორც უბნობის პროცესი, საუბარი, ბაასი. არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა ლაპარაკი ისეთივე შინაარსის უარგონი იყო, როგორიც დღეს არის ბაზრობს, სახელური ბაზარ ფუძიდან ზმნად ქცეული.

სინონიმური ჯგუფის სიტყვათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი შემადგენლობა სრულიადაც არ არის ერთფეროვანი. სემანტიკური განსხვავებულობის გარდა, სინონიმების სიმრავლეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, მათი წარმომავლობა და სიტყვათესესხებაც მნიშვნელოვნად განაპირობებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ სინონიმურ წყვილს – კომლი და ოჯახი.

ამათგან კომლი ქართული წარმოშობის სიტყვაა და „კვამლ“ ფუძის ფონეტიკური ვარიანტი (საცოველთაოდაა ცნობილი ქართული ენის ტენდენცია ვა კომპლექსის ო ხმოვანში გადასვლის შესახებ: ცხვარი>ცხორი, სხვა>სხო, იყვა>იყო და სხვ.).

სემანტიკურად ეს ორი სიტყვა – კვამლი და კომლი – ერთმანეთისაგან არც ისე შორს დგას. თითოეულ ოჯახს თავისი კერა აქვს, საკუთარი შუაცეცხლი და ამ შუაცეცხლიდან კვამლი ამოდის. შინაარსობრივი გადააზრების მიმართულება სავსებით გასაგებია – კომლში ოჯახი, ახლო ნათესაობა – პაპა-ბებია, დედ-მამა, შვილები და შვილიშვილები – მოიაზრება.

სიტყვა ოჯახი თურქული ნასესხობაა და ზუსტად იმავეს ნიშნავს (ვგულისხმობთ ძირითად მნიშვნელობას – ადამიანთა ნათესაურ ერთობას), რასაც კომლი. სავარაუდოდ, იგი ოსმალური იმპერიის გავლენის ეპოქაში, XV-XVIII საუკუნეებში დამკვიდრდებოდა ქართულ სალიტერატურო ენაში. დღეს სიხშირული გამოყენების კუთხით, როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ენაში, სიტყვა ოჯახი ჭარბობს კომლს, საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვას.

სინონიმურ წყვილად მიჩნეულია სახე და სიფათი. ერთი შეხედვითვე ცხადია, რომ მათი ურთიერთჩანაცვლება ძირითადად არ მოხერხდება, რადგან ქართულში „სახე“ ზოგადი

მნიშვნელობის სიტყვაა და, ერთი მხრივ, პირისახეს აღნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ, რაიმეს (ვისამე) გამოსახულებას, სახეობას. მაგალითად:

*„და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით სიყვარულსა, ზედ დაჰხაროდა“.*

ან:

*„სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სინძინდის მადლით დაჰშვენებოდა“*

(ილია, „განდეგილი“)

სახის სინონიმური ცალი „სიფათი“ არაბული სიტყვაა და ქართულში ძირითადად ადამიანის პირისახეს ნიშნავს, ე. ი. შედარებით ვიწრო მნიშვნელობით იხმარება. თავისი ვულგარული ხასიათის გამო იგი სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. ოფიციალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო სტილები მთლიანად გამორიცხავს ამ ფორმის ხმარებას, ხოლო ლიტერატურული და პუბლიცისტური სტილები სიტუაციური შეფერილობის შესაძენად თუ გამოიყენებს; მაგ.:

*„მე მიყვარს შენი გრილი დუქანი,
შენი სიფათი და მარიფათი
თვალები ცეცხლით განაშუქარი
და ნელზე ვერცხლის ქამარი ფართე“.*

(ლ. ასათიანი, „ფიროსმანის დუქანი“)

სინონიმთა კიდევ ერთი, შედარებით ნაკლებ გავრცელებული პირობა არის ერთი ენის ფარგლებში ორი სხვადასხვა წრის – დიალექტის მიერ შემონატანი ფორმების პარალელიზმი. მაგ., კომში – აღმოსავლურქართული დიალექტური წარმონაქმნია, ხოლო ბია (ამავე მნიშვნელობით) – დასავლურქართული. ასეთივე სახისაა: თუთა და ბჟოლა, სასიმინდე და ნალია, ლოქო და ლლავი და სხვ.

სინონიმური წყვილების გაჩენის კიდევ ერთი წყარო ძველი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილი ფორმების ახალ ქართულში გამოყენებაც არის. არსებულ ჯგუფს სინონიმიაში თავისი მკვეთრად გამოხატული, ინდივიდუალური ადგილი აქვს და სტილის შეფერადებაში მომხიბვლელობას არ კარგავს. მაგალითად, წული ძველ ქართულში შვილის სინონიმია და, კომპოზიციაში აქტიურ მონაწილეობას იღებს: ქალწული და, ყრმანული > ყმანვილი ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზი-

ტებია და ახალ ქართულშიც გამოიყენება, განსხვავებით მისი შემადგენელი, მარტივი ფუძისაგან – წული. საკმარისია, ეს ფორმა სათანადო ენობრივ კონტექსტში მოხვდეს, რომ იგი აუცილებლად შესძენს მას სათანადო მხატვრულობას, მაგალითად:

– წული არ ახლავს ოსტატს, მეფეო, მარტოა მოსული!

შეადარეთ კონტექსტს:

– შვილი არ ახლავს ოსტატს, მეფეო, მარტოა მოსული!

არქაული ლექსიკური ფორმების სემანტიკური გადააზრების ვრცელი გზა, სალიტერატურო ენის ასაკი ზოგჯერ მნიშვნელოვნად ცვლის სინონიმური წყვილის ერთეულის ძირითად მნიშვნელობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესღაც სიტყვა მედგარი ჯიუტის, თავნებას სინონიმი იყო, არადა იგი კომპოზიციური სახელია და მე'ზე მდგარს, საკუთარი ნათქვამის ჯიუტ დამცველს ნიშნავდა.

„შუშანიკის წამებაში“ ჯოჯიკი მომაკვდავ წმინდანს საკუთარი ცოდვების მიტევებას სთხოვს: „და თუ რაამე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთრომსათა და სოფლის მოყურათა, მოგვიტევენ და ნუ მოიქსენებ მედგრობათა ჩემთა“.

სიტყვა მედგარის სემანტიკიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ჯოჯიკს დედოფლისთვის ყველა იმ ცოდვის შენდობა უთხოვია, რომლებიც მას თავნებობით, სიჯიუტის გამო მოსვლია; დღეს კი სიტყვა მედგარის ძირითადი მნიშვნელობებია: „ძლიერი, მტკიცე, მყარი, შეუპოვარი“ (ქეგლ).

ზოგადად, სინონიმური წყვილები და მასთან ახლოს მდგომი სინონიმური რიგის სიტყვები ფუნქციურად 2 მნიშვნელოვან ჯგუფად იყოფა: I. იდეოგრაფიულ სინონიმებად, რომლებიც სემანტიკური შეფერილობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და II. სტილისტიკურ სინონიმებად, რომლებიც გამოყენების სფეროთი იფარგლებიან (მათი ხმარება ფუნქციური სტილის კონკრეტულ სახეობაზეა დამოკიდებული) და ექსპრესიულობის ხარისხს მატებენ ტექსტს, ან ნეიტრალურ გამომსახველობას სძენენ.

სინონიმების გამოყენება სხვადასხვა ფუნქციურ სტილში სხვადასხვაგვარია. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი თავისი

ბუნებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ საჭიროებს მრავალსიტყვაობას, აზრის ვრცლად, მხატვრულად წარმოდგენას, ამდენად, სინონიმების როლი ამ სტილში ნაკლებია. სამაგიეროდ, მხატვრულ-ლიტერატურული და ნაწილობრივ პუბლიცისტური სტილები ლექსიკური სინონიმის გარეშე წარმოუდგენელია. მეტიც, თითოეულ კლასიკოს მწერალს განუზომელი წვლილი შეაქვს ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საქმეში. რაც უფრო დიდ შემოქმედთან გვაქვს საქმე, მით მეტია სიტყვა-სინონიმთა რაოდენობა. ხშირ შემთხვევაში ისინი თავად ქმნიან სინონიმური მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა ნაწილი სალიტერატურო ქართულში გარკვეულ ადგილს იჭერს, ზოგი კი მხოლოდ მწერლის კუთვნილებად რჩება.

ქართულ ლინგვისტიკაში ნაკლებად შესწავლილ სფეროდ შეიძლება ე. წ. **გრამატიკული სინონიმია** მივიჩნიოთ, რომელიც, თავის მხრივ, მორფოლოგიურ (ძირითადად სიტყვათწარმოების) და სინტაქსურ სინონიმებს გააერთიანებს.

განსხვავებულ ფორმასა და ერთგვაროვან შინაარსს ქართული ენის მაგალითზე ყველაზე უხვად სიტყვათწარმოქმნაში, როგორც სახელებში, ისე – ზმნებში (ვეგულისმობთ ზმნისწინთა სიტყვათმანარმოებელ ფუნქციას) ვაწყდებით. რომელიმე კონკრეტული ჯგუფის – ქონების, უქონლობის, კნინობით-საალერსო, წინავითარების და სხვა, განსხვავებული ფორმისა და მსგავსი ფუნქციის მანარმოებელთა შერჩევასა ნებისმიერი სუბიექტი თავისი სათქმელიდან, ცოდნიდან, ენობრივი ალლოდან და ინტუიციიდან გამომდინარე მოქმედებს და ირჩევს სასურველს. მაგალითად, ქონების -იან/-ოვან/-ოსან/-ა სინონიმური მნიშვნელობის აფიქსებია, მაგრამ სიტყვათწარმოების დროს სათანადო შერჩევა მაინც ხდება. **ცხენ-იან-ი** და **ცხენ-ოსან-ი** ძირითადი სემის (მნიშვნელობის) მიხედვით არიან სინონიმურნი. ორივე სიტყვა ცხენის მყოფს, ცხენის მქონებელს აღნიშნავს, მაგრამ განსხვავებულია მათი მიკროსემები, ამათგან **ცხენოსანი** თანამედროვე ქართულში ცხენოსნობის მცოდნეს, კარგ მოჯირითესა და მხედარს უფრო აღნიშნავს, ვიდრე უბრალოდ საგნის – ცხენის მქონეს.

მაგ.:

„დაიძრნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის **ცხენოსნები**, მაგრამ იმარჯვა მახარობლიძემ, ცხენდაცხენ დაიჭირა ბურთი,

გაჰკრა ჩოგანი და თრიალეთელებს მიუგდო“ (კ. გამსახურდია, „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 180).

*„ცხენოსანთ ჯარო,
მოთარეშევ ქარის სისწრაფით,
თქვენ არ ხართ მტრები,
თქვენი მტერი ხანაა ძველი“.*

(გალაკტიონი, „გავუნოდოთ ერთმანეთს ხელი“)

ან:

*„იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელ ყანობს
რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდ მარხ-
ილი მიუახლოვდა. მხედრები სულ ყმანვილები, ნარჩევი და
ერთიმეორეზედ ლაზათიანები იყვნენ“.*

(ალ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“)

მორფოლოგიური სინონიმის ერთ გავრცელებულ შემთხვევად თანამედროვე ქართულში ემფატიკური -ა ხმოვნის დართვა-დაურთველობაც შეიძლება მივიჩნიოთ. დღეს: სამშობლოს-თვის და სამშობლოს-ა-თვის, საქმის-თვის და საქმის-ა-თვის, მიზნის-თვის და მიზნის-ა-თვის პარალელური შინაარსის ფორმებია და გავრცობილი ან გაუვრცობელი ფორმის გამოყენება კონკრეტულ კონტექსტში სიტყვის შემრჩევზე – სელექციონერზე – არის დამოკიდებული.

ასეთივე ვითარება გვაქვს კუმშვის, როგორც მორფოლოგიური მოვლენის შემთხვევაში: ლიმონ-ის და ლიმნ-ის, ირემის და ირმ-ის, ჯვარ-ის და ჯვრ-ის, მტკვარ-ის და მტკვრ-ის ფორმათა შერჩევაც, განსაკუთრებით პოეტურ ტექსტში, ლექსთა მარცვლოვნებით არის შეპირობებული, ე. ი. მას სტილისტიკური ფუნქციაც ეკისრება.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მაგალითზეც ცხადი ხდება, რომ საერთო სალიტერატურო ქართულში კუმშვად ფუძეებად მიჩნეული სახელების უკუმშველობა აქ ბუნებრივი მოვლენაა:

*„იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილის
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს თბილისს“.*


(გალაკტიონი, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“)

„მიდიან ძნები. უცნაური შენობებია.
 მთაზე კრავებით ბრუნდებიან მწყემსის ბაღლები.
 და აი, მწირთან! – სიმაღლეს რომ შეომებია
 და სადაც უფრო იმღვრევიან მტკვარის ტალღები“.
 (გალაკტიონი, „ავჯალას იქით“)



„გაჰქრა ღრუბელი და ტვირთი ჯვარის
 სხვაგვარი ზრუნვა
 მხარეზე ბრუნავს“.
 (გალაკტიონი, „პარიზის კომუნა“)

„ბევრი მოგიკლავს ტახები, –
 ყვირილი გახსოვს ირემის,
 ეხლა მეც გაგედრახები,
 შენ, ჩემო თოფო ყირიმის“.
 (გალაკტიონი, „მე ვინც მიყვარდა“)

სინტაქსური სინონიმია ძირითადად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იჩენს თავს. მიზეზისა და მიზნის გარემოებებით დამოკიდებული რთული წინადადებები ქართულში პარალელურ ლექსიკურ-სტრუქტურულ ვარიანტებს გვაძლევს. მაგალითად, მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების აგება დამოკიდებულია მთავარ წინადადებაში კორელაციისა (მისათითებელი სიტყვისა) და კავშირის შენონასწორებულ სემანტიკაზე და გვაქვს შემდეგი სტრუქტურები:



მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემთხვევაში კი:



მიზეზის გამომხატველი კორელატების – იმიტომ/ამიტომ/ მაგიტომ – მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმად არ მიიჩნევა (ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსიდან“ გამომდინარე); თუმცა უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ენის ტენდენცია მიმართულია იქით, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანოს სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების სფეროში და სასაუბრო მეტყველებაში მიზნის ფუნქციით დაამკვიდროს სრულიად ახლებური კონსტრუქცია, რომელსაც შეიძლება პირობითად „შერეული“ უწოდოს. ვგულისხმობთ იმიტომ/ამიტომ/მაგიტომ კორელატების მიზნის ფუნქციით ენაში გამოყენების თანამედროვე შესაძლებლობას. მაგალითად, წინადადებაში – მალაზიაში იმიტომ შევედი, რომ წიგნი შემეძინა – სუბიექტის მოქმედება რაიმე მიზეზით კი არ არის გამოწვეული, არამედ მას „წიგნის შეძენის“ მიზანი აქვს; ე. ი. ეს წინადადება თავისი შინაარსით მოქმედების მიზანს გადმოსცემს და ამის მიხედვითაა კონსტრუირებული. როგორც ჩანს, სემანტიკური მხარის მონასრიგებას (მიზნისა და მიზეზის შინაარსთა გამიჯვნა) თანამედროვე ენაში აღარ აკმაყოფილებს მისათითებელი სიტყვისა და კავშირის ურთიერთმიმართება. იგი იფართოებს სინტაქსურ საზღვარს და სიმძიმის ცენტრი ამგვარ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადების ზმნაზე გადააქვს. ზმნის მოქმედების თუობით, სავარაუდო, ე. წ. კავშირებითობის შინაარსი და ფორმა, რომლებიც ძირითადად II კავშირებითისა და II თურმეობითის მწკრივებითაა გამოხატული, დამოკიდებულ წინადადებაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოქმედების მიზანს და ამიტომ პარალელურ ფორმებად მკვიდრდება:

1. ფანქარი იმისთვის ვიყიდე, რომ დახატოს.

შეადარეთ:

ფანქარი იმიტომ ვიყიდე, რომ დახატოს.

ან:

2. ამქვეყნად იმისთვის მოვედი, რომ შენ გამეცანი.

შეადარეთ:

ამქვეყნად იმიტომ მოვედი, რომ შენ გამეცანი.

სალიტერატურო ქართული ნორმირებული ენისათვის მიუღებელი, მაგრამ ენაში უკვე დამკვიდრებული კონსტრუქცია სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

.... იმიტომ	რომ ზმნა	I. II კავშირებითი (გავიცნო) II. II თურმეობითი (გამეცანი)
------------------	---------------	---

როგორც ვნახეთ, სტილისტიკა ნებისმიერ ლექსიკურ, გრამატიკულ და სინტაქსურ სინონიმურ ჯგუფებს შერჩევითობის პრინციპით განიხილავს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ცოდნას ამ ჯგუფების შესახებ. ძირითადი სემანტიკური ხაზის მსგავსება, ზოგადად, სინონიმის, ხოლო ფორმათა შორის შინაარსობრივი შეფერილობის ნაირგვარობა, სტილისტიკური სინონიმის საფუძველია.

§ 3. ანტონიმიზის სტილისტიკური ფუნქცია

ანტონიმი [anti – წინააღმდეგ, onoma – სახელი] ბერძნული სიტყვაა და ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა წყვილს გულისხმობს. მაგალითად: მაღალი და დაბალი, ტკბილი და მწარე. კარგი და ცუდი, მსუქანი და გამხდარი – ანტონიმური ჯგუფის სიტყვებია. ისინი ენაში გარკვეული კონტრასტის შესაქმნელად გამოიყენებიან და ფუნქციონირებენ ზოგჯერ მარტივი, ზოგჯერ კი – შერწყმული ფუძეების სახით: 'მაღალ-დაბალი', 'ტკბილ-მწარე', 'კეთილ-ბოროტი', ასავალ-დასავალი და მისთანანი.

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა არსებობა ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. ისინი უბრალოდ აღსანიშნი ობიექტის ხასიათს (ტკბილი, მწარე), მათს საგნობრიობას (ცა, დედამიწა) გამოხატავენ, ხოლო ენობრივი აზროვნება მათ სემანტიკურად აწყვილებს, ანტონიმებად მოიაზრებს და სიტუაციისამებრ ხმარობს. ანტონიმების გამოყენება ყველგან ხდება – წიგნურსა თუ სასაუბრო სტილებში. ისინი მეტემოციურობას ანიჭებენ თხრობას, გამომსახველობით სახეს აძლიერებენ – სწორედ ეს არის მათი სტილისტიკური ფუნქციაც. „ანტონიმებით უფრო ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად, ხატოვნად გადმოიცემა აზროვნების შედეგი, საგნებისა და მოვლენების შეპირისპირებით მიღებული სწორი დასკვნა, რაც უფრო მაღალ დონეზე დგას აზროვნება, ზოგადი მოვლენების აბსტრაქცია, მით უფრო მეტი გასაქანი აქვს მეტყველებაში ანტონიმურ სიტყვათა თქმებს“ (ალ. ლლონტი, ქართ. ლექს. საფუძვლები, გვ. 63). ანტონიმებად ყველა ის წყვილი შეიძლება მივიჩნიოთ, რომელთა ცალელები ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს განეკუთვნება.

ყველა სიტყვას ანტონიმი არა აქვს. მაგალითად, არსებით სახელს – მაგიდა არ შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა საგანი, ამდენად, არც – სიტყვაა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს მაგიდის ანტონიმი. რამდენადაც თითოეული კონკრეტული ენა ენობრივი აზროვნების, გარე სამყაროსთან მისი დამოკიდებულების პროდუქტია, ამდენად, ბუნებაში საპირისპირო მოვლენების, საგნების, მახასიათებლების, ზმნური მოქმედების ვარიანტი თუ

არ არსებობს ან არ არსებობს ის ენობრივ ცნობიერებაში მაინც, ანტონიუმური წყვილი, უბრალოდ, არ შედგება.

მეტყველების დროს ანტონიმი ანტითეზაა. ანტითეზა ლიტერატურული ტერმინია და ნიშნავს ორი ურთიერთსაინანაღმდეგო აზრის შეპირისპირებას, რათა მათ მეტი გამომსახველობითი ძალა მიენიჭოს. რამდენადაც ანტითეზა ლიტერატურულ სივრცეში უდიდეს მხატვრულ საშუალებად არის მიჩნეული, ამდენად დიდია მნიშვნელობა ანტონიმებისა თითოეულ სათაურში, როგორც იდეაში (მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის იგავის სათაური „უტკბესი და უმწარესი“ პირდაპირ კავშირშია იგავის დედააზრთან), ლირიკულ თუ პროზაულ მხატვრულ ტექსტში. ილია ჭავჭავაძის ქვემოთ მოყვანილი სიტყვები ნათქვამის დასტურია:

*„ან შენ როგორ სძლებ უწუთისუფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია“.*

დასახელებულ სტროფში ანტონიმებია: აქ და იქ, სიკვდილი და სიცოცხლე, ჭირი და ლხინი. ანტონიმთა თავმოყრა აძლიერებს თხრობას, ამალღებულს ხდის მას, ემოციურად ტვირთავს. მაღალი მხატვრული აზროვნებისათვის ანტითეზის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად: „ხატავს კარგს და ცუდს ამინდს“ (გალაკტი.), „ტკბილი და მწარე... სულ ერთია... ცეცხლი მაგარი, საქართველოსათვის გრიგალია და ნიაგარი“ (გალაკტი.). „ღარიბს ისე მოვუაროთ, რომ მდიდარს არ შენატროდეს“ (ილია).

ანტონიმები გვხვდება კითხვით წინადადებებშიც, მაგალითად:

- ოთახი ბნელია თუ ნათელი?
 - ტვირთი მძიმეა თუ მსუბუქი?
 - როგორ ფიქრობთ? გაიმარჯვებს თუ დამარცხდება?
- და სხვ.

ანტონიმების ერთად თავმოყრა ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ ახლოს მდგომი სიტყვები არიან, მიუხედავად მნიშვნელობათა რადიკალური სხვაობისა. ისინი შეადგენენ ლექსიკის განსაკუთრებულ მთლიანობას. ადამიანის

დასახასიათებლად ხშირად ვხვდებით შემდეგ ანტონიმებს: კეთილი და ბოროტი, მამაცი და მშიშარა, ჭკვიანი და უჭკუო, ლამაზი და უშნო, ჯანმრთელი და ავადმყოფი, მხიარული და პირქუში, მოხუცი და ახალგაზრდა, ძლიერი და სუსტი, დინჯი და ანცი... ადამიანთა მრავალი თვისება ჩამოთვლილ ანტონიმებს საგრძნობლად განავრცობს. მწერალთა ფანტაზია, ამ მხრივ, ძალიან შორს მიდის. მხატვრულ ლიტერატურასა თუ სასაუბრო სტილში უამრავ დამახასიათებელ სიტყვას შევხვდებით. ყველას ერთი მიზანი აქვს – რაც შეიძლება ზუსტად და ემოციურად გადმოსცეს აზრი.

ანტონიმები ჩვეულებრივ გამოიყენება ანდაზებში:

„აღმართი და დაღმართიო, არც ერთია ნაღმართიო“.

„ბოროტია ისიც, ვინც მხოლოდ თავის თავისთვის არის კეთილი“.

„ვისაც მწარე არ უნახავს, ტკბილის გემოს ვერ დააფასებსო“.

„იაფი ძვირად დაგიჯდებაო“ და მრავალი სხვ.

ასევე გვხვდება ანტონიმები აფორიზმებში:

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

„გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

„დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან“.

„ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვლების“.

„თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“.
და მრავალი სხვ.

ანტონიმებს ვხვდებით აგრეთვე ნაწარმოების სათაურებში.

აკაკი:

„ნარსული გულს მწყვეტს, ანმყო მალონებს“, „ძველი და ახალი წელი“.

„ლეგენდიდან „ვარდი და ეკალი“, „ხარაბუზა და ფუტკარი“, „ბრიყვი და ჭკვიანი“, „მოსწავლე და მასწავლებელი“...

გალაკტიონი:

„ცა, ზღვა და მინა“, „მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი“, „დღითა და ღამით“, „ძველი და ახალი ხიდი“...

კ. გამსახურდია:

„ბრძენისა და შლეგის თათბირი“, „სიავის დღენი და ღამენი“, „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ და მრავალი სხვა.

დასახელებული სათაურებიდან ყურადღებას იქცევს გალაკტიონ ტაბიძის მიერ შემოთავაზებული სათაური: „ცა, ზღვა და მიწა“. საერთოდ, ცა და ზღვა ანდა ზღვა და მიწა არ ითვლება ერთმანეთის ანტონიმებად, მაგრამ დასახელებულ კონტექსტში ისინი ერთმანეთის ანტონიმები არიან. ასეთ ანტონიმებს კონტექსტურ ანტონიმებს უწოდებენ. თუ ანტონიმური ცალი კონტექსტში ასრულებს ანტონიმის მოვალეობას, იგი ინდივიდუალურ-სტილისტიკური თავისებურებებით ხასიათდება. ამგვარი ანტონიმები მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ბევრი შეიძლება შეგვხვდეს.

გამოყოფენ ძირეულსა და წარმოქმნილ ანტონიმებს.

ძირეული ანტონიმებია: მაგარი და სუსტი, მთა და ბარი, ცა და მიწა...

ანტონიმთა საწარმოებლად ქართულ ენაში სხვადასხვა საშუალება არსებობს:

1. ძირითადად გამოყენებულია აფიქსები: უ - ო, უ - ურ და უ - ული:

ა) უ - ო: ძირითადად აწარმოებს -იან და -იერ საუფიქსიანი ზედსართავი სახელების ანტონიმებს:

გულიანი-უგულო, შვილიანი-უშვილო, ფულიანი-უფულო, კბილიანი-უკბილო, წვნიანი- უწვნო, კუდიანი-უკუდო... ღონიერი-უღონო, ნიჭიერი-უნიჭო, კანონიერი-უკანონო...

ბ) უ-ურ აფიქსებით, ჩვეულებრივ, იწარმოება -იერ საუფიქსიან სიტყვათა ანტონიმური წყვილები:

ბედნიერი-უბედური, გონიერი-უგუნური, გემრიელი-უგემური, ძლიერი, უძლური...

დ) უ-ელ აფიქსები გამოყენებულია ვნებითი გვარის მიმღობათა უარყოფითი ფორმების საწარმოებლად:

გატეხილი-გაუტეხელი, განყვეტილი-გაუნყვეტელი, გაჭრილი-გაუჭრელი, დაწერილი-დაუნერელი, დაღეული-დაუღეველი...

შეიძლება ზოგ შემთხვევაში -ელ საუფიქსი არ დაერთოს:

გაბერილი - გაუბერავი, შეკერილი - შეუკერავი, მოხარული - მოუხარშავი, შეღებილი - შეუღებავი...

როგორც ვხედავთ, წარმოქმნილ ანტონიმებს აქვთ ერთი და იგივე ძირი. ასეთივე სახისაა უარყოფითი არ/არა ნაწილაკით მიღებული კომპოზიტები:

არ: ცოდნა – არცოდნა, ცოდვა – არცოდვა, გათენება – არგათენება, გატეხა – არგატეხა, წასვლა – არწასვლა, დავინწყება – არდავინწყება და სხვ.

არა: კეთილსინდისიერი – არაკეთილსინდისიერი, სასურველი – არასასურველი, ბუნებრივი – არაბუნებრივი, ადამიანური – არაადამიანური, ამხანაგური – არაამხანაგური და სხვ.

ამავე მნიშვნელობით დღეს საკმაოდ გავრცელებულია უცხოური აფიქსით – „ანტი“ – მიღებული კომპოზიტები, მაგალითად:

ანტი: ქართული – ანტიქართული, დემოკრატიული – ანტიდემოკრატიული, თეზა – ანტითეზა, თეზისი – ანტითეზისი, კრიტიკა – ანტიკრიტიკა, ქრისტე – ანტიქრისტე, ციკლონი – ანტიციკლონი და მრავალი სხვა.

ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვის ანტონიმები შეიძლება „არა“ ნაწილაკითაც იყოს წარმოებული და აფიქსითაც, მაგალითად: მეგობრულის ანტონიმია მტრული და არამეგობრული, სიტყვა თანაბარისა უთანაბრო და არათანაბარი და ა. შ.

„ერთ სიტყვას სხვადასხვა კინტექსტში შეიძლება სხვადასხვა ანტონიმი დაეძებნოს, სწორი ხაზი – მრუდე ხაზი. სწორი ჯოხი – მოღუნული ჯოხი (მაგრამ არ ითქმის – მცდარი ჯოხი), სწორი აზრი – მცდარი აზრი (მაგრამ არ ითქმის – მოღუნული აზრი)“ (იხ. გ. შალამბერიძე, უტკბესი და უმწარესი, თბ., 1968, გვ. 60).

ამგვარად, საგანთა (ფართო მნიშვნელობით) საპირისპირო ფორმით წარმოდგენა ადამიანის ცნობიერებაში ანტონიმურ სახეებს ქმნის. ანტონიმების სტილისტური ფუნქცია, რომელიც მათი გამოყენების მრავალპლანიანობაში, სიტუაციურ კონტექსტურობასა და ემოციურ-ექსპრესიული ფონის გაძლიერებაში ძვეს, მხატვრული ტექსტის შექმნის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხატოვან ფუნქციად რჩება.

§ 4. ომონიმი

ომონიმი [homo – ერთნაირი, onoma – სახელი] ბერძნული სიტყვაა, რომელიც ერთი ენობრივი ფორმის შიგნით განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვათა აღსანიშნავად გამოიყენება. როგორც ალ. ლლონტი წერს: „ორ და მეტი ერთი და იმავე ბგერითი კომპლექსით გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობისა და წარმომავლობის სიტყვას“ ომონიმი ეწოდება (ალ. ლლონტი, გვ. 59).

ომონიმები ბგერითი შედგენილობით აბსოლუტურად ერთგვრიან ერთმანეთს, მაგალითად, ბალი – მცენარე, ხილი; ბალი – ციფრობრივი აღნიშვნა რისამე; ბალი – საცეკვაო საღამო; ან: ბარი – (მთა და ბარი) ვაკე ადგილი; ბარი – სასოფლო-სამეურნეო იარაღის სახეობა; ბარი – ერთგვარი რესტორანი.

სინონიმისაგან განსხვავებით, ომონიმებს აქვთ ერთი, საერთო გარეგნული ენობრივი მხარე, ერთნაირად იწერებიან და ერთნაირად გამოითქმებიან. თუ სინონიმები მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ფორმალურად განასხვავებენ, ომონიმები, პირიქით, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ერთ საერთო გარეგნულ სამოსელში აქცევენ. ომონიმის ამგვარი თვისების გამო უცხოელ მეცნიერებს ომონიმები ზოგჯერ ენის თავისებურ, დეფექტურ, გამოვლენად მიაჩნიათ. სხვა შემთხვევაში, ომონიმის არსებობა ენაში არსებულ ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებას გულისხმობს.

თავისი შინაგანი თავისებურების გამო ომონიმური ცალი სიტყვის შინაარსზე სრულ წარმოდგენას ვერ გვაძლევს. მისი შიგთავსი კონკრეტული კონტექსტის მიხედვით ცხადდება, მაგალითად, ცალკე აღებული სიტყვა ბალი, როგორც აღმნიშვნელი, არაფერს ამბობს იმაზე, რისი აღნიშვნა მოხდა, თუ მას არ ახლავს კონკრეტული კონტექსტი, რომლითაც სათქმელი და მთქმელის პოზიცია გამოიხატება. მაგალითად, დილით ორი კილოგრამი ბალი ვიყიდე. შეადარეთ: სასახლეში მონყობილი ბალი ჩემთვის დაუვინყარი აღმოჩნდა, ანდა: მიწისძვრის სიმძლავრემ სამ ბალს გადააჭარბა.

ამგვარად, ცალკეული ომონიმის შინაარსი კონტექსტის, გარეშე ვერ გაიგება, აქ იგი ისევე ისევე ასრულებს აღმნიშვნელის ფუნქციას, როგორც – სხვა დანარჩენი სიტყვები. ომონ-

იმებზე სრულ წარმოდგენას ორი ან მეტი კონტექსტის შედარება გვაძლევს.

ორმაგი მნიშვნელობის გამო ომონიმები ხშირად სიტყვათა თამაშის დროს გამოიყენება, ამიტომ მას ძირითადად იუმორის, სახუმარო სიტუაციების გადმოცემის დროს ვხვდებით. თავისთავად კალამბურებს* ვაწყდებით ხალხურ ზღაპრებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეპიგრამებსა და სატირული ხასიათის ლექსებში.

რადგანაც ომონიმი, ძირითადად, გულისხმობს ორ სიტყვას, შეიძლება დაუშვათ; რომ ამ ორი სიტყვისაგან ერთი გაბატონებულია, მეორე კი – არა. თუ საკითხს ასე დავსვამთ, მაშინ უპირატესობა იმ სიტყვას უნდა მიენიჭოს, რომელიც თავდაპირველად, უფრო ადრე გაჩნდა ენაში, ანდა ანგარიში უნდა გაენიოს ომონიმთა ხმარების სიხშირეს. ის ომონიმური ცალი, რომელიც უფრო ხშირად იხმარება, ე. ი. პროდუქტიულია, შეიძლება ჩავთვალოთ წამყვან, ამოსავალ, ძირითად ომონიმად, მეორე ომონიმი კი – მეორეულად, მაგალითად: „უცებ წინ გადასასვლელი ხიდი დამხვდა“ (გალაკტი). შეადარეთ: მანქანა გადასასვლელთან გაჩერდა. დასახელებული წინადადებების მიხედვით პირველი უფრო ძველია, ვიდრე – მეორე.

„აკადემიის სასხდომო აუდიტორია თანდათან ივსება მხცოვანი აკადემიკოსებით“ (გალაკტი). შეადარეთ: „მოსაწონია ის, რომ აუდიტორია ჩემს გამოსვლას ასე დიდებულად შეხვდა“ (გალაკტი).

პირველ შემთხვევაში იგულისხმება სალექციო დარბაზი, მეორე შემთხვევაში კი – ლექციის მსმენელები. ბუნებრივია, რომ ჯერ გაჩნდებოდა აუდიტორია და შემდეგ მსმენელი, ამიტომ ამოსავალი, ძირითადი, ამ ომონიმთა შორის არის პირველი (აუდიტორიის მნიშვნელობით), მეორეული არის აუდიტორია მსმენელის მნიშვნელობით.

ომონიმთა შორის ამგვარი მკვეთრი ზღვარის გავლება ყოველთვის შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ადვილი არ არის.

* კალამბური „იგივეა, რაც ზმა – სტილისტური ფიგურა; ვალექსილ (იშვიათად პროზაულ) თქმაში სიტყვების ან მათი ნაწილების ისეთი თანამიმდევრობა, რომელიც აგებულია სიტყვათა ბგერით იგივეობასა (ომონიმიაზე) და მრავალმნიშვნელობაზე (პოლისემიაზე)“ (ა. ჭილაია, რ. ჭილაია).

ასევე შეიძლება მკვეთრად გაიმიჯნოს: მასწავლებელმა მოსწავლის წინა მერხზე დასმა გადაწყვიტა და მასწავლებელმა მწვავე საკითხის დასმა გადაწყვიტა. ძველი ჩანს „დასმა“ დაჯენის მნიშვნელობით. საკითხის „დასმა“ აზროვნების განვითარების ზედა საფეხურზე მოხდებოდა. მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლება დაიძებნოს.

როგორც წესი, ომონიმები ერთმანეთისაგან არ გამომდინარეობენ. მაგალითად: „მეტრის“ მნიშვნელობებია: 1. სიგრძის საზომი ერთეული... 2. სიგრძის საზომი იარაღი ერთი მეტრის სიგრძისა (ხელში მეტრი უჭირავს). 3. ლექსთანყობის ზომა (იამბიკური მეტრი). 4. მუსიკალური რიტმის ორგანიზაციის სისტემა. 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი (სანტიმეტრი, კილომეტრი...); კიბო (ცხოველი) და კიბო (ავადმყოფობა); ბლოკი (სიმძიმის ასაწევი მოწყობილობა... ჭოჭინაკი) და ბლოკი (შეთანხმება (კავშირი) პოლიტიკური პარტიებისა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა ან სახელმწიფოებისა საერთო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად) და სხვ.

ომონიმები, ძირითადად, ერთ გრამატიკულ კლასს განეკუთვნება.

თუ ომონიმებს აქვს ერთნაირი გრამატიკული კატეგორიები, მაშინ მათ უწოდებენ სრულ ომონიმებს, მაგალითად, სიტყვა „ბანს“ აქვს მრავლობითი რიცხვი: სახლს ორივე მხრიდან ბანები მიუშენეს და შეადარეთ: „ტენორნი იქცნენ ბანებად“ (გალაკტი).

ან: მასწავლებელმა შრომის გაკვეთილზე პატარა ხერხი შემოიტანა.

და: მასწავლებელმა უკვე ნაცად ხერხს მიმართა.

არასრულ ომონიმებს უწოდებენ ისეთებს, რომელთაც მსგავსი გრამატიკული კატეგორიები არა აქვთ (ძირითადად რიცხვისა). მაგალითად, ერთი მხრივ, თუკი შეიძლება: ხიდან მნიფე ბლები ცვიოდა; მაგრამ დაუშვებელია: მინისძვრის ბალები.

მხატვრული-ლიტერატურულ კონტექსტში ომონიმური მნიშვნელობა ენიჭება ორაზროვან (ზმურ) გამონათქვამებს. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მეფის მასხარა ორბელიძეს ასე მიმართავს:

„ხუმარათაც ვარგებულხარ,
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულ ელიო!“

საილუსტარციო მაგალითში ომონიმურ შეფერილობას, ანუ ორაზროვნებას ზედსართავი სახელის სულელისა და ზმნიზედისა და ზმნის შესიტყვების – სულ ელი – ფორმობრივი იდენტურობა ინვეს.

არნ. ჩიქობავას აზრით, ომონიმების გარკვევისას მნიშვნელობათა და სიტყვის გარეგნული მხარის გარდა 'გასათვალისწინებელია მისი წარმომავლობაც. „თუ წარმომავლობას ანგარიშს არ გავუწევთ, სიტყვის დიდი ნაწილი ომონიმებად უნდა მიგვეჩინია, რადგანაც იშვიათია სიტყვა, რომ სხვადასხვა კონტექსტში მნიშვნელობას არ იცვლიდეს. ომონიმები მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ გარეგნულად ერთნაირი სიტყვა განსხვავებულია არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ წარმომავლობითაც“ (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1952, გვ. 190). მსჯელობიდან გამომდინარე, სიტყვა „წვერი“, ქვემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს ომონიმების საერთო ფორმად, მაგალითად: წვერს იპარსავს, მთის წვერზე დგას; ისრის წვერი ბასრი იყო. ყველა შემთხვევაში სიტყვა „წვერი“ ერთი და იმავე წარმოშობისაა და ამის გამო ომონიმებად არ ჩაითვლება.

საერთოდ, „ომონიმური წყვილები სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, ხშირად შემთხვევითია მათი მსგავსი გახმოვანება, თუმცა ზოგჯერ ერთგვარი ნათესაობაც აერთებს“ (ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 59.).

ქართული ენა ომონიმებით ისე მდიდარი არ არის, როგორც სინონიმებით. ომონიმთა შორის რამდენიმე სახის კავშირი შეინიშნება: 1. წყვილის ერთი ცალი ლიტერატურული სიტყვაა, მეორე – დიალექტური:

- კაკაბი – (ლიტერატურული) ცნობილი გარეული ფრინველი.
- კაკაბი – (ქართლულ-კახური) ხის სადგომი, რომელზედაც დამაგრებულია გუთნის ფრთა.

- კაკალა - (ლიტერატურული) პატარა მრგვალი პური.
- კაკალა - (გურულ-იმერული) ღორის ავადმყოფობა.
- კანჭი - (ლიტერატურული) ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოჭამდის.
- კანჭი - (რაჭა-ლეჩხ.) ფრჩხილი, (ქიზიყური) ერთგვარი სარეველა ბალახი.

- კაპარი - (ლიტერატურული) ბალახოვანი მცებნარე.
- კაპარი - (მოხევური, ხევსურული) ბურახი.
- კელა - (ლიტერატურული) - ბზიკი, კრაზანა.
- კელა - (ლეჩხ.) მური - ნეხვი.

2. წყვილის ორივე ცალი დიალექტურია:

- ბოში - (ფშაური) რბილი, უძალო, მოშვებული.
- ბოში - (ლეჩხ., რაჭ.) ბავშვი.
- ლუსკუმი - (გურული) ბნელი ღამე.
- ლუსკუმი - (მოხევური) ყინული.

3. წყვილის ერთი ცალი ქართულია, მეორე უცხოური:

- ბეგი - გორაკი, ამალღებული ადგილი.
- ბეგი - (თურქ.) ბატონი.
- კილო - დიალექტი, სიმღერის ხმა.
- კილო - ბერძნ.-ფრანგ. კილოგრამი, წონის ერთეული.
- დეკა - მცენარე, ბურქი.
- დეკა - (ბერძნ.) ათი...

4. წყვილის ორივე ცალი უცხოურია:

- კადრი - ფრანგ., გარკვეული დარგის მუშაკთა შემადგენლობა.
- კადრი - (ფრანგ.) კინოლენტის ნაწილი, რომელზედაც გარკვეული ეპიზოდია აღბეჭდილი.
- ბოტი - (ჰოლანდ.) დიდი ნავი.
- ბოტი - (ფრანგ.) ჩექმა, ქალის მაღალყელიანი კალოში.

ომონიმების წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი არსებობს:

1. ზოგიერთი ომონიმი ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული. მაგალითად: აი არის ჩვენებითი ნაწილაკი (აი, სეირი ჯერ არნახული!: ი. გრიშ.) და აი გურულ დიალექტში წარმოადგენს გამარტივებულ აგი ნაცვალსახელს (გიორგი, ვჭამოთ აი ვახშამი! ეგ. ნინოშ.). ბიძ. ფოჩხუას აზრით, ფონეტიკურ ნიადაგ-

ზე არის მიღებული ისეთი ომონიმები, როგორიცაა: აჰა, არა, ბოყვი, ბოში, ბღვრიალა, დია, თათხავს, კაკანა, კვლა, ჩაფულა, ჩილა, ჩხამა, ძირა და მრავალი სხვ. (იხ. ბიძ. ფონიზუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 85-88).

2. ენაში არსებობს აგრეთვე მორფემული აგებულებით განსხვავებული ომონიმები, მაგალითად:

ასული ქალიშვილი და ასული მიმღეობა (ზემოთ ასული).

აჩეჩა ხელნებდაშვებული სამთო ურემი და აჩეჩს ზმნით გამოხატული მოქმედების სახელი. (ა-ჩეჩ-ს).

ბერა თამაშობაში მინიშნებული ადგილი და ბერი სიტყვის კნინობითი (ბერ-ა).

3. ომონიმია გვხვდება უძველეს და შეთვისებულ სიტყვებს შორის, მაგალითად:

ასლი - ხორბლის ერთ-ერთი ჯიში.

ასლი - (არაბ.) დედანი.

ბაზი - ფრთიანი ყვითელი მწერი, ფუტკარს ჩამოჰგავს (სა-ბა).

ბაზი - (სპარ.) მიმინო, ქორი.

4. ომონიმია ნასესხებ სიტყვათა შორის.

ბლოკი (ინგლ.) ქალი; (ფრანგ.) კავშირი.

გრიფი (ლათ.) მითიური ცხოველი და (ფრანგ.) ხელმოწერის გამომხატველი სიტყვა.

მეტრი (ბერძნ.) ზომა და (ფრანგ.) მოძღვარი.

ლირა (ბერძნ.) ერთგვარი სამუსიკო საკრავი და (იტალ.) ფულის ერთეული.

სანდალი (ბერძნ.) მსუბუქი ფეხსაცმელი, (არაბ.) ტროპიკული ხე და თურქ. ნავი.

ტომი (ფალაური) ტომი და (ბერძნ.) თხზულება ცალკე ნიგნად.

ჩოთქი (რუს.) ჯაგრისი და (სპარსული) ჩოთქე-საანგარიშო. ჯინი (არაბ.) ავი სული, დემონი და (ინგლ.) არაყი.

ომონიმები ზოგჯერ სარიტმო ერთეულებადაც გვხვდება:

*„წვერ უღვაშზე მარგალიტებრ,
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარვებს
გულს რომ ცეცხლი ეკიდება“.*
(აკაკი)

დასახელებული ომონიმები სხვა მხრივაც არიან საინტერესონი, კერძოდ, მაგალითში ერთმანეთს ერთმება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ზმნის პირიანი ფორმა „ეკიდება“ 1. ჩამოკიდების მნიშვნელობით და 2. ცეცხლის მოკიდების მნიშვნელობით.

ამგვარი მაგალითების დაძებნა ქართულ კლასიკურ მწერლობაში მრავლად შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ არქიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ 1898 წელს გამოცემულ „სიტყვიერების თეორიაში“ ომონიმები მიჩნეულია ისეთ სიტყვებად, რომლებიც „ნიშანდობლივს ანუ ზედ-მიწევნილს წერას უშლის“ ხელს. (იხ. სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის – მიერ ტფ., 1898, გვ. 7). ომონიმთა ამგვარი გაგება დიდი ხანია ჩვენშიაც და სხვაგანაც შეცვლილია. ომონიმების არსებობა ენაში ლექსიკის გამოვლენის ერთ-ერთი თავისებური მხარეა. ისინი სტილისტიკის შესწავლის ძალზე საინტერესო სფეროა. ორაზროვნებას, ირონიას, იუმორს, კალამბურებს უშუალო კავშირი აქვს ლექსიკურ ომონიმებთან.

უამრავი ფორმის აბსოლუტური დამთხვევა ე. წ. ომონიმია როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ დონეზე სწორედ ის მოვლენაა, რომელიც ნაკლებად გამოხატავს რომელიმე კონკრეტული ენის ნება-სურვილს. ომონიმური წყვილები, როგორც ზემოთაც ვნახეთ, არასდროს ჩნდება ერთი მოწესრიგებული სისტემის – ენის (ვგულისხმობთ სალიტერატურო ენის) – შიგნით. ინტერნაციონალიზმების მოძღვარებას ვერცერთი ენობრივი კოლექტივი გვერდს ვერ აუვლის, არც დიალექტური ზეგავლენებია ხშირად სუსტი, რაც ომონიმური წყვილების გაჩენის უცილობელ პირობად რჩება. ამდენად, ლექსიკური ომონიმია გარდაუვალი რეალობაა.

ომონიმის არსის გარკვევის მიზნით, განვიხილოთ ერთი გრამატიკული ომონიმის გავრცელებული შემთხვევა ახალ ქართულში:

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, III სერიის I თურმეობითის მწკრივში 2 ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრუქტურა იჩენს თავს. ამათგან ერთი (-ებ, -ობ, -ი და უთემისნიშნო) სახის ზმნები მწკრივთა წარმოებისას –ია დაბოლოებას მიმართავს: აკეთ-ებ-ს.(გა)-უ-კეთ-ებ-

ია; თამაშ-ობ-ს>უ-თამაშ-ია, ჭრ-ი-ს>(და-)-უჭრ-ია, დრეკ-ს>(მო-)-უ-დრეკ-ია, წერ-ს>(და-)-უ-წერ-ია და სხვანი, ხოლო მეორენი (I სერიაში -ავ და -ამ თემისნიშნები) ინარჩუნებენ I სერიის თემის ნიშნებს და გვაქვს: ხატ-ავ-ს>და-უ-ხატ-ავ-ს; სვ-ამ-ს>შე-სვ-ამ-ს და მისთანანი.

თანამედროვე სასაუბრო მეტყველების ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება ენობრივი ნორმის მოთხოვნისაგან და ტენდენცია მეორე რიგის შემთხვევაშიც –ია დაბოლოებიან წარმოებაზე გადასვლისაკენ არის მიმართული. დღეს ხშირად გაიგონებთ: შენთან არ დამირეკია, გუშინ არაფერი დამიხატია, არ მომიპარია და სხვ.

საქმე ის არის, რომ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ნორმისეული პარადიგმა: და-უ-ხატ-ავ-ს (რა უქნია? (ის მას)) ომონიმური ცალია I სერიის მყოფადის მწკრივის III პირის ფორმისა: და-უ-ხატ-ავს (რას იზამს? (ის მას)). ფორმათა აბსოლუტური დამთხვევა – მორფოლოგიური ომონიმია – სახეზეა.

ენობრივი აზროვნება კი ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს ზედმიწევნით მსგავსებას და, აქედან გამომდინარე, ორაზროვნებას. ორი სხვადასხვა შინაარსი ერთი ფორმის შიგნით ძნელად შეთავსებადია, განსაკუთრებით აგლუტინაციური ტიპის ენებში, ამიტომ პროცესი ბუნებრივად განვითარდა – შინაარსების (2 შინაარსის) ფორმობრივი განსხვავების საშუალება ენამ, როგორც სისტემამ, თავიდანვე გამოძებნა. გამოსავალი ასეთი იყო – -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების I თურმეობითი თანამედროვე სასაუბრო ენაში დანარჩენ ზმნათა მსგავს წარმოებაზე გადავიდა.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი გრამატიკული (მორფოლოგიური) ომონიმის, როგორც ენის შინაგანი ბუნების სანინაალმდეგო მოვლენის, კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ.

§ 5. პარონიმები

პარონიმი ბერძნული სიტყვაა და ფორმოობრივი ჟღერადობით მიახლოვებულ, მაგრამ შინაარსით სრულიად განსხვავებულ სიტყვებს გულისხმობს. მაგალითად:

ადრესატი – ნიშნავს იმას, ვისაც ეგზავნება წერილი, დეპეშა, ამანათი, მიმართვა და სხვ. ხოლო

ადრესანტი – ნიშნავს პირს, რომელიც გზავნის წერილს, დეპეშას, ამანათს, მიმართვას და სხვ.

ადრესატი და ადრესანტი პარონიმებია. შინაარსობრივი და უმნიშვნელო ბგერობრივი განსხვავებულობა მათს პარონიმიას განაპირობებს. ასეთივეა: ორდენი და ორდერი, დიპლომატი – დიპლომანტი, ესკადრილია – ესკადრონი და მრავალი სხვა.

პარონიმია ენის ლექსიკურ სისტემასთან ერთად განიხილება, რადგან მას თავისი კუთვნილი ადგილი, გამოყენების სფერო აქვს, სტილისტიკას კი ის მხოლოდ ლექსიკური შერჩევის გამო აინტერესებს.

სიტყვას პარონიმული ცალი მაშინ შეიძლება ეწოდოს, როცა მეორე ერთეული მის გვერდით არ დგას. ამით ისინი ანტონიმებს ჰგვანან. მაგალითად, სიტყვა მწარე ანტონიმური ცალია მიუხედავად იმისა, არის თუ არა მის გვერდით ნახმარი სიტყვა ტკბილი.

პარონიმები ძირითადად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით გადმოიცემა.

მაგალითად:

არსებითი სახელები: დიპლომატი – დიპლომანტი, ესკადრონი – ესკადრილია...

ზედსართავი სახელები: იდეალური – იდეალისტური, სოციალური – სოციალისტური...

ზმნა: ეწია – ეწვია, შეკაზმავს – შეკმაზავს...

პარონიმიის პრობლემას პირდაპირ უკავშირდება მათი არასწორი, უმართებულო გამოყენების საკითხი. ამისი მიზეზი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ლექსიკურ ერთეულთა შინაარსის არცოდნა; იშვიათად – დაუკვირებლობა და სწრაფი მეტყველება, მაგალითებში:

1. „ჯანყი გურიაში“ პრობლემათა აქტუალობით გამორჩეული სოციალისტური რომანია (სოციალისტურის ნაცვლად უნდა იყოს: სოციალური)

2. პოეტი იდეალისტური სატრფოს წარმოდგენას ქმნის (იდეალისტურის ნაცვლად უნდა იყოს იდეალური).

3. როგორც იქნა, საბრალომ აღქმულ ქვეყანას მიაღწია (აღქმულ ფორმის ნაცვლად უნდა იყოს აღთქმული).

პარონიმები უფრო ხშირად გადმოსცემენ სრულიად განსხვავებულ შინაარსს, მაგალითად, სიტყვები: სტალაგმიტი და სტალაქტიტი ერთმანეთისაგან სემანტიკურად დიამეტრულად განსხვავდება, რადგან სტალაგმიტი ნიშნავს გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტად აღმართულ შვერილს, რომელიც გაჩენილია მღვიმის თალიდან ჩამონადენი კირიანი წყლის წვეთებისაგან; სტალაქტიტი კი ნიშნავს გამოქვებულის თალიდან კონუსისებურ სვეტად ჩამოგრძელებულ შვერილს, რომელიც გაჩენილია ჩამოჟონილი კირიანი წყლის წვეთებისაგან.

სტალაგმიტი და სტალაქტიტი ბერძნული სიტყვებია. განსხვავებული შინაარსის გამო მათი ურთიერთშენაცვლება არ შეიძლება. ასევეა სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, შეადარეთ ერთმანეთს ექსპონენტისა და ექსპონატის მნიშვნელობები: ექსპონატი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საგანს, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე. ექსპონენტიც ლათინური სიტყვაა და ნიშნავს პიროვნებას ან ორგანიზაციას, რომელმაც გამოფენაზე გამოიტანა თავის მიერ შექმნილი ან თავისივე კუთვნილი საგანი (ექსპონატი).

კამპანია და კომპანია ფრანგული სიტყვებია. მათი მნიშვნელობებიც განსხვავებულია. კამპანია ნიშნავს მუშაობას, რომელიც ტარდება გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად. მაგ., საარჩევნო კამპანია; კომპანია კი გულისხმობს ჯგუფს ადამიანებისას, რომლებიც ერთად ატარებენ დროს ანდა აქვთ სავაჭრო თუ სამრეწველო ურთიერთობა.

ასევეა ქვემოთ ჩამოთვლილი უცხო სიტყვებისაგან შემდგარი პარონიმები:

აბონემენტი (ფრანგ.) – უფლება რაიმეთი სარგებლობისა განსაზღვრული ვადით (მაგ., წიგნით – ბიბლიოთეკიდან, ადგილით – თეატრში, ტელეფონით და სხვ.); ამ უფლების დამადასტურებელი საბუთი.

აბონენტი – (გერმ.-ფრანგ.) – აბონემენტის მქონე პირი.

ავსტრია – სახელმწიფო ევროპაში.

ავსტრალია – კონტინენტი.

ამბიციაცია (ლათ.) – გადაჭარბებული თავმოყვარეობაა, პატივმოყვარეობა.

ამუნიციაცია (გერმ.) – აღკაზმულობა (სამხედრო მოსამსახურის, ცხენის).

ამბულატორია (ლათ.) – სამკურნალო დაწესებულებაა, რომელიც საექიმო დახმარებას უწევს იქ მიმსვლელ ან შინ მყოფ ავადმყოფებს.

ლაბორატორია (ლათ.) – დაწესებულება ან მისი განყოფილება, სადაც ეწვეიან ექსპერიმენტულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, სადგომი, რომელიც მონყობილია სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა ცდების ჩასატარებლად. სანარმოს, დაწესებულების განყოფილება, სადაც აკეთებენ რისამე ანალიზებს, ატარებენ ცდებს.

აპარატი (ლათ.) – ხელსაწყო რაიმე სამუშაოსათვის...

პრეპარატი (ლათ.) – გამოსაკვლევადად დამზადებული ნივთიერება. მედიცინაში გამოყენებული ქიმიური შენაერთი, ცხოველის ან მეცნიერის ორგანიზმის ნაწილი, რომელიც გამოსაკვლევადაა დამზადებული.

დივანი (სპარს.) – ზურგიანი რბილი ავეჯი დასაჯდომად და დასანოლად...

მდივანი – ვინც აწარმოებს ან განაგებს დაწესებულების ან კერძო პირის მიმონერას; ვინც წერს კრების ან სხდომის ოქმს და სხვ.

დიპლომანტი – სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს.

დიპლომატი (ფრანგ.) – თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა, რომელსაც აკისრია უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა.

ესკადრილია (ფრანგ.) – სამხედრო ავიაციის ქვეგანაყოფი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რგოლისაგან (რაზმისაგან) შედგება.

ესკადრონი (ფრანგ.) – კავალერიის ქვეგანაყოფი, რომელიც ქვეითი ჯარის ასეულს შეესაბამება.

ესკალატორი (ინგლ.) – განუწყვეტლივ მოძრავი კიბე, ადამიანთა ასაყვანად და ჩასაყვანად (იყენებენ მეტროპოლიტენის სადგურებში, დიდ მაღაზიებში და სხვ.).

ექსკავატორი (ინგლ.) – მიწის სათხრელი თვითმავალი მანქანა 'მიწის', ქვების ამოსაღებად და სხვა ადგილზე დასაყრელად ან ტრანსპორტის დასატვირთავად.

იდეალური – 1. მხოლოდ იდეებში, შემეცნებაში, წარმოდგენაში არსებული; განყენებული. 2. იდეალის შესაბამისი; ამალღებული, არამინიერი. 3. საუკეთესო, სამაგალითო, სრულყოფილი.

იდეალისტური – რაც იდეალიზაციის პრინციპებს ემყარება, იდეალიზმის დამახასიათებელია.

კომპლექსი (ლათ.) – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.

კომპლექტი (ლათ.) – გარკვეული დანიშნულებისათვის საჭირო საგანთა სრული რიცხვი, სრული შემადგენლობა.

კონვენცია (ლათ.) – სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

კონვექცია (ლათ.) – სითბოს ან ელექტრომუხტების გადატანა მოძრავი გარემოს (ჰაერის, ორთქლის, წყლის და მისთ.) დინების მიერ.

ლანცეტი (ფრანგ.) – სადასტაქარო ორპირიანი დანა; ნესტარი.

პინცეტი (ფრანგ.) – პატარა მაშა წვრილი, სათუთი, სრიალა საგნების ასაღებად; იყენებენ მედიცინაში, ტექნიკაში, ლაბორატორიებში და სხვ.

ლიტურგია (ბერძნ.) – მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, ჟამისწირვა.

ლეთარგია (ბერძნ.) – ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ჰგავს ღრმა ძილს; დამახასიათებელია უმოქმედობა, გარე გამაღიზიანებლებზე რეაქციის უქონლო-

ბა და მისთ.; შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე საათს ან რამდენიმე დღეს (ქართული ხალხური სახელწოდებაა სალათას ძილი).

ობსერვატორია (ლათ.) – სპეციალურად მოწყობილი შენობა ასტრონომიული ან გეოფიზიკური დაკვირვებისათვის; სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ასეთ დაკვირვებებს აწარმოებს.

კონსერვატორია (იტალ.) – უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

ორდენი (ლათ.) – 1. სხვადასხვა ხარისხისა და სახელწოდების ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოებს სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისათვის...

ორდერი (გერმ.) 1. წერილობითი განკარგულება, ბრძანება; საბუთი, რომელიც რაისამე ნებართვას, რაისამე მიღების უფლებას იძლევა, მაგ.: დაპატიმრების ორდერი, ბინის ორდერი...

პაციენტი (ლათ.) – ვნებული, შეწუხებული (ტკივილით) – ავადმყოფი თავისი მკურნალი ექიმის მიმართ.

კლიენტი (ლათ.) – 1. მუდმივი მყიდველი, შემკვეთი, მუდმივი მიმსვლელი, მაგ., საპარიკმახეროს კლიენტი...

რეკლამა (ფრანგ.) – 1. განცხადება, პლაკატი, რადიოგადაცემა ან სხვა ღონისძიება მომხმარებელთა, მაყურებელთა და სხვ. მიზიდვის მიზნით.

რეკლამაცია (ლათ.) – 1. უკმაყოფილების გამოხატვა, პრეტენზია, საჩივარი. 2. (ვაჭრ.) პრეტენზია საქონლის დაბალი ხარისხის გამო და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

სტატიკური – 1. სტატიკის კანონებზე დამყარებული; წონასწორობაში მყოფი, უძრავი. 2. რაც მოვლენათა შინაგან მიმართულებებს განიხილავს მათი ისტორიის გათვალისწინების გარეშე. მაგ., სტატიკური ანალიზი.

სტატისტიკური – სტატისტიკის მიხედვით განხილული.

ფაბრიკანტი – ფაბრიკის პატრონი, კაპიტალისტი.

ფაბრიკატი (ლათ.) – მზა საფაბრიკო ნაწარმი, წარმოების მიერ საბოლოოდ დამუშავებული ნაწარმი, რომელიც შემდეგ საბოლოოდ უნდა დამუშავდეს.

ფაქტი (ლათ.) – 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი, არაგამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა. 2. სინამდვილე, რეალურობა. 3. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გასაკეთებლად.

ფაქტორი (ლათ.) – რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა.

ფერმა (ფრანგ.) – 1. კოლმეურნეობაში ან ცალკე მოწყობილი სპეციალიზებული მეურნეობა, რომელიც მისდევს მეცხოველეობის რაიმე დარგს.

ფირმა (იტალ.) – იურიდიული პირის უფლებების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკიტაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი.

ფილტრი (ფრანგ.) – 1. ხელსაწყო ან ნივთიერება, რომელში გატარებითაც წმენდენ სითხეებს ან გაზებს მინარევებისაგან (მყარი ნაწილაკებისაგან და მისთ.)...

ფლირტი (ინგლ.) – მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა.

ფორმატი (ლათ.) – 1. წიგნის, ფურცლის, ბარათის და მისთ. ზომა. 2. (პოლიგრ.) სტრიქონის სიგრძე; ანაწყობის სიგრძე და სიმაღლე.

ფორმანტი (ლათ.) – (ლინგვ.) იგივეა, რაც აფიქსი.

შვედეთი//შვეცია – სახელმწიფო სკანდინავიის ნახევარკუნძულზე.

შვეიცარია – სახელმწიფო შუა ევროპაში.

ზემოთ ჩამოთვლილ პარონიმებს ძირითადად ერთი და იგივე ძირი აქვს. დიდ უმეტესობას ახლავს უცხოური სუფიქსები: -ატ, -ანტ, -ენტ, -ორ, -ცია (შეადარეთ: ასპირანტი, ადვოკატი, დეკანატი, რექტორატი, დირექტორი, ოპერაცია, დისერტაცია და მისთანანი). ზოგი უცხოური სიტყვა გართულებულია ქართული სუფიქსით: -ურ, (იდეალისტური, სოციალისტური...).

იშვიათად პარონიმებს აქვთ სხვადასხვა ძირი, მაგალითად: პაციენტი და კლიენტი, ლანცეტი და პინცეტი.

გვხვდება საკუთრივ ქართული ძირებისაგან შემდგარი პარონიმები: აღქმა და აღთქმა, პასუხისმგებელი და პასუხსაგები, პირი და პიროვნება, უებარი და უებრო, ცვალება და ცვლილება და სხვ.

დასახელებული პარონიმებიც უღერადობით ერთნაირი და მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული სიტყვებია, მაგ.:

აღქმა (ფსიქ.) – ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების (საგნების, მოვლენების) ასახვის პროცესი.

აღთქმა – დაპირება, სიტყვის, პირობის მიცემა, დანაპირები.

პასუხისმგებელი 1. ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია. ვინც პასუხს აგებს. 2. ოფიციალური პირი, რომელსაც აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა ამა თუ იმ დაწესებულების, ორგანიზაციის და მისთ. მუშაობისათვის.

პასუხსაგები – რაც პასუხისგებას მოითხოვს, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული, მეტად მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით სერიოზული, საპასუხისმგებლო.

პირი... 4. ცალკე ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი

პიროვნება – გარკვეულ თვისებათა მქონე ადამიანი, ადამიანის „მე“ – ინდივიდი.

უებარი – რის თანაბარიც არ იპოვება, განსაკუთრებით კარგი, საუკეთესო რამ...

უებრო – ვისაც (რასაც) ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს (არა აქვს), – უბადლო, სწორუპოვარი.

ცვალება – 1. შეცვლა, ცვლა...

ცვლილება – 1. სხვად, სხვაგვარად ქცევა, – გარდაქმნა, განსხვავება; ცვლა, ცვალებადობა.

უღერადობით ახლოს მდგომი და შინაარსით განსხვავებული სიტყვებია აგრეთვე: აჩენს და აჩნევს, აჩნევს და ამჩნევს, ეწევა და ეწია, მცნება და ცნება, უდაბლესი და უმდაბლესი, შეიქმნა და შეიქნა... (იხ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985).

წარმოების თვალსაზრისითაც წარმოდგენილი პარონიმები ერთნაირი რიგის არ არის. ზოგი მარტივია (პირი), ზოგი – წარმოქმნილი (უებრო), ზოგიც – კომპოზიტი (პასუხისმგებელი); ლექსიკური თვალსაზრისით კი ისინი ყოველთვის გამორიცხავენ ერთმანეთს. შინაარსობრივი სხვადასხვაობიდან გამომდინარე, კონტექსტში ერთის ნაცვლად მეორის ხმარება დაუშვებელია.

ქართულ ენაში უცხოური (ნასესხები) პარონიმების შემოსვლის დრო და პირობები განსხვავებულია. ბევრი მათგანი სხ-

ვადასხვა მეცნიერებისა და პროფესიული დარგის განვითარებასთან ერთად დამკვიდრდა.

პარონიმიისაგან სრულიად განსხვავებულ ენობრივ მოვლენად მიიჩნევა ე. წ. პარონომაზია. იგი ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ ორ სიტყვას გულისხმობს, რომელთაგან ერთი აუცილებლად ნაზმნარი სახელია (მასდარი) – და მოქმედებით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე ზმნის პირიანი ფორმაა – მაგალითად: ხილვით ვიხილე, კურთხევით ვაკურთხე, მხილებით ვამხილე და სხვ.

პარონიმიის, როგორც ლექსიკური მოვლენის განხილვამ ცხადყო, რომ იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს მეტყველების (ენის) კულტურული დონის განსაზღვრას; პირდაპირ მიუთითებს მეტყველის, ანუ მოსაუბრე პირის, ლექსიკური მარაგის შესაძლებლობებსა და მის ინტელექტზე. პარონიმიასთან დაკავშირებული შეცდომები ძირითადად თავს სასაუბრო სტილში იჩენს.

§ 6. ისტორიზმებისა და არქიზმების სტილისტიკური ფუნქცია

მოძველებულ სიტყვებს, რომლებიც ენის პასიურ შედგენილობაში შედიან, ისტორიზმები ეწოდება. ისტორიზმები, ძირითადად, უკვე გამოუყენებელი, არახმარებადი საგნების, მოვლენებისა და ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებია; ხოლო არქაიზმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომელთა საგნობრივი შესატყვისები დღესაც არსებობს, მაგრამ ისინი სხვა, სინონიმური ცალებით – აქტიური გამოყენების ლექსიკური ერთეულებით – არიან შევიწროვებულნი.

ისტორიზმები სპეციალურ ლიტერატურაში, ძირითადად, სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტებში გამოიყენება და ნომინატური, ე. ი. სახელდებითი ფუნქცია აქვს, ანუ ისინი წარსული ეპოქების რეალისტური სურათის აღსადგენად ან მსჯელობის (სამეცნიერო სტილში) განსავითარებლად გამოიყენება.

ისტორიზმის საშუალებით წარსული სურათის შექმნა ისტორიული ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებში ჩვეულებრივი მოვლენაა. იგი სტილისტური საშუალებაა, რომელიც მკითხველზე სათანადო ემოციურ ზეგავლენას ახდენს და მის ცნობიერებაში ეპოქის ხასიათის, მისი ისტორიული სახის აღდგენას ახერხებს. ისტორიზმებია მაგალითად: კუბასტი (თავსაბურავის სახეობა), გოდოლი (მაღალი კოშკი, ზოგჯერ ზღუდე-გალავნით), სეფეთუხუცესი, სახლთუხუცესი და მისთანანი.

„ვაზირის შუამდგომლობამ ვერ გასჭრა, ირანის მბრძანებელი კარგად იცნობდა ამ მომთაბარე მძარცველებს და არ აუსრულა ეს აჯა თურქებს. ამასობაში თოღრულბეგს, ჩაღრიბეგს და პაილუას აეყოლებინათ დედანულიანად აყრილი თურქმანები, უკითხავად მოსდებოდნენ ირანის იალალებს“ (კ. გამსახურდია, „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 101).

ან:

„ყივჩაღთა ძაგება მოთავეებული არა ჰქონდა ლიპარიტს, როცა ჯერ გიორგი მეფეს მიეჭრა იგი, ხელზე ემთხვია, დავითმა მისკენ წაიწია და გადაჰკოცნა. როცა გამობრუნდა, ბრამ ერიშიანი შეიცვნეს დარბაზის ერთა“ (კ. გამსახურდია, „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 184).

ისტორიზმს, როგორც ლექსიკურ საშუალებას, სამეცნიერო სტილში პრაგმატული ფუნქცია აქვს. აქ იგი უბრალოდ მივიწყებული საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვაა.

„უძველეს დროს, განსაკუთრებით მეფობის მოსპობის შემდგომ აზნაურთა ნოდებას უდიდესი ძალა ჰქონდა საქართველოში: მაშინ თურმე „ეპყრა უფლება ქართლის აზნაურთა“, ქვეყნის შინაური საქმეების მართვა-გამგეობა მათ ხელში ყოფილა. აზნაურებს ამგვარი უფლება დიდ ხანს შერჩენიათ: სანამდის მეფობა არ განახლდა, „იპყრობდეს ქართლს აზნაურნი“-ო (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, თბ. ტ. VI, გვ. 203).

არქაიზმების სტილისტური ფუნქცია განუსაზღვრელია მხატვრულ ლიტერატურის ენაში. ისინი ისტორიზმებთან ერთად ავტორის მიერ შექმნილი ტექსტის სტილიზებას უწყობენ ხელს – ჭარბობენ პერსონაჟთა მეტყველებასა და გაბმულ თხრობაში. ხშირად მათს გამოყენებას პათეტიკური* ელფერიც გადაჰკრავს, თუმცა აქ არქაიზმთა ხმარების ზომიერება გადამწყვეტ როლს ასრულებს:

„ბედიც თითქო ზეიმს უკარნახებდა ქართველებს;

გიორგი მეფეს ბურღუხან მშვენიერისაგან რომ თამარი ჰყვანდა, ხარჭისაგან ქალი მისცემოდა. ჰგვანდა პირიმზეს; არცა ჰგვანდა. როგორ ემგვანებოდა?! პირის ყდა თითქო თამარისავე, მაგრამ ფარგალს ძუნნად მოეხაზნა ქვედა ყბის არე: ნიკაპი მეტად დაღეული, ლამის უჩინი.

იცოდა დედოფალმა, ვისგანა ჰყვანდა ის ქალი. არას ეტყოდა. სასახლეშიც კი მიელო თამარის შიმუნვარად**. მადლობელი იყო გიორგი მეუღლისა, თამარიც ლბილად ეპყრობოდა ქალს.

როდესაც თამარის მოტრფიალე მეტაფრიდონმა ვერ აულო პირი მეფე ქალს, ყურძნის სურვილით ლობეს უწყო ალერსი, კოცნა: სთხოვა მეფეს ქალი მეორე. მამა თვის იმ ქალს რად დაუჭერდა ხელმწიფის შვილსა?! არ მისცემდა?! დაითქვა ქალი მეტაფრიდონისათვის, დაინიშნა დღე ქორწილისა.

მაინც საჭირო იყო ჭაბუკისთვის გული მოეგო და დაასკვნა დიდებული ქორწილის გადახდა. განახლდა და გაიშალა ნა-

* პათეტიკა//პათეტიკური – [ბერძნ. pathêtikos] – გრძობით აღსავსე.
** შიმუნვარი – „ძვ. დიდებულ მანდილოსანთა მხლებელი ქალი, – მოახლე“ (ქეგლ)

დიმ-ზეიმი. მეტად ზრდილობით ეპყრობოდნენ მეინახენი: ცდილობდნენ, ერვენებინათ ახალ სიძისთვის, რომ მან მაინც მიაღწია ოცნების აჩრდილს“.

(ვ. ბარნოვი, „პირიმზე“)

მხატვრულ-ლიტერატურული სტილის არქაიზება არა მხოლოდ ძველმა ლექსიკურმა ერთეულებმა შეიძლება გამოიწვიოს, არამედ – წინადადების არსებულმა სტრუქტურამ, არქაულმა შესიტყვებებმა და ძველი ქართულისათვის დამახასიათებელმა მორფო-სინტაქსურმა ფორმამ.

*„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით.
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?“*

(ა. კალანდაძე, „ფეხი დამადგით...“)

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის -მან ნაცვალსახელოვანი ელემენტის გამოყენება, ძველი ქართულისეული შესიტყვება – „წყალობა ჰყავით“ მოცემულ მაგალითში ის ენობრივი საშუალებანია, რომელნიც ლირიკულ ნაწარმოებში ეპოქის კოლორიტის აღსადგენადაა გამოყენებული და ემოციური განწყობილების სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს.

არქაიზმებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის ლექსიკა მიეკუთვნება, რომელთა სინონიმური შესატყვისები ახალ ქართულ ენასაც აქვს, ასეთებია, მაგალითად:

- ავლი (ძვ.) – ფერფლი
- ერგასი (ძვ.) – ორმოცდაათი
- თანამეინახე (ძვ.) – თანამესუფრე
- სიყმილი (ძვ.) – შიმშილი
- მყვარი (ძვ.) – ბაყაყი
- ხამლი (ძვ.) – ფეხსაცმლის სახეობა და მრავალი სხვა.

ძველი ქართული ენის ლექსიკის ერთმა ნაწილმა მნიშვნელოვნად იცვალა სემანტიკური სახე. მაგალითად, აგარაკი ძველ ქართულში სახნავ-სათეს მიწებს ნიშნავდა, დღეს კი –

დასასვენებელ ადგილს; დამარხვა – შენახვას, დღეს – დასაფლავებას, დაკრძალვას, დაფლვას. ძველ ქართულში ნიჭი საჩუქარს, ნაბოძებს, ბოძებას გულისხმობდა, დღეს იგი გადააზრებულია და ნიშნავს: „ბუნებრივ უნარს შემოქმედისა კულტურის ამა თუ იმ დარგში – ტალანტს“ (ქეგლ); მკვირცხლი ნიშნავდა ქვეითად მიმავალს, ახალ ქართულში კი ძალიან მოძრავს, სიცოცხლით სავსეს, ცქვიტს გულისხმობს. ასეთი მაგალითები ქართული ენის ლექსიკურ ბანკში უხვად დაიძებნება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, არქაიზმებადაა მიჩნეული ძველი ქართული ზმნისწინების მქონე სიტყვებიც. მაგალითად:

აღა → ა: ალაგზნებს, ალაღლენს, ალაღსებინებს, ალაკმევს, ალაძაღლებს, აღანთებს, აღასრულებს, აღასრულებინებს, აღაფრენს, აღშენებს, აღბორგება...

გან → გა: განაბზნევს, განაბრწყინ(ვ)ებს, განაბჭობს, განაგრძელებს, განადიდებს, განავრცელებს, განათავისუფლებს, განაკანონებს, განაკარგებს, განაკრთობს, განალაგებს, განამარტოვებს...

გარდა → გადა: გარდაავლებს, გარდაამეტებს, გარდააქცევს, გარდააჭდობს, გარდაეცემა, გარდაეჭდობა, გარდავალს, გარდავლილი, გარდათქვამს, გარდაიცვლის, გარდაიქცევა, გარდაინერს...

შთა → ჩა: შთააგდებს, შთააგონებს, შთაანთქმევენებს, შთაბერავს, შთაბერვა, შთაბერილი, შთაბეჭდავს, შთაბეჭდვა, შთაბეჭდილი, შთაებეჭდება, შთაენერგება, შთაესახება, შთავარდება...

წარ → წა: წარაგებს, წარავლენს, წარდგამს, წარდგება, წარდგმა, წარდგომა, წარეკვეთება, წარვიდა, წარვლენა, წარვლენილი, წარიკვეთს, წარიქცევა, წარიღებს, წარიშლება...

არქაულ ლექსიკად მიჩნეული ჩამოთვლილი სიტყვების უმრავლესობა დღესაც გამოიყენება. თავისი სიძველის გამო ისინი პასიური ხმარების ლექსიკურ ჯგუფს წარმოადგენენ, თუმცა მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში (ხშირად ორატორულ მეტყველებაში) უდიდესი სტილისტური ღირებულება აქვთ.

„სად შეაჩერა მერანმა ფრენა?“

სად შთაესვენა ბარათაშვილი?“ –

იტყვის გალაკტიონი („გულთა კავშირი“).

§ 7. ნეოლოგიზმები

ნეოლოგიზმი [neos – ახალი, logos – სიტყვა] ბერძნული სიტყვაა და ხმარებაში ახლად შემოსულ სიტყვასა და გამოთქმას ეწოდება. მათი წარმოშობა კაცობრიობის ან ერის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ტექნიკის განვითარება და კოსმოსის ათვისება მთელი რიგი ნეოლოგიზმების გაჩენის წყაროდ იქცა. ტრაქტორი, ბულდოზერი, კოსმონავტი, სკაფანდრა, კოსმოსური ხომალდი და სხვანი ამ ტიპის ნეოლოგიზმებს განეკუთვნება.

ნეოლოგიზმი შეიძლება რამდენადმე პირობით ლინგვისტურ ტერმინად მივიჩნიოთ, რადგან ხშირად ახალდაბადებული სიტყვა სწრაფადვე ედება მთლიან ენობრივ სივრცეს და ძირითად ენობრივ ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ აღარც აღიქმება, როგორც ნეოლოგიზმი.

სტილისტიკის დაკვირვების ობიექტად ძირითადად ის ნეოლოგიზმები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც მწერალთა შემოქმედებაში სიტყვათა პირველხმარებას განეკუთვნება. ახლად შექმნილი ლექსიკური ერთეულის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობა პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ მწერლის გავლენის ხარისხთან ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე.

ქართულ ენაში ნეოლოგიზმები ძირითადად აფიქსაციის ან კომპოზიციის მეშვეობით მიიღება. ძირეული სიტყვები ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის ბაზაა, მათი „ინკუბატორი“. ერთი ძირეული ზოგჯერ მრავალ ახალწარმოქმნილ სიტყვას ედება საფუძვლად და, მაგალითისთვის, გვაქვს:

გული – გულავშარა, გულბნელი, გულგასავსები, გულკლდოვანი, გულმანკი, გულმაძგერი, გულსატანა, გულსხივოსანი, გულუმაძლარი, გულფუტურო, გულჭვარტლიანი (აკაკი).

ან: გულთქმა, გულმოსაკლავი, გულმრუდე, გულმურტალი, გულმშრალი, გულნამცეცი, გულხმიერი (ილია).

მხატვრულ-ლიტერატურული სტილის ფორმირების პროცესში ახალ სიტყვას – ნეოლოგიზმს – მკვეთრად გამოხატული სტილისტური ფუნქცია აქვს. ასეთ შემთხვევაში, ენა,

როგორც უძირითადესი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება მთელი მასშტაბით რეალიზდება:

„... სეფა მთავარ მეიდანზედ იყო გამართული, საქორ-
ნინო სახლი ყვავილშეფრქვეული ფარჩისა. დიდე-
ბული ჯვარის წერა“ (ვ. ბარნოვი, „პირიმზე“).

ან:

„თაყა ვენახიანი, ბარაქიანი მეკომლე* იყო. ქვაცა
ჰქონდა და ქადაც! სარჩოცა და საბადურიც!“[†] წრე-
ულს ღვინის დიდი მოსავალი მოუვიდა, პირთამდე აივ-
სო ისედაც სავსე კაცი“ (ვ. ლეონიძე, „ღეიდა შაიკო“).

ენა ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის ერთადერთი მასა-
ლაა, მისი ორგანული და განუყოფელი ნაწილი, პოეტიკის
უმთავრესი მიზანი კი მხატვრულ-ენობრივი სტრუქტურების
კანონთა შესწავლა და მათი ფორმირების წესების დადგენა,
ამიტომ ნეოლოგიზმი თავისი არსით პირდაპირ კავშირშია პოე-
ტიკასთან, როგორც მეცნიერებასთან, რომელიც მხატვრულ-
ენობრივ ფორმებსა და საშუალებებს სწავლობს. მაგალითად, სა-
-ო დანიშნულების სახელთა მანარმოებელი თავსართ-ბოლოსა-
რთი, უბრალოდ, მორფოლოგიური აფიქსებია, მაგრამ მხატ-
ვრულ ტექსტში მათ ძირეულ სიტყვასთან ერთად შეფერილო-
ბაც ეცვლებათ და გამომსახველობაც:

„მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო!“ –

– წერს აკაკი.

ნეოლოგიზმების შექმნაში დამხმარე სიტყვები – ნაწილაკე-
ბი, თანდებულები, კავშირები და ზმნიზედები – როგორც წესი,
არ მონაწილეობენ, რადგან მათი ფუნქცია თვით მხატვრულ
ტექსტშიც (არ ვგულისხმობთ სინტაქსურ სტრუქტურებს, კავ-
შირთა ადგილს, უკავშირო შეერთებებს და სხვ.) მინიმალურია.

* მეოჯახის ნაცვლად.

† საბადებლის ნაცვლად.

§ 8. დიალექტიზმი და სტილი

დიალექტიზმი სალიტერატურო ენაში ყველაზე უფრო შეზღუდული ლექსიკური ნაწილია. იგი ვიწრო ენობრივ კონტექსტში გამოიყენება და, თუ მისი ხმარება მწერლის, შემოქმედის მიერ კონკრეტული მიზნით არ მოტივირდება, გაუმართლებელიც არის. ასეთ მოტივებად ყოფის რეალისტური ასახვა, სახე-პერსონაჟის ხასიათის ნიუანსებზე მინიშნება, მისი წარმომავლობისა და საერთო კულტურული მდგომარეობის ხაზგასმა შეიძლება იყოს, სხვა შემთხვევაში, დიალექტიზმი, როგორც „ამა თუ იმ ტერიტორიული დიალექტის კუთვნილი სიტყვა“ (ალ. ლლონტი), სტილისტურ ღირებულებას სალიტერატურო ენის ფარგლებში აბსოლუტურად არის მოკლებული.

ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიის ენა თითქმის ფშავურ დიალექტზეა შექმნილი, ხოლო მისი პუბლიცისტიკა ქართული სალიტერატურო ენის მოთხოვნებს მისდევს, მწერლის პოზიციური აზრის მიმანიშნებელია.

ვინ არის მართალი?

ჩვენში და რუსეთში ჯერაც არ გამოლეულა იმისთანა განათლებული, შავს რომ თეთრს უწოდებს და თეთრად მიაჩნია და თეთრი – შავად. საკვირველია ეს ჩემთვის, ვგონებ რომ – შენთვისაც, ჩემო კარგო, მაგრამ არც კი უნდა გვიკვირდეს, დიად, არ გაგვიკვირდება, თუ იმ აზრს ნავიმძღვარებთ წინ, რომ ყველას ერთნაირი საღი ტვინი და გრძნობა არა აქვს, ყველა ერთნაირს წრეში არ აღზრდილა, ერთს და იმავე პრინციპზე, და მტკიცედ არ დარწმუნებულა, რომ თვითვეულ ჩვენგანს ბედნიერება მთელი ქვეყნის ბედნიერებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. აი, სწორედ ამის გამო ხდება ეს ზნეობრივი და გონებრივი სიმახინჯე.

მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ. აიღეთ რომელიც გინდა ნომერი „მოსკოვის უწყებებისა“, „გადაიკითხეთ და თქვენ თითონ კარგად დარწმუნდებით, რა ჯურის, რა მიმართულების, რა ტვინის ხალხი კიდევ მრავლად მოიპოვება დალოცვილ რუსის ქვეყანაში...

(ვაჟა-ფშაველა, „ვინ არის მართალი?“ 1905 წ. – ნაწყვეტი)

ასეთივე ვითარებაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც. აქ, პირიქით, მხატვრული ტექსტია დაცლილი დიალექტიზმებისაგან, სანაცვლოდ, ზოგჯერ პუბლიცისტური ნაწერია დიალექტიზირებული;

ცხელ-ცხელი ამბავი

ეს აპრილი ტოპობის თვეა. თევზები გამოდიან შავი ზღვი-
დამ, შედიან სხვა-და-სხვა მდინარეებში და ზევით-ზევით
მიქარავნობენ მთის წყლებსაკენ, რომ ერთად მოგროვებულად
ქვირითი დაჰყარონ.

ამათვე მგზავსად ჩვენი თავად-აზნაურობა გამოდის სხვა-
და-სხვა მაზრებიდამ და თავს იყრის ქუთაისში, ბანკის შესახ-
ებ კენჭის საყრელად!

საქმე დანყებულია!

მოვიდა ზუთხობის დრო! გაუმარჯოს სადილობიას!! ცივ
ზუთხსა და ცხელ ღომს გააქვს „ყლუნუნ-ყლუნუნი“ ყელში!

იმე! როგორ არ გახმება ის ხელი, რომელიც ამ საქმელს პი-
რისკენ მიაქანებს, რომ შავი ჩაუგდოს მასპინძელს, გინდ სულე-
ლიც იყოს!

ქალებიც ერევიან ამ საქმეში. შეიქნა ძროხების ბლავილი.
გაიმართა ბეჭობია: აურვებენ ლიპ-ლიპა ბეჭებს და არის ერთი
გახურვებული „ტვლიპინ-ტვლიპინი“ სანებელში! იმერულათ
მოთლილი ბეჭის ხორცი, ტყემალში ამონებული! ვიშ! ვიშ! საყ-
ვარელო, როგორ მიგლინავს ყელში!

(აკაკი, „ცხელ-ცხელი ამბავი“, ნაწყვეტი).

ერთი ეპოქის მწერლები სხვადასხვა შემოქმედებითს პოზი-
ციაზე დგანან. ვაჟასთვის მხატვრულ ტექსტში დიალექტური
ხელწერა პოეტური აზრის თავისუფლებას ნიშნავს, იგი არაფ-
რით იზღუდება, მათ შორის არც სალიტერატურო ენით. ფშა-
ვური დიალექტით გარემოცული ლალად ამბობს სათქმელს,
თავისი მსოფლხედვით ახლოს დგას ქართული ხალხური სი-
ტყვიერების საუნჯესთან – ეს ვაჟას მკვეთრი ენობრივ-მსოფ-
ლმხედველობრივი პოზიციაა.

აკაკის ქართულ სალიტერატურო ენასთან ფრთხილი დამო-
კიდებულება აქვს. „თაობათა შორის“ ომგადახდილ მებრძოლს

არ სურს, რაიმე საშიშროება შეუქმნას სალიტერატურო ენას. მათ შორის არც ვინროშოვინისტური – ესეც აკაკის მწერლური პოზიციაა.

თავისთავად, დიალექტური ლექსიკა კვებავს სალიტერატურო ენას. იგი ის პერიფერიაა, რომლის გარეშეც ძირითადი ენობრივი ორგანიზმი სიცოცხლეს შეწყვეტს. და მაინც, დიალექტური ლექსიკის დამკვიდრება სალიტერატურო ენაში ხელაღებით არ ხდება. ამისი მიზეზი ენის, როგორც სისტემური აზროვნების, კულტურის, დამოკიდებულებაა ვინროკუთხური მეტყველების მიმართ. სალიტერატურო ენას სხვაგვარად შეიძლება ეწოდოს „სისტემა სისტემაში“ თავისი დაცულობის, ღრმა ფასეულობისა და ენობრივი განსაზღვრულობის გამო. ამგვარად, მას ენის ფილტრატორის ფუნქციაც აკისრია. აკაკის აზრით, სალიტერატურო ენაში უნდა შევიტანოთ ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც „განსპეტაკებულია“ და ორ ან სამ დიალექტში მაინც იხმარება. ასეთებად მიიჩნევა:

- 1) ამხელა, თოთო, იარა, მარულა, პოტინი, ფაცხა, ყვინთვა, შემორჩენილი (აკაკი)
- 2) ქუჩი, დევა, ღვია, ჩქამი, ჭიუხი (ვაჟა)
- 3) საღსალამათი, შაბანი, განაგლეჯი, ქაქანი (სოფ. მგალობლიშვილი)
- 4) გაცუცურაკება, მოლეული, ამობუსკული, ყანყალი, წრიპა (დ. კლდიაშვილი)

როგორც აღვნიშნეთ, დიალექტური ფორმების გამოყენების ინტენსიობამ შეიძლება ქართულ სალიტერატურო ენას ზიანიც კი მიაყენოს, ამიტომ მხატვრულ ტექსტებში ყველაფერი კონკრეტული კლასიკოსის ზომიერებაზეა დამოკიდებული.

§ 9. პლეონაზმი

პლეონაზმი [pleonasmus] ბერძნული სიტყვაა და სიტყვათა სიჭარბეს, ანუ მრავალსიტყვაობას ნიშნავს. მსგავსი მნიშვნელობის ფორმათა ერთ კონტექსტში ხმარება პლეონაზმის მიზეზი ხდება, რაც, საბოლოოდ, ამახინჯებს წინადადების აზრობრივ სტრუქტურას და, აქედან გამომდინარე, სტილისტიკის მოთხოვნას ვერ უპასუხებს. მაგალითად, წინადადებაში – „მოქალაქეს მრავალი და ბევრი საშუალებით აუხსნებს თავისი ქცევის მიზეზი“ – გადმოსაცემი „აზრის გათვალისწინებით“, ხაზგასმულ სიტყვათაგან ერთ-ერთი ზედმეტია, რადგან „ბევრი“, „მრავლის“ სინონიმია. საქმე გვაქვს პლეონაზმის კლასიკური შემთხვევასთან.

არასწორ კონსტრუქტებად არის მიჩნეული: „ერთი უღელი ხარი“, „ირგვლივ გარშემოვერტყით ქალაქსა“ (არხიმანდრიტი კირიონი და გრ. ყიფშიძე, გვ. 8), „სათანადო და შესაფერისი იქნება“, „გახარებული და აღტაცებული დავბრუნდი“ (არნ. ჩიქობავა).

პლეონაზმი სტილისტიკურად გაუმართლებელი ენობრივი მოვლენაა, რადგან ორი მომიჯნავე მნიშვნელობის სიტყვის გამოყენება აზრის გადმოცემისას საჭირო არ არის. ამდენად, უმართებულოა წინადადებები:

1. მწვერვალზე (ზემოდან) საქართველოს დროშა აღმართეს.
2. (შიგნით) ტყეში ბევრი გარეული ცხოველი ბინადრობს.
3. მეზობელს (თან) ახლდა უცნობი კაცი.
4. მოხუცმა (თავისი) თავი ცუდად იგრძნო.

და მრავალი სხვა.

თანამედროვე ქართულ ენაში პლეონაზმის ყველაზე გავრცელებულ სახეობად ჭარბნაცვალსახელიანობა შეიძლება მივიჩნიოთ. საერთოდ, ტექსტში ლექსემათა გამეორებას ძლიერი სტილისტური ფუნქცია აქვს. ისინი ხშირად ქმნიან განსაზღვრულ სინტაქსურ კონსტრუქციას და ზოგჯერ კიდევ სცილდებიან ერთი წინადადების ფარგლებს. მაგალითად:

„ეს სახლი მაგონებს დანყველილ სამარეს:

*აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით,
რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.*

ღარბაზში ისმოდა:

დომინო!
დომინო!
გამოჩნდა დომინო“
(გალაკტიონი, „დომინო“)

ან:

„არჩიბალდ სდუმს, სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი
თავის თავს ებაასება ნატეხი სიტყვებით.

– თვითეული და მთელი...

მთელი – არა გროვა ცალკეულების –
არამედ: სხეული თვითეულების...

თვითეული მარტო: თითქო მთელს გამოყოფილი...

ქვა. მცენარე. წყალი. ცხოველი კაცი.

ყოველი ამ რიგით და ამ სახით...

ერთი ჰქმნის მეორეს. მეორე მესამეს. მესამე მეოთხეს.
და ასე ბოლომდის –

სანამ რკალი თავის პირველ რკალს არ დაუბრუნდე-

ბა“.

(გრ. რობაქიძე, „გველის პერანგი“)

დიდია ზღვარი სიტყვათა გამეორების ზემოთ მოყვანილ
მხატვრულ საშუალებასა და პლეონაზმს შორის, რადგანაც ეს
უკანასკნელი არანაირ კავშირში არ არის ლექსემების რიტმულ
თამაშთან, მის მხატვრულობასთან. პლეონაზმის იმ შემთხვევა-
ში, როცა საქმე ნაცვალსახელს შეეხება, ერთ წინადადებასა და
აბზაცში თავს იყრის რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფის – პი-
რის, ჩვენებითი, კუთვნილებითი და სხვ. – ნაცვალსახელები.
თავისთავად, ამ მეტყველების ნაწილს სახელთა შენაცვლების,
ანუ ენობრივი ტავტოლოგიების თავიდან არიდების, ფუნქციაც
აკისრია, მაგრამ არა იმდენად, რომ წინადადებაში, ტექსტში
ნაცვალსახელოვანი ხლართი წარმოქმნას და აზრის ტრანსფორ-
მაციაში ბუნდოვანება ან, სულაც, სრული გაუგებრობა შეიტ-
ანოს (ნაცვალსახელებით წარმოქმნილი პლეონაზმის დროს
ხშირად აღარ მოჩანს, ვის ან რას მიემართება ესა თუ ის ნაც-
ვალსახელი); მაგალითად:

ხნიერი კაცი სააგარაკოდ სწევოდა პატარა მამულს. მას
იმ დაბის მკვიდრთა შესახებ არაფერი სმენოდა, მათს
ადათებს არ იცნობდა და ამიტომ მას იმისი გუმანიც არა

ჰქონდა, რომ ისინი მისთვის საშიშროებას წარმოადგენდნენ.

ჯართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, რომელიც მორფემებით გამოხატულ მრავალპირიანობას გულისხმობს, ხშირ შემთხვევაში აღარ საჭიროებს (პირის) ნაცვალსახელთა გამოყენებას, რადგან იგი ზმნით აღინიშნება, ევროპული ენების ზმნათა მონოპერსონალური სისტემა კი ამ ენებში პირთა გამობატვის ფუნქციას ნაცვალსახელს ან მასთან გათანაბრებულ სიტყვებს აკისრებს, ამიტომ დასახელებულ ენათა ჯგუფში ნაცვალსახელის როლი წინადადებაში უაღრესად დიდია.

შეადარეთ:

ინგლ. I love You

გერმ. Ich liebe dich

რუს. Я люблю тебя

და

ქართ. მიყვარხარ

ვფიქრობთ, რომ სუბიექტური და ობიექტური პირების აღნიშვნის ევროპული ენების სისტემის უდიდესი ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს ქართულში, ძირითადად, ნათარგმნ ლიტერატურაში, ნაცვალსახელთა ამგვარი მომძლავრება, რაც პლენონაზმის, როგორც სტილისტურად გაუმართლებელი მოვლენის, გავრცელებას უწყობს ხელს.

პლენონაზმის ერთ-ერთ სახეობად ქართულში ხოლო და კი კავშირების ერთდროულად გამოყენებაც მიიჩნევა. ორივე მათგანი, ცალ-ცალკე აღებული, მაპირისპირებელი კავშირია, ერთნაირი ფუნქციის სიტყვათა საჭიროება წინადადებაში უბრალოდ არ არსებობს. აქედან გამომდინარე, უმართებულოა წინადადება:

მტრედები სწრაფად მიფრინავდნენ, ხოლო მწყერი კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა.

უნდა იყოს:

1. მტრედები სწრაფად მიფრინავდნენ, ხოლო მწყერი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა.
2. მტრედები სწრაფად მიფრინავდნენ, მწყერი კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა.

როთულ წინადადებებში ყურადღებას იქცევს მისათითებელი სიტყვების პლეონაზმიც, მაგალითად:

უნდა იგრძნობოდეს მისწრაფება იმისკენ, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ.

მართებულია:

უნდა იგრძნობოდეს, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ.

მოცემულ მაგალითში მისათითებელი სიტყვის („იმისკენ“) გარდა ზედმეტია მეორე სიტყვაც – მისწრაფება.

მისათითებელი სიტყვა საჭირო არ არის შემდეგ მაგალითშიც:

სრული გარანტია არსებობს იმისათვის, რომ გადაჭარბებით შესრულდეს ეს დავალება.

უნდა გასწორდეს ასე:

არსებობს სრული გარანტია, რომ ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდება.

ამგვარად, პლეონაზმის არსის, მისი უმართებულობის გააზრება ხელს შეუწყობს ჭარბსიტყვაობის, ტავტოლოგიური ფრაზების თავიდან აცილებას და, იმავდროულად, დახვეწილი თხრობის, სტილისტურად გამართული ტექსტის ფორმოზრივი ტრანსლაციის გარანტი იქნება.

§ 10. შტამპი და კანცელარიზმი

თანამედროვე ინფორმაციული სივრცის უდიდესი ზეგავლენაა ის, რომ თითოეულ ენაში, მათ შორის ქართულშიც, უხვად გავრცელდა ე. წ. კანცელარიზმები, ანუ ენობრივი შტამპები. მათში ისეთი სიტყვები და გამოთქმები იგულისხმება, რომლებიც ენის მზა პროდუქტს წარმოადგენს, ხშირად გამოიყენება მეტყველებისას და ემსახურება ცნობილ მნიშვნელობათა, მოვლენათა, არსებულის, უკვე არაერთხელ თქმულის აღნიშვნას. ოფიციალურ დოკუმენტური სტილი ენობრივი შტამპებისა და კანცელარიზმების ენაა.

კანცელარიზმი საკმაოდ გავრცელებულ ენობრივ საშუალებად მას შემდეგ იქცა, რაც გაფართოვდა ტელეინფორმაციული სივრცე და იმატა ნათარგმნმა ტექსტებმა, შეტყობინებებმა, ინფორმაციული ხასიათის ცნობებმა. მიუხედავად იმისა, რომ კანცელარიზმები თავდაპირველად ოფიციალურ სტილში გაჩნდა, იგი დღეს ტელეპუბლიცისტიკაშიც საკმაოდ მომძლავრებულია.

კანცელარიზმები წინადადებას გარკვეული სტანდარტით წარმართავენ და ლაკონიურ თხრობას უწყობენ ხელს. სახელმწიფოთაშორისი იურიდიული, დიპლომატიური და სხვა სახის ოფიციალური ტექსტების გადმოცემა ტრაფარეტული გამოთქმებითა და კლიშეებით ხდება. მაგალითად:

ამერიკის შეერთებულ შტატებს ეცნობა... /დეკლარაციის თანახმად.../ საკითხთან დაკავშირებით... /მივიღეთ ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, ან: რამდენიმე წუთის წინ გავრცელდა, რომ.../ წინასწარი ინფორმაციით/ ნოტაში ნათქვამია.../ მიმდინარე პროცესებს ვატიკანიც ეხმაურება/ ჩვენ ვახორციელებთ რეისებს სხვადასხვა მიმართულებით./ მხარეებმა ყოველგვარ ძალისხმევას უნდა მიმართონ/ რომის პაპმა – ბენედიქტ XVI-მ განცხადება გააკეთა და სხვ.

(ჩინანერი სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან, 2008 წლის 10 აგვისტო; „მოამბე“ – საზოგადოებრივი არხი და „კურიერი“ – რუსთავი-2).

* კლიშე [ფრანგ. cliché], „ლიტონის ან ხის ფირფიტა, ზედ ამოკვეთილი რელიეფური გამოსახულებით (ქეგლ)“, აქ: გულისხმობს სტანდარტულ ფორმას.

ოფიციალური დოკუმენტაციის ძირითადი შინაარსის გადმოცემისას მნიშვნელოვან ენობრივ დატვირთვას იღებს პირდაპირ ნათქვამში ჩართული ირიბი ნათქვამი, მაგალითად:

რუსეთის აგრესია, – ნათქვამია სენატორ მაკ-კეინის განცხადებაში, – ყოველგვარ საზღვრებს სცილდება.

ან:

გაეროს სხდომა, – იუწყება გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“, – საქართველოს საქმეებთან დაკავშირებით უკვე მესამედ იკრიბება.

და სხვ.

კანცელარიზმების გამოყენება მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში უადგილოა, რადგან იგი ლიტერატურული ენის ხარისხს ამცირებს. საქმე ის არის, რომ მზა ენობრივი შტამები დაცლილია ყოველგვარი მხატვრობისაგან, ემოციური მხარისა და ენობრივი იმპროვიზაციებისაგან, რაც მას „ოფიციალურ“, „სახელმწიფოებრივ“ ხასიათს აძლევს. წინადადების ან კონტექსტის სტანდარტული სინტაქსური აგებულება, რომელსაც კანცელარიზმი ვუწოდებთ, თავისთავად გულისხმობს ასევე სტანდარტული, ხშირადგამოყენებადი ლექსიკის ხმარებას. მათ სხვაგვარად „სიტყვა-პარაზიტებიც“ ჰქვიათ, რადგან ისინი მოდებულნი არიან ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის მთლიან ენობრივ ქსოვილს და ლაკონიური სინტაქსური წყობის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. ასეთებია, მაგალითად:

ცნობა – მივიღეთ ცნობა, გვეცნობა, ცნობილი გახდა, ცნობის თანახმად, ცნობასთან დაკავშირებით...

დადგენილება – მიიღო დადგენილება, დადგინდა, დადგენილებაში ნათქვამია, დადგენილების თანახმად და მისთანანი.

ტრაფარეტულ გამონათქმებს მიეკუთვნება აგრეთვე: „წითელი ზოლივით გასდევს“, „ხაზგასმით ითქვა“, „დახმარება აღუთქვეს“ და სხვ.

სიტყვათა უმართებულო შეკავშირებები ხშირად სემანტიკური გაუგებრობების მიზეზიც ხდება; მაგალითად, წინადადებაში:

დირექტორის უსულგულო დამოკიდებულებამ სკოლა გამოუვალ კრახამდე მიიყვანა;

არასწორია შესიტყვება – გამოუვალი კრახი, რადგან კრახი გულისხმობს სრულ და ერთბაშ დამარცხებას, დამხობას; გამოუვალი კი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შემდეგნაირადაა ახსნილი: „აუტანელი, მეტად მძიმე მდგომარეობა, რომელსაც არა ეშველება-რა“. დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობებიდან გამომდინარე, მათი ერთ შესიტყვებაში მოქცევა არ არის მართებული, რადგან ლოგიკურად და, ამდენად, ენობრივადაც არ არსებობს გამოუვალი დამარცხება, გამოუვალი დამხობა. სანაცვლოდ არსებობს: 'გამოუვალნი მდგომარეობა', ე. ი. 'მდგომარეობა, რომლიდანაც თავის დაღწევა არ შეიძლება. ამდენად, საანალიზოდ წარმოდგენილ წინადადებაში მცდარია შესიტყვება **გამოუვალ კრახამდე**. არასასურველია აგრეთვე ზმნის პირიანი ფორმისა (მიიყვანა) და მასთან შეწყობილი სახელის (სკოლის) ერთმანეთთან დაკავშირება, ანუ აზრობრივად გაუმართლებელია შესიტყვება – სკოლა მიჰყავს.

ზემოთ მოყვანილი წინადადება საბოლოოდ შეიძლება ასე გამარტივდეს:

დირექტორის უსულგულობის გამო სკოლა არის//აღმოჩნდა//იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში.

თანამედროვე მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია ტრაფარეტული გამოთქმა „მტკივნეული საკითხი“. მტკივნეული შეიძლება იყოს სხეულის რომელიმე ნაწილი, საკითხის მტკივნეულობა სემანტიკური გაუგებრობაა. როდესაც ვამბობთ: „ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს“, არ ვარგა. მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ:

ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხს“, ანდა: „ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ მოსაგვარებელ საკითხს“.

ასევე უმართებულო იქნება, თუ ვიტყვით: „ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ მტკივნეულ ადგილს“.

თუ საუბარია სხეულის მტკივნეულ ნაწილზე, მტკივნეულ ადგილზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიხმაროთ შესიტყვება „მტკივნეული ადგილი“, მაგალითად: „ექიმი თითოთ შეეხო ავადმყოფის მტკივნეულ ადგილს“. ამ შემთხვევაში „მტკივნეული ადგილი“ ზუსტად არის ნახმარი.

ტრაფარეტებსა და შტამპებში ხშირად თავს იჩენს ე. წ. ენობრივი კალკები, რომელნიც უცხოენოვან შესიტყვებათა პირდაპირ თარგმანს გულისხმობს. მაგალითად, რუსული ენის გავლენით, ერთი ათწლეული იქნება, რაც ქართულ ენაში ინტენსიური სახე მიიღო „აჟღერებს“ ზმნის პირიანი ფორმის სხვადასხვა მწკრივში გამოყენების შემთხვევამ. ხშირად გავიგონებთ ისეთი ტიპის წინადადებებს, როგორებიცაა: მან თავისი პოზიცია გააჟღერა, ან: ის არ ცდილობს, რომ საკუთარი სახელი გააჟღეროს და სხვ.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ აჟღერდება ნიშნავს: „საამურ ბგერებს გამოსცემს (საკრავი)//საამოდ გაისმის (რისამე ხმა)“, ზემოთ მოყვანილ წინადადებაში კი აჟღერებს, რომელიც რუსული произвучал, звучал ზმნის თარგმანია, ენაცვლება ქართულისათვის ბუნებრივ ფორმებს ამგვარ კონტექსტებში: მან თავისი პოზიცია გამოხატა; ან: ის არ ცდილობს, რომ საკუთარი სახელი გაამჟღავნოს.

ქართულ ენაში ხშირია შემთხვევები, რომლებიც ატარებს (носит), აწარმოებს (производит) ზმნურ ფორმებს უკავშირდება. მაგალითად:

მუშაობას ატარებს//მუშაობა ჩატარდა. უნდა: მუშაობს.

სალამოს ატარებს//სალამო ჩატარდა. უნდა: სალამო მოაწყობ.

კონცერტს ატარებს//კონცერტი ჩატარდა. უნდა: კონცერტი გაიმართა.

მოხსენებას ატარებს// მოხსენება ჩატარდა. უნდა: მოხსენება წაიკითხა//მოხსენებას კითხულობს.

თესვას ატარებს//თესვა ჩატარდა. უნდა: ითესება//დაითესა//დათესეს.

ლექციას ატარებს//ლექცია ჩატარდა. უნდა: ლექციას კითხულობს//ლექცია წაიკითხა.

უმუშევრობა მასობრივ ხასიათს ატარებს. უნდა: უმუშევრობა მასობრივი ხასიათისაა.

პროფესორი ლექციების კურსს ატარებს. უნდა: პროფესორი ლექციების კურსს კითხულობს.

თესვა ჩასატარებელია. უნდა: დასათესია.

თესვა ჩქარი ტემპით ხორციელდება. უნდა: ჩქარი ტემპით თესავენ.

ბრიგადამ ხეხილის ბაღებში ჩაატარა გასხვლა და სასუქის შეტანა. უნდა: ბრიგადამ ხეხილის ბაღები გასხვლა და ნიადაგში სასუქი შეიტანა.

„ატარებს“ ზმნის მოქმედების არე ამით არ ამოიწურება. მას ასევე უმართებულოდ ხმარობენ შემდეგ შემთხვევებშიც:

არ არის სწორი:	სწორია:
ატარებს ტანსაცმელს	ტანსაცმელი აცვია
ატარებს ქუდს	ქუდი ახურავს
ატარებს სათვალეს	სათვალე უკეთია//ხმარობს//იყენებს
ავტომანქანას ატარებს	ავტომანქანას მართავს
მატარებელს ატარებს	მატარებელი მიჰყავს
ატარებს იკარუსს	მართავს იკარუსს
პრაქტიკა გაატარონ	პრაქტიკა გაიარონ

„ანარმოებს“ ზმნის მეშვეობით ენაში გვხვდება შემდეგი სახის შტამპები:

არ არის სწორი:	სწორია:
ბოსტნეული ვანარმოეთ	ბოსტნეული მოვიყვანეთ
ანარმოეს რძე	ჩამონველეს რძე
ყურძენი ანარმოონ	ყურძენი მოკრიფონ
ანარმოონ სურსათი	დაამზადონ სურსათი
ანარმოონ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი	გამოუშვან ტანსაცმელი, ფეხსაცმელი
ანარმოონ ბინები	ააშენონ, კეთილმოაწყონ ბინები
ანარმოებს ალებას	იღებს
წარმოებს მომზადება	მზადდება
საუბარი მინდა ვანარმოო	მინდა ვისაუბრო
ხე-ტყის გამოზიდვა ვანარმოოთ	ხე-ტყე გამოვზიდოთ
დაჯილდოებას ანარმოებს	აჯილდოებს
სიმინდის თესლის გამოყვანას ანარმოებს	სიმინდის თესლი გამოჰყავს
ანარმოებენ მოსავლის ალებას	მოსავალს იღებენ
ანარმოებენ მარილის მიღებას	იღებენ მარილს
კერძების მომზადება წარმოებს	კერძები მზადდება
ავტომანქანების გაცემა წარმოებს	ავტომანქანები გაიცემა
ინარმოებს კერძების გაცემა	კერძები გაიცემა
ინარმოებს ბილეთების გაყიდვა	ბილეთები გაიყიდება.

შაბლონებს ქმნის სიტყვები: „სათანადო“, „გარკვეული“; მაგალითად:

„სათანადო“: „მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას“, „ამ საკითხს სათანადო ყურადღება ექცევა“, „კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება“, „გადაიდგა სათანადო ნაბიჯი“, „ჩაის პლანტაცია სათანადოდ არის მოვლილი“, „სკოლის შენობა სათანადო გეგმით შენდება“, „ამ საკითხზე რაიონიდან მივიღეთ სათანადო მითითებანი“ და სხვ.

„გარკვეული“: „კრებამ დასახა გარკვეული ღონისძიებები“, ორგანიზაციამ გარკვეული წარმატებები მოიპოვა“, „გარკვეული ნაბიჯები გადადგეს“, „გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი შრომის ორგანიზაციის საკითხებს“, „ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომები მივიღეთ“, „საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა ჩატარდა“, „მომხსენებელმა გააშუქა გარკვეული საკითხები“ და სხვ.

ამგვარ კონტექსტებში გაუგებარი რჩება, თუ რას ნიშნავს „გარკვეული წარმატებანი“, „გარკვეული ნაბიჯები“ (გ. შალამბერიძე) და სხვანი, რადგან თავად გარკვეულის მნიშვნელობა არის ნათელის, უკვე გაცხადებულის შინაარსის მქონე და რადგან ალოგიკურია სინონიმური შესიტყვებანი: ნათელი წარმატებანი და ცხადი წარმატებანი, ან: ნათელი ნაბიჯები და ცხადი ნაბიჯები, ამიტომ შინაარსს მოკლებულია განსაზღვრების – გარკვეულის მათთან დაკავშირებაც. უნდა იყოს: მცირეოდენი წარმატებანი ან ზოგიერთი ნაბიჯი და მისთანანი.

თანამედროვე ქართულ ენაში რუსული ენის გზით დამკვიდრებული ისეთი ენობრივი ფორმულაც გაჩნდა, როგორცაა ადგილი აქვს (რუს. место имеет). მაგალითად: ადგილი აქვს ცხოველთა უსაფრთხოების დაცვას. სანყისი აქ შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, „ქართულისათვის არაბუნებრივი და შეუფერებელია და უნდა შეიცვალოს ამ გამონათქვამის შესატყვისი ზმნით“ (ქსკლ)*; ჩვენს შემთხვევაში კი მართებული კონტექსტი ასე გამოიყურება: ცხოველთა უსაფრთხოებას იცავენ.

შტამპების შექმნაში მონაწილეობენ აგრეთვე შემდეგი წყვილები: მკვეთრი კრიტიკა, მხურვალე მხარდაჭერა, კონკრეტუ-

* დასახელებული კალკის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ... ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნიგნი VII, თბ., 1985, გვ. 15.

ლი ამოცანები, ფართო გაქანება, პრაქტიკული ღონისძიებები, პრინციპული კრიტიკა, მკაცრი კრიტიკა, სამართლიანი კრიტიკა, უსაფუძვლო კრიტიკა, შეუპოვარი ბრძოლა, დროის მონაკვეთი, ამაღლებული თხრობა, ნათელი ფაქტი, მთელი რიგი და მრავალი სხვ.

სტილისტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზმნა „უზრუნველყოფს“:

არ არის სწორი:	სწორია
უზრუნველყოფს დამთავრებას	დაამთავრებს
უზრუნველყოფს შეძენას	შეიძენს
უზრუნველყოფს მიღებას	მიიღებს
ვერ უზრუნველყო მართვა	ვერ შეძლო, ვერ მოახერხა მართვა
ვერ უზრუნველყო წაყვანა	ვერ წაიყვანა
ვერ უზრუნველყო გაჩერება	ვერ გააჩერა
ვუზრუნველყოთ ასორტიმენტის ჩვენება	ვაჩვენოთ მთელი ასორტიმენტი
უზრუნველყონ დავალიანების დაფარვა	დაფარონ დავალიანება
უზრუნველყო შეძენა	შეიძინა
უზრუნველყოს ჩატარება	ჩაატაროს
უზრუნველყო განადგურება	განადგურა
უზრუნველყვეს მოსავლის მიღება	შეძლეს მოსავლის მიღება

და მრავალი სხვ.

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, „უზრუნველყოფს“ ზმნასთან ხმარობენ სანყისს. კალკი თავიდან რომ ავიცილოთ, უნდა ვიხმაროთ მათი შესატყვისი პირიანი ფორმები.

ამგვარად, კანცელარიზმები ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში აზრობრივი და ფორმობრივი სტრუქტურის აგებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და მხოლოდ ამ სტილისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.

§ 11. სიტყვის ემოციური შეფერილობა და სტილისტიკა

სტილისტურ მნიშვნელობათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ემოციურობის ნიშანია, რომელიც ტექსტს ორწევრიანი სემანტიკური ოპოზიციის მქონე ემოციურობისა და არაემოციურობის კატეგორიის მიხედვით განარჩევს.

ფსიქოლოგიასა და ნეიროფიზიოლოგიაში ემოციის განსხვავებული განმარტებანი არსებობს, მაგრამ იგი ძირითადად იმ ფსიქოლოგიურ მდგომარეობადაა მიჩნეული, რომელიც მიმდინარე ან შესაძლო სიტუაციების სუბიექტურ დამოკიდებულებას, შეფასებას წარმოადგენს. ძირითადი მომენტი, – წერდა ს. რუბინშტეინი*, – ის არის, რომ ემოციურ პროცესებში ინდივიდის მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის კავშირურთიერთობა მყარდება. მთავარია, რომ რომელიმე კონკრეტული ფიზიოლოგიური განცდის შემდეგ განმცდელი პირი „განწყობა“ შემდგომი დადებითი ან უარყოფითი მოქმედების ჩასადენად, ანუ სხვანაირად: ემოცია ადამიანის მოთხოვნილების აქტიური მხარის მაჩვენებელია. იგი ურთულესი პროცესია და, ერთი მხრივ, კონკრეტულ ფიზიოლოგიურ ფორმას გამოხატავს, ხოლო მეორე მხრივ, სიტუაციის შეფასების მექანიზმია (იგულისხმება საკუთარი თავის, სამყაროს ან მდგომარეობის შეფასება), მესამე მხრივ, ემოცია ორგანიზმს (ადამიანს) გარდაუვალი მოქმედებისათვის ამზადებს; დაბოლოს, იგი კონკრეტული მოქმედების სტიმულიცაა.

ამგვარად, ნებისმიერი პირის ქმედება მისივე მოთხოვნილებიდან, ინტერესებიდან გამომდინარეობს, ეს მოთხოვნილება კი ემოციითაა გამოწვეული, ამიტომ ცხადია, რომ არც მეტყველება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უძირითადესი საჭიროება, არ არსებობს ემოციის გარეშე. სიტყვას (ფართო მნიშვნელობით) ემოციური მიმდინარეობა აქვს.

ე. წ. დაბალ ემოციურ სახეობებად მიიჩნევა ისეთი გუნება-განწყობილებანი, რომლებიც საერთოა ცოცხალი არსებისათვის. ასეთებია: შიში, მძვინვარება, განგაში, კმაყოფილება და სხვ. ხოლო მაღალ ემოციებს მიეკუთვნება: მაღლიერება,

* Рубинштейн С.Л., Основы общей психологии, Изд. 2-е, М., 1946, გვ. 459.

თანაგრძნობა, სინანული და სხვ. ამ უკანასკნელთ არასდროს ახასიათებთ ერთმნიშვნელოვნება. ისინი ხშირად რომელიმე კონკრეტულ სახეობასთან არიან შეწყვილებულნი, ამიტომ ზოგჯერ არც კი ხერხდება ემოციის ხასიათის ზუსტი განსაზღვრა.

ფსიქოლოგიაში მიიჩნევა, რომ ადამიანური გრძნობები ძირითადად სამ კოორდინატამდე დაიყვანება – ესენია: 1. სასიამოვნო და არასასიამოვნო; 2. საყურადღებო და არასაყურადღებო (ანუ უმნიშვნელო); 3. სიმშვიდისა და დაძაბულობის შემცველი ემოციური განწყობილებანი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი კომპონენტი, თავის მხრივ, საფუძვლად ედება ტექსტის სტილისტურ მნიშვნელობებს, სწორედ ისინი სძენენ მას ემოციურ შეფერილობას ან, უბრალოდ, ინდიფერენტულად წარმოაჩენენ კონკრეტულ კონტექსტებს.

ნებისმიერი სიტყვა თავისი ბუნებით ემოციურია, არაე-მოციურობის საკითხი საერთოდ არც დგას. ეს უკანასკნელი პირობითი შეფასებაა ნაკლებად ემოციური სიტყვისა.

განწყობილებები მეტყველებაში (წერილობით ენაშიც) ენის გამომხატველობასთან, ანუ სიტყვის ექსპრესიულ ფუნქცია-სთან, არიან შეკავშირებულნი. ზოგიერთი სიტყვა ბუნებითვე (შინაგანად) ატარებს მეტ ექსპრესიულობას (ხელთუქმნელი, სასწაული, მამული, აღდგომა, უფალი...), ზოგი მათგანი კი, უბრალოდ, ნეიტრალურია ან ვულგარული.

მხატვრულ-ლიტერატურული სტილი ყველაზე უფრო ფრთხილად არჩევს ლექსიკურ ერთეულებს ემოციური თვალსაზრისით, სხვაგვარად მხატვრული ტექსტი არც იარსებებს. ემოციური სიტყვები ის ძირითადი აქცენტებია, რომლებითაც მწერალი თავის სათქმელს მეტ გამომსახველობას სძენს და მკითხველს საკუთარ სულიერ სამყაროს აზიარებს. მაგალითად:

„გადარუჯული დავით-გარეჯა...

ამწვარ ტრამალზე ბზინავს ავშანი...

ამ ველს, ამ სივრცეს ვინც უდარაჯა,

ვინც შეიმსხვრია მკერდზე ჯავშანი...“

(გ. ლეონიძე, „დავით გარეჯა“)

მოცემულ სტროფში გ. ლეონიძე მკითხველის დაძაბვას რამდენიმე სიტყვითა და შესიტყვებით ახერხებს, მაგრამ დაძა-

ბულობის ემოციის ძირითადი ხაზი მაინც იმ სიტყვებზე გადის, რომლებიც ერთმანეთთან ალიტერაციით (ჯ ბგერით) არიან დაკავშირებულნი. ესენია: გადარუჯული, დავით-გარეჯა, უდარაჯა და ჯავშანი. მათ შორის ძირითადი კი, რა თქმა უნდა, განწყობილების გამომწვევი ობიექტის – დავით-გარეჯას მხატვრული სახეა.

ემოცია, რომელსაც სიტყვა იწვევს, პირველ რიგში, გააზრებული ემოციაა, ანუ აზროვნების პროდუქტი, მისი უშუალო შედეგი. აქ შემოქმედის გრძნობა აზროვნებას ერწყმის, შემდეგ აკონტროლებს მას, მიმართულებას აძლევს და მკითხველის განწყობილებასაც აყალიბებს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ქვეყნის მწარე ისტორიით გამონვეული ტკივილი ეუფლება ადამიანს და თითქოს ჯავშანშემომსხვრეული მამულიშვილების ხმაც მოესმის. მწერლის მიზანი მიღწეულია – ვერცერთი მკითხველი სიტყვიერი მასალით გამონვეულ ემოციას გვერდს ვერ აუვლის.

ამრიგად, კონკრეტული სიტყვის ან შესიტყვებათა ემოციურობის ხარისხის რეალიზაცია ფუნქციურად ემორჩილება ზოგადად ტექსტის საერთო მიზანს – მის იდეას – და უაღრესად მოძრავ და ცოცხალ სტილისტურ საშუალებას წარმოადგენს.

*„ჩამიქრა სარკე, დავკარგე ჩრდილი, ჩემი მწე რითმა,
მელის წვალება,
თუ არ ინება შავმა ფერმა ბედისწერითმა
ფერისცვალება.
ვიხილო მზე რით, ოდეს ზევით მზერით თვალებმა
ჰპოვეს უკუნნი?!
ყოვლად უგონო განმინათე ეს საუკუნე,
ბედისცვალება!“*

(რ. ამაღლობელი, „ბედისცვალება“)

მოცემულ ლირიკულ ნაწარმოებებში პოეტი შინაგანი განწყობილებისა და სამეტყველო საშუალებების სწორი შერჩევის გზით თანდათანობით ზრდის ემოციურობის ხარისხს. უპირველესად აქ შიშის ემოცია იგრძნობა, რომელიც მომავალი ტანჯვის მოლოდინითაა გაჩენილი („მელის წვალება“); შიშს უიმედობა სდევს – თვალები მხოლოდ უკუნს უმზერს – და დასას-

რულს ემოციამომძალებელი ლირიკული გმირის ერთადერთ იმედად ბედისცვალება რჩება. თავისთავად ცხადია, რომ გრძნობის გამომწვევი მიზეზები ობიექტურია, მაგრამ შემოქმედის მიერ ჯერ ნაგრძნობი, შემდეგ – შემეცნებული და ენობრივი პროდუქტით გადმოცემული.

ამგვარად, მხატვრულ ტექსტში ავტორის მიზანი ის კი არ არის, საგნობრივ-ლოგიკური ინფორმაცია გაუგზავნოს ადრესატს, არამედ ის, რომ საკუთარი განცდები, ამ განცდათა ნიუანსები აჩვენოს მკითხველს და მის სულიერ განწყობილებას ფიზიკურად შეეხოს; შეხების ერთადერთი იარაღი კი მხატვრულ-ენობრივი საშუალებებია. ნათელია, რომ ასეთ დროს ენის კომუნიკაციური ფუნქცია უკანა პლანზეა გადაწეული, სამაგიეროდ, სრულიად რეალიზებულია ენა, როგორც ემოციურ-ექსპრესიული ზემოქმედების საშუალება.

III ტავი

ენის გამომსახველობითი საშუალებანი და სტილისტიკა. ტროპი და ფიგურები

§ 1. ტროპის სახეთა სტილისტიკური ფუნქცია

სიტყვიერი სახეების შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ყველაზე ძველი ჩვენამდე მოღწეული საკლასიფიკაციო საშუალებანი ჯერ კიდევ ფილოსოფოსებმა შეიმუშავეს ძველ საბერძნეთსა და ინდოეთში. „სიტყვის შელაჩაზებას“ უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა რომსა და შემდგომი შუასაუკუნეების რიტორიკულ სკოლებშიც. გამომსახველობით საშუალებათა თანამედროვე კლასიფიკაცია დღესაც, ასე იუ ისე, ანტიკურ, ტრადიციულ დაყოფას ეყრდნობოდა.

რომაელი რიტორები „სიტყვის შელამაზებას“ ტროპებად და ფიგურებად ყოფდნენ. მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ტროპი ერთი სიტყვის ფარგლებში მოიაზრებოდა, ხოლო ფიგურა – სიტყვათა შეკავშირებებში.

თანამედროვე მეცნიერება ტროპს, მხატვრულ-ენობრივ საშუალებას, ნაკლებად განიხილავს ასეთი მკაცრი მიდგომით, რადგან მისი ნაირსახეობის ღირებულება სწორედ სიტყვათა შეერთებისას ვლინდება; თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ტროპის სახეს სიტყვათა წყვილში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, იგი აზრობრივად მართავს შესიტყვებას. მაგალითში: „ველური ჰანგი“ (გალაკტი.) ველური ტროპის ერთ-ერთი სახე – ეპითეტია, მაგრამ სწორედ ჰანგთან მისი შეწყვილება იძლევა მხატვრული ორაზროვნების, ესთეტიკური განცდის საშუალებას. ცალ-ცალკე აღებული სიტყვები ველური და ჰანგი ამ მხრივ ვერაფერს ამბობს.

საერთოდ ტროპი [tropos] ბერძნული სიტყვაა და შექცევას, შებრუნებას, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვასა თუ წინადადებას ნიშნავს. ამგვარად, იგი სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების, გადააზრიანების პროდუქტი, ადამიანის გონით შექმნილი სამყაროს ენობრივი გამოსახულება.

საქმე ის არის, რომ, თუკი სტილისტიკა უპირველესად ფუნქციურ სტილთა ნაირსახეობებს სწავლობს და მათ შორის მხატვრულ-ლიტერატურულსაც, მისი ინტერესის სფეროში ტროპის სახეებიც შემოდის, როგორც მხატვრულ-ლიტერატურული სტილის უძირითადესი ენობრივი საშუალებანი.

ტროპის სახეებში ყველაზე უკეთ ვლინდება მხატვრული წარმოსახვის მასშტაბი, მისი შესაძლებლობანი, აზროვნების სიღრმე და ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება. ტროპის სახეებად მიჩნეულია: შედარება, მეტაფორა, გაპროვინება, მეტონიმი, 'ეპიტეტი', 'სინექდოქე', 'ჰიპერბოლა', 'სიმბოლო, ალგორია და სხვ.

თითოეული მათგანი თავის ადგილს იკავებს მხატვრულ ტექსტში და მთელის (მხატვრული ტექსტის) აგებაში მონაწილეობს.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

შედარება – გამოსახვის ის სტილისტური და მხატვრული ხერხია, რომლის დროსაც შემოქმედის მკვეთრად გამოხატული ენობრივი მიზანი ხორციელდება. ეს მიზანი აღსანიშნი ობიექტის საგნობრივი შინაარსის, მისი თვისებების სიღრმისა და შესაძლებლობების ჩვენებაა. ყოველი მწერალი თავისთვის მისაღებ შესადარებელ ობიექტს ირჩევს, რაც შედარებას, როგორც მხატვრულ-სტილისტურ საშუალებას, მრავალფეროვანს ხდის.

შედარებისას განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩევა მეორე – შესადარებელი – საგანი ან ამ საგნის განსაზღვრება, ამიტომ აქ, ჩვეულებრივ, ორი საგანი, ორი მოვლენა უპირისპირდება ერთმანეთს, რათა ერთი მათგანი უკეთ აიხსნას და დახასიათდეს. შედარებისას მსგავსი ან კონტრასტული შინაარსები დომინირებენ.

*„სახლიდან და ეზოდან რამდენჯერმე უძახდნენ, ეძებდნენ,
მაგრამ სულგანაბული უპატრონო ხმას არ აძლევდა,*

ბალახებში უფრო

ღრმად ძვრებოდა, ვაზების ხშირ ფოთლებში

ნადირივით იმალებოდა

*და ვით ქურდი და ბოროტმოქმედი, შიშით თრთოდა
და თავის*

მძებნელთა სიარულს და ფაჩი-ფუჩს ყურებდაცქვეტილი
თვალყურს ადევენებდა“.

(მ. ჯავახიშვილი, „უპატრონო“)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში სამი შედარებაა გამოყენებული. ისინი ერთ საგანს (აქ: ლიტერატურულ პერსონაჟს – უპატრონოს) მიემართება და თხრობის გაძლიერებაში იღებს მონაწილეობას. ნადირი, ქურდი, ბოროტმოქმედი – აი, შეადარებელი საგნები, რომლებიც მწერალმა უდანაშაულო პერსონაჟს მიუსადაგა, რათა სხვათა ძალმომრეობა და ანით გამოწვეული პერსონაჟის ქცევის მოტივი ზედაპირზე ამოიგანოს.

შესადარებლად ენა ყველაზე ხშირად ფართოდ გავცელებულ საშუალებებს იყენებს. ესენია კავშირები, თანდებულები, ზმნიზედები: როგორც, ვით(ა) ისე, -თვით ან: ისევე, როგორც; ისეთი, როგორც, დარი, მსგავსი და სხვანი.

მაგალითად:

„დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი“ (აკაკი)

„ისე ტკბილი ყოფილა, როგორც სისხლის აღება“ (გალაკტი.)

„თოვლი, როგორც მტვერი, ისე დაიკარგა“ (გალაკტი.)

„ბავშვი ისე არ გაეტირება თავის დედას, როგორც ჩირჩხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას“ (გ. ლეონიძე)

ან:
„სადღაა ბროლის ტბორები, შუშხუნასავით მფეთქავი
ტანბროლა შადრევნები?!“ (გ. ლეონიძე)

„მან ხმალივით შეაგება მზერა ირმისფერ თვალებს, დაფანჩულ, თეთრ წარბქვეშ თრითინასავით აწრიალებულთ“

(კ. გამსახ.)

„გამჭვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბრონეულის ყვაულ-ისდარი“ (კ. გამსახ.)

მეტაფორა – (ბერძნ. metaphora – გადატანა) ტროპის სახეთა შორის ყველაზე რთულ, მხატვრულ გამომსახველობით საშუალებადაა მიჩნეული და მისი ენობრივი ძალა ის არის, რომ სიტყვის სემანტიკა ასოციაციურად არის გადახრილი და უზვეულო, ყოფითი რეალობისაგან მოწყვეტილი, მხატვრულ სხეს ქმნის. ამგვარად, მეტაფორა სიტყვის გადატანითი მნიშ-

ვნელობის შექმნაზე აქცენტირებს და ზოგჯერ ტროპის სხვა სახესთან ერთად (შედარება, ანალოგია) მონაწილეობს აზრობრივ-ლოგიკური თანამიმდევრობის შექმნაში.

მეტაფორა ყველაზე უფრო გავრცელებულ მხატვრულ-სტილისტიკურ საშუალებადაა მიჩნეული, რადგან მრავალფეროვანია მოვლენათა შორის მსგავსებაცა და მიმსგავსების მხატვრული ფანტაზიაც. იგი ემოციურად ყოველთვის დატვირთულია და ენობრივი ექსპრესიაც ახლავს. აქვე თავს იჩენს შესიტყვების ესთეტიკური ძალა. სხვაგვარად, მეტაფორა და 'ფარული' შედარებაა.

მეტაფორას, როგორც სტილისტურ საშუალებას, მარტო მწერალთა ენაში არ ვხვდებით. ის გაზეთის ენაში, სამეცნიერო სტატიაში, ორატორულ და ცოცხალ მეტყველებაშიც ჩნდება და ზოგჯერ თავის ბუნებრივ ადგილს (ლიტერატურულ სტილს) მონყვეტილი შტამპში გადადის. ასეთებია, მაგალითად: ცისფერი ეკრანი, შავი ოქრო, მწვანე ოქრო, თეთრი სიკვდილი, აბრეშუმის გზა და სხვ.

მეტაფორა დასახელებულ შესიტყვებაში ნაკლებად ეფექტურია და სტანდარტული სახე აქვს, რადგან მისი ადგილი მაინც მხატვრულ ლიტერატურაშია, სიტყვიერების მიერ შეთხზულ სამყაროში, რადგან „მეტაფორის ღირებულება იმით ფასდება, თუ რამდენად ახალი, თავისებური, ჩვენთვის მოულოდნელი, მაგრამ შესაძლებელი კავშირია დანახული საგანთა შორის“ (გრ. კიკნაძე, 1978, გვ. 120).

*„მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები,
ვით ფრინველები ათასხმიანი,
გადაჭიმული ჰქონდათ სიმები
და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი“.*

(გ. ლეონიძე, „ძველი პოეტები“)

ან:

*„რაინდის დარღმა მუზარადზე ბზარი საზარი
ზანტად დაბაზა.*

მეფის დარბაზმა გააბრაზა გვირგვინოსანი“.

(რ. ამალლობელი, „გვინიერა“)

ამგვარად, მეტაფორა მხატვრულ-ლიტერატურული სტილის უძირითადესი სტილისტური საშუალებაა. ენის შინაარსო-

ბრივი მხარე, დასაშვები სემანტიკური შეკავშირება ჩვეულებრივი მორფო-სინტაქსური ფორმით მოგვეწოდება. მეტაფორის მთელი მშვენიერება მის არაობიექტურ შინაარსში ქდგომარეობს.

გაპიროვნება – ტროპის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა და მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში მას საკუთარი ადგილი აქვს. გაპიროვნებას სხვაგვარად პერსონიფიკაცია (ლათ. person – პირი; facere – კეთება) უწოდებენ და მეტაფორისაგან იმით განასხვავებენ, რომ გაპიროვნების შემთხვევაში რა ჯგუფის საგნებსა და მოვლენებს ადამიანური თვისებები, ქცევები, ჩვევები მიენერება და მხატვრული სახის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

მხატვრულ-ლიტერატურული სტილი განაპირობებს მხატვრულ-სტილისტური საშუალების გარეშე წარმოუდგენელია ეს ხერხი სხვადასხვა მწერალთან სხვადასხვა ოდენობით გვხვდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით უხვი ხალხური ზეპირსიტყვიერება და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაა.

*„მინდორო, მინდვრის დედაო,
ნიკორა შეიბრაღეთა;
რომ მოკედეს, თქვენსა კალთაში
მიიღეთ, მიიბარეთა,
ნუ გაჰხდით საყვავ-ყორნედა,
შვილურად შეინახეთა!“*

(თ. რაზიკაშვილი)

მოყვანილ სტროფში ხარი ნიკორა თავის გაჭირვებას ჰინდორს შესჩივის. აქ მხატვრული რეალობა შორს დგას ობიექტური სინამდვილისაგან, ტექსტის პირდაპირი გააზრება არ ხდება. სწორედ გაპიროვნების საშუალებით აღწევს პოეტი აზრის კოორდინატი გადახაროს და ამით მხატვრულ-სტილისტური ძლიერება შესძინოს ნაწარმოებს. გრ. კიკნაძე წერს: „გაპიროვნების შემთხვევაში ადამიანი თავისი თვისებების მსგავსს ხედავს საგანში, ხოლო ადამიანისთვის უფრო გასაგებია ის, რაც თავისი თვისებებით ახლოსაა მასთან, რაც მას უფრო ჰგავს. მაშასადამე, გაპიროვნების ფუნქციაა საგნების და ჰოვ-

ლენების მიახლოება ადამიანთან, რითაც მათი ცხოველმყოფელობა და მკაფიოობა მიიღწევა (გრ. კიკნაძე, გვ. 123).

გაპიროვნების მთავარ მიზნად, ალბათ, ადამიანური გონის, მისი აზროვნების, ზნეობრივი ღირებულებების სხვა დანარჩენ სამყაროზე მორგების სურვილი უნდა მივიჩნიოთ. არაობიექტურ, ე. ი. მხატვრულ-ლიტერატურულ სიბრტყეში ეს ყველაფერი დასაშვებია, რადგან გაპიროვნების აზრობრივი საფუძველი, საბოლოოდ, ადამიანური არსებობის უძირითადესი ღირსება – ჰუმანიზმია. გონიერების მხატვრული წარმოსახვა იქ, 'სადაც' იგი 'რეალურად' არ არსებობს, 'ლოგიკურად' 'ნიშნავს იმას', რომ შენ, როგორც გონიერ არსებას, ანუ ადამიანს, დანარჩენი სამყაროს პატივისცემა და სიყვარული გმართებს.

*„მე ჩიტი ვარ – ჩიტუნია პატარა,
ფეხ-შიშველი, ტან-შიშველი, ნაცარა;
სახლი არ მაქვს, კარი არ მაქვს, არც ბინა,
არსად დედა, რომ ჩემთვის გაეცინა...
რადა ვტირი? ვინ რას მომცემს დარდშია!
დამიტევენ? – დავემალვი ბარდშია,
და მანამდე დამბრუნავენ თავზედა,
იქ ვიმღერებ, არ გამოვალ კარზედა“.*

(ვაჟა-ფშაველა, „ჩიტის სიმღერა“)

ამგვარად, გაპიროვნება, როგორც მხატვრული და აზრობრივ-სტილისტიკური ხერხი, თავისთავად წარმოადგენს ენობრივი ზემოქმედების უაღრესად ექსპრესიულ საშუალებას.

ეპითეტი – (ბერძნ. epithetos – ზედდართული, დამატებული) ტროპის გავრცელებული სახეა და საგანთა და მოვლენათა მხატვრული განსაზღვრების ფუნქცია აკისრია, ამიტომ იგი აღსანიშნი ობიექტის რაგვარობაზე მიუთითებს. ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან განსხვავებით, ეპითეტი სიტყვათხელოვნებაში განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩევა და თვითმყოფად მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას წარმოადგენს. სწორედ ეს არის მისი სტილისტიკური ფუნქციაც.

ეპითეტი ძირითადად მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში ან მასთან შეზავებულ პუბლიცისტურ სტილში ყველაზე ხშირად გვხვდება, ნაკლებია მისი გამოყენების შესაძლებლობანი

სტილთა დანარჩენ სახეობებში. თუკი განსაზღვრებას, უბრალოდ, ლოგიკურ-დამაზუსტებელი ფუნქცია აქვს და არა მხატვრულ-გამომსახველობითი, მაშინ იგი ეპითეტი არ არია. დიდი სახლი ან მაღალი კოშკი ჩვეულებრივად, უბრალოდ აღქმული სინამდვილეა, მაგრამ „ავი ტალღა“ და „თასი ზამბაყული“ (გალაკტი.) მხატვრულად გააზრებული განსაზღვრება, ანუ ეპითეტი.

სიტყვის ემოციურობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული სწორად სელექცირებულ ეპითეტზე. ეს უკანასკნელი საგანსა და მოვლენას მეტაფორულად გამოხატავს და კლასიკის მწერლებთან თითოეული მათგანი შეიძლება უაღრესად ორიგინალური და განუმეორებელი იყოს. მაგალითად, გ. ლეონიძის ლექსში „კახეთი“ ვხვდებით სრულიად განსხვავებულ მხატვრულ განსაზღვრებებს – „ოქრომზიური შხეფები“, „შუქი მტრედული“, „გადაშვინდული ამოთენება“, „გადამარჯნული ბალები“, „ნაცისარტყლავი ჩანჩქერები“ და სხვ.

ან:

*ოდეს დაივლის აივნებზე ბალის სურნელი,
წინა ცხოვრების მახსენდება პეიზაჟები,
დამევეანება მოგონება განუკურნელი,
ოდეს დაივლის აივნებზე ბალის სურნელი“.*

(რ. ამალლობელი, „სურნელოვანი ტრიოლეტი“)

სიტყვათა მოულოდნელი, გემოვნებით შერჩეული შეხატვანი შესიტყვებას ემოციურ დატვირთვას სძენს, ამიტომ ეპითეტი მხატვრულ-ლიტერატურული სტილის და, ზოგადად, მხატვრული სამყაროს შექმნის პროცესში უმნიშვნელოვანესი ენობრივ-სტილისტური საშუალებაა.

ამგვარად, ტროპის ყველაზე გავრცელებულ სახეობათა განხილვაც ცხადყოფს, რომ მხატვრულ აზროვნებას და, აქედან გამომდინარე, მხატვრულ-ლიტერატურული სტილის ენობრივი მასალის ემოციურ-ექსპრესიულ დატვირთვას ძირითადად ტროპის სახეები განაპირობებს. მეტიც, მწერალთა ღირებულება, მათი განსხვავებულობა წერის მანერასა და ანდივიდუალურ სტილში ტროპის გამოყენების შემოქმედებითი უნარითა და შესაძლებლობით დგინდება.

§ 2. სტილისტიკური ფიგურები

სიტყვათშერწყმის, ანუ კომპოზიციის მდიდარი სინონიმური საშუალებანი, ერთი ენის ფარგლებში არსებული ვარიანტული ფორმები ან ფრაზათა, წინადადებათა პარალელიზმი – ყველა ერთად ენობრივი საშუალებების ფართო სტილისტური არჩევანის წინაპირობას წარმოადგენს. ძირითად სტილისტურ//რიტორიკულ ფიგურებად მიჩნეულია: ანაფორა, ეპიფორა, ანტითეზა, გრადაცია, ინვერსია, ელიფსისი და დუმილი.

განვიხილოთ თიბოეული 'ცალ-ცალკე':
ანაფორა ბერძნული სიტყვაა (anaphora) და გამოტანას, ზევით აწევას, გამოყოფას ნიშნავს. იგი ქართულ ენაში ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. „პოეტური და ორატორული ხერხი – ერთისა და იმავე სიტყვის (წინადადების, ბგერის) გამეორება რამდენიმე ტაეპის (ფრაზის) დასაწყისში“. ამ სიტყვის მეორე, გავრცელებული მნიშვნელობა მღვდლის სამოსია.

ანაფორა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტილისტიკურ ფიგურად არის მიჩნეული. იგი გამეორების სახესხვაობაა, გამეორება კი, თავის მხრივ, გამოთქმული აზრის ხაზგასმასა და ემოციის გაძლიერებას ემსახურება როგორც მხატვრულ, ისე – ორატორულ მეტყველებაში. მკითხველის ან მსმენელის ყურადღების გადატანა გამეორებულ ბგერებზე, მარცვლებზე, სიტყვებსა და ფრაზებზე ანაფორის საშუალებით ხდება. ამისდა მიხედვით რამდენიმე სახის ანაფორას განარჩევენ. ესენია: ბგერითი, ლექსიკური და სინტაქსური სახეობები. პირველ შემთხვევაში ტაეპის დასაწყისი ბგერა ან მარცვალია გამეორებული, მეორეში – სიტყვა, ხოლო მესამეში – ფრაზა. მაგალითად:

1. უ ბგერის გამეორება:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!...
უნყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი“.

(ილია, „ბედნიერი ერი“)

ნა მარცვლის გამეორება:

„ნაზვაურები,
ნაგზაურები,
მოეხეთქება ხეობის ქარი,
გაუძლებს ახალ გაზაფხულებით
დედის ლერჩაქის ფუძეზე მდგარი“.
(გ. ლეონიძე, „ჩემი ბალი“)

II. ლექსიკური ანაფორა:

„ეს მშობლიური ქარია,
ეს სოფელია მძინარე,
არ ვიცი, რად მიხარია:
ვაზი, ყანნები, მდინარე“.
(გ. ტაბიძე, „ეს მშობლიური ქარია“)

ან:

„ჩემს სიჭაბუკეს მიჰგავდი,
ჩემს ალტაცებულ ოცნებას,
ჩემს ლელვას, ჰგვანდა გაქროლვა
და შენი დაცხენოსნება!“
(გ. ლეონიძე, „თუშის ქალს ალავერდობაში“)

III. სინტაქსური ანაფორა:

„და მან ალილო ჩვენი სატკივარი და ტკიოდა
ჩვენს ნაცვლად,
და მან გაიმარჯვა სიძულვილზე, და მან გაიმარჯვა
სიკვდილზე,
და მან გაიმარჯვა სიბნელებზე, და შვა სიძულვილში
მზე აღმდგარი სიყვარულისა“.
(რ. ამალლობელი, „ახალი დაბადება“)

**ძვირფასო მასწავლებლო, სახელოვანო მეცნიერი,
დიდო ივანე!**

მე წილად მხვდა უმძიმესი მოვალეობა: უკანასკნელი სიტყვა გითხრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც შენ ჩაუყარე საფუძველი.

შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მდგომარეობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთანავე ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტიმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

მართალია, შენ სუსტი იყავ ფიზიკურად, მაგრამ ძლიერი სულიერად. ნლების მანძილზე შენი ჯანმრთელობა საფრთხეში იყო ქრონიკული სნეულებებისაგან, მაგრამ შენ ძლიერი ნებისყოფა აყრუებდა მწვავე ტკივილებს და არ აძლევდა მათ საშუალებას, რომ ხელი შეეშალათ შენი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის. ამ მხრივ შენ გმირი იყავ და მისაბაძი მაგალითი ყველასათვის.

შენ სისტემატიურად იკვლევდი საქართველოს წარსულს, მაგრამ ერთი ნუთითაც არ შეგინწყვეტია ზრუნვა მისი აწმყოსათვის და საქმიანობა მისი ბედნიერი მომავლისათვის.

დაუჯერებელი იყო და დღესაც დაუჯერებელია შენი სიკვდილი. არა, შენისთანა დიდბუნოვანი ადამიანები არ კვდებიან! შენ მხოლოდ ხორციელად გვეყრები, თორემ შენი ფიქრები და ბრძოლა სამართლიანი საქმისათვის, შენი გულის წვა და დაგვა სამშობლოს წარსულის შესწავლისა და მომავლის აყვავებისათვის ანდერძად რჩება შენს საყვარელ უნივერსიტეტში, შენს მონაფეებში, შენ მიერ აღზრდილ კადრებში, რომელნიც მტკიცე ფიცს სდებენ, რომ პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

შავად არის შემოსილი შენი და ჩვენი უნივერსიტეტი, რადგანაც უკანასკნელად გიყურებს თავის დიდ მოჭირნახულეს. თუმცა დღეს მზე თბილისის ცაზე კაშკაშებდა, მაგრამ შენი პატივისმცემლების გულში, აქ შემოკრებილი საზოგადოების გულში სიბნელეა და წყვდიადი.

შენ, უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, უნივერსიტეტისავე ეზოში ჰპოვე უკანასკნელი და, ამავე დროს, საუკუნო თავშესაფარი, ახლოს იმ დაწესებულებასთან, სადაც შენ ბევრჯერ გინახავს არა მარტო გახარება და აღტაცება, არამედ აგრეთვე დიდი მწუხარებაც.

(სიტყვა წარმოთქმული პროფ. ა. შანიძის მიერ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე; ნაწყვეტი)

ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმაც ცხადყო, რომ ანაფორა, როგორც სიტყვათა განლაგების სტილისტიკური ფიგურა, თითოეული მწერლის ან ორატორის მეტყველებაში გამეორების მეშვეობით ხელს უწყობს სათქმელის მხატვრულ რეალიზაციას, დიდ სათქმელში კონკრეტულ ბგერებზე ან სიტყვებზე აქცენტირებს და ამით მომხიბლავ ენობრივ სამოსში ახვევს ტექსტის მიმდინარეობას.

ეპიფორა – ანაფორის საწინააღმდეგო სტილისტიკური ფიგურაა (ბერძნ. epiphora – დამატება, გამეორება) და ის სახეობა, რომლის დროსაც სხვადასხვა სახის გამეორება სტრიქონის ბოლოს ხდება. ნათქვამიდან გამომდინარე, ეპიფორა საფუძვლად უდევს ლექსის რითმას (ე. წ. ტავტოლოგიურ რითმასა და რედოფს*), ხოლო პროზაულ ნაწარმოებში სათქმელის ექსპრესიას წინადადების ან მთლიანი ტექსტის დასასრულს აძლიერებს. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალიტს:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,

არ მინდა ამით შეურაცხვეყო მე ლოცვა წმინდა...

(ილია, „ლოცვა“).

ან:

„წერილი მომწერე და თითქოს შეგეშინდა, ქუთაისში გაქცეულხარ, თანაც მეკითხები, როდის გნახოო. რა ბაღალური კითხვაა! ჩამოხვალ თუ არა, ეს წერილი წაიკითხე და იმავე საღამოს... ყოველ საღამოს და ყოველ დღეს გელოდები“.

(მ. ჯავახიშვილი, „მესამე“)

„ხურცი – აბრაგია? პარტიზანია?.. თუ თავისუფლად მონავარდე საძმოს ლიდერი?.. ცალ-ცალკე ვერცერთს ვერ დავარ-

* რედოფი (არაბ.) — (მხედრის უკან მჯდომი) პოეზიის ტერმინია და ერთი და იმავე სიტყვებით დაბოლოებულ რითმას გულისხმობს. გავრცელებული იყო აშუღურ პოეზიაში.

ქმევ... მაგრამ იგი ძალაა... სპონტანურად წარმოშობილი მე-
ბრძოლი ძალა...“

(ჭ. ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“)

„... ეს იდეა თითქოს ცალკე პერსონაჟი ხდება რომანისა და
ბოლოს ვხვდებით, რომ ეს ჩვენი მთხრობელი, მახლობელი,
ჩვეულებრივ ადამიანად მიღებული მეფე გიორგი თავადაა
განსხეულება ამ იდეისა... „შვიდჯერ“, და კიდევ „შვიდჯერ“
მოვლენილი!“

(ჭ. ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“)

პარალელიზმი (ბერძნ. *parallelos* – მომიჯნავე), ერთი მხრივ,
ეთნობრივ-სტრუქტურული და, მეორე მხრივ, აზრობრივი
თანხვედრის საშუალებაა მხატვრული ტექსტის აგებულებაში.
მარტივად, მასაც შეიძლება ეწოდოს გამეორება, რადგან იგი
წინადადებათა მეზობლობაში იმავე სინტაქსურ კონსტრუქციე-
ბს ხმარობს და კონკრეტული აზრის ხაზგასმას ახერხებს, ამი-
ტომ პარალელიზმი მკითხველზე ან მსმენელზე ემოციური
ზემოქმედების მნიშვნელოვანი სტილისტიკური ხერხია. მაგალ-
ითად, პარალელიზმის საუკეთესო ნიმუშია ანა კალანდაძის
ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„კლდეები ბრწყინავენ როდოსს...
შორს რომაელების აფრით
ვინ უახლოვდება ნაპირს!
ვინ უახლოვდება ნაპირს!
ო, დამარცხებების მასაც
ალბათ სიმძიმელი ჰკოდავს...
კლდეები ბრწყინავს როდოსს
კლდეები ბრწყინავს როდოსს“.

(ანა კალანდაძე, „კლდეები ბრწყინავენ როდოსს“)

პოეტურ ენაში პარალელიზმი მნიშვნელოვნად აძლიერებს
სიტყვიერი ქსოვილის რითმს, მის რითმულობას. იგი ერთგ-
ვარი პაუზაა, რომელსაც სინტაქსური ან ლექსიკური სტრუქ-
ტურის გამეორების ხარჯზე კონკრეტული სათქმელის ხაზგას-
მა და ამ სათქმელზე მკითხველის ორიენტირება სურს. პარა-
ლელიზმი ხშირად აზრობრივად დაპირისპირებულ კონსტრუ-
ქციებშიც იჩენს თავს. ასეთ დროს ენა თავს ტავტოლოგიას
არიდებს და გადმოსაცემ აზრს ლაკონიურსა და გასაგებს ხდის.

აღსანიშნი საგნების შეკვეცით წინადადებაში ლოგიკური თან-
ამიმდეგრობა არ ირღვევა, პირიქით, ასეთ დროს მას გაცილებით
ძლიერი მხატვრული ეფექტი სდევს. მას სხვაგვარად
უარყოფით პარალელიზმსაც უწოდებენ:

„რასაცა გასცემ – შენია, რასც არა – დაკარგულია“.
(რუსთველი)

ანტითეზისი//ანტითეზა (ბერძნ. antithesis) ის სტილისტიკური
ხერხია, რომელიც საწინააღმდეგო ცნებების, დებულებების
შეპირისპირებაში მდგომარეობს, განსხვავებული სახეებით
გამოხატავს მხატვრულ სინამდვილეს და აზრის მახ-
ვილგონივრული გადმოცემის საშუალებას იძლევა. სიტყვათა
რაოდენობა ისეთ წინადადებაში, რომელშიც ანტითეზაა გამოყ-
ენებული, რამდენადმე მწირია, წევრთა განლაგება ეკონომიური,
სანაცვლოდ, სათქმელი ნათელია და ლაკონიური.

ანტითეზა თხრობას, მსჯელობას ოპოზიციურ სისტემაზე
აგებს და დაპირისპირების მეთოდით აზრში სიცხადე შეაქვს აქ-
ერთი არასდროს ჰგავს მეორეს, მეორე – პირველს. წინადადება
კონტრასტის საფუძველზე იგება, ამიტომ ენა ხშირად მიმარ-
თავს საწინააღმდეგო მნიშვნელობას, საწინააღმდეგო ორიენტა-
ციის სიტყვებსა და მაპირისპირებელ კავშირებს.

*„შენ – მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით
მივედი მარანს, შევედი შიგნით“.*

(გალაკტიონი).

ან:

*„აქ... ძნელსავალ კლდეზედ ციხე მაგარი, თვით კლდეები
ბუნებრივი სიმაგრეები. აქეთი მხარე... ადვილად შეიძლება
ჯარმა თუ ხალხმა გადაირჩინოს თავი გამომღმა. ქალაქზედვე
მთები ტყიანი! მათ შეუძლიათ შეიფარონ ლტოლვილთ სიმრავ-
ლე. იქ კი, ბიზანტიაში, ვერსად ნაუვა მტერს გაქცეული მთელი
ქალაქი განერთხმევა მძევალთ ფერხთა ქვეშ“.*

(ვ. ბარნოვი, „დედოფალი ბიზანტიისა“)

გრადაცია (ლათ. gradatio – თანდათან გაძლიერება, ზეასვ-
ლა) აზრს თანამიმდეგრობულად ავითარებს და ემოციურ განწყო-
ბილებას თანდათანობით ამალლებს ან, პირიქით, ასუსტებს მას.

იგი მოხერხებული სტილისტიკური ფიგურაა, რომელსაც საფეხურებრივი თხრობის საშუალებით მკითხველი ან მსმენელი (რიტორული სიტყვის დროს) საერთო შინაარსის დასრულები-საკენ მიჰყავს. გრადაციის დროს სიტყვები ისეა განლაგებული, რომ მომდევნო სიტყვის შინაარსი წინანდელზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს და ასე გრძელდება მანამ, ვიდრე არ დასრულდება წინადადება ან სიტყვა (ტექსტი).

გრადაცია, როგორც სტილისტიკური ხერხი, თანამიმდევრულ აზრს ენობრივი ლოგიკით უპასუხებს და ორი კომპონენ-ტის 'სინთეზით შთაბეჭდილებას' აღრმავენს, ემოციურად ტვირთავს, ტექსტის დინამიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

გრადაციის საინტერესო ნიმუშია მ. მაჭავარიანის ლექსი:

*„ვითარცა ღვინო – ქვევრიდან ხაპში –
ხაპიდან დოქში – დოქიდან ჯამში –
ქართული სისხლი, ქართული სული,
ქართული სიტყვა, ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში...
გადადიოდა, გადადიოდა,
გადადიოდა – და მოდიოდა“.*

(მ. მაჭავარიანი, „ვითარცა მტკვარი“)

ან:

*„ხალხი სალდათებს უფრო და უფრო აწვებოდა. აქა-იქ
ზოგი ხიშტებს მისწვდა. სალდათებმა ჯერ ერთი ნაბიჯი წარდ-
გეს უკან, მერე მეორე, მესამე, შემდეგ უკან-უკან ნავიდნენ
და ერთ ალაგას შეჯგუფდნენ. ხალხი გამხნევდა და ფეხდაფეხ
მიჰყვა“.*

(მ. ჯავახიშვილი, „ჯილდო“)

ინვერსია (ლათ. *inversio* – გადასმა, გადაბრუნება) სტილისტიკური ხერხია და წინადადებაში სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ინვერსია, როგორც სტილისტიკური საშუალება, ენობრივ სტრუქტურაში მოძიებული თავისუფლებაა, ერთგვარი შეუზღუდავობა, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდი-

ვიდუალური სტილის ჩამოყალიბებას. მთავარია, აზრი არ შეიცვალოს და მხატვრული დატვირთვა, ექსპრესია გაიზარდოს.

ქართულ ენაში წინადადების ფარგლებში სტრუქტურული (სიტყვათანამიმდევრული) ნაირგვარობა ინვერსიის მრავალფეროვნების საფუძველს ქმნის. მეტყველების ნაწილები დასრულებული აზრის გადმოცემისას თავისუფლად გადაადგილებიან. რა თქმა უნდა, ეს თავისუფლება არ შეეხება მთავარ სინტაქსურ ურთიერთობებს – შეთანხმებას, მართვასა და მირთვას, რომელთა შეკავშირებაზეცაა დაფუძნებული აზრის გადმოცემის სიზუსტე. ყველა დანარჩენი წინადადებაში სუბიექტური თვალთახედვით შეიძლება განლაგდეს. გააჩნია, რა წოთხოვნა აქვს რითმას (ლექსში), როგორია სათქმელი ან მთქმელის ინტელექტუალური ბაზა.

ქართული ზმნა, რომელიც კოორდინირებს მთელი წინადადების აგების დროს (როგორც ფორმობრივად, ისე – შინაარსობრივად), თავის გარშემო იკრებს წინადადების დანარჩენ ნევრებს და განლაგების თვალსაზრისით არ ზღუდავს მათ. ეს ქართული წინადადების უნიკალურობისა და გასაოცარი ჰოქნილობის მიმანიშნებელია. საანალიზოდ ავიღოთ ერთი მარტივი წინადადება:

„ვარხევ ფშატის ხეს თოვლით დაზვინულს“.

(გ. ლეონიძე, „ჩემი ბალი“)

და შევცვალოთ წინადადების ნევრთა განლაგება. აზრის მოშლა მაშინ დაიწყება, როცა შეთანხმება-მართვა-მირთვის პრინციპს დავარღვევთ, სხვა შემთხვევაში არჩევანი ჩვეწზეა, ანუ დასაშვებია:

1. ფშატის ხეს ვარხევ თოვლით დაზვინულს;
2. თოვლით დაზვინულს ვარხევ ფშატის ხეს;
3. თოვლით დაზვინულ(ს) ფშატის ხეს ვარხევ.

სანაცვლოდ, დაუშვებელია:

თოვლით ვარხევ დაზვინულ(ს) ფშატის ხეს და მისთანანი.

ელიფსისი//ელიფსი (ბერძნ. *ellipsis* – ამოვარდნა, გამოტოვება) ნაგულისხმები სიტყვის ისეთ გამოტოვებას გულისხმობს, რომლის დროსაც ენობრივი ქსოვილი არ ირღვევა და იგი მაინც ზუსტად, ნათლად გადმოიცემა. ასეთ დროს წინადადების ნევრის ფუნქციას ტირე ასრულებს და გამონათქვამს დი-

ნამიკურობას, ინტონაციურობასა და მხატვრულ გამომსახველობას სძენს.

ეკონომიურობა ენაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. იგი მოქმედებს ლექსიკურ (ბატბატა>პატპატა>პაატა>პატა(სასაუბრ.)), მორფოლოგიურ (კუმშვა, კვეცა) და სინტაქსურ დონეებზე. ელიფსისი სინტაქსური ერთეულების ერთგვარი ეკონომიაა, რომლის დროსაც აზრი სიტყვათა (წინადადების წევრთა) გამოტოვების ხარჯზე შემჭიდროვებული და გასხარტებულია.

ელიფსისის კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება ანდაზები მივიჩნიოთ; მაგალითად: „რომში პაპი ვერ ვნახე და თბილისში – აბანო“, „მჭედელს დანა არ ჰქონდა, ფეიქარს – ხელსახოციო“, ან „ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას – ბაჟიო“ და მრავალი სხვ.

რამდენადაც ელიფსისი მახვილგონივრულ, მოხდენილ მხატვრულ აზროვნებასთან არის დაკავშირებული, ამდენად მისი, როგორც სტილისტიკური ფიგურის, ადგილი ძირითადად მხატვრულ-ლიტერატურულ სტილშია:

„ესეთმა თქმამ და მეტადრე მის წინ ტყვედ მდგომის სიმშვიდემ ფრიად განარისხა მბრძანებელი, რომლის სიტყვა ყველასათვის შეუმართებელი იყო, ხოლო სურვილი – მსწრაფლ ასასრულებელი“.

(ვ. ბარნოვი, „ტრფობა წამებული“)

დუმილი ის სტილისტიკური საშუალებაა, რომლის დროსაც ავტორი შეგნებულად არიდებს თავს აზრის დამთავრებას და მკითხველს ან მსმენელს გააზრებისაკენ მოუწოდებს. აქ სიტყვიერი მასალის ეკონომია კი არ ხდება, არამედ მისი შენიღბვა; სხვაგვარად, უთქმელობა, დანყებული აზრის შეწყვეტა. აზრის აღქმა მკითხველზეა მინდობილი.

დუმილი, რომელიც წინადადებაში ერთგვარი პაუზაც არის, ხშირად მიგვანიშნებს შინაარსობრივ მიმდინარეობაზე ან საგულდაგულოდ მალავს სათქმელს. ეს სტილისტიკური ხერხი ფორმობრივად სამწერტილით, ანუ მრავალწერტილით, გადმოიცემა.

დუმილი ენობრივი გამოცანაა შემოქმედის (ან ორატორის) მიერ მოწოდებული. სწორი წაკითხვა, ქვეტექსტის ამოცნობა,

აზრის დასრულება და ზოგჯერ დაუსრულებელ სიტყვათა შერჩევაც ჩვენზეა დამოკიდებული, ამიტომ მას, როგორც სტილისტიკურ ხერხს, უდიდესი ძალა აქვს იმისა, რომ მწერალსა და მკითხველს ან ორატორსა და მსმენელს შორის აზრობრივი კავშირი გააბას, არგუმენტაციის მოწოდების ხარჯზე საერთო განწყობამდე ან დასკვნამდე მიიყვანოს:

„რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა... [და გალაკტიონი]

(გ. ტაბიძე)

„- არა... ტკბილი ხარ ტკბილი: საქართველოს მინავ!..
ტურები ისევ მინას ჰკოცნიან.

- ვამეხ!

- სარგის!

- არ დამტოვო...

- შენთან ვარ...

- წამიღებ?!

ვაჟი ცრემლებს ვერარ იკავებს:

- წაგიღ... წაგიყვან...

- არა წამიღე.

ხელები - ძვლები ქალის თმებისკენ იწევენ“.

(გრ. რობაქიძე, „გველის პერანგი“)

ან:

„ლაზიკას საკვირველმა აზრმა გაურბინა თავში...

- რას მომცემ?

- გამოგანყო...

- რად მინდა გამონყოფა... ერთი ულელი ხარი მომეცი.

- კარგი მარა რას იზამ?

- ა, ბატონო, შენი ყაბალახი მათხოვე, თავს წავიკრავ...

პირს სისხლით შევისვრი და უღვაში ქე მაქ დალოცვილი, გრძელი... საცვალსაც თუ მიშოვი, აფხაზი ვიქნები ნამდვილი...“

(ნ. ლორთქიფანიძე, „რაინდები“, გვ. 77)

IV ტაპი

გრამატიკული სტილისტიკა

(პრაქტიკული ნაწილი)

ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური შესაძლებლობების გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დაფუძნებული გრამატიკაზე, როგორც შინაარსისა და ფორმის მთლიან ძალაზე. უმართებული მასალის (სიტყვის, ფრაზის, არასწორად აგებული წინადადების) გამოყენება თავისთავად უკავშირდება სტილისტიკის სფეროსაც, რადგან მართლმეტყველება არის ის მთავარი საკითხი, რომელზედაც აზრის დაშენება და ტექსტის მხატვრული უნარის გამოვლენა ხდება, ამიტომ მიზანშეწონილია ყურადღება თანამედროვე ქართულ ენაში გავრცელებულ შეცდომებზეც გამახვილდეს.

§ 1. არსებითი სახელები (სახეისები)

სტილისტიკა ძირითადად ეყრდნობა ცოდნას გრამატიკის შესახებ. არსებით სახელებთან გასათვალისწინებელია შემდეგი შეცდომები:

1. მ-ზე დაბოლოებული სახელები მოთხრობით ბრუნვაში დაირთავენ ორ მ-ს აქლემმა, ატამმა...

2. ს-ზე დაბოლოებული სახელები მიცემით ბრუნვაში დაირთავენ ორ ს-ს თბილისს, წავკისს...

3. ვითარებით ბრუნვაში უნდა დაბოლოება -ად//-დ და არა -ათ//-თ არ არის სწორი: ამხანაგათ, მეგობრათ, სოფლათ... უნდა: ამხანაგად, მეგობრად, სოფლად...

4. წოდებით ბრუნვაში გასათვალისწინებელია რამდენიმე შემთხვევა: ა) „ერთმარცვლიანი ზოგადი სახელები წოდებითში გადმოიცეს -ო დაბოლოებით: ძმა-ო, და-ო, მთა-ო...“

ბ) ადამიანის საკუთარი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს დაბოლოების გარეშე: გურამ, ნოდარ, თენგიზ...

გ) -ძე, -ვა, -უა და -ია-ზე გათავებული გვარები ნოდებით-ში ადამიანის საკუთარ სახელებს გაუთანაბრდეს და იხმარებოდეს უდაბოლოებოდ: ბაქრაძე... გუგუნავა... ნოდია...

დ) ქვემოჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბლოკიდური -ი ფუძისეულია და, მაშასადამე, შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში. აკაკი, ალექსი, ამბროსი, ანატოლი, არკადი, ბიკენტი, გენადი, გერვასი, ტერონტი, გვადი, გივი, გიორგი, (გოგი), დევი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ევგრაფი, ევლამპი, ევსევი, ევტიხი, ერასტი, ვახუშტი, ინოკენტი, ირაკლი, იური, კლიმენტი, კორნელი, კუკური, ლავრენტი, ლავროსი, ლევარსი, ლეონტი, მელენტი, პროკოფი, რატი, სერგი, ტარასი, ტერენტი, ქიშვარდი, ქუჯი, ხარლამპი...

ალათი, გუგული, ედუკი, ვასასი, ლილი, ლილოსი, მერი, ნანული, ნინელი, პუპი, ფატი და სხვ.

ე) სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახებისას სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გვარების ნოდებითში ხმარება, ამჟამად უმართებულოდ ხმარებული სახელობითის ნაცვლად (ასათიან-ო, გომართელ-ო, დავითაშვილ-ო...) ხოლო სიაში ან ჟურნალში ამოკითხვისას – სახელობითში (ასათიან-ი, გომართელ-ი, დავითაშვილ-ი და სხვ.) (დანვრილებით იხილეთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970, გვ. 62).

კუმშვისა და კვეცის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი შემთხვევები: გაზეთების, სასტუმროების და სხვათა სახელწოდებებად გამოყენებულია საზოგადო (ან გეოგრაფიული) სახელები. ისინი როგორც წესი, ექვემდებარებიან კუმშვისა და კვეცის წესებს.

სწორია:

„ბიბლიოთეკამ მიიღო ჟურნალ „დილის“ (და არა „დილას“) ახალი ნომრები“.

„ჟურნალ სკოლა და ცხოვრების“ (და არა „სკოლა და ცხოვრებას“) რედაქცია ჯავახიშვილის „ქუჩაზეა“.

„წავიკითხე ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ (და არა „საქართველოს ბუნებას“) ბოლო ნომერი“.

„გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ (და არა „სოფლის ცხოვრებას“) მკითხველები ბჭობდნენ“.

გაზეთ „განახლებული აბაშის“ (და არა „განახლებული აბაშას“) მოწინავე წერილი“.

„სასატუმრო „აჭარის“ (და არა „აჭარას“) ფასადი ლამაზია“.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ (და არა „მარჯვენას“) ავტორია კ. გამსახურდია“.

„მთანმინდის მთვარის“ (და არა „მთვარეს“), „მე და ლამის“ (და არა „ლამეს“) ავტორია გ. ტაბიძე“ და სხვ.

ასევე შეიკვეცება ხმოვანფუძიანი სახელები მოქმედებით ბრუნვაში; გვექნება: ჟურნალ „დილით“, ჟურნალ „დროშით“... მართებულია აგრეთვე „ყვარლის“ რედაქცია; „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორია... „მერნის“ ლირიკული გმირია... „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარი პერსონაჟია... შეცდომაა: „ყვარელის“, „სამანიშვილის დედინაცვლის“, „მერანის“, „სტუმარ-მასპინძლის“ და სხვ.

ფუძის კუმშვა ხდება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებშიც: „ცისკრით“, „ცისკრად“, „მერნით“, მერნად“ და სხვ.¹

სტილისტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე შემდეგი არსებითი სახელები, კერძოდ:

პერტრუბაცია თუ პერტრუბაცია?

პერტრუბაცია ლათინური სურტვაა და ნიშნავს უნესრიგობას, მოშლილობას, მოულოდნელ ცვლილებებს... მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელ დარღვევას, არევ-დარევას, წესრიგის მოშლას. ეს სიტყვა ჩვენში რუსული ენის გზით არის შემოსული. „თუ ამ სიტყვის გამოყენება დაგვჭირდება სწორედ ამ ფორმით უნდა ვიხმაროთ“ (გ. შალამბერიძე).

სწორია: პერტრუბაცია.

დაყმევება თუ დაყმავება, ან ყმად გადაქცევა?

„დაყმევებას სჯობს „დაყმავება“. იმის გამო, რომ ეს სიტყვა (დაყმავება) მაინც ხელოვნური ჩანს, უმჯობესია ვთქვად „ყმად (ყმებად) გადაქცევა“, „ყმად (ყმებად) გახდომა“. ბოლო წლებში გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში სწორედ ეს მართებული აღწერითი ფორმაა ნახმარი და უპირატესობაც მას უნდა მოვანიჭოთ“ (გ. შალამბერიძე).

წყალხტომა თუ წყალში ხტომა?

წყალში ხტომის გამოსახატავად წყალხტომა არ გამოდგება.

წყალში ხტომა ცალ-ცალკე უნდა დაინეროს (გ. შალამბერიძე).

სწორია: წყალში ხტომა.

კბილის ექიმი თუ სტომატოლოგი?

„ერთიც სწორია და მეორეც, გააჩნია, რომელ სიტყვას რა სიტუაციაში, ვის მეტყველებაში, რა წრეში გამოვიყენებთ (გ. შალამბერიძე).

ექთნის თუ ექთანის?

სწორია: ექთანის, ექთანით, ექთანად, ექთანებო...

ასევე არ იკუმშება „ანბანი“, რომელიც დაბოლოებით ფუძე-კუმშვად სიტყვას ჰგავს (შედ. უბანი – უბნის, საბანი – საბნის...)“ (გ. შალამბერიძე).

ნოქალაქევი თუ ნაქალაქევი?

„ისტორიულადაც, ტრადიციულადაც, მორფოლოგიურადაც ერთნაირი სწორი ფორმაა „ნაქალაქევი“ (გ. შალამბერიძე).

ფორუმი თუ თათბირი?

ფორუმი ლათინური სიტყვაა. იგი გულისხმობს ფართო წარმომადგენლობით კრებას, ასეთია მაგალითად, მწერლების ფორუმი, ჟურნალისტთა მსოფლიო ფორუმი და სხვ. ფორუმი ისეთი შეკრებაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ამიტომ მიზანშეწონილი არ არის სიტყვა „ფორუმის“ გამოყენება მცირე მასშტაბის თათბირის ან კრების (შეკრების) აღსანიშნავად, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს“. ასეთ შემთხვევებში უნდა ვიხმაროთ „თათბირი“ (გ. შალამბერიძე).

ნაძვისხე თუ ნაძვის ხე?

სწორია ნაძვის ხე (გ. შალამბერიძე).

პირველი დებიუტი თუ დებიუტი?

სწორია: დებიუტი (გ. შალამბერიძე).

განვევრიანება თუ განვევრება?

„უნდა ვთქვათ განვევრება (-იან სუფიქსის გარეშე) ან ნევრად გახდომა, ნევრად ქცევა, ნევრობა. ამგვარად, განვევრიანების მსურველთა საბუთების ნაცვლად უნდა ვთქვათ და ვწეროთ: განვევრების მსურველთა (ან ნევრად გახდომის, ნევრობის მსურველთა) საბუთები...“

-იან სუფიქსს ზოგჯერ ზმნებშიც ხმარობენ და ამბობენ: განვევრიანდა, გავანვევრიანოთ, გავწვევრიანდი და სხვ. ეს ფორ-

მებიც მცდარია და ამდენად მიუღებელი, უნდა ვთქვათ: წევრი გახდა, წევრი გავხადეთ (წევრად მივიღეთ), წევრი გავხდი და ა. შ. (გ. შალამბერიძე).

ასლი თუ პირი?

ასლი არაბული ძირის შემცველი სიტყვაა და ნიშნავს „ძირს“, „დედანს“, „ორიგინალს“, ნამდვილს“, ზოგიერთი „ასლს“ „პირის“ მნიშვნელობითაც ხმარობს.

პირი უნდა ვიხმაროთ შემდეგ გამოთქმებში: დიპლომის პირი, ოქმის პირი, ბრძანების პირი, პირი დედანთან შედარებულია და სხვ: (გ. შალამბერიძე).

განსაზღვრა თუ განსაზღვრება?

ეს სიტყვები სხვადასხვა ცნების გამომხატველი სიტყვებია. პირველი – ზმნით აღნიშნული მოქმედების სახელია, მეორე – ცნების დეფინიციას აღნიშნავს, ამიტომ ერთი მეორის ადგილას არ უნდა ვიხმაროთ (გ. შალამბერიძე). დეფინიცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საგნის ზუსტ განსაზღვრას ყველაზე არსებითი ნიშნების მიხედვით (გ. შალამბერიძე).

აბიტურიენტი თუ აბითურიენტი?

სწორია: აბიტურიენტი (გ. შალამბერიძე).

წლის თავი თუ წლისთავი?

წლისთავთან მსაზღვრელად რიგობითი სახელი გამოვიყენოთ: მეოცე წლისთავი, მეასე წლისთავი და ა. შ. მაგრამ თუ წლის თავს ცალ-ცალკე დავწერთ, მაშინ „წლის“ მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელი გვექნება: ოცი წლის თავი, ოცდაათი წლის თავი... (გ. შალამბერიძე).

დაპროგრამება თუ პროგრამირება?

სწორია: დაპროგრამება. საჭირო არ არის მიმღეობებშიც: დაპროგრამებული (სწავლება), დასაპროგრამებელი, დაპროგრამებული, დაუპროგრამებელი (და არა პროგრამირებული, დასაპროგრამირებელი, დამპროგრამირებელი, დაუპროგრამირებელი) (გ. შალამბერიძე).

სენაჟი თუ თივადი?

სწორია: თივადი (გ. შალამბერიძე).

მოთხოვნები თუ მოთხოვნილებები?

ამ ორ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. „გაიგივება და ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება. ისინი თავ-თავის ადგილას უნდა გამოვიყენოთ“ (გ. შალამბერიძე).

აგეგმვა თუ დაგეგმვა?

ეს სიტყვები მნიშვნელობით ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც „აგეგმავს“ და „დაგეგმავს“ ზმნები. ერთის ნაცვლად მეორე არ უნდა ვიხმაროთ! (გ. შალამბერიძე).

მარშრუტი თუ სვლაგეზი?

სწორია: მარშრუტი (გ. შალამბერიძე).

შეჯიბრი თუ შეჯიბრება?

სწორია: შეჯიბრება (გ. შალამბერიძე).

პროფტექნიკუმი თუ პროფტექნიკური?

პროფტექნიკუმი არ არსებობს. „უნდა ვთქვათ პროფტექნიკურ სასწავლებელში“ ან „პროფტექნიკურში“ (გ. შალამბერიძე).

გამყიდველი თუ ნოქარი?

სწორია: გამყიდველი. (გ. შალამბერიძე).

კარი თუ კარები?

„უმჯობესია“ კარს „უნდა მივანიჭოთ, კარები“ კი მაშინ გამოვიყენოთ, როცა ერთზე მეტ კარზე გვაქვს საუბარი“ (გ. შალამბერიძე).

ახალმოსახლეობა თუ ახალსახლობა?

სწორია: ახალსახლობა (გ. შალამბერიძე).

პილპილი თუ წინაკა?

პილპილი და „წინაკა“ სხვადასხვა ცნების გამომხატველი სიტყვებია... პილპილიან პარკს სასურსათო მაღაზიაში, ცხადია, „პილპილი“ უნდა ეწეროს და არა „წინაკა“ (გ. შალამბერიძე). ქართულში ორივე იხმარება. მათი მნიშვნელობების ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება.

ინსტანცია თუ დისტანცია?

ეს სიტყვები პარონიმებს განეკუთვნება. ორივე ლათინური სიტყვაა. „დისტანცია“ ჰქვია მანძილს ორ პუნქტს შორის. ინსტანციის მნიშვნელობა სხვაა – იგი აღნიშნავს ყოველ საფეხურს ერთმანეთს დაქვემდებარებული სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ორგანოების სისტემაში“ (გ. შალამბერიძე). განსხვავებული მნიშვნელობის გამო მათი ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება.

მცნება თუ ცნება?

ესენიც პარონიმებია. სხვადასხვა შინაარსის მქონეა.

მცნება არის ზნეობრივი ხასიათის ბიბლიური გამონათქვამი (ათი მცნება); მოძღვრება დებულების სახით („ისმინე, სწავლის მძებნელო! მიჰყევ დავითის მცნებასა...“), სახელმძღვანელო წესი; ანდერძისებური ბრძანება, განკარგულება.

„ცნება კი სხვას ნიშნავს. იგი ასეა განმარტებული: შემეცნების ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის (საგანთა, მოვლენათა) არსებითი ნიშნები“ (გ. შალამბერიძე).

მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია.

დედაენა თუ დედა ენა?

სწორია: დედაენა (გ. შალამბერიძე).

წელი თუ წელიწადი?

„წელი“ აღრინდელია. წელიწადი მისი ფუძის გაორკეცვებით არის მიღებული. „წელიწადის ხმარება შეზღუდულია, იგი გამოყენებულია წლის მაგიერად ანდა მის პარალელურად განსაზღვრულ შემთხვევებში. ისე კი, საზოგადოდ ქართული-სათვის ჩვეულებრივია წელი (ა. შანიძე). გადმოსაცემი აზრის გაუთვალისწინებლად რომელიმე მათგანს უპირატესობას ვერ მივანიჭებთ (გ. შალამბერიძე).

ადამიანებია, მხედრებია, ნიჩბოსნებია, ამხანაგებია, მეგობრებია...

სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელები თუ მრავლობით რიცხვშია, უნდა ვიხმაროთ „არიან“: ამხანაგები არიან, მხედრები არიან, ნიჩბოსნები არიან, მეგობრები არიან. უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან კი დარჩება ა: ხეებია, ყვავილებია, მცენარეებია და მისთანანი (ქსკს ნ. VII).

ავტორი//თანაავტორი

„ავტორი ლათინური წარმოშობის საერთაშორისო სიტყვაა. აღნიშნავს რაიმე ნაწარმოების (ლიტერატურულის, მხატვრულის, მუსიკალურის, მეცნიერულის) შემქმნელს, გამომგონებელს, ბუნებრივი შესიტყვებებია: ნაწარმოების (ლექსის, მოთხრობის, პოემის...) ავტორი, წიგნის ავტორი, სტატიის (წერილის) ავტორი და მისთ.“ (ქსკს).

შეცდომაა: ბურთის, გოლის, დარტყმის, რეკორდის, მილნევის, ტრასის, მკვლელობის, ხეივნის, ნაგებობათა, სადილის, ავტორი ან თანაავტორი.

ამბავი

„ამბავი“ სიტყვის წინ ზოგჯერ გვხვდება ის, იმ, ამ ნაცვალ-სახელები. მაგალითად, „ძლიერ მიხარია ის ამბავი, რომ ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავს“. ამგვარ მაგალითებში „ამბავი“ ზედმეტია. უნდა: „ძლიერ მიხარია ის, რომ ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავს“ (ქსკს).

განაჩენი

სწორია: ლმობიერი განაჩენი, მკაცრი განაჩენი, სამართლიანი განაჩენი, არასამართლიანი განაჩენი და მისთანანი.

შეცდომაა: მძიმე განაჩენი, მსუბუქი განაჩენი, მტკივნეული განაჩენი, უმტკივნეულო განაჩენი და მისთანანი.

ასევე უმართებულოა საბრალდებო განაჩენი. უნდა: საბრალდებო დასკვნა (ქსკს).

გეოგრაფია

„შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ ბოლო დროს ქართული პრესის ენაში გამოყენებული შესიტყვებები: ფეხბურთის გეოგრაფია, თესვის გეოგრაფია და მისთ.“ (ქსკს).

გზაზე//გზაში

არ არის სწორი მიდის გზაში, მიატოვეს გზაში დაყრილი ხრეში, გზაში მგზავრს რა გემოლევს...

უნდა: მიდის გზაზე, მიატოვეს გზაზე დაყრილი ხრეში, გზაზე მგზავრს რა გამოლევს... (ქსკს).

დონე

არ არის სწორი: იმდიდრებს ცეკვის დონეს, იზრდება ხარჯების დონე, გაიზარდა რეალიზაციის დონე, გაუმჯობესდა მომსახურების დონე.

უნდა იყოს: იმაღლებენ ცეკვის დონეს, მალღდება ხარჯების დონე, მალღდება ცხოვრების დონე, ავამაღლოთ რეალიზაციის დონე, ამაღლდა მომსახურების დონე... (ქსკს).

დრო-ხანი

არ არის სწორი: უკანასკნელ დროს, ბოლო ხანს...

სწორია: უკანასკნელ ხანს, ბოლო დროს... (ქსკს).

ვიზიტი

ძალიან გავრცელდა ვიზიტად: ვიზიტად ჩამოვიდა, ვიზიტად მყოფმა და სხვ. მათ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ „ვიზიტით“: ვიზიტით ჩამოვიდა, ვიზიტით მყოფმა და სხვ. (ქსკს).

თავფურცელი

არ არის სწორი: „გმირული ისტორიის თავფურცელი“, „გადავშალოთ... ალბომის კიდევ ერთი თავფურცელი“...

სწორია: გმირული ისტორიის ერთი ფურცელი, ანდა: მნიშვნელოვანი ფურცელი, გადავშალოთ... ალბომის კიდევ ერთი ფურცელი...

„საერთოდ, სიტყვა თავფურცელი და რიცხვითი სახელი ერთად შეუთავსებელია, ვინაიდან თავფურცელი მუდამ ერთადერთია... ამიტომ მოყვანილ სიტყვათა შეხამებისას ზედმეტია ერთ-ერთი თავ-კომპონენტი ან რიცხვითი სახელი“ (ქსკს).

თარგმნა-თარგმანი

არ არის სწორი: თარგმანის ხელოვნება, თარგმანის საკითხი, თარგმანის ორგანიზაციული მხარე. თარგმანის საქმე და მისთანანი.

სწორია: თარგმანის ხელოვნება, თარგმნის ორგანიზაციული მხარე, თარგმნის საკითხი, თარგმნის საქმე და მისთ. (ქსკს).

თვე

არ არის სწორი: იანვრის თვეში, თებერვლის თვეში, მარტის თვეში და ა. შ.

სწორია: იანვარში, თებერვალში, მარტში და ა. შ. (ქსკს).

კალმოსანი

„ბოლო დროს სალიტერატურო ენაში არის ცდა „კალმოსანის“ დადებითი მნიშვნელობით გამოყენებისა. თანაც, მას მაღალფარდოვან სიტყვას, უპირატესობას ანიჭებენ ამ თვალსაზრისით ნეიტრალურ მწერალ სიტყვასთან შედარებით. იმის გამო, რომ გათვალისწინებული არ არის სიტყვის სტილისტიკური შეფერილობა, ღირსეული და პატივსაცემი პიროვნების სახელი ჩვენდა უნებურად უხერხულ კონტექსტში ფიგურირებს“ (ქსკს).

არ არის სწორი: გამოჩენილი რუსი კალმოსანი, სჩვეოდა დიდ კალმოსანს, კალმოსანი თანამოძმენი უმეტესად მხარში ედგნენ...

სწორია: გამოჩენილი რუსი მწერლები, სჩვეოდა დიდ მწერალს, თანამოკალმენი უმეტესად მხარში ედგნენ...

კვალი

არ არის სწორი: ძლიერი კვალი, იმედის კვალი, კვალი დაასვა...

სწორია: ღრმა კვალი, კარგი პირი უჩანს, ან მზრუნველი ხელი დაეცყო, კვალი დაატყო, ან დალი დაასვა... (ქსკს).

კინო

არ არის სწორი: კინოს სანახავად წავიდნენ, ნახონ კინო, ძნელი დასაჯერებელი კია, „ბაში-აჩუკის“ კინოზე სიარულიც, ყველაფერმა ფასი დაკარგა – კინომაც.

ყველა ზემოჩამოთვლილ მაგალითებში უნდა გვეხმარა ფილმი, სურათი ან კინოსურათი (ქსკს).

ლაფი

არ არის სწორი: ლაფი

არ არის სწორი: ლაფი გადაავლო.

სწორია: ლაფში ამოსვარა.

მანძილი

არ არის სწორი: 5 კმ მანძილი გაიარა (ზედმეტია მანძილი), 56 კმ მანძილი (უნდა 56-ე კმ-ზე), 10 მ მანძილი დარჩა (უნდა: 10 მ. დარჩა), მთელი გვერდის მანძილზე (უნდა მთელ გვერდზე), შვიდი გვერდის მანძილზე ამ მოთხრობაში დაგვიხატა (უნდა: ამ შვიდგვერდიან მოთხრობაში), პოემის მანძილზე (უნდა: პოემაში), ერთი თვის მანძილზე (უნდა ერთ თვეს), უკანასკნელი წლების მანძილზე (უნდა: უკანასკნელ წლებში), დროთა მანძილზე (უნდა: დროთა განმავლობაში), კარგა ხნის მანძილზე (უნდა: კარგა ხანს), გასული პერიოდის მანძილზე (გასულ ერიოდში), ექვსი წლის მანძილზე (აჯობებდა: ექვსი წლის განმავლობაში)... (ქსკს).

მდგომარეობაში

არ არის სწორი: მთვრალ მდგომარეობაში (უნდა: მთვრალი) მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა (უნდა: სიმთვრალეში), საჭეს მართავს ნასვამ მდგომარეობაში (უნდა: მართავს ნასვამში), მძიმე დანაშაული ჩადენილია არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ (უნდა: ჩადენილია სიმთვრალეში) (ქსკს).

მეცადინეობა

არ არის სწორი: პარტიის მეცადინეობა (უნდა ზრუნვა) „დინამოს“ ხელმძღვანელთა მეცადინეობა (უნდა ყურადღება), საჭიროა მეტი მეცადინეობა (უნდა გულმოდგინება)... (ქსკს).

მიზეზი

არ არის სწორი: გამარჯვებათა ძირითადი მიზეზი (უნდა ფაქტორი ან პირობა), ძალ-ღონის მიზეზი (უნდა: პირობა ან სანინდარი)... (ქსკს).

მოედანი

უნდა ფეხბურთის მოედანი და არა ფეხბურთის მინდორი (ქსკს).

მოთხოვნა-მოთხოვნილება

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნაცვლად მოთხოვნისა უმართებულოდ არის ნახმარი მოთხოვნილება: „ეს გამოფენა 'მეტყველებს' მხატვრის დიდ გემოვნებასა და თავის თავისად-მი დიდ მოთხოვნილებაზე“, „მოთხოვნილება უნდა წარედგინოს, ისე მაღალ მოთხოვნილებებს აღარ ვუყენებდი“...

პირუკუ შემთხვევებიც გვხვდება, კერძოდ, მოთხოვნა არის ნახმარი მოთხოვნილების ნაცვალად, მაგალითად: „მრავალი სახეობის ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება“, აღნიშნეს მყიდველთა მოთხოვნის შესწავლისა და მისი დაკმაყოფილებისათვის მუშაობის გაუმჯობესებისადმი მიძღვნილი... (ქსკს).

მოსწავლე-მონაფე-შეგირდი

არ არის სწორი: „მისი ყოფილი მოსწავლეები... წარმართავენ“ (უნდა: მონაფეები), „ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა და მისი მოსწავლეები (უნდა: მონაფეები)“, „აუცილებელია ყოველი საქმის წინსვლისათვის – მოსწავლისათვის (უნდა: მონაფისათვის)“, „ბევრი ჩემი მოსწავლის (უნდა: მონაფის)“, „ზეინკლის მოსწავლე (უნდა: მონაფე)“, „სურსათზე ოსტატი ი. ჯანაშვილი მოსწავლეებთან (უნდა: მონაფეებთან ან შეგირდებთან)“,... (ქსკს).

მოსწავლე და შეგირდი სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია.

მცდელობა

არ არის სწორი: რამდენიმე მცდელობა დაგვჭირდა (უნდა ზრუნვა), „დიდი მცდელობით (უნდა დიდი მონდომებით) არ ამოვგლიჯეთ იქ, სადაც უკვე აღმოცენდა“, „სურვილი თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ მას საქმე და მცდელობა (ზედმეტია) არ მოჰყვა“, „საერთო იარაა, საერთო წყლულია და მცდელობაც მისი განკურნებისა (უნდა: ცდაც მისი განკურნებისა, ან: ზრუნვაც განსაკუთრებულად) საერთო იყოს“. „მთა-

ვარია მცდელობა (უნდა: მთელი ყურადღება) გადატანილია იქითკენ“... (ქსკს).

ნათლობა

არ არის სწორი: პირველი საბრძოლო ნათლობა, პირველი პედაგოგიური ნათლობა, პირველი რევოლუციური ნათლობა, პირველი სასცენო ნათლობა და ა. შ.

სწორია: საბრძოლო ნათლობა, პედაგოგიური ნათლობა რევოლუციური ნათლობა, სასცენო ნათლობა...

„ნათლობასთან“ მსაზღვრელად სიტყვა „პირველის“ ხმარება ზედმეტია (ქსკს).

ოსტატი

არ არის სწორი: კულტურის ოსტატი, კომედიის ოსტატი, ტრაგედიის ოსტატი, აზროვნების ოსტატი: ნამუშევრების მაღალი შეფასება მისცეს კრიტიკული აზროვნების გამოჩენილმა ოსტატებმა“ (აჯობებდა: გამოჩენილმა კინოკრიტიკოსებმა, თეატრალურმა კრიტიკოსებმა).

სწორია: კულტურის მოღვაწე, კომიკოსი, ტრაგიკოსი... (ქსკს).

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო

„ქართული ენის ბუნებას არ შეესაბამება ოდენ მსაზღვრელის, ზედსართავის ხმარება მთელი შესიტყვების ნაცვლად. ამდენად, არ არის სწორი: მოიპოვა ოქრო, ან ბრინჯაო, ან ვერცხლი. მათ ნაცვლად უნდა: მოიპოვა ოქროს მედალი, ვერცხლის მედალი, ბრინჯაოს მედალი...“

პედაგოგი – მასწავლებელი

პედაგოგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მასწავლებელს, აღმზრდელს. საკუთრივ ქართული წარმოშობისაა მასწავლებელი.

არ არის სწორი: ინგლისური ენის პედაგოგი (უნდა: მასწავლებელი), ბოტანიკის პედაგოგი (უნდა: მასწავლებელი), რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (უნდა მასწავლებელი)... (ქსკს).

პიონერი

„სიტყვა „პიონერი“ ვერ იგუებს სიტყვა „პირველს“. შესიტყვება „პირველი პიონერი“ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მიუღებელია, მეტადრე, დღეს

საქართველოში აღარ არსებობს პიონერული ორგანიზაცია და არც მისი პირველი წევრი იქნება.

პირი – პიროვნება

არ არის სწორი: „მანქანას უნდა იყენებდეს ის პიროვნება (უნდა: პირი)“, „განიხილა 8 პიროვნების (უნდა: პირის) საქმე“, „ზოგიერთმა ცნობილმა პიროვნებამ (უნდა: პირმა) საჭიროდ ჩათვალა“, „ამ პიროვნებას (უნდა: უნდა პირთ) კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ“, „ქუჩას არქმევდნენ სახელს იმ პიროვნებისას (უნდა პირისას), რომელიც რამით იყო დაკავშირებული ამ ადგილთან“, „პიროვნებები (უნდა: პირნი) შეამჩნევენ“, „წესრიგის დამრღვევი პირები (უნდა დამრღვევი) მიცემული იქნებიან პასუხისგებაში“... (ქსკს).

პირმშო

არ არის სწორი: პირველი პირმშო, ბოლო პირმშო, უპირველესი პირმშო და მისთანანი (ქსკს).

საქმე

არ არის სწორი: „კინოს ოსტატთა სასახელო საქმეა (უნდა: საპატიო ვალია, მოვალეობა)“, „ახალ საგმირო საქმეებს (უნდა: ნარმატივებს) აღწევენ“, „პირუტყვის დანყურების საქმე (უმჯობესია: საკითხი) უნდა მოგვარდეს“, „მეტი ყურადღება მიაქციოს... მწვრთნელთა განაწილების საქმეს (უმჯობესია საკითხს)“, „კახეთში განვითარებული ყოფილა რწყვის საქმე (ჯობდა ტექნიკა)“, „11-მეტრიანი საჯარიმოების უკეთ შესრულების საქმეს (სწორია: შესრულებას)“, „გულისხმიერად ეკიდებიან... ღონისძიებების შესრულების საქმეს (სწორია: შესრულებას)“... (ქსკს).

სწავლა – განათლება

არ არის სწორი: „აპირებს განაგრძოს განათლება (უნდა: სწავლა)“, „მუსიკალური განათლება როგორ დამთავრდა (უნდა: მუსიკაში მეცადინეობა, ან მუსიკის სწავლა)“, „დამნაშავე იყო იმაში, რომ დიმიტრის სწავლა (უნდა: განათლება) არ მიელო“, „მუშაობენ თბილისში სწავლა მიღებული (უნდა: სწავლა-დამთავრებული) ახალგაზრდები“, „დღეს სოფელი არაა, რომ უმაღლესი სწავლით (უნდა: განათლებით) რამდენიმე არ იყოს“... (ქსკს).

ამ ბოლო დროს გვხვდება უმართებულო შესიტყვებაც: უმაღლეს სწავლა დამთავრებული. მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ: უმაღლესი განათლების მქონე, ან: უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული...

ტემპი

არ არის სწორი: მაღალი ტემპი, უმაღლესი ტემპი, უპირატესი ტემპი, დაბალი ტემპი.

სწორია: ჩქარი ტემპი, ნელი ტემპი... „მაღალი ტემპით მიმდინარეობს (უნდა: ჩქარი)“, მოითხოვს მაღალ ტემპს (უნდა: „ჩქარ“), „უპირატესი ტემპით ვითარდება (უნდა: უფრო ჩქარა)“, „დაბალი ტემპით ზრდის (უნდა: ნელი)“... (ქსკს).

ტექნიკა – ტექნოლოგია

ზოგჯერ ტექნიკის ნაცვლად უმართებულოდ ხმარობენ ტექნოლოგიას, მაგალითად: „მოძველებული იყო სასცენო ტექნოლოგია (უნდა: ტექნიკა)“, „სცენის ტექნოლოგიის სრულყოფის მიზნით კეთდება (უნდა: ტექნიკის) (ქსკს).

ტრადიცია

არ არის სწორი ახალი ტრადიცია დამკვიდრდა. უნდა ვიხმაროთ „ვისიმე ან რისიმე მოსახსენებელი, მოსაგონარი დღე, ვისიმე ხსოვნის დღე, რისამე აღსანიშნავი დღე, ახალი დღესასწაული და ა. შ. დადგინდა, დაწესდა (ქსკს).

ტრანსპორტზე

არ არის სწორი: ავიდა ტრანსპორტზე, ავტობუსზე, ტრამვაიზე, ტროლეიბუსზე, ვაგონზე...

უნდა: ავიდა ტრანსპორტში, ავტობუსში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში, ვაგონში...

ტრანსპორტზე, ავტობუსზე, ტრამვაიზე და ა. შ. მაშინ იქნება სწორი, თუ ვინმე ავტობუსს, ტრამვაის, ტროლეიბუსს, ვაგონს, მაღლა, სახურავზე, თავზე მოექცევა (ქსკს).

ტყუპი

არ არის სწორი: „ჰყავს ტყუპი ბავშვები“ (უნდა: ჰყავს ტყუპები), ტყუპი ძმები (უნდა: ტყუპი ძმა). „ტყუპ მსაზღვრელთან, როგორც რიცხვის გამომხატველ სიტყვასთან, საზღვრული მხოლობითში უნდ აიდგეს. ამრიგად, სწორი ფორმებია: ტყუპი ძმა, ტყუპი შვილი და მისთ. (ქსკს).

ფარა

არ არის სწორი: მგლის ფარა (უნდა: ხროვა), მაგალითად, „გამთენიისას მგლის ოცდახუთსულიანი ფარა თავს წამოგვადგა“, „მგლის ფარისა კი ბავშვობაშიც არ მშინებია“...

ქორნილში – ქორნილზე

„ქორნილი (ქორნილები) ყველგან ტრადიციული -ში თანდებულიანი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი“. ამდენად, სწორია: ქორნილშიაც მიიწვიეს, ქორნილში იყო დაპატიჟებული, ქორნილში თავს იწონებდნენ... არ არის სწორი: ქორნილზე მიიწვიეს, ქორნილზე იყო დაპატიჟებული, ქორნილზე თავს იწონებდნენ... (ქსკს).

ქობმახი

„ქობმახი ნიშნავს პატარ-პატარა ღარიბული სახლებს, ქობებს“... ერთი ქობის აღსანიშნავად ეს სიტყვა არ იხმარება და შეცდომითაა გამოყენებული შემდეგ წინადადებაში: „აი, იმ მენინავე ტივს გახედე, ხედავ, იმაზე ჩალის ქობმახი (უნდა: ქობი) დგას“ (ქსკს).

ცაცია

„ცაცია არც მარცხენას აღნიშნავს და არც მარჯვენა ხელს. მისი ფუნქციაა აღნიშნოს ადამიანი, რომელიც, სხვათაგან განსხვავებით, მარცხენა ხელს იყენებს მარჯვენა ხელის ნაცვლად“. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი: „ცაცია ხელს (უნდა: მარცხენა) მალ-მალე ისვამდა გიშერივით შავ, ხვეულად დაყრილ თმაზე“, „ჩაფიქრებული იდგა, საღ ცაციას (უნდა მარცხენა ხელს) მალ-მალე ისვამდა ხუჭუჭ თმაზე“... (ქსკს).

წარმატება

ამ სიტყვასთან არ ვიხმაროთ მსაზღვრელად მაღალი და დაბალი. წარმატება თავისთავად გულისხმობს მაღალს. მეორე მხრივ, თუ წარმატებაა, დაბალი როგორღაა (ქსკს).

წვლილი

ამ სიტყვასთან არ ვიხმაროთ შემდეგი მსაზღვრელები: დადებითი, საპატიო, ღირსეული, ღირსშესანიშნავი, ძვირფასი, მკაფიო...

წვლილი დადებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა და მასთან ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი შინაარსის მქონე სიტყვები ქმნიან ტავტოლოგიას (ქსკს).

ჭიდილი

„შეუფერებელია სიტყვათა შეხამება ჯანმრთელობასთან ჭიდილი, ვინაიდან ჯენმრთელობა გადასალახავი დაბრკოლება კი არა, სასურველი მდგომარეობა, მისალწვეი მიზანია. მაშასადამე, ჯანმრთელობასთან კი არა, არამედ ჯანმრთელობისათვის, მის მოსაპოვებლად, უზრუნველსაყოფად შეიძლება (და საჭიროა) ბრძოლა, ჭიდილი ავადმყოფობასთან (სენტან, სიკვდილთან...) (ქსკს).

ხვედრი

არ არის სწორი: ხვედრი ენია (უნდა: ბედი ენია), ზოგჯერ „ხვედრი“ ნახმარია „კუთვნილი“, „კუთვნილების“ ნაცვლად, მაგალითად: უფლება გაქვთ... მოითხოვოთ თქვენი ხვედრი (უნდა: კუთვნილი), „უკვე ერთეულთა ხვედრი (უნდა: კუთვნილება) აღარ არის“ (ქსკს).

ხსოვნა

არ არის სწორი: „ძნელია დაივიწყო მისი ნათელი ხსოვნა (უნდა: ძნელია დაივიწყო იგი, მისი ნათელი პიროვნება)“, „მათი ნათელი ხსოვნა დაივიწყებას არასოდეს არ მიეცემა (უნდა: მათ არასოდეს დაივიწყებთ, ან: მათი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენ შორის)“, „მის ნათელ ხსოვნას (უნდა: მას) სიკვდილის კარამდე არ დაივიწყებთ“, „სამარადჟამო ხსოვნა მიაგეს (უნდა თბილი სიტყვით მოიგონეს)“ (ქსკს).

ჯირითი

არ არის სწორი: ტრაქტორის გაჯირითება, მანქანის გაჯირითება, გააჯირითებს სანარმოო მაჩვენებლებს, ქართულმა ლექსმა გაიჯირითა და მისთანანი (ქსკს).

(ზემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო მაგალითთა შესახებ დანვრილებით იხილეთ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეშვიდე, თბ., 1985).

§ 2. ზედსართავი სახელი (//მიმდროება)

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზედსართავ სახელებთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფორმებზე:

კონკრეტული, არაკონკრეტული, აბსოლუტური.

უნდა: კონკრეტული და არაკონკრეტული, აბსოლუტური და არააბსოლუტური, რადგან „როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის წარმოებისას ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული. მაშასადამე, ზედსართავი უნდა ვანარმოოთ არა დრამატ ფუძისაგან, არამედ დრამა ფუძისაგან. ამის მიხედვით გვექნება: დრამა>დრამული, პრიზმა>პრიზმული, სისტემა>სისტემური, სქემა>სქემური, ეპიგრამა ეპიგრამული, ტრამვა>ტრამვული და სხვ. მაგრამ, თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მადბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება რუსული გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან: პნევმატური, პრაგმატული, სომატური“.

სასპორტო თუ სპორტული?

„ორივე სწორად ნანარმოები სიტყვაა, ოღონდ სხვადასხვა შესიტყვებაში ხან ერთი გამოიყენება ხან – მეორე, მაგალითად: სასპორტო დარბაზი, სასპორტო სკოლა, სასპორტო მაღაზია, მაგრამ – სპორტული თამაშები, სპორტული ტანვარჯიში და სხვ.“ (გ. შალ.)

ფასდაუდებელი თუ დაუფასებელი?

„ორივე ფორმა სწორია, ოღონდ მათ შორის აზრობრივი განსხვავებაა და ერთის მაგივრად მეორე არ უნდა გამოვიყენოთ: თუ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ღვანლი (ამაგი, წვლილი, სამსახური, საქმიანობა...) ძალიან ძვირფასია, მაშინ „ფასდაუდებელი“ უნდა ვთქვათ, ხოლო თუ ეს ღვანლი (ამაგი, წვლილი და ა. შ.) დაფასებული არ არის, მაშინ „დაუფასებელი“ (გ. შალ.).

თვისებრივი თუ თვისობრივი?

სწორია თვისებრივი (გ. შალ.).

ამონახსენი თუ ამონახსნი?

სწორია: ამონახსენი (გ. შალ.).

გარკვეული უპირატესობა?

სიტყვა „გარკვეულს“ ხშირად არადანიშნულებისამებრ ხმარობენ, მაგალითად: „მოვიპოვეთ გარკვეული წარმატება“, „გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები“, „გვექონდა გარკვეული ნაკლოვანებები“, „გარკვეული მუშაობა ჩატარდა ჩამორჩენის დასაძლევად“ და სხვ.

ამ და მსგავს გამოთქმებში „გარკვეული“ არაფერზე არ იძლევა წარმოდგენას და, მაშასადამე, „პარაზიტი“ სიტყვაა.

ასევე ხშირად ხმარობენ შესიტყვებას „გარკვეული უპირატესობა“. რაც გასარკვევია, რაც გაუგებარია, მას არ შეიძლება ეწოდოს გარკვეული; რაც გარკვეულია, ნათელია, იქ შეიძლება ვიხმართ სიტყვა „გარკვეული“, მაგალითად: „დიდი ხნის წინათ გარკვეული საკითხი ზოგიერთისათვის ხელახლა გასარკვევი გახდა (გ. შალ.).

მოცემული საკითხი

ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვა „მოცემული“ ნახმარი არის „ეს“, „ამ“ ნაცვალსახელების ნაცვლად. მაგალითად: „მოცემულ პრობლემაზე მუშაობენ“ (შდრ. ამ პრობლემაზე მუშაობენ), „მოცემული ქვეყანა გამოირჩევა“ (შდრ. ეს ქვეყანა გამოირჩევა), „მოცემული ლექსი მხატვრულად ასახავს“ (ეს ლექსი მხატვრულად ასახავს)...

„ქართულში „მოცემული“ მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იმ სახელით აღნიშნული საგანი, რომლის მსაზღვრელადაც ის გამოვიყენეთ, მართლა მოცემულია: ამხანაგის მიერ მოცემული წიგნი, სკოლაში მოცემული დავალება და ა. შ.“ (გ. შალ.).

ნომერ პირველი ამოცანა თუ უპირველესი ამოცანა?

სწორია: უპირველესი ამოცანა (გ. შალ.).

კარგი მეგობარი? კარგი მახარობელი?

თუ მეგობარია, მაშასადამე, კარგია. ამის გამო, „მეგობართან“ სიტყვა „კარგი“ ზედმეტია (გ. შალ.). თუ „მახარობელია“ ისედაც კარგია, ამიტომ ამ შესიტყვებაში „კარგი“ ზედმეტია.

წონადი წვლილი

„წვლილის“ მსაზღვრელად გამოვიყენოთ: დიდი, მნიშვნელოვანი, დიდმნიშვნელოვანი, უდიდესი, თვალსაჩინო, საგრძნობი, ფასდაუდებელი, შესამჩნევი, ღირსეული... „წონადი წვლილი“ მიუღებელია. იგი რუსული ენის კალკია (გ. შალ.).
სწავლას მონყურებული თუ სწავლამონყურებული?
სწორია: სწავლამონყურებული (გ. შალ.).

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე ტომში (1985 წ.) ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ზედსართავ სახელებზე (//მიმღეობებზე):

ადგილობრივი მკვიდრი

„ადგილობრივი მკვიდრი“ ტავტოლოგიაა. უნდა ვიხმაროთ ადგილობრივი, ან: აბორიგენი, მკვიდრი (ქსკს).
არცთუ დიდი, არცთუ პატარა, არცთუ მომცრო და მისთანანი.

„არცთუ ნაწილაკის დართვას ოდნაობითი შინაარსი შეაქვს ზედსართავებში, ამიტომ ოდნაობით ფორმებზე (მოდიდო, მომცრო, მომსხო, მომალლო, მოზრდილი...) მისი დართვა უკვე აღარ არის საჭირო. იგი ზედმეტია, მაგ. შემდეგ წინადადებაში: „არცთუ მოზრდილ (უნდა ყოფილიყო არცთუ დიდ, ან: მომცრო) კაბინეტში... სურათები ეკიდა“ (ქსკს).

აუტანელი, აუტანლად

სიტყვა „აუტანელი“ დადებითი ემოციის მქონე სიტყვასთან მქონე სიტყვებთან არ შეიძლება გამოვიყენოთ მსაზღვრელად. არ არის სწორი: აუტანელი სიტკბოება, აუტანელი საესტრადო ინტონაცია...

აღნიშნული მიმღეობისაგან ნაწარმოებ აუტანლად ზმნისართსაც განსაკუთრებული ემოციური დატვირთვა აქვს. ხშირ შემთხვევაში იგი იხმარება შემდეგი ზმნისართების მაგნივრად: ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ... მაგალითად: აუტანლად (მეტისმეტად) მოსწონდა, აუტანლად (უნდა: ძალიან) მინდა ხოლმე აქ ყოფნა, აუტანლად (უნდა: მეტისმეტად) მოუნდა მოჭიდებოდა რალაცას (ქსკს).

აღმოცენებული

არ არის სწორი: აღმოცენებული საფრთხე. უნდა: არსებული, წარმოშობილი, წარმოქმნილი საფრთხე, მაგალითად:

„რომანებში აღმოცენებული ერთგვარობისა და ერთფეროვნების საფრთხე“ (ქსკს).

განლაგებული

არ არის სწორი: ხალხი განლაგებულია, მოქალაქეები განლაგებულია, ადამიანები განლაგებულია... „ქალაქგარეთ... განლაგებული (უნდა: დასახლებული, დაბინავებული) ადამიანებისათვის აუცილებლად საჭირო იქნება...“, „ხოლო იმ მომხმარებლებს, რომლებიც განლაგებული არიან (უნდა: ცხოვრობენ, ბინადრობენ)... დროულად უნდა მოამზადონ ღუმელები“, „სარდაფები და ნახევარსარდაფები... განლაგებული არიან (უნდა: მოთავსებულია)“ (ქსკს).

დაზარალებული, დაშავებული, დაზიანებული

არ არის სწორი: „დაზარალებული შუბლაძე საავადმყოფოში მოათავსეს“ (უნდა: დაშავებული), „ბრალი ორივეს – შოფერსაც და დაზარალებულსაც (უნდა: დაშავებულსაც) – მიუძღვოდა“, „დაზარალებული (უნდა: დაშავებული) სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა“ (ქსკს).

დამოკიდებული

სწორია: სიტყვა დამოკიდებულთან. ამ ბოლო დროს უმართებულოდ იყენებენ ზე თანდებულის ნაცვლად გან თანდებულს: „დამოკიდებული არ არის კვების ხასიათისაგან“ (უნდა: ხასიათზე), „მთავარი და დამოკიდებელი წინადადება ერთმანეთისაგან (უნდა: ერთმანეთზე) არიან დამოკიდებულნი“, „შეიძლება დამოკიდებული იყოს სუბიექტისაგან (უნდა: სუბიექტზე)“ (ქსკს).

დაძაბული

არ არის სწორი: დაძაბული გეგმა, დაძაბული ვალდებულება, მაგალითად: „აილეს დაძაბული (უნდა: გაზრდილი)... ვალდებულებები“, „იღებენ დაძაბულ (უნდა: გაზრდილ, საპასუხიმგებლო) გეგმებს“, „დაძაბული (უნდა: საპასუხიმგებლო, მძიმე) დავალება... აკისრიათ“... (ქსკს).

დიდი

არ არის სწორი: დიდი შეფასება (უნდა: დიდი დაფასება), დიდი სიტყვა (უნდა: გადამწყვეტი, ავტორიტეტული), დიდი საკითხი (უნდა: მნიშვნელოვანი, სერიოზული), დიდი სადავო (უნდა: ბევრი)...

ზედსართავი სახელი „დიდი“ პრესის ენაში უმართებულოდ იხმარება „მისგან სემანტიკურად საკმაოდ დაშორებული სხვა ზედსართავების ნაცვლად, როგორცაა: მაღალი, ბევრი, გადა-მწყვეტი, ავტორიტეტული, მნიშვნელოვანი, დიდმნიშვნელოვანი, განსაკუთრებული...“ (ქსკს).

კეთილშობილი, კეთილშობილური

„კეთილშობილი“ ვიხმაროთ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან, მაგალითად: კეთილშობილი ბავშვი, ადამიანი, ქალი და მისთანანი.

„კეთილშობილური“ ვიხმაროთ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან, მაგალითად, კეთილშობილური გრძნობა, მუშაობა, საქმე, სიყვარული, განზრახვა, წარმოდგენები, მოვლენა, მიზანი, თვისებები, საქმიანობა და მისთანანი (ქსკს).

კორექტული, კორექტურული

კორექტურული შეიძლება იყოს მხოლოდ შეცდომა, კორექტული კი შეიძლება იყოს: ქცევა, მოქმედება, საუბარი, დამოკიდებულება ადამიანებს შორის. „კორექტული“ და „კორექტურული“ განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვებია. მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება, შეცდომაა, მაგალითად: „უზადო კორექტურული (უნდა: კორექტული) ქცევით არ დააშოშმინებს“, კორექტურულმა (უნდა: კორექტულმა) მოქმედებამ უვნებელყო საშიში ბოროტმოქმედება... (ქსკს).

მაღალი

„მაღალი დევნის ხმარებიდან ზედსართავ სახელებს: კარგი, კეთილი, ჩინებული, უხვი, დიდი (და მათ უფროობითი ხარისხის ფორმებს: უდიდესი, ასევე საუკეთესო...)“.

ვიღებთ სტილისტიკურად შეუფერებელ შესიტყვებებს: მაღალი მოსავალი (უნდა: უხვი მოსავალი), მაღალი საზღაური (უნდა: დიდი საზღაური), მაღალი ჰონორარი (უნდა: დიდი ჰონორარი), მაღალი წარმადობით (უნდა: დიდი წარმადობით), მაღალი წველადობა (უნდა: კარგი ან უხვი წველადობა), ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (უნდა: საუკეთესო მაჩვენებელი), შედეგი ძალიან მაღალია (უნდა: საუკეთესოა, შესანიშნავია), მაღალი თვისებები (უნდა: კეთილი, კარგი თვისებები), მაღალი განვრთნილობა (უნდა: კარგი, საუკეთესო განვრთნილობა),

მაღალი ავტორიტეტი (უნდა: დიდი ავტორიტეტი, ანდა სულაც გამოვტოვოთ სიტყვა მაღალი), მაღალი პასუხისმგებლობით (უნდა: დიდი) (ქსკს).

მებრძოლი

არ არის სწორი მებრძოლი განწყობილება (უნდა: საბრძოლო განწყობილება), მებრძოლი რევოლუციური შეგნება (უნდა: საბრძოლო ან: რევოლუციური ბრძოლის)... (ქსკს).

მერძეული

„მერძეული“ რძის მომცემი მენველს ნიშნავს, „მერძეული“ შეიძლება იყოს მხოლოდ პირუტყვი. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი: მერძეული ფერმა, მერძეული მიმართულება, მერძეული მიმართულების კოლმეურნეობა (ქსკს).

მესვეურები

არ არის სწორი: „ნუ შემოგვწყრებიან გაერთიანების მესვეურები“ (უნდა: ხელმძღვანელები), „თბილისის განყოფილების მესვეურთა (უნდა: ხელმძღვანელთა) პასუხში რედაქციისადმი“, „თითქმის ყოველდღიურად უცქერიან ქალაქის მესვეურები (უნდა: თავკაცები)“, „სად არიან სასოფლო საბჭოს მესვეურები (უნდა: ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პირნი)“, „ჰკითხეს კომბინატის მესვეურთ (უნდა: ხელმძღვანელებს)“, „სატელეფონო კვანძის მესვეურები (უნდა: ხელმძღვანელები)“, „ორგანიზაციის მესვეურ-წარმომადგენლები“ (ზედმეტია მესვეური).

„უხერხული ჩანს მესვეურის გამოყენება ზოგადად მზრუნველის, ქომაგის, გულშემატკივარის მნიშვნელობით, მაგალითად: ტყის მესვეური, სპორტის მესვეური, მუსიკის მესვეური, საფეხბურთო არენათა მესვეურები, ოჯახის მესვეური. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ვიხმაროთ ხელმძღვანელი, თავკაცი, წამომწყები, დამაარსებელი, ინიციატორი და ა. შ. (ქსკს)“

მეჩხერიანი, მეჩხერიანობა

არ არის სწორი: მეჩხერიანი ტრიბუნა, მეჩხერიანობის ლიკვიდაცია, „მეჩხერიანობასაც თანდათან ვამცირებთ“, „ბარების მეჩხერიანობა“ და მისთ.

ყველა შემთხვევაში შევჩვალოთ „სიმეჩხერე“-თი.

მზიური

არ არის სწორი: მზიური სასმელი, მზიური სახელები.

მთელი

არ არის სწორი: მთელი გულით, მთელი სულითა და გულით... მთელი ასეთ შესიტყვებებში ზედმეტია.

მთელი არ ვიხმართ გულის მსაზღვრელად (ქსკს). არც გულისყური და არც მონდომება მსაზღვრელს – „მთელს“ არ საჭიროებს. ამ სიტყვებთან მსაზღვრელად ვიხმართ „დიდი“ (დიდი გულისყურით, დიდი მონდომებით). ასევე შესიტყვება „მთელი ამბავი“ უნდა შეიცვალოს შესიტყვებით: „დიდი ამბავი“.

მინიჭებული მოვალეობა

სწორია: დაკისრებული მოვალეობა.
მონოტონური

არ არის სწორი: მონოტონური განვითარება (უნდა: ერთფეროვანი), მონოტონური მსჯელობა (უნდა ერთფეროვანი, მშრალი), მონოტონური ციფრები (უნდა მშრალი)...

მოწეული

არ არის სწორი: მოწეული სასმელი, მოწეული ღვინო, უნდა: მოწეული ყურძნის სასმელი, მოწეული ყურძნის ღვინო...

მრავალრიცხოვანი, დიდძალი

არ არის სწორი: მრავალრიცხოვანი ტურისტი (უნდა: მრავალი), მრავალრიცხოვანი გამოკვლევა (უნდა: მრავალი), „დაინყო ფიგურების მრავალრიცხოვანი გაცვლა“ (უნდა: მრავალჯერ გაცვალეს ფიგურები, ან: მრავალი ფიგურა გაცვალეს), „დარბაზმა ვერ დაიტია მრავალრიცხოვანი ტურისტი“ (უნდა: მრავალი ტურისტი).

„მრავალრიცხოვანის“ სინონიმია „დიდძალი“. არ არის სწორი: „დიდძალი საინტერესო ჩანაწერები“ (უნდა: ბევრი...) „ყოველდღიურად სცემს დიდძალ საუკეთესო ნაწარმოებს“ (უნდა: მრავალს, ბევრს) (ქსკს).

მრავალტანჯული

არ არის სწორი: მრავალტანჯული ისტორია. უნდა: მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორია.

„მსგავსივე არასწორი გამოთქმაა მრავალჭირნახული წარსული. მრავალჭირნახული შეიძლება იყოს ქვეყანა, ხალხი და არა მისი წარსული. მაგ.: „საქართველოს მრავალჭირნახული წარსული (უნდა იყოს: მრავალჭირნახული საქართველოს, ან: ქართველი ხალხის წარსული) ბევრ, ჩვენთვის საინტერესო ამბავს ინახავს“ ... (ქსკს).

მძიმე

არ არის სწორი: მძიმე დამცირება, მძიმე სიძნელე, მძიმე ტკივილი... „მძიმე სიძნელეებს უქმნიან“ (უნდა: დიდ სიძნელეებს), „მძიმე თავის ტკივილს გრძნობდა“ (უნდა: ძლიერ)...

მწვავე

არ არის სწორი: მწვავე შეკითხვა, მწვავე მასალა, მაგალითად: „ნება მიბოძეთ, რამდენიმე მწარე შეკითხვა მოგცეთ“ (უნდა: საჭირობოროტო, აქტუალური, მტკივნეული), „მწვავე მასალა დაიბეჭდა“ (უნდა: კრიტიკული, პოლემიკური ან სადავო), (ქსკს).

პასუხისმგებელ – პასუხსაგები

არ არის სწორი: პასუხისმგებელ თანამდებობაზე (უნდა: პასუხსაგებ, ან საპასუხისმგებლო) პასუხისმგებლური დავალებები ეძლევა (უნდა: საპასუხისმგებლო), „მას არ აშინებს მომენტის პასუხისმგებლობა“ (უნდა: პასუხსაგები, უმჯობესია: მას არ აშინებს მომენტის სირთულე, სიმწვავე) (ქსკს).

რელიგიური

არ არის სწორი: რელიგიური კაცი ვარ (უნდა: მორწმუნე), რელიგიური პიროვნება (უნდა: მორწმუნე)... (ქსკს).

სანაქებო

არ არის სწორი: სანაქებო გამარჯვება (უნდა: სასახელო), სანაქებოდ უნდა ითქვას (უნდა: სასახელოდ), არც ერთი სანაქებო ფურცელი (არც ერთი სასახელო ფურცელი)... (ქსკს).

სასტიკი, სასტიკად

არ არის სწორი: სასტიკი ბუჩქნარი (უნდა: ხშირი, გაუვალი), სასტიკად ირღვევა (უნდა: მეტისმეტად), სასტიკად იცავენ (უნდა: მკაცრად) (ქსკს).

სალი

არ არის სწორი: სალი გონება გაიმარჯვებს. „კონტექსტი გულისხმობს: გაიმარჯვებს სიმართლე ანუ მართალი, სწორი აზრი (და არა გონება! ჭკუა-გონება თავისთავად არ შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი). მაშასადამე, სათანადო კონტექსტისათვის შესაფერისი მართებული გამოთქმა იქნება: სალი აზრი გაიმარჯვებს“ (ქსკს).

სრული

არ არის სწორი: სრული ოთახი (უნდა: დიდი, ან: ფართო).

უბრალო

არ არის სწორი: უბრალო სკამი (უნდა: ჩვეულებრივი), უბრალო ტანსაცმელი (უნდა: არ იყო გამორჩეული), უბრალო რამ გაფრთხობს (უნდა: უმნიშვნელო), ცეკვაში არ მონაწილეობდნენ უბრალო მიზეზის გამო (უნდა: მარტივი), უბრალოა (უნდა: უმნიშვნელოა), უბრალო მაგალითი (უნდა: მარტივი) (ქსკს).

უებარი, უებრო

„უებარი“ იხმარება უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან (წამალი; საშუალება...), „უებრო“ კი გამოიყენება სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან, მაგალითად: უებრო მთრობელი, უებრო მეგობარი და ა. შ.

არ არის სწორი: უებრო გენიოსი (უნდა: გენიოსი, უებრო ზედმეტია). უებარი მეზობელი (უნდა: კარგი, შესანიშნავი), უებარი მოსაუბრე (უნდა, უებრო), უებარი სიტუაციის გამო (უნდა უებრო), უებარი შარვლები (უნდა: კარგი, შესანიშნავი, მისწრება), უებარი მეხსიერება (უნდა: შესანიშნავი) (ქსკს).

უკუგება

არ არის სწორი: ზუსტი უკუგება (უნდა: რეალური, ან მაქსიმალური), მთავარია მისი უკუგება (უნდა: სარგებლობა, სასარგებლო შედეგი), სრული უკუგება, სრული თვითუკუგება (უნდა: თავდადება, თავგანწირვა), უკუგებას მოითხოვს (უნდა: ამასვე, ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვს)...

სწორია: რეალური უკუგება, სასურველი უკუგება, მაღალი უკუგება, მაქსიმალური უკუგება დ ამისთ. (ქსკს).

უკუდო თავმოყვარე

არ არის სწორი: „უკუდო თავმოყვარე“.

სწორია: „უკუდო ამპარტავანი“ (ქსკს).

უპირველესი

არ არის სწორი: უპირველესი დადგმის სურნელი (უნდა: პირველი), ჩემი უპირველესი მსაჯული (უნდა: პირველი), პროგრესია მისი უპირველესი (ზედმეტია) კრედო...

სიტყვა „ბაირახტართან“ მსაზღვრელად არ გამოვიყენოთ: პირველი, უპირველესი.

„თუ მხატვრულ-ლიტერატურის ენაში უპირველეს ფორმის ხმარება მეტაფორულად თქმის სურვილით შეიძლება აიხსნას, მას არავითარი გამართლება არ მოეძებნება შედარებით

ნეიტრალური (კერძოდ, ოფიციალური, საქმიანი) სტილის მეტყველებაში, რომელსაც აზრობრივი სიტყვადე და სიზუსტე მოეთხოვება“ (ქსკს).

უპრეცედენტო

არ არის სწორი: უპრეცედენტო შემთხვევა (უნდა: ერთადერთი), მაგ.: „ვისურვებდი, აგრეთვე, რომ ეს გამოფენა არ ყოფილიყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომ ამგვარი ანგარიში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდეს“ (ქსკს).

ფართო

არ არის სწორი: იმსახურებს ფართო კვლევით ანალიზს (უნდა: საჭიროებს ღრმა ანალიზს), ფართო ადგილი დაეთმობა (უნდა: დიდი), ფართო მონაწილეობა (უნდა: აქტიური მონაწილეობა), ფართო მონაწილეობას მიიღებს (უნდა: მასობრივად ჩაებმება), ფართო მხარდაჭერა (უნდა: ფართო მასების მხარდაჭერა) (ქსკს).

შთაგონებული

არ არის სწორი: შთაგონებული სიტყვები (უნდა: შთამაგონებელი), – შთაგონებული ჰიმნი (უნდა შთამაგონებელი), შთაგონებული ნიმუშები (უნდა: შთამაგონებელი) (ქსკს).

შუაგული

არ არის სწორი: დღის შუაგული, ღამის შუაგული (უნდა: შუადღისას, შუაღამისას), შუაგული ცეცხლი (უნდა: შუაცეცხლი), შუაგულ დარბაზში (უნდა: შუა დარბაზში), შუაგულ ოთახში (უნდა: შუა ოთახში), შუაგული რაიონებისაკენ (უნდა: შიდა/შუა რაიონებისაკენ), მუშაობის შუაგულში იყო (უმჯობესია: ამ ღონისძიებათა (ან მოვლენათა) სული და გული იყო) (ქსკს).

ცალკეული

არ არის სწორი: ათვალიერებდნენ ცაკლეულ განყოფილებას (უნდა: თითოეულ), ცალკეული ლექციები (უმჯობესია: ლექციები) (ქსკს).

§ 3. რიცხვითი სახელი

უმართებულო ხმარების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სულ რამდენიმე რიცხვითი სახელი:

ორთავემ იცის?

სწორია: ორივემ იცის, ორივეს გავაგებინე... (გ. შალ.).

მეორეული თუ მეორადი?

სწორია: მეორეული, მესამეული, მეოთხეული და არა „მეორადი“ (გ. შალ.).

პირველი

„პირველი“ მსაზღვრელად არ გამოდგება ისეთ სიტყვებთან, რომელთა ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა თავად შეიცავს პირველის გაგებას. ასეთი სიტყვებია: ნათლობა, პირმშო, პიონერი, დებიუტი, ნათლია, მეკვლე, პრემიერა (ქსკს).

§ 4. ნაცვალსახელი

1. **არ არის სწორი:** თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული თქვენთაგანი, ყოველი ჩვენთაგანი, ყოველი თქვენთაგანი, ყოველი მათთაგანი და ა. შ.

სწორია: თითოეული ჩვენგანი, თითოეული თქვენგანი, ყოველი ჩვენგანი, ყოველი თქვენგანი, ყოველი მათგანი და ა. შ.

2. **არ არის სწორი:** მათმა (ამათმა, იმათმა) გააკეთეს, მათმა (ამათმა, იმათმა) ააშენეს, მათმა (ამათმა, იმათმა) დაწერეს და სხვ.

სწორია: მათ (ამათ, იმათ) გააკეთეს, მათ (ამათ იმათ) ააშენეს, მათ (ამათ, იმათ) დაწერეს და სხვ.

3. თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებადაა გამოყენებული, მაშინ ასეთ შემთხვევაში „მათმა“ უნდა ვიხმაროთ: მათმა (ამათმა, იმათმა) მეზობლებმა გააკეთეს, მათმა (ამათმა, იმათმა) ამხანაგებმა ააშენეს, მათმა (ამათმა, იმათმა) მეგობრებმა დააწერეს და ა. შ. (გ. შალ.).

4. **შეცდომაა:** აგენი, იგინი, აგენმა, აგენს, აგენის, აგენით, იგენმა, იგენს, იგენის, იგენით (დიალექტიზმებია), რეები, რეებმა, რეებს, რეების და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ნაცვალსახელებზე:

მისი თუ მისეული

არ არის სწორი: მისეული ლექსები, მისეული მოთხრობები, მისეული შემოქმედება...

სწორია: მისი ლექსი, მისი მოთხრობები, მისი შემოქმედება... (გ. შალ.).

თავიანთი

„თავიანთ“ ფორმა მრავლობითში იხმარება ისეთ სიტუაციაში, როცა მხოლობითში თავის ნაცვალსახელი უპირისპირდება (ქსკს).

არ არის სწორი: მათი რჩეული პროფესიის დაუფლებას მოითხოვენ (უნდა თავიანთი), იგონებდნენ მათი გაბუტვის ამბავს (უნდა თავიანთი), ასევე არ არის სწორი: განაწყენდებიან, თუკი თავიანთი (უნდა: მათი) საამაყო მევენახის სახელს დავუმალავთ...

თავისი

1. „თავის ნაცვალსახელის ხმარება ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის და ამდენად ზედმეტია“. თავის ლაზათს მატებს, თავისი კალიგრაფიული ხელით, თავისი ავტობიოგრაფია, თავისი ავტოპორტრეტი. თავისი ავტოგრაფი, თავისი თანაქალაქელი, თავისი თანასოფლელი...

2. „თავის-ნაცვალსახელი არასწორადაა გამოყენებული მის ნაცვალსახელის მაგივრად“. არ არის სწორი: თავის სამეფოში (უნდა: მის სამეფოში, თავის მრავალ ჯილდოს (უნდა: მის მრავალ ჯილდოს)...

3. „თავის-ნაცვალსახელის მაგივრად გამოყენებულია „მისი“ არ არის სწორი: ზურა ყიფშიძე მღელვარებით ეგებება ყოველ ახალ როლს, რომლითაც სიხარული უნდა მოუტანოს მის მაყურებელს (უნდა: თავის).

მისი

„მისი“ და „თავისი“ თანამედროვე ქართულში იხმარება უკუთქმითი ფუნქციით. „ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე ქართულში ხშირია მის და თავის ნაცვალსახელთა ხმარებისას აღრევის შემთხვევები“ (ქსკს).

არ არის სწორი: ლაპარაკობდა მის დედულეთზე (უნდა: თავის), მიყვებოდა მის ოჯახზე (უნდა: თავის), მის მოადგილეს

დაავალა (თავის), სიტყვა აქვს შეტანილი მის ლექსიკონში (თავის), სიხარული უნდა მოუტანოს მის მაყურებელს (უნდა: თავის), უნდა დაიცვას მისი ოჯახის ღირსება (უნდა: თავისი) (ქსკს).

§5. ზმნა

პერიფრასტული (აღწერიითი) ვნებითი

ბოლო დროს ქართულ ენაში გავრცელდა აღწერიითი ფორმები: *აღებულ იქნა*; *წაკითხულ იქნა*, *გადატანილ იქნა*... მათ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ მოქმედებითი გვარის ზმნები: *აიღეს*, *წაიკითხეს*, *გადაიტანეს*...

აღწერიითი ანუ პერიფრასტული ვნებითი შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა ზმნას ვნებითის ფორმების წარმოება არ შეუძლია, ასეთებია: *წაიღო*, *წაიყვანა*, *გაიტანა*, *მიიტანა*, *შეიძინა* და *სხვები* (ა. შანიძე). სხვა შემთხვევებში უმტკივნეულოდ ვიხმაროთ აქტიურ ფორმებს. მაგ.: „შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა საქართველოს ააოხრა და განადგურა, ტყე და ვენახი მოსპო, ხალხი განვიტა და ვინც გადარჩა, ტყვედ წაიყვანა სპარსეთში“ – შეიცვალა ვნებითით: „შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანი ლაშქრისაგან საქართველო აოხრდა და განადგურდა, ტყე და ვენახები მოისპო; ხალხი განყდა და ვინც გადარჩა, ტყვედ იქნა წაყვანილი სპარსეთში“. მაგრამ არ ივარგებს, თუ ვიტყვით: „საქართველო აოხრებულ და განადგურებულ იქნა, ტყე და ვენახები მოსპობილ იქნა“ და სხვ. ეს როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელია. (ვ. თოფური, ქართული ენისა და მართლწერის ზოგიერთისაკითხი, თბ., 1965, გვ, 106).

აღწერიითი ფორმები განსაკუთრებით მომრავლდა თანამედროვე ქართული პრესის ენაში. აქ ვხვდებით შემდეგ ფორმებს: *დასახულ იქნა*, *განთავისუფლებულ იქნა*, *გამომჟღავნებულ იქნა*, *შემონმებულ იქნა*, *დამზადებულ იქნა*, *შესრულებულ იქნა*, ... მათ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ: *დასახეს*, *გაათავისუფლეს*, *გამოამჟღავნეს*, *შეამონმეს*, *დაასამარეს*, *გაალამაზეს*, *გაატარეს*, *დაამზადეს*, *შეასრულეს*...

ასევე არ არის სწორი: *დაჯილდოვებულ იქნა*, *წახალისებულ იქნა*, *მოხრეშილ იქნა*, *დასმულ იქნა*, *გაანალიზებულ იქნა*,

მიქცეული იქნა, გამოსწორებულ იქნა, ჩატარებულ იქნა, გაშენებულ იქნა. გადაადგილებულ იქნა, ჩანერილ იქნა, გარემონტებულ იქნა, დამუშავებულ იქნა, გაჩხრეკილ იქნა, დაშლილ იქნა...

სწორია: ნახალისდა, ნახალისეს, მოიხრეშა, მოხრეშეს, დაისვა. დასვეს, განალიზდა, გაანალიზეს, ჩატარდა. ჩაატარეს, გაშენდა, გააშენეს, განზოგადდა. განაზოგადეს, განხორციელდა, განახორციელეს, ჩაინერა, ჩანერეს, გარემონტდა. გაარემონტეს, დამუშავდა, დაამუშავეს, დაიშალა, დაშალეს...

„უმეტესწილად აღწერილობითი ვნებითი აქტიური მოქმედების აღსანიშნავად არის გამოყენებული, ისინი ევრ ჩათვლებიან ვნებითის წყვეტილის ფორმებად და ამდენად უფრო არაბუნებრივად ჩანან“.

დაკავებულ იქნა, მოწვეულ იქნა, მოსმენილ იქნა, და ა. შ. მსგავს ფორმებს აქტიური ფორმებით გამოყენება აჯობებდა: დააკავეს, მოიწვიეს, მოისმინეს, გადააყენეს და ა. შ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბ., 1980, გვ. 257).

2. ა და არის

სტილის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს შემასმენლის ზმნური ნაწილის „არის“ და მისი შემოკლებული სახის „ა“-ს ხმარების საკითხი. თანამედროვე ქართულში ისინი ერთმანრეთს ადვილად ენაცვლებიან. შეინიშნება „ა“-ს მოჭარბებული ხმარება, როგორც ცნობილია, „არის“ უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს რამის არსებობას, ყოფნას, თვისებას, „ა“ კი ლაკონიურს ხდის მეტყველებას. მათი შენაცვლება ყოველთვის არ შეიძლება. შეიმჩნევა სტილური გადახრები, კერძოდ:

ა) „ა“ ზოგჯერ სრულად უადგილოდ არის ნახმარი: „რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებანი გამოჩენილი მეცნიერების გვარების მსგავსია? უნდა იყოს: „რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებებია გამოჩენილი მეცნიერების გვარების მსგავსი?“

ბ) როცა წინადადებაში ერთნაირი წევრებია და კავშირით ერთდება, მაშინ ზმნური ნაწილის ხმარება მხოლოდ ერთ სახელად ნაწილთან არის მიზანშეწონილი და არა ორივესთან (ყველასთან), მაგ.: „მისი პოეზია მეტად მდიდარია და მრავალფ-

ეროვანია“, უნდა „მისი პოეზია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია“.

გ) ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის გამეორება სტილს აუფერულებს, მაგ.: „ნაღლიანი იმიტომ ხარ, რომ დიდი ხნის უჭმელი ხარ?“ უნდა გასწორდეს ასე: „ნაღლიანი იმიტომ გამოიყურები, რომ დიდი ხნის უჭმელი ხარ?“

დ) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მოკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი, მაგალითად: „გივი და კოტე კარგი მეგობრებია“. უნდა: „გივი და კოტე კარგი მეგობრები არიან“.

ე) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი შეკვეცილი ფორმის ნაცვლად სრულადაა წარმოდგენილი. მაგ.: „წყალტუბოს სამკურნალო წყლებს შორის ჩვენი ვრცელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აქვს განთქმული სახელი“.

უნდა იყოს: „წყალტუბოს სამკურნალო წყლები განთქმულია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც“.

ვ) შემადგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი – მიმღეობა – მრავლობით რიცხვშია, მაგ.: „ისე შემიყვარეთ, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ გაზრდილები“. სწორია: „ისე შემიყვარეთ, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ ვაზრდილი“.

საერთოდ, ასეთ შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის მიმღეობური სახელადი ნაწილი ყოველთვის მხოლოდითი რიცხვის ფორმით უნდა ვიხმაროთ (გ. შალამბერიძე რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974, გვ. 46-48).

გიორგი შალამბერიძის „მეტყველების კულტურის საკითხებში“ (1988) ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ზმნებზე:

არ არსებობს

მეტყველებაში ხშირად ხმარობენ „არ არსებობს“ ისეთ წინადადებაში, რომელშიც მას არავითარი დანიშნულება არა აქვს. მაგალითად: „არ არსებობს, რომ თამრიკო მოუმზადებელი წავიდეს სკოლაში“, „არ არსებობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ინახულოს თავისი ამხანაგი“ და მისთანანი.

„არ არსებობს“ უნდა შევცვალოთ და ვთქვათ: არ ყოფილა შემთხვევა, არ მომხდარა, არ მახსოვს, შეუძლებელია არ შეი-

ძლება, როგორ შეიძლება, ვერ წარმომიდგენია, წარმოუდგენელია და სხვ.

სიტყვაში გამოვიდა თუ სიტყვით გამოვიდა?

სწორია: სიტყვით გამოვიდა.

სამუშაოდ განანესეს, გაგზავნეს თუ გაანანილეს?

სწორია: სამუშაოდ განანესეს, გაგზავნეს.

არ არის სწორი: სამუშაოდ გაანანილეს (ერთი კაცის „განანილება შეუძლებელია“).

იღებს თუ ღებულობს?

„იღებს“ და „ღებულობს“ ზმნები შინაასობრივად სხვაობას ავლენს. უნდა: იღებს ავადმყოფს, გამოწვევა, გადაწვეტილებას, მოსწავლეებს,... ღებულობს ხელფასს, პენსიას, წერილს, სასწავლებელი მოსწავლეებს იღებს.

იღვნის თუ იღწვის?

სწორია: იღვნის.

ბედი ენია თუ ბედი ეწვია?

სწორია: ბედი ენია.

ავტომანქანა ჰყავს თუ ავტომანქანა აქვს?

სწორია: ავტომანქანა ჰყავს.

გაგაცნოთ მათ თქვენ თუ გაგაცნეს მათ თქვენ?

სწორია: გაგაცნეს მათ თქვენ ის (ისინი).

უზრუნველყოფილ იქნეს თუ უზრუნველყოფილ იქნას?

სწორია: უზრუნველყოფილ ვიქნე, უზრუნველყოფილ იქნე, უზრუნველყოფილ იქნეს.

თანაუგრძნობს თუ უთანაგრძნობს?

სწორია: თანავუგრძნობ, თანაუგრძნობ, თანაუგრძნობს, თანამიგრძნობს, თანგიგრძნობს, თანამიგრძნვნია, თანაგიგრძვნია, თანაუგრძვნია.

არ არის სწორი: ვუთანაგრძნობ, უთანაგრძნობ, უთანაგრძნობს, მითანაგრძნობს, გითანაგრძნობს, მითანაგრძნია, გითანაგრძნია, უთანაგრძნია...

ასევე სწორი ფორმაა თანავარსებობს და არა ვთანაარსებობს.

არ არის სწორი: რა მოუყვა, რა დაჰპირდა.

სწორია: რას მოუყვა, რას დაჰპირდა.

ასევე არ არის სწორი: მასწავლებელმა მოუყვა მოსწავლეებს გაკვეთილი, ჯარისკაცმა მოუყვა ამხანაგებს (ომის) ამ-

ბავი... სწორია: მასწავლებელი მოუყვა მოსწავლეებს გაკვეთილს, ჯარისკაცი მოუყვა ამხანაგებს (ომის) ამბავს...

ასევეა: ეთამაშება იგი მას მას (ნარდს); მიუხვდება ის მას უშმაკობას; ეცილება იგი მას პირველობას; ემუქრება იგი მას სამუშაოდან დათხოვნას.

გაუცნია თუ გაუცვნია?

სწორია: გამიცნია, გაგიცნია, გაუცნია.

ადგილი აქვს თუ ხდება?

არ არის სწორი: დღეს რეჟიმის დარღვევას ადგილი აქვს... საერთო მოვალეობის დასახელებას. სრულად არ ჰქონდა ადგილი, ბგერთა დაკარგვას ხშირად აქვს ადგილი... ადგილი აქვს მოლექულების დაშლას... ადგილი აქვს წესრიგის დარღვევის შემთხვევებს და სხვ.

სწორია: დღის რეჟიმი ირღვევა... საერთო მოვალეობა არ არის დასახელებული... ბგერები ხშირად იკარგება... მოლექულები იშლება... წესრიგი ირღვევა და სხვ.

როდესაც ვლაპარაკობთ ადგილის შესახებ, მაშინ უნდა ვიხმაროთ „ადგილი აქვს“, მაგალითად: ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს... ჩემს ამხანაგს პარტერში აქვს ადგილი... მშვენიერი სავენახე ადგილი ჰქონდა...

ხელსაყრელია თუ აწყობს?

სწორია: ხელსაყრელია.

გამეხარდა თუ გამიხარდა?

სწორია: გამიხარდა, გაგიხარდა, გაუხარდა.

გადმომირეკე თუ ხელახლა დამირეკე?

სწორია: ხელახლა დამირეკე, ხელმეორედ დამირეკე, ისევ დამირეკე,

არ არი სწორი: გადმოგირეკავ, გადაურეკე, გადმომირეკე...

კონტროლზეა აყვანილი, პატიმრობაშია აყვანილი...

სწორია: დაპატიმრებულია, დააპატიმრეს, დაუპატიმრებიათ, დაეპატიმრებინათ...

არ არის სწორი: პატიმრობაშია აყვანილი, პატიმრობაში აიყვანეს, პატიმრობაში აუყვანიათ, პატიმრობაში უნდა აეყვანათ, პატიმრობაში აყვანა...

სწორია: კონტროლია დაწესებული, კონტროლი ეწევა, კონტროლი დაწესდა, კონტროლი ხორციელდება, კონტროლი დავაწესეთ...

არ არის სწორი: კონტროლზე ავიყვანთ, კონტროლზეა აყვანილი...

არის, გახლავთ, წარმოადგენს

ამ ბოლო დროს მეტყველებაში ფეხს იკიდებს „გახლავს“, „გახლავთ“ ზმნების, აგრეთვე მათი წარსულდროიანი ფორმების (გახლდა გახლდათ) გამოყენება „არის“, „იყო“ ზმნების მნიშვნელობით, მაგალითად: ილია ჭავჭავაძე გახლავთ... აკაკი წერეთელი გახლავთ.. „ჩვენი ამოცანა გახლავთ...“

ასევე უმართებულოდ ხმარობენ „წარმოადგენს“ ზმნას, მაგალითად: ჩვენს მიზანს წარმოადგენს, წარმოადგენს დედაქალაქს, მოვალეობას წარმოადგენს და მისთანანი...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითში უნდა ვიხმაროთ „არის“ და „იყო“ ზმნები; ამდენად სწორი იქნება ილია ჭავჭავაძე იყო... აკაკი წერეთელი არის... ჩვენი ქვეყანა არის... ჩვენი მიზანი არის, დედაქალაქია, მოვალეობაა და მისთანანი.

მიაყიდა თუ მიჰყიდა?

სწორია: მიჰყიდა, მივყიდეთ, მივყიდით, მიჰყიდიან...

არ არის სწორი: მიაყიდა, მივაყიდეთ, მივაყიდით, მიაყიდეს...

ექსპლოატაციაში გაუშვეს//ექსპლოატაციაში შევიდა...

არ არის სწორი: ექსპლოატაციაში გაუშვეს, ექსპლოატაციაში შევიდა, ექსპლოატაციაში გადასცემენ...

სწორია: საექსპლოატაციოდ გადასცეს, გადაეცა, ექსპლოატაციაში შევიდას ნაცვლად უნდა ვთქვათ: ამუშავდა, ამოქმედდა...

ატყუებს, ატყუილებს და ატყვილებს?

სწორია: ვატყუებ, ატყუებ, მომატყუა, მოვატყუე, მოგატყუა...

მომტყუებელი, მოტყუებული, მოსატყუებელი...

არ არის სწორი: ატყუებს, ატყვილებს...

რემონტი ჩაუტარდა

არ არის სწორი: რემონტი ჩაუტარდა.

სწორია: შეკეთდა, გარემონტდა, შეაკეთეს, გაარემონტეს...

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ (ნიგნი მეშვიდე, თბ., 1985 წ.) გამახვილებულია ყურადღება შემდეგ ზმნებზე:

ათვისებს

ათვისება შეიძლება თანხის, სახსრების, ფონდის, კაპიტალდაბანდებების, მიწის, ტერიტორიის, ფართობის, ტექნიკის...

ათვისება არ შეიძლება: ქუჩის, ბაღის, სკვერის, გზის მაგისტრალის... აჯობებდა: ამ თანხით... უნდა გაიყვანონ ათეულობით ახალი ქუჩა, მაგისტრალი... გაშენონ ბაღები, მოაწყონ სკვერები... გამოიყო თანხები (სახსრები) სკვერსა და დეკორატიული მონაკვეთების გასაშენებლად...

აინუნში არ არის, აინუნში არ აგდება

არ არის სწორი: აინუნში არ არის (უნდა: ბაიბურში), აინუნში არ აგდება (უნდა: არაფრად), აინუნშიაც არ ჩაუგდია (უნდა: არაფრად ჩაუგდია).

ამალლებს, მალღდება, ამალღება.

არ არის სწორი: ავამალლებთ ხელფასს (უნდა გავზარდოთ), იბრძოდა ინიაციატივის ამალღებისათვის (უნდა გაზრდისათვის), ამალღებს ეფექტიანობას (უნდა: ზრდის), გეზი აილო შრომითი აქტიობის ამალღებაში (უნდა: ზრდაზე), დიდ წარმატებას მიაღწია შრომის ნაყოფიერების ამალღებაში (უნდა: ზრდაში)...

ავამალლებთ ტყის დაცვის ორგანიზაცია (უნდა: გავაუმჯობესოთ), ავამალლებთ ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის წესი (უნდა: დავაზუსტოთ, სრულყოთ, დავადგინოთ), ნიკოტინი ამალღებს სისხლის შედედების უნარს (უნდა: აუმჯობესებს ან ზრდის).

ერთგვარი ნაბიჯები გადაიდგა სააფთიაქო მომსახურების (აკლია: დონის) ამალღებისათვის, აქტიურადაა ჩაბმული მოსახლეობის იურიდიული ცოდნის (აკლია: დონის) ამალღებისათვის...

ამრავლებს

არ არის სწორი: ამრავლებს ძლიერებას, ამრავლებს მიღწევებს, ამრავლებს წვლილს, ამრავლებს ურთიერთობას, ამრავლონ მეცადინეობა, ვამრავლებთ გარემოს და მისთანანი. ცნობილია, რომ საწყისებსა და აბსოლუტურ სახელებს მრავლობი-

თი რიცხვი არ აქვს. ამის გამო, მათ გამრავლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთ შემთხვევაში დასახელებულ სინტაგმებში გამოვიყვანოთ: განამტკიცონ ძლიერება... ანდა წინადადებები სხვაგვარად აიგოს.

ამცნობს

იგი გამოიყენება რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინების აღსანიშნავად, ნეიტრალური ამბის გადაცემისას ამ ზმნის გამოყენება უმართებულოა.

არის, იყო

ქართველისათვის არაბუნებრივი და სტილისტიკურად მიუღებელია, როდესაც შედგენილ შემასმენელს ახლავს სანყისი. არ არის სწორი: დიდია თავდადება, დიდია დამახინჯება, მცირეა გაჭუჭყიანება. საუკეთესოა გახარება. დიდია დამახინჯება, ზრდა-განვითარება ნელი იყო, გავრცელება ხშირი იყო და სხვ.

მაგალითები: დიდი ფართობების დამახინჯება (უნდა: მეტიმეტადაა, ძალიანაა დამახინჯებული, მახინჯდება ფართობები), დიდია მტვრის გაჭუჭყიანება (უნდა: მეტიმეტად არის გაჭუჭყიანებული, ჭუჭყუიანდება), დიდი მოწყობილობების მოცდენები (უნდა: განსაკუთრებით ხშირად ცდება, უმოქმედოდ არის მოწყობილობა), დიდია მეცხოველეობის თავდადება (უნდა: განსაკუთრებული თავდადებით შრომობენ მეცხოველეები), ბაქტერიებით გაჭუჭყიანება გაცილებით მცირეა (უნდა: ბაქტერიებით გაცილებით ნაკლებ ჭუჭყიანდება), შავი ფიჭვის გახარება საუკეთესოა (უნდა: ნაკლებ ჭუჭყიანდება), შავი ფიჭვის გახარება საუკეთესოა (უნდა: კარგად გაიხარა. ამაში საგრძნობლად გაფართოებული და გაღრმავებული ბავშვებისათვის ცოდნის მიცემა (უნდა: ფართო და ღრმა ცოდნას აძლევს ბავშვებს), გარეული ცხოველების მოსპობა მეტად საგრძნობი იყო (უნდა: გარეულ ცხოველებს განუკითხავად, ერთიანად სპობდნენ)...

ატარებს

არ არის სწორი: ატარებს სათვალეს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საათს.

სწორია: უკეთია საათი, იკეთებს საათს, აცვია ტანსაცმელი, ახურავს ქუდი, უკეთია სათვალე, მძივი, სამაჯური, ბეჭედი...

ალიგავა მიწისაგან პირისა

სწორია: ალიგავა პირისაგან მიწისა და არა მიწისაგან პირისა.

აღმართავს, აღმართება

არ არის სწორი: აღმართა სახლი, აღმართა საწარმოო, აღმართა კომბინატი, აღმართა კოტეჯი.

უნდა: აშენდა სახლი, საწარმოო, კომბინატი,... დაიდგა კოტეჯი...

აღმოცენდება, აღმოცენება, აღმოცენებული.

არ არის სწორი: სპორტული მოედნები აღმოცენდა (უნდა: მოეწყო, გაშენდა), ამალღებული სტილი აღმოცენდა (უნდა: წარმოიშვა, გაჩნდა, მომდინარეობს), თავის ტკივილის აღმოცენება (უნდა: დაწყება), რომანებში აღმოცენებული საფრთხე (უნდა: არსებული, წარმოშობილი, წარმოქმნილი), უბედურება აღმოჩნდა (უნდა: წარმოიშვა, გაჩნდა...)

აჩენს-აჩნევს

ზოგჯერ უადგილოდ უნაცვლებენ ერთმანეთს დასახლებულ ზმნებს, არ არის სწორი: პოლიტიკურ ცხოვრებასაც თავის დაღს აჩენენ (უნდა: აჩნევენ), ღრმა კვალი დააჩნია (უნდა: დააჩნია). მისთვის საცავში მიეჩნიათ (უნდა: მიეჩინათ) ბინა.

აჩნევს-ამჩნევს

„ამჩნევს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ამას: ხედავს, შენიშნავს (კვალს ამჩნევს – კვალს ხედავს., შენიშნავს; კვალი შეამჩნია – კვალი დაინახა შენიშნა).

დატყობის, კვალის დატოვების, დაღის დასმის მნიშვნელობით უნდა ვიხმართოთ მხოლოდ: კვალს ამჩნევს, კვალი დააჩნია.

აძლიერებს

არ არის სწორი: ძლიერდება ინვენტარის რემონტი (უნდა: ჩქარდება), ხელს უწობს ინტერესის გაძლიერებას (უნდა: გაზრდას), ინტერესს აძლიერებს (უნდა: ზრდას, ამძაფრებს), შრომითი ტემპი ძლიერდება (ჩქარდება), ხვნის ტემპი გააძლიერონ (უნდა: ააჩქარონ). მწერალი აძლიერებს ზიზღს (უნდა: ამძაფრებს), კავშირის გაძლიერდა (უნდა: განმტკიცდა), იმედს აძლიერებდა (განუმტკიცებდა)...

ასევე არ ვარგა: ძლიერდება მეგობრობა, ძლიერდება მოტივი... უნდა: მტკიცდება, განმტკიცდა მეგობრობა...

ქართულისათვის უჩვეულოა აგრეთვე აძლიერებს ზმნის დაკავშირება ნაზმნარ სახელებთან. არ არის სწორი: გაძლიერდა ასახვა, გაძლიერდეს გამოქვეყნება. მოსაზრებას აძლიერებს. უღერა გააძლიერა, გავაძლიეროთ მზადება გააძლიერონ გამძლეობა... ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ზმნის პირიანი ფორმები, ან წინადადება მთლიანად შევცვალოთ (მაგალითად: აისახება, გამოქვეყნდეს, მეტი მასალა, მოსაზრებას გამატკიცებს...)

ანარმოებს, წარმოებს, წარმოებს.

არ არის სწორი: ბოსტნეული ვანარმოოთ (უნდა: მოვიყვანოთ) კვერცხი უნდა გვეწარმოებინა (უნდა: დაგვემზადებინა), ანარმოებს რძე (უნდა: ჩამონეველოს), ყურძენი ანარმოებს (უნდა: მოკრიფეს), უნდა ანარმოონ სურსათი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინები (უნდა: დაამზადონ სურსათი, გამოუშვან ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ააშენონ, კეთილმოაწყონ საცხოვრებელი ბინები), ფუტკრის წარმოება (უნდა: მოშენება), ცხენების პირუტყვის წარმოება (უნდა: მოშენება), ვაზის წარმოება (უნდა: გაშენება).

ასევე უმართებულოა: ანარმოებს აღებას (უნდა: იღებს), წარმოებს მომზადება (უნდა: მზადდება), საუბარი მინდა ვანარმოო (უნდა: ვისაუბრო), გამოზიდვა ვანარმოოთ (უნდა: გამოვზიდოთ), გამოყვანას ანარმოებს (უნდა: გამოყავს), ანარმოებენ თამბაქოს აღებას (უნდა: იღებენ თამბაქოს), ანარმოებენ მარილის მიღებას (უნდა: იღებენ მარილს), კერძების მომზადება წარმოებს (უნდა: კერძები მზადდება), ავტომანქანების გაცემა წარმოებს (უნდა: ავტომანქანები გაიცემა), იწარმოებს ბილეთების გაყიდვა (უნდა: გაიყიდება ბილეთები).

გააგრძელებს – განაგრძობს

უმჯობესია სანყისებთან: მუშაობა, მიღება, ცხოვრება, შეჯიბრება... გამოვიყენოთ განაგრძობს და არ აგრძელებს, მაგალითად: ქარხანა აგრძელებს მანქანების მიღებას (უნდა: განაგრძობს), მუშაობას აგრძელებს (უნდა: განაგრძობს), ვაგრძელებთ ცხოვრებას (უნდა განვაგრძობთ), გააგრძელებენ შეჯიბრებას (უნდა განაგრძობენ), განაგრძობენ ტრადიციებს (უნდა: გააგრძელებენ)...

გააკეთებს

არ არის სწორი: უკეთებდა რეალიზაციას (უნდა: ასალებდა მოხსენებას გააკეთებს (უნდა: მოხსენებით გამოვა), ანგარიში გააკეთა (უნდა: ანგარიში წარადგინა). მობილიზება გაუკეთა (უნდა: მოახდინა), დემონსტრირებას ვაკეთებთ (უნდა: ვახდენთ), სასწაული გააკეთეს (უნდა: მოახდინეს), მე მიკეთებენ შეღავათს (უნდა მაძლევენ), წუთშესვენება გააკეთა (უნდა: გამოაცხადა, ან: აიღო)...

„გაანაღდეbs, განადგურება, განაღდეbsული“.

არ არის სწორი: ვალდეbsულებას გაანაღდეbs, გეგმას გაანაღდეbs, დავალდეbsა გაანაღდეbs, პირობას გაანაღდეbs, ნორმას გაანაღდეbs, ხუთწლედს გაანაღდეbs, ამოცანას გაანაღდეbs...

სწორია: ვალდეbsულების, გეგმის, დავალდეbsის, პირობის, ნორმის, პროგრამის და მისთ. შესრულება; ამოცანის გადანყვეტა, პირველი ადგილის, მედლის, ჩემპიონობის, ფინალისტობის მოპოვება ან უზრუნველყოფა, ზრახვების განხორციელება, უმრავლესობის უზრუნველყოფა პარლამენტში და ა. შ.

გააჩნია

ზოგჯერ უმართებოლოდ ხმარობენ „გააჩნია“ ზმნას „აქვს“ და „ჰყავს“ ზმნების ნაცვლად. არ არის სწორი: გააჩნია გამოცდილება, ნიჭი, გრამჩანანწერი, სურვილი, შენობა, ღირსება, ჯგუფი, თვისება...

ყველგან უნდა ვიხმაროთ „აქვს“: გამოცდილება აქვს, ნიჭი აქვს, გრამჩანანწერები აქვს და ა. შ.

იგივე ითქმის „მოეპოვება“, „მოეძევება“ და „აბადია“ ზმნათა მიმართ.

გაგებით ეკიდება

არ არის სწორი: გაგებით ეკიდება (უნდა: გულისხმიერად), გაგებით აღიქვეს (უნდა: სწორად ამ მთელი პასუხისმგებლობით) გაგებით მიუდგენენ (უნდა შეგნებულად), გასაოცარი სინათლით დაამტკიცა (უნდა: ნათლად), სიცხადით უჩვენეს (ცხადად), სისწორით აღნიშნეს (უნდა: სწორად) არ შეუყვარდება ისე გამძაფრებით (უნდა: ძალიან, ძლიერ, მძაფრად). დაჩქარებით უნდა შეისწავლონ (უნდა: მათ უნდა დააჩქარონ შესწავლა), გვაიძულებს დაძაბვით ჩაფიქრებას (უნდა: ღრმად ჩაუფიქრდეთ)...

გადიდდა

არ არის სწორი: მოსახლეობა გადიდდა (უნდა: გაიზარდა), გადიდდა თვითმფრინავების რიცხვი (უნდა: გაიზარდოს), ჯარების რიცხვი გაადიდონ (გაზარდონ), გაადიდეს პერსონალის რიცხვი (გაზარდეს), გავადიდოთ წევრთა რაოდენობა (გავზარდოთ)...

გაემგზავრება, მიემგზავრება

„მიემგზავრება“, „გაემგზავრება“ ზმნები ზოგიერთ შემთხვევაში „მიდის“, „წავიდა“ სინონიმური მნიშვნელობის მქონე სხვა ზმნებით უნდა შეიცვალოს, მაგალითად, პლანტაციაში გამგზავრებას ვაპირებდით (უნდა: წასვლას), სამუშაოს დამთავრების შემდეგ შვილებთან ერთად მიემგზავრება შინ (უნდა: მიდის), მის კვადაკვალ გაემგზავრა (უნდა: მას კვალდაკვალ მიჰყვა), საწინააღმდეგო მიმართულებით გაემგზავრა (უნდა: გაემართა)...

გაზრდის, გაიზრდება, იზრდება

არ არის სწორი: პირობის გაზრდა, იზრდება სისხლის შედედება, იზრდება გამომუშავება, გაიზარდა თივის დამზადება, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა გაიზარდა, საწარმოო გაზრდის გაისად ნაწარმის გამოშვებას, შესამჩნევი ხდება გულის ხუთვით დაავადების ზრდა, იზრდება საექსპლოატაციო პირობები...

სათანადო აზრი სხვა სახის შესიტყვებებით უნდა გამოიხატოს: უმჯობესდება პირობები, სისხლის შედედების უნარს აუმჯობესებს//ააქტიურებს; იზრდება გამომუშავებული ჰორმონების რაოდენობა; გაიზარდა დამზადებული თივის რაოდენობა, გაიზარდა დანერგილ წინადადებათა რაოდენობა, გაზრდის გამომუშავებული ნაწარმის რაოდენობას; შესამჩნევი ხდება დაავადებულთა რაოდენობის ზრდა და ა. შ.

გამოავლენს – გამოამჟღავნებს – უჩვენებს

„ამჟღავნებს (გამოამჟღავნა)“ სუბიექტად იგუებს მხოლოდ სულიერი საგნის აღნიშვნელ სახელებს, ობიექტად კი – უსულო საგნის აღნიშვნელს, ხოლო ავლენს (გამოვლენა) ზმნის დამოკიდებულება სუბიექტთან ამ მხრივ შეუზღუდავია, მაგალითად: მწერალი გამოამჟღავნა (უნდა: გამოავლინა), მოულოდნელად ისეთებიც მჟღავნდებიან (უნდა: ვლინდებიან), ძლიერად გამოვლენის (უნდა: გამოვლენის) საშუალება მიეცა...

მოსწავლე უჩვენებს ცოდნას (უნდა: ავლენს), მოსწავლეებ-
მა ღრმა გაგება და ფართო წარმოდგენა უჩვენებს (უნდა: გა-
მოავლინებს)...

გამოთქვამს

არ არის სწორი: გამოთქვეს მტკიცე გადაწვეტილება
(უნდა: გადაწყვეტილება გამოიტანეს, მტკიცედ გადაწვიტეს),
მკაცრი კრიტიკა გამოთქვა (უნდა: კრიტიკული შენიშვნები
გამოთქვა, კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდა), დიდი სიტბო
გამოთქვა (უნდა: გამოხატა), შეშფოთება გამოთქვა (უნდა:
შეშფოთებით აღნიშნა ის ფაქტი, გარემოება), გამოთქვან შტა-
ბეჭდილებები (უნდა: გამოხატონ, გაუზიარონ)...

„გამოუთქვამს“ ზმნის შემცველ უხერხულ სიტყვათშეხება-
თა არიდება შესაძლებელია და უნდა მოხერხდეს ზმნის
(ზოგჯერ სახელის) ანდა მთელი კონსტრუქციების შეცვლის
გზით.

გამოისყიდოს

ეს ზმნა ბევრ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხმაროთ გამოს-
წორების, გამოკეთების მნიშვნელობით, მაგალითად: დანა-
შაულს გამოისყიდის (უნდა: გამოასწორებს), შეცდომას გამო-
ვისყიდი (უნდა: გამოვასწორებ), გამოისყიდის ცოდვას (უნდა:
გამოასწორებს)...

გამოიჩინეს

არ არის სწორი: იჩინენ განსხვავებას (უნდა: განსხვავდე-
ბიან), წაყრუებას იჩინენ (უნდა: უყურადღებობას იჩინენ,
წაყრუებენ), ხელშეწყობა გამოიჩინა (უნდა: უსულგულობა
გამოიჩინა), მოთხოვნებს იჩინენ (უნდა: მოთხოვნებს უყენებენ).

გამოინვევს

არ არის სწორი: გავლენას ინვევს (უნდა: ახდენს), ეფექტს
ინვევს (უნდა: ახდენს), ეფექტი გამოინვია (უნდა: მოახდინა),
შეკამათებას ინვევს (უნდა: დავას გაუგებრობას, უკმაყოფილე-
ბას ინვევს), ნიკოტინი ინვევს მიჩვევას (უნდა: ნიკოტინს ერვე-
ვა), ინვევს ჯიშების მიღებას (უნდა: იღებს ჯიშებს), მონონება
გამოინვია (უნდა: დაიმსახურა)...

განაპირობებს

პირობას დადებითი შედეგი მოსდევს, უარყოფით მოვლე-
ნას (ფაქტს, შედეგს) კი მიზეზი ინვევს, მაგალითად: გამარ-
ჯვების პირობა, მაგრამ დამარცხების მიზეზი, წინსვლის პირო-

ბა, მაგრამ ჩამორჩენის მიზეზი,... ამიტომ შეუფერებელი, მც-
დარი შესიტყვებებია, ერთი მხრივ, გამარჯვებას, წარმატებას,
წინსვლას...) გამონწევს და, მეორე მხრივ, დამარცხებას (უკანს-
ვლას, ჩამორჩენას...) განაპირობებს.

არ ვარგა: ამ მიზეზითაა შეპირობებული.

უნდა: ამ მიზეზითაა გამონწვეული.

განახორციელებს, განხორციელდა

არ არის სწორი: ახორციელებენ ნაგებობას (უნდა: აშე-
ნებენ), ახორციელებენ ზეგავლენას (უნდა: ახდენენ), არ განახორ-
ციელებენ მკაცრ ზომებს (უნდა: არ მიიღებენ), განახორცი-
ელეს გეგმა (უნდა: შეასრულეს), განვახორციელოთ დავალება
(უნდა: შევასრულოთ)...

ასევე არ ვარგა: განხორხიელდა გარდაქმნა (უნდა: გარ-
დაიქმნა), ხორციელდება ავსება (უნდა: ივსება), განხორციელ-
და გამოცემა (უნდა: გამოიცა), განხორციელდა დამუშავება
(უნდა: დამუშავება)...

განიცდის

არ არის სწორი: მარცხზე მარცხს განიცდიდა (უნდა: ზედიზედ მარცხდებოდა), მარცხი განიცადეს (უნდა: დამა-
რცხდნენ), განიცადა ავარია (უნდა: ავარია მოუვიდა), ერ-
თიანობის რყევა განიცადა (უნდა: ერთიანობა შეიყა), კრიტი-
კა განიცადა (უნდა: მკაცრად გააკრიტიკეს), ზედამხედველო-
ბას განიცდიდა (უნდა: ზედამხედველობას, მეთვალყურეობას
უნწევდნენ), განვიცდით კადრების ნაკლებობას (უნდა: გვაკლია
კადრები)...

გაუზიარებს

არ არის სწორი: არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ რამდენ-
იმე კითხვა (უნდა: არ დავისვათ, არ მოგცეთ), ვთხოვე, მიზეზი
გაეზიარებინა (უნდა: ეთქვა, გაემხილა, გაენდო, გაემჟღავნე-
ბინა) (უნდა: ეთქვა, გაემხილა, გაენდო, გაემჟღავნებინა...),
ცხენს წიხლი უზიარებია.

„გაუნწევს“

არ არის სწორი: მოვლა-პატრონობას უწევს, (უნდა: უვლის
და პატრონობს), ისინი ორგანიზაციას უწვევენ (უნდა: მუშაო-
ბის ორგანიზაციას ახდენენ, ან მუშაობას ხელმძღვანელობენ),
ბოიკოტს უწვევდნენ (უნდა: უცხადებდნენ), არ გაუწიეს რეკლა-
მა (უნდა: გაუკეთეს), მხარადაჭერას გვინევთ (უნდა: მხარს

გვიჭერთ), ნდობა გაუწიეს (უნდა: გამოუცხადეს),, სტუმართ-
მოყვარეობას გაუწევს (უნდა: მასპინძლობას გაუწევს, უმასპინ-
ძლებს...)

გახლავთ

არ არის სწორი: პირობა გახლავთ (უნდა: პირობაა), სა-
მოსელში გახლავთ (უნდა: სამოსელში იყო), წარმოუდგენელი
გახლავთ (უნდა: წარმოუდგენელი იყო), დიაგნოზი ასეთი გახ-
ლავთ (უნდა: ასეთი იყო), ის ბავშვები გახლავთ (უნდა: არი-
ან).

გეახლებათ

არ არის სწორი: სტუმრად გეახლებიან (უნდა: მობრძანდე-
ბიან, გვეწვევიან).

გულიდან ვერ მოიშორა

არ არის სწორი: გულიდან ვერ მოიშორა.

უნდა: გულიდან ვერ გადაიგდო, აეკვიატა, გულში ჩარჩა,
გონებიდან ვერ მოიშორა (//ვერ ამოიღო).

გულს ინუგეშებს

არ არის სწორი: გულს იმით ინუგეშებს (უნდა: თავს იმით
ვინუგეშებს).

სწორია: გულს იმშვიდებს და თავს ინუგეშებს.

დაამთავრებს – დაასრულებს

არ არის სწორი: დაასრულა თავისი სიცოცხლე (უნდა:
დაამთავრა), ცუდად დაამთავრა დავა (უნდა: ჩხუბი), ჭადრაკ-
ში პარტია უნდა დამთავრდეს და არა დასრულდეს, ზეიმი
დასრულდა (უნდა დამთავრდა)...

დაბრუნდება, დაუბრუნდება

არ არის სწორი: გუნდში დაბრუნდა, ნაკრებში დაბრუნდა
რინგზე დაბრუნდა...

სწორია: გუნდს დაუბრუნდა, ნაკრებს დაუბრუნდა, რინგს
დაუბრუნდა...

დაისაკუთრებს

არ არის სწორი: ადგილი დაისაკუთრეს (უნდა: დაიკა-
ვეს), სიჭაბუკის თასი დაისაკუთრეს (უნდა: თასი მოიპოვეს,
აიღეს), ბროლის თასი დაისაკუთრეს (უნდა: მოიპოვეს), ოქროს
თასი დაისაკუთრა (უნდა: მოიპოვა), მცირე ოქროს მედლები
დაისაკუთრეს (უნდა: მედლებით დააჯილდოვეს), დაისაკუთრეს
საპატიო ჯილდო (უნდა: მიიღეს, მოიპოვეს)...

დასახავს, დაისახება

არ არის სწორი: პარტიამ დასახა მუშათა მტკიცე კავშირი (უნდა: პარტიამ დასახა ღონისძიებები... დაისახება რაიონის შრომითი რესურსების დინამიკა, განაწილება, და გამოყენება; რაინული ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობა, გამწვანება (უნდა: დაისახება ღონისძიებები რაიონის შრომით რესურსების ზრდა-განვითარების, განაწილებისა და გამოყენებისათვის).

დაუშვებს

არ არის სწორი: არ დაუშვას უარის თქმა (უნდა: უარით არ გაისტუმრონ, არ ვთქვათ უარი), არ უნდა დაუშვათ საჭმლის ნარჩენების კბილებს შორის დაგროვება (უნდა: არ უნდა დავიგროვოთ), კვლავ უშვებენ უკანონო დათხოვნას (უნდა: უკანონოდ ითხოვენ), მოგების ნაცვლად უშვებდა გადახარჯვას (უნდა: გადახარჯვა ჰქონდა), დაუშვეს მშენებლობათა გაჭიანურება (უნდა: გააჭიანურეს მშენებლობა), უხეში დარღვევები დაუშვეს (უნდა: უხეშად დაარღვიეს)...

დაყნოსა – უყნოსა

არ არის სწორი: თეთრ ვარდს დაყნოსა (უნდა: ეყნოსა), დასუნა პურს (უნდა: უსუნა)...

დუმილს იცავს

„სტილისტურად გაუმართლებელია ასეთი შესატყვისები, რომლებშიც „იცავს“ ზმნა დაკავშირებულია სახელთან „დუმილი“.

არ არის სწორი: დუმილს იცავდა (უნდა: ჩუმად იყო, არაფერს ამბობდა, ხმას არ იღებდა, დუმდა)...

ერგო

არ არის სწორი: ოქრო ერგო (უნდა: ოქროს მედალი მოიპოვა, დაიმსახურა), მედლები ერგოთ (უნდა: მოიპოვეს), გამარჯვება ერგოთ (უნდა: გამარჯვება მოიპოვეს)...

ეუფლება

არ არის სწორი: მეუფლება სიცივე (უნდა: ამიტანა), ღიმილი ეუფლება (უნდა: ეფინებოდა), ბურჩების ზამთრის სილამაზე დაეუფლა (უნდა: მოეფინა), სიმბოლისტების ლექსები ერთდროულად ეუფლება (უნდა: იპყრობს), ასეთი შთაბეჭდილება დაგვეუფლა (უნდა: მივიღეთ), შემომსვლელთა სმენას ეუფლება (უნდა: სწვდება).

ენევა

არ არის სწორი: ვენეოდით აუტანელ შრომას და ტანჯვას (უნდა: აუტანელ, მძიმე პერიოდში ვმუშაობდით და საშინლად ვიტანჯებოდით), ვენეოდით მოწინავე მეთოდების ათვისებას (უნდა: საჭიროა ავითვისოთ მუშაობის მოწინავე მეთოდები), არ ენევა ფიზიკურ ვარჯიშს (უნდა: ფიზიკურად არ ვარჯიშობს), ამ სამუშაოს საჭირო სიზუსტით ვერ ენევა (უნდა: ვერ ასრულებს, როგორც საჭიროა)...

თქვა – უთხრა

არ არის სწორი: აკიდოს ახლა აგიჭრია – თქვა პაპამ (უნდა: უთხრა), მარჯვენა მხრიდან დავიწყით: – თქვა ბრიგადირმა (უნდა: უთხრა, მიმართა), რატომ? – თქვა პაპა ნიკიტამ (უნდა: იკითხა).

იბეჭდება

არ არის სწორი: იბეჭდებიან ცნობილი მათემატიკოსები (უნდა: ბეჭდავენ), ახალგაზრდა ავტორები იბეჭდებიან (უნდა: ბეჭდავენ), ილია ხშირად იბეჭდებოდა (უნდა: ილიას ლექსებს ბეჭდავდნენ), პოეტი ქალი სისტემატურად იბეჭდება (უნდა: პოეტი ქალის ლექსებს ბეჭდავს)...

იმყოფება

არ არის სწორი: ძროხა, გოჭი და ინდაური განა აქვე არ იმყოფებიან? (უნდა: არიან), ცილები რძეში იმყოფებიან (უნდა: არის, შედის), იგი იმყოფება ემულსიის სახით (უნდა: არის), მეორე ადგილზე იმყოფება (უნდა: არის)...

იძახის

„იძახის ზმნა აღმოსავლური დიალექტების გავლენით სალიტერატურო ქართულში უმართებულოდ იხმარება „ამბობს“ ზმნის მნიშვნელობით“, მაგალითად: სულ იმას იძახდა, მე გაჯობებო.

კუდი ყავარზე აქვს გადებული

„კუდი ყავარზე გასდო“ არ ვიხმაროთ შემდეგი მნიშვნელობის მაგივრად: გაჯიუტდა, გაჯიქდა, ნათქვამი აღარ გადათქვა, დაიჩემა.

ლაფი გადაავლო

არ არის სწორი: ლაფი გადაავლო მთელ კოლექტივს (უნდა: ლაფში ამოსვარა კოლექტივის სახელი).

მანყოფის

არ არის სწორი: ბიჭებსაც აწყობდა (უნდა: აძლევდა ხელს), არ აწყობდა (ხელს არ აძლევდა), აწყობს მას „შინაურებთან“ ურთიერთობა თვით მესაათებს აწყობთ (უნდა: მესაათებისათვის ხელსაყრელია)...

მდებარეობს

„ის, რაც მიედინება, მოძრაობს, მდინარებს, დის, ვერ შეიფერებს სტატიკურობის გამომხატველ მდებარეობს ზმნას“. ამის გამო არ არის სწორი: მდინარე მტკვარი მდებარეობს ... სასმელი წყალი მდებარეობს, წყარო მდებარეობს. უნდა: გადის, გაივლის, მიედინება, ამოდის, ამოჩქეფს, გამოდის...

მიანიჭებს, მიენიჭება

არ არის სწორი: ბედნიერებას მიანიჭებს (უნდა: მოჰგვრის), მიანიჭონ სიხარული (უნდა: მოჰგვარონ), სიამოვნებას ანიჭებდა (უნდა: ჰგვრიდა), ყოველ წერტილს ენიჭება რიგითი ნომერი (უნდა: ეძლევა), დიდი შეღავათი მიენიჭა (უნდა: მიეცა ან მისცემენ შეღავათს), კოლორიტს ანიჭებს (უნდა: აძლევს, ან: უქმნის), 50 პროცენტის ფასდაკლებით ენიჭებათ (უნდა: უფლება ეძლევათ... 50 პროცენტის ფასდაკლებით გადაიხადოთ)..

მიალწევს

არ არის სწორი: ფილოსოფიური გააზრებითაც ალწევდა (უნდა: ფილოსოფიურ გააზრებას ემყარებოდა). მივალწიეთ ტერმინოლოგიის დანერგვას (უნდა: დავნერგეთ რაციონალური ტექნოლოგია), მნიშვნელოვან ზრდას ალწევდა (უნდა: მნიშვნელოვნად ზრდიდა), სოფლის მეურნეობის განვითარებას ისე ვერ მივალწევდით (უნდა: ვერ გავავითარებდით), ამ გზით მივალწიოს მსმენელთა მაღალ აქტიობას (უნდა: უზრუნველყოს), მივალწიოს მაღალი მოსავლის მიღებას (უნდა: ყოველი ღონე იხმარონ... დიდი მოსავლის მისაღებად)...

მიაყენებს

არ არის სწორი: დამარცხება მიაყენა (უნდა: დაამარცხა), დიდი მწუხარება მიაყენა (უნდა: დაამწუხრა), დანის დარტყმით მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა (უნდა: დანით მძიმედ დაჭრა), მამას სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა (მამა მსუბუქად დააშავა), მტერს ჭრილობა მიაყენა (უნდა: მძიმედ დაჭრა)...

მიიღებს

არ არის სწორი: დახმარება მიიღეს (უნდა: დაეხმარა), მძიმე კატეგორიის დაზიანება მიიღო (უნდა: მძიმედ დაშავდა), ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო (უნდა: მსუბუქად დაშავდა), თითოეულ ფურზე 2265 კგ რძე მიიღეს (უნდა: ფურისაგან ჩამონველილია), საადრეო კომბოსტოს იღებენ (უნდა: იწვევენ), 16 ცენტნერი ყურძენი მიიღო (უნდა: მოკრიფა), მალე დავინყებთ სიმინდის მწვანე მასის მიღებას (უნდა: აღებას)...

მიმდინარეობს

არ არის სწორი: მიმდინარეობს მეცადინეობა (უნდა: ტარდება) 'მიმდინარეობს სემინარი' (უნდა: ტარდება), მიმდინარეობს კრებები, (უნდა: ტარდება), მიმდინარეობს საბავშვო ლიტერატურის დღეები (უნდა: ტარდება)...

ასევე არ არის სწორი: მიმდინარეობს მოსავლის აღება (უნდა: მოსავალს იღებენ), მიმდინარეობს ხვნა (უნდა: ხვნავენ), მიმდინარეობს თესვა (უნდა: თესავენ), მშენებლობა მიმდინარეობს (უნდა: აშენებენ), რემონტი მიმდინარეობს (უნდა: არემონტებენ), მიმდინარეობს გენერალური გეგმის შედგენა (უნდა: ადგენენ გეგმას), მიმდინარეობს სახსრების შედგენა (უნდა: აგროვებენ მას), მიმდინარეობს სკოლის გარემოს გამშვენიერება (უნდა: ამშვენიერებენ სკოლის გარემოს), მიმდინარეობს ხაზების აღდგენა (უნდა: აღადგენენ ხაზებს), მიმდინარეობს ქვირითის დაყრა (უნდა: ქვირითს ყრიან).

მიუზღავს

არ არის სწორი: საყვედური მიეზლო (უნდა: გამოუცხადა), სასჯელი უნდა მიეზლოთ (უნდა: უნდა დავსაჯოთ)...

მიუძღვის

არ არის სწორი: თავის ცოდნას და ენერჯია კვლევასა და გამოქვეყნებას უძღვნიდა (უნდა: ახმარდა), ყოველ შაბათსა და კვირას ახალგაზრდების ინტელექტუალური წვრთნას უძღვნის (უნდა: ანდომებს, უთმობს), კომენტარს უძღვნის (უნდა: უკეთებს)...

მოაწყობს, მოეწყობა

არ არის სწორი: მოვანყობთ სადრენაჟო არხებს (უნდა: გავიყვანთ), მოეწყო ელექტროგანათობის მაგისტრალი (უნდა: გაიყვანეს, გაყვანილია), მოეწყო ტყე-ბაღები (უნდა: გაშენდა) მოაწყობენ ავტობუსით გასეირნებას ((უნდა: გაისეირნებენ), რემონტი კარგად მოაწყვეს (უნდა: გაარემონტეს), მოაწყვეს

ქუჩების შემონმება (უნდა შემონმდეს), ენყობა პურის გამოცხო-
ბა (უნდა: ცხვება, მოენყობა ჩაის გაყიდვა (უნდა: გაიყიდე-
ბა), მოენყოს კვალიფიკაციის ამალლება (უნდა: ამალლდეს
კვალიფიკაცია)...

მოახდინა, მოხდება

არ არის სწორი: ვახდენთ მისი შესრულების შემონმებას
(უნდა: ვამონმებთ, ვაკონტროლებთ მის შემონმებას), სასუქე-
ბის შეტანას ახდენენ (უნდა: სასუქები შეაქვთ), გასწორებას
ვახდენ (უნდა: ვასწორებ), მოახდინა მკვეთრი დამუხრუჭება
(უნდა: მკვეთრად, უცბად დაამუხრუჭა), არ მოახდინა ადგი-
ლის დათვალიერება (უნდა: არ დაუთვალიერებია); დროულად
მოახდინა ნაგებობათა წესრიგში მოიყვანა (უნდა: დროულად
მოიყვანა წესრიგში), მოვახდინეთ შერჩევა და განაწილება (უნ-
და სწორედ შევარჩიოთ და გადავანაწილეთ), მისი აღზრდა
ხდებოდა (უნდა: იზრდებოდა)..

მოახმარს

არ არის სწორი: მეცადინეობას მოახმარს, ძალისხმევას
მოახმარს, მთელ მეცადინეობას მოახმარს, მთელი ძალისხმე-
ვა მოვახმარე, უდიდეს მეცადინეობას ახმარს... სწორია: ენერ-
გიას, ძალ-ღონეს მოახმარს...

მოეპოვება

სწორია: არ მოეპოვება, ცოტაოდენი მოეპოვება...

მოეძევება

„მოეძევება ზმნის გამოყენება უფრო ბუნებრივად ჩანს
უარყოფით კონტექტში, ვიდრე დადებითში: არ//არაფერი
მოეძევება, ცოტა რამ მოეპოვება“.

მოიპოვება

არ არის სწორი: ტყეებში მოიპოვება დათვი, მგელი, მელა,
კვერნა, მაჩვი, გარეული ღორი, ირემი, შველი (უნდა: არიან ან
ბინადრობენ); მოიპოვა წარმატება (უნდა: მიაღწია) მოიპოვა
პატივისცემა (უნდა: დაიმსახურა).

სწორია: მოიპოვება (არ მოიპოვება) წაბლი, თხმელა, წიფე-
ლი... ქვანახშირი, ნავთობი, რკინა...

მოიტანს

არ არის სწორი: ნაყოფი მოიტანა (უნდა: გამოიღო), უარყო-
ფითი შედეგი მოიტანა (უნდა: გამოიღო), ვნებას მოუტანს
(უნდა: აყენებს), შემოსავალს მოუტანს (უნდა: მისცემს), სატ-

კვივარი მოუტანეს (უნდა: შეუქმნეს, გაუჩინეს); ცუდად ჯდო-
მამ ცუდი საქციელიც მოიტანა (უნდა: ცუდად ჯდომას ცუდი
შედეგიც მოჰყვა), სიმწარესთან ერთად უფრო მეტ სიტკბოს
მოვიტანთ (უნდა: სიტკბოსაც განგაცდევინებთ)...

მოიხვეჭს

არ არის სწორი: მედლები მოიხვეჭა (უნდა: მოიპოვა ან
მიიღო), მედლები მოიხვეჭეს (უნდა: მიიღეს ან დაჯილდოვდ-
ნენ), მოიხვეჭეს ევროპის ჩემპიონთა წოდება (უნდა: მოიპოვ-
ეს, დაიმსახურეს)... ევროპის ჩემპიონთა წოდება.

ასევე არ არის სწორი: მოხვეჭა ზმნის გამოყენება შემდეგ
აბსტრაქტულ სახელებთან: სიყვარული, ნდობა, სიბრალული,
მონონება, გამარჯვება, აღიარება, პოპულარობა. არ არის
სწორი: მოიხვეჭა სიყვარული. მოიხვეჭა ნდობა, მოიხვეჭა სი-
ბრალული და მისთანანი. უნდა: სიყვარული დაიმსახურა, ნდო-
ბა დაიმსახურა, სიბრალული დაიმსახურა, მოიპოვა ნდობა,
აღიარებას იმსახურებს და მისთანანი.

მონანილეობას იღებს – მონანილეობს

არ არის სწორი: კამათში მონანილეობდნენ (უნდა: მონან-
ილეობა მიიღეს), კარნავალში მონანილეობდნენ (უნდა: მონან-
ილეობა მიიღეს).

„მონანილეობას იღებს (მონანილეობს) შესიტყვების ნევრად
-ში თანდებულებიან სახელს ითხოვს“; მონანილეობას იღებდა
მუშათა მოძრაობაში...

არ არის სწორი: მონანილეობას იღებენ ყველა გამოფენა-
სა და ბაზრობაში (უნდა: ბაზრობაზე), ყველა გამოფენაზე
მონანილეობს (უნდა: გამოფენაში), მონანილეობა ვერ მიიღეს
ჭაბუკთა პირველობაზე (უნდა: პირველობაში), ამ ასპარეზობა-
ზე იღებდა მონანილეობას (უნდა: ასპარეზობაში), მსოფლიო
ჩემპიონატზე მიიღო მონანილეობა (ჩემპიონატში)...

მოუნევს

„მოუნევს“, „მოუნია“ ვარიანტებთან შედარებით სალიტერ-
ატურო ენაში უპირატესობა უნდა მიეცეს ლიტერატურულ-
სავე ვარიანტებს – „მოუხდება“, „მოუხდა“, მაგალითად, მოუხ-
დათ, თამაში და არა მოუნევიათ თამაში მომინია შეხვედრა კი
არა, არამედ: მოახდინა შეხვედრა...

მოცემულია

არ არის სწორი: ფილმში მოცემულია (უნდა: ნაჩვენებია), მიმართებაში მოცემულია (უნდა: აღწერილია), ვუჩვენებ სურათს, რომელზედაც ოთახია მოცემული (უნდა: ნაჩვენებია ოთახი)...

პოულობს

არ არის სწორი: მაღალ შეფასებას პოულობდნენ (უნდა: იღებდნენ) პოულობს თავის მონოდებას (უნდა: იპოვის თავის თავს ან: მიაგნებს თავის მონოდებას), აღიარება პოულობს (უნდა: პოვებს), ასახვას ვერ პოულობს (უნდა: ვერ პოვებს), ყველა ეს საკითხი ასე ისე ადგილს პოულობს (უნდა: საკითხი დაისმის, ან აისახება)...

საფუძველს დაუდებს

არ არის სწორი: საფუძველი დაუდო, უნდა: სათავე დაუდო, საფუძველი ჩაუყარა...

სიკეთეს გადაჰყრის

სწორია: გადაჰყრის უბედურებას, ჭირს, ფათერაკს...

არ არის სწორი: სიკეთეს გადაჰყრის (სიკეთე დადებითი შინაარსის მქონე სიტყვაა და გადაჰყრის ზმნასთან მისი შეწყვილება არ შეიძლება).

სუფევს

არ არის სწორი: გამოცოცხლება სუფევდა (უნდა: გამოცოცხლება იგრძნობოდა), ხალისი, მხიარულება და აღფრთოვანება სუფევდა (უნდა: აღფრთოვანება იგრძნობოდა), ქაოსი სუფევდა (უნდა: იყო), რომანის ბუმი სუფევდა (უნდა: რომანის ბუმი), არეულობა სუფევს (უნდა: არეულობა არის), სანინაალმდეგო შეხედულებანი სუფევს (უნდა: შეხედულებებია გავრცელებული), სუფევდა სიჩუმე (უნდა: იყოს), ზეიმი სუფევს (უნდა: ზეიმი)...

ტოლს არ დაუდებს

სწორია: ტოლს არ უდებს (დაუდებს), ტოლი არ დაუდო...

არ არის სწორი: ვერავინ დაუდო ტოლი, ტოლს უდებენ, ტოლს არ უგდებს...

უამბობს (ეუბნება) – მოუთხრობს – მოუყვება

„შეუფერებელია ეუბნება (უთხრა) ზმნის გამოყენება აქ, სადაც მთელი ამბის თანმიმდევრული გადმოცემა ივარაუდება“, ალექსიმ გვითხრა (უნდა: გვიამბო)...

„მოუყვა სასაუბრო მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, უამბობს (უამბო)კი წერით მეტყველებაშია გავრცელებული...

სხვათა შორის მოუყვა (უნდა: უამბო), მოუყვა ლევანს (უნდა: უამბო), მაშინვე მომიყვა (უნდა: მიამბო)...

„ეუბნება, უამბობს, მოუთხრობს, ეკითხება, უპასუხებს... ზმნებისათვის საერთოა გადმოსაცემი ამბისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება. რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი ამბის მეტყველების აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება ამცნობს, აცნობებს ზმნა“...

არ არის სწორი: გვამცნობს ზოია (უნდა: გვეუბნება), ვაცნობო ეს წერილი (უნდა: გავაცნო)...

ამბობს ზმნას ზოგჯერ უმართებულოდ ენაცვლება იძახის ზმნა, მაგალითად, მეცხოველეები იძახიან (უნდა: ამბობენ)...

უზრუნველყოფს

არ არის სწორი: ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მართვა (უნდა: ვერ შეძლო, ვერ მოახერხა უსაფრთხოდ მართვა), ვერ უზრუნველყო სწორი მიმართულებით წაყვანა (უნდა: ვერ წაიყვანა სწორი მიმართულებით), ვერ უზრუნველყო მანქანის გაჩერება (უნდა: ვერ გააჩერა), ვცდილობთ უზრუნველყოთ ასორტიმენტის ჩვენება (უნდა: ვცდილობთ ვაჩვენოთ), უზრუნველყოს სამუშაოების ჩატარება (უნდა: ჩაატაროს სამუშაოები), უზრუნველყოს მავნებლების განადგურება (უნდა: გაანადგუროს), უზრუნველყოს მოსავლის მიღება (უნდა: შეძლოს მოსავლის მიღება)...

უკავია

არ არის სწორი: საგრნობი ადგილი უკავია (უნდა: მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს), რა ადგილი უკავია (უნდა: უჭირავს, თავი ღირსეულად ეკავა (უნდა: ეჭირა)...

უძღვება-ხელმძღვანელობს

არ არის სწორი: ბრიგადას უძღვება (უნდა: ხელმძღვანელობს), სამმართველოს უძღვებიან (უნდა: ხელმძღვანელობენ), საამქროებს უძღვებიან (უნდა: ხელმძღვანელობენ)...

უნყის

არ არის სწორი: მათ კარგად უნყით (უნდა უნყიან), კარგად უნყოდათ (უნდა: უნყოდნენ), შენ ერთს გინყოდეს (უნდა: შენ ერთმა უნყოდე)...

ფრედ ითამაშეს

არ არის სწორი: ფრედ ითამაშა, ყაიმით ითამაშა.

სწორია: თამაში მოგებით დამთავრდა, თამაში წაგებით დამთავრდა, თამაში ფრედ დამთავრდა (დასრულდა), თამაში მოიგო, თამაში წააგო...

ქულას აიღებს// ქულას მიიღებს...

სწორია: ქულის მოპოვება, ქულების მოგროვება და არა: აღება ან მიღება. არ არის სწორი: ქულაც დამსახურებულად აიღეს (უნდა: მოიპოვეს), შეძლო ქულის აღება უნდა: მოპოვება), 47 ქულიდან 37 მიიღო (უნდა: მოაგროვა)...

ლამე ნებისა

სჯობია: ლამე მშვიდობისა, ძილი ნებისა.

ყვინთავს

„ყვინთავს“ ზმნის ფორმები ჩა- ზმნისწინით იხმარება: ჩაყვინთავს (ჩაყვინთა, ჩაუყვინთავს). ამავე შინაარსით იხმარება ჩაიყურყუმელავეებს ზმნის ფორმები... საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება ამ ზმნის -ამო- ზმნისწინიანი ფორმა: ამოიყურყუმელავეებს.

ჩაყვინთავს ზმნის საპირისპიროდ ფორმა: ამოიყურყუმელავეებს. სემანტიკურად მოულოდნელია, ამის გამო შეცდომაა: ედიმ ამოყვინთა, ფრუტუნით ამოყვინთა... ამოყვინთავს ზმნას უნდა შეენაცვლოს ამოიყურყუმელავეებს...

ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს)

აღნიშნულ ზმნასთან ირიბი დამატება უთანდებულო მიცემითის ნაცვლად -ზე თანდებულებიანი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგ., საგულისხმო მომენტზე მივაპყრობ ჩვენს ყურადღებას (უნდა: მომენტსაც), ყურადღება მიაქციოთ ზოგიერთ გარემოებაზე (უნდა: გარემოებას), მიაქცევს ყურადღებას ჯანსაღ ურთიერთობაზე (უნდა: ურთიერთობას)...

შეასრულებს

არ არის სწორი: შორეული გაფრენა შეასრულა (უნდა: განახორციელა), ასრულებენ სანიტარულ სამსახურს (უნდა: ასრულებენ სამუშაოს), საზამთრო დაამუშავება მაღალხარისხოვნად შეასრულეს (უნდა: მაღალხარისხოვნად დაამუშავეს), გეგმით უნდა შეესრულებინა პროდუქცია (უნდა: შეექმნა, გამოეშვა. დაეხატა), შესრულდება მუშაობა (უნდა: იმუშავენ)...

შეიქმნა – შეიქმნება

არ არის სწორი: ყველაფერი ნათელი შეიქმნა (უნდა: შეიქნა, იძულებული შეიქმნა (უნდა: შეიქნა), მათ შორის შეიქმნა შეხლა-შემოხლა (შეიქნა), შესაძლებლობა შეიქმნა წამოწყებათა განსახორციელებლად (უნდა: შეიქნა), მგლური შესაძლებლობები შეიქმნა (უნდა: შეიქნა); შეიქმნაძიება (უნდა: შეიქნა)...

შესწირავს თავს, სიცოცხლეს...

არ არის სწორი: თავი (სიცოცხლე) შესწირა ბრძოლას. სწორია თავი (სიცოცხლე) შესწირა სამშობლოს, მამულს, თავისუფლებას:..

ცნობებს შეატყობინებს

არ არის სწორი: ცნობებს შეატყობინებს, უნდა: შეატყობინა ამბავი, მოგვანოდა ცნობები...

წარმოადგენს

არ არის სწორი: ინტერესს წარმოადგენს (უნდა: საინტერესო იქნება). ინტერესს არ წარმოადგენდა (უნდა: უინტერესო იყო, დიდად საინტერესო არ ყოფილა)...

სწორია: ინტერესი აღეძრა, ინტერესს იჩენდა, ინტერესით ადევნებდა თვალს, ინტერესს ინვევს....

წესრიგში//წესრიგზე მოჰყავს

„უპირატესობა -ში თანდებულებიან კონსტრუქციას – წესრიგში მოჰყავს – უნდა მიენიჭოს“...

არ არის სწორი: გზები წესრიგშია მოყვანილი (უნდა: გზები შეკეთებულია), ტერიტორია წესრიგშია მოყვანილი (უნდა: მოწესრიგებულია, გასუფთავებულია)...

წილად ხვდა, წილად ერგო

არ არის სწორი: წილად ხვდა, წილად ერგო, სწორია: მოიპოვა, დაიმსახურა, მაგალითად: მედლები წილად ხვდა (უნდა: მოიპოვა), ჯილდო და პრემია წილას ხვდა (უნდა: დაიმსახურა), არ რგებია წილად (უნდა: არ მოუპოვებია)...

ხაზგასმით დარწმუნდება

არ არის სწორი: ხაზგასმით დარწმუნდი (ზმნიზედა „ხაზგასმით“ არ ვიხმაროთ „დარწმუნდება“ ზმნასთან).

სწორია: საბოლოოდ დარწმუნდება, მალე დარწმუნდება, მტკიცედ დარწმუნდება, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდება, ადვილად დარწმუნდება: ღრმად დარწმუნდება...

ხარისხს დაიცავს

არ არის სწორი: ხარისხს დაიცავს., ხარისხი დაიცვა...
სწორია: დისერტაციას დაიცავს, დისერტაცია დაიცვა...
ხელყოფს

არ არის სწორი: ხელყო მათი მყუდროება (უნდა: დაარ-
ღვია), ძნელი ყოფილა საკუთარი თავის ხელყოფა (უნდა:
განირვა, თავის გამეტება, ან: თავის მოკვლა), სიცოცხლე ხე-
ლყო (უნდა: ჩააგდო საფრთხეში)...

§ 6. ზმნიზედა (//ზმნისართი)

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებ-
ში (პირველი კრებული, თბ., 1970) ყურადღება გამახვილე-
ბულია შემდეგ ზმნიზედებზე.:

1. „ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც ზმნისართებია და მოქმედებითი ბრუნვისაგან არიან მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავენ, დაიწერება თ-თი (და არა დ-თი); ასეთე-
ბია: გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ, წინათ, უკან, ალბათ,
(ისევე როგორც ზევით, ქვევით, შიგნით და სხვ)“... – არ ვიხ-
მართ: ზევით, ქვევით, (დიალექტიზმებია).

2. „წინათ ერთადერთი სწორი ფორმაა მოქმედებითი ბრუნ-
ვისა. წინათ წარმოიშვა მიმართულებითი ბრუნვიდ –დ, ად
დაბოლოების ანალოგიით. წინეთ (წინედ) დიალექტიზმებია“.

გიორგი შალაბერიძის მეტყველების კულტურის საკითხ-
ების (თბ., 1998) მიხედვით:

ახლა თუ ეხლა?

სწორია: ახლა, ახლავე., ახლახან...

არ არის სწორი: ეხლა, ეხლავე, ეხლახან...

„მიმართებით“ თუ „მიმართულებით“?

არ არის სწორი: ამ მიმართებით პირველი ნაბიჯი გადა-
ვდგით (უნდა მიმართულებით, ამ მხრივ, ამ დარგში), „მიმა-
რთებით“ სხვაა და „მიმართულებით“ სხვა. ისინი თავთავის
ადგილას უნდა გამოვიყენოთ.

წინ და უკან

ისინი ზმნიზედური თანდებულებია. „დაუშვებლად იქნება
მიჩნეული ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად მართებული
„წინ“ სიტყვის ნაცვლად ან მის პარალელურად „უკან“ სიტყვის

გამოყენება, როგორც ისტორიულად გაუმართლებელი და უნიადაგო მოვლენა. ამ ფუნქციით მხოლოდ „წინ“ ან „უკან“ უნდა იხმარებოდეს (ერთი საუკუნის წინა ან წინათ). ამის შესაბამისად რეკომენდებულია ითქვას და დაინეროს არა „უკანა რიცხვით“, არამედ „წინა რიცხვით“ (თარიღით), ძველი რიცხვით, გასული რიცხვით“.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ (წიგნი მეშვიდე, თბ., 1985) მიხედვით:

აბსოლუტურად

არ არის სწორი: სეროოზულად ამბობს? – აბსოლუტურად სერიოზულად (უნდა: სავსებით), აბსოლუტურად ღირსია მაღალი პატივისა (უნდა: სავსებით), აბსოლუტურად უნდა გჯეროდეს (უნდა: მტკიცედ), ეს გამოთქმა აბსოლუტურად არ ამართლებს (უნდა: სრულიადაც).

აუტანლად

არ არის სწორი: აუტანლად მოსწონდა (უნდა: მეტისმეტად), აუტანლად მინდა ხოლმე იქ ყოფნა (უნდა: ძალიან), აუტანლად მოუნდა მოჭიდებოდა რალაცას (უნდა: მეტისმეტად),

ბევრად

არ არის სწორი: ეს ბევრად შეუწყობს ხელს (უნდა: დიდად), ბევრად არის დამოკიდებული (უნდა: დიდად), ბევრად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს (უნდა: დიდად).

გაგებით

სიტყვა „გაგებით“ უნდა შევცვალოთ კონტექტისათვის უფრო შესაფერისი ბუნებრივი ზმნიზედებით: გულისხმიერად, ძალიან, ძლიერ, ღრმად, მძაფრად, სწორად. სწრაფად, ცხადად, ნათლად, ჩქარა და მისთ.

არ არის სწორი: ასეთ მიდგომას გაგებით ეკიდება (უნდა: გულისხმიერად), გაგებით აღიქვებს (უნდა: სწორად ან: მთელი პასუხისმგებლობით), გაგებით ეკიდება (უნდა: გულისხმიერად), გაგებით მიუდგნენ (უნდა: შეგნებულად).

გადაჭრით

არ არის სწორი: გადაჭრით გავაუმჯობესოთ (უნდა: მნიშვნელოვნად, უეჭველად), გადაჭრით დაეჭირა მხარი (უნდა: მტკიცედ, უყოყმანოდ), ებრძვის გადაჭრით (უნდა: მტკიცვნეულად ებრძვიან)...

განუხრელად

„განუხრელად“ დადებითი შინაარსის შესიფყვებაში გამოიყენება (განუხრელად ასრულებს, განუხრელად ატარებს, განუხრელად ახორციელებს, განუხრელად მისდევს...) უარყოფითი შინაარსის შემცველ ზმნებთან ზმნისართი „განუხრელად“ არ იხმარება. მაგ., არ ითქმის: განუხრელად არ ახორციელებს, განუხრელად აფუჭებს, განუხრელად ამსხვრევს,...

განუხრელად ზმნიზედის გამოყენება „კარგავს“ ზმნასთან გაუმართლებელია, არ არის სწორი: განუხრელად კარგავდა მიცემულ ხმებს...

დამაჯერებლად

არ არის სწორი: დამაჯერებლად გაიმარჯვა (უნდა: აშკარა უპირატესობით, ან: დიდი ანგარიშით), მომდევნო ორი შეხვედრაც დამაჯერებლად მოიგო (ამ წინადადებაში „დამაჯერებლად“ ზედმეტია).

დახმარებით

არ არის სწორი: კოოპერატივების სისტემის დახმარებით (უნდა: გამოყენებით, საშუალებით), საკრეფი მანქანის დახმარებით (უნდა: საშუალებით, გამოყენებით)... არაბუნებრივია უსულო სახელებთან შეხამებული „დახმარების“ გამოყენება. „საერთოდ კი, უსულო სახელებთან უფრო შესაფერისია სხვა ზმნისართების ხმარება. ესენია: საშუალებით, მეშვეობით, გამოყენებით, გზით“...

დიდად

არ არის სწორი: ხალხს დიდად სურს (უნდა: ძალიან), დიდად აფიქრებდა (უნდა: ძლიერ), დიდად იყენებენ (უნდა: ფართო, კარგად, წარმატებით), დიდად განაპირობებს (უნდა: ძირითადად, არსებითად, მნიშვნელოვნად), დიდად გაამდიდრა (ძალიან, ან მეტად), უნდა შეიქმნას დიდად (ზედმეტია) კომპეტენტური ორგანო.

საერთოდ, „დიდად“ ხშირად უტოლდება სხვა ზმნიზედებს: კერძოდ, არსებითად, მნიშვნელოვნად, ძლიერ ძალიან, ფრიად, მეტად, მეტისმეტად, საკმაოდ, ფართოდ, უმეტესად, უპირატესად...

მალე-ჩქარა

არ არის სწორი: ჩქარა ჩაენერებით (უნდა: მალე), რაც შეიძლება ჩქარა შეაკეთებენ ხიდს (უნდა: მალე), წარმოდგენი-

ლი მქონდა მათი მუდარა - ჩქარა დაბრუნდით (უნდა: მალე), მძლოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა: - მალე მარტენში მიმიყვანე (უნდა: ჩქარა).

მეოხებით

არ არის სწორი: წარმოუდგა მისი უნარები, რომელთა მეოხებით დაეცა ჩვენი სავსე ოჯახი (უნდა: გამო, მიზეზით). მისი მეოხებით განზრახვა ლამის ჩამეშალოს (უნდა: მისი მიზეზით, მის გამო), სიბრიყვის მეოხებით მამულს გადა-მთიელები გვეცილებიან (უნდა: გამო), მონინა აღმდეგეთა მეოხებით ეს იუბილე ჩაიშალა (უნდა: მიზეზით, გამო)...

„მისამართით“

არ არის სწორი: როგორ შეიძლება ქირქილი იმ ლექსის მისამართით (უნდა: ლექსზე, ლექსის გამო). ამგვარი გამო-ნათქვამების მისამართით მე მაინც უნდა გავაკეთო კომენ-ტარი (უნდა: შესახებ), პროფესორის მისამართით თქმული (უნდა: შესახებ. ან: პროფესორზე), ერეკლეს მისამართით სო-ლომონი აღელვებით ფიქრობს (უნდა: შესახებ, ან: ერეკლეზე), მათი მისამართით იგი წერდა (უნდა: შესახებ), იოსების შეგონე-ბა დომენტი კათალიკოსის მისამართით: (უნდა: მიმართ), ეს განცხადება გააკეთა სპეციალისტების მისამართით (უნდა: გასაგონად, საყურადღებოდ)...

მკვეთრად

არ არის სწორი: ჰკითხა მან მკვეთრად (უნდა: მკაცრად, მრისხანედ), მკვეთრად მიუჩინა ადგილი (უნდა: მიუჩინა გარკვეული, თავისი ადგილი), მკვეთრადაა გაჭუჭყიანებული (უნდა: ძალიან, საგრძნობლად), მუშაობა მკვეთრად გამო-ცოცხლდა (უნდა: საგრძნობლად, აშკარად), მდგომარეობა მკვეთრად გამოვასწოროთ (უნდა: საგრძნობლად)...

მძიმედ

არ არის სწორი: მძიმე დამცირება, მძიმე სიმძიმე, მძიმე ტკივილი, (თავისი), მძიმედ ჩაფიქრდა, მძიმედ შეურაცხყოფ-და... მაგალითად: მძიმე თავის ტკივილს გრძნობდა (უნდა: ძლიერ), მასწავლებელი მძიმედ ჩაფიქრდა (უნდა: ღრმად), მძიმედ შეურაცხყოფდა (უნდა: დიდად, ძლიერ)...

მწვავედ

არ არის სწორი: დალუპვას ასე მწვავედ გამოეხმაურა (უნდა: გულისტკივილით, თანაგრძობით).

რუდუნებით

არ არის სწორი: მახარია მ რუდუნებით დასვა მინაზე (უნდა: ფრთხილად), ხელი მოხვია ნამუსრევს რუდუნებით (უნდა: რიდით)...

სავსებით-სრულიად

„თუ ზმნას ახლავს უარყოფითი ნაწილაკი არ, ვერ, უპირატესობა იძლევა სრულიად(აც) ზმნისართს. მაგალითად: სრულიად არ მტკივა“...

სრულიად გამოიყენება აგრეთვე უარყოფით მიმღებობებთან და, საზოგადოდ, უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვებთან. მაგ.: სრულიად უნავლელი, სრულიად გამოუსადეგარი, სრულიად უცნობი, სრულიად უსაფუძვლო, სრულიად მოულოდნელად, სრულიად უპასუხისმგებლოდ...

სტილისტიკურად გაუმართავი გამოთქმებია: სავსებით უსნავლელი, სავსებით მოულოდნელი, სავსებით შეუძლებელი, სავსებით არაფერი, სავსებით უპასუხისმგებლოდ... რადგანაც სავსებით ზმნისართის გამოყენებას სალიტერატურო ენა დადებით შინაარსთან ამჯობინებს. მაგ.: სავსებით მართალია, სავსებით სარწმუნო, სავსებით საკმარისი...

„სტილის თვალსაზრისით აუცილებელია, რომ გაიმიჯნოს ამ ორი ზმნისართის (სრულიად, სავსებით) გამოყენების არე: ერთი მხრივ, იქნება: სავსებით მისაღებია, მეორე მხრივ – სრულიად მიუღებელია, სავსებით დამაჯერებელია, მაგრამ სრულიად დაუჯერებელია, სავსებით გასაგებია, – სრულიად გაუგებარი, სავსებით შესაძლებელია – სრულიად შეუღებელია, სავსებით აკმაყოფილებს, – სრულიად აკმაყოფილებს და სხვა“.

მაგალითები: ჩვენი კურსი სრულიად ნათელი და თანამიმდევრულია (უნდა: სავსებით), უმეტეს შემთხვევაში სავსებით უვარგისი აღმოჩნდა (უნდა: სრულიად). მისთვის სავსებით მოულოდნელია და გაუგებარი იყო (უნდა: სრულიად)...

სწორია აგრეთვე: სრულიად ნორჩი, სრულიად ახალგაზრდა, სრულიად ბავშვი...

სანაქებოდ

ზოგჯერ უმართებულოდ უნაცვლებენ ზმნიზედას – „სასახელოდ“, მაგალითად, სანაქებოდ უნდა ითქვას (უნდა: სასახელოდ)...

საოცრად

არ არის სწორი: საოცრად გაუხარდა (უნდა: ძალიან, საოცრად უყვარს (უნდა: ძალიან), საოცრად არ უხდებოდათ (უნდა: სრულიად), საოცრად საინტერესო იყო (უნდა: უაღრესად)...

სასტიკად

არ არის სწორი: მთელ სიმაღლეზე წამომართულიყო სასტიკი ბუჩქნარი (უნდა: ხშირი, გაუვალი), სასტიკად იღვრება ფულადი დისციპლინა (უნდა: მეტისმეტად), სასტიკად არ მოეწონა (უნდა: ძალიან, მეტისმეტად), გულშემატკივრები სასტიკად იცავენ (უნდა: მკაცრად)...

საშინლად

არ არის სწორი: საშინლად სერიოზული, საშინლად უნდა, საშინლად უყვარს... მაგალითები: შეეძლო ეცინა და საშინლად სერიოზულიც ყოფილიყო (უნდა: ძალზე, უაღრესად), საშინლად მოუნდა ეზოში ფეხშიშველი გავლა (ძალიან), გოგონებს საშინლად უყვართ (უნდა: ძალიან)...

სწორად-სწორედ

არ არის სწორი: ჩვენ ვიტყვით, ისინიც სწორად იმასა ჩაღიან (უნდა: სწორედ), როგორაც უთხრა, ჯავარა სწორად იმგვარად მოექცა (უნდა: სწორედ)...

ადამიანი ვერ შესძლებდა სწორედ დგომას (უნდა: სწორად), ფიქრია სწორედ იჯდა (უნდა: სწორად), საკმარისია კაცს შევხედო, რომ სწორედ უთხრა... (უნდა: სწორად, მსახიობმა გვიჩვენა რომ სწორედ გააზრების უნარი (უნდა: სწორად), ამირანმა სწორედ ააგო ბრძოლის ტაქტიკა (უნდა: სწორად), სწორედ მიგვაჩნია, დაწესდეს სასწავლებელი (უნდა: სწორად)...

უაღრესად

არ არის სწორი: უკიდურესად ბედნიერი, უკიდურესად მდიდარი... მაგალითები: უკიდურესად დახვეწილი ორნამენტი იძულებულს გხდის გაიფიქრო (უნდა: უაღრესად, მეტისმეტად), თავდამსხმელებისთვის ეს უკიდურესად ხელსაყრელი იყო (უნდა: უაღრესად).

უხვად

არ არის სწორი: უხვად იკვებება (უნდა: კარგად), უხვად დაუფლებოდა უცხოური ენის სიტყვებს (უნდა: ადვილად ესწავლა მრავალი უცხო სიტყვა), უხვად და მრავალმხრივად

გამოიხატა (უნდა: არაერთხელ, არაერთგზის. მრავალგზის), უხვად ისარგებლა (უნდა: მრავალგზის. მრავალჯერ), უხვად მიიღო ხალხის აღიარება (უნდა: დიდად იქნა აღიარებული), უხვად დააბიჯებენ (უნდა: ბევრი დააბიჯებს)...

ფართოდ

არ არის სწორი: ფართოდ ნადირობენ (უნდა: მასობრივად, ბევრს), მთელი ძალები ფართოდ არიან დარღზმული (უნდა: მჭიდროდ, მტკიცედ)...

ღრმად

არ არის სწორი: უფრო ღრმად თუ ვიმსჯელებთ... (უნდა: არსებითად, საფუძვლიანად. დაკვირვებით), ღრმად გვალელვებს შეხვედრა ქართველ კოლეგებთან (უნდა: დიდად, ძლიერ)...

წყალობით

არ არის სწორი: ავდრის წყალობით (უნდა: გამო), ამის წყალობით (უნდა: გამო, შედეგად), ყურადღების წყალობით (უნდა: გამო), დაუდევრობის წყალობით (უნდა: გამო), ბრაკონიერების წყალობით (უნდა: გამო, შედეგად). სრული უკონტროლობისა და წაყრუების წყალობით (უნდა: გამო)...

§7. თანდებული

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ თანდებულებთან დაკავშირებით (კრებული, პირველი, თბ., 1970) ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

1. სწორია: თავზე, ხელზე, მინაზე (და არა: თავზედ, ხელზედ, მინაზედ). ასევე სწორია: მთაზედაც, მინაზედაც, (და არა: მთაზეც, მინაზეც), მთაზედვე, (და არა: მთაზევე, მინაზევე)...

2. -მდე, -მდის, -მდი, -მდინ და სხვა სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართული შეიძლება დარჩეს მხოლოდ ორი: -მდე, -მდის. ამათგან უპრატესობა -მდე სახეობას უნდა მიეცეს.

3. „თანდებულ-ზმნისართები (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ხანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ სახეობებს), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია. ამის მიხედვით გვექნე-

ბა: ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გარდა, თქვენ გარდა, ჩემ უკან, შენ უკან, ჩვენ უკან, თქვენ უკან, ჩემ შემდეგ, შენ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, თქვენ შემდეგ და ასევე: შემდგომ ქვეშ გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, წინა, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, მაგიერ, ახლო, შორიახლო და სხვ. ამით დამყარდება ერთგვარობა და გზა აღარ გაეხნება ისეთ ფორმებს, როგორცაა: ჩემსკენ, შენსკენ ჩვენსკენ, თქვენსკენ, ჩემს მიერ და სხვ., რომლებშიც ს ანალოგიითა გაჩენილი“.

‘ გიორგი შალამბერიძის „მეტყველების კულტურის საკითხებში“ ყურადღება გამახვილებულია შემდეგ თანდებულებზე.

1. ზოგჯერ წინადადებებში თავს იყრის „თვის“ თანდებუ-ლიანი ორი სიტყვა, მაგ., მუშაობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისათვის კრებამ დასახა კრიტიკული ღონისძიებანი, „თვის“ თანდებულისანი ერთ-ერთი სიტყვა უნდა შეიცვალოს მყოფადის მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით (გასაუმჯობესებლად). შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა „მიზნით“ (გაუმჯობესების მიზნით).

2. „თუ გან თანდებულისანი სიტყვა მიუგებს კითხვებს: ვისგან? რისგან? მაშინ ეს თანდებული ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს უნდა დაფურთოთ, ხოლო თუ უპასუხებს კითხვას – საიდან? მაშინ – მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს, წერილი მივიღე ვისგან?“ – ამხანაგებისაგან. რძეს რისგან ვღებულობთ? – ძროხისაგან. მაგრამ წერილი მივიღე საიდან? – სოფლიდან. რძე მოვიტანე საიდან? – ფერმიდან...

აქედან გამომდინარე, შეცდომაა დაშვებული შემდეგ წინადადებებში: „შეჯიბრებაში მონაწილე 10400 კაციდან (უნდა იყოს – კაცისაგან) სპორტული თანრიგი შეასრულა მხოლოდ 137 კაცმა“, „ბრიგადის წევრებიდან (უნდა: წევრებისაგან) კარგი მუშაობით გამოირჩევიან ახალგაზრდები“, „თითოეული ფურიდან (უნდა იყოს: ფურისაგან) 1250 კილოგრამი რძე მიიღო“. ასევე არ ვარგა: ძროხიდან მიღებული იქნა (უნდა: ძროხისგან), ქსოვილიდან იყო შეკერილი (უნდა: ქსოვილისაგან), დაავადებული ცხენიდან გადაედო (უნდა: ცხენისაგან)...

არ არის სწორი: „ხახუნის ძალა დამოკიდებულია სიჩქარისაგან (უნდა: სიჩქარეზე), „ეს სხვაობა დამოკიდებული სამი მიზეზისაგან“ (უნდა: მიზეზზე), „პოტენციური ენერგია კინე-

ტიკურ ენერგიაში გარდაიქმნებოდა“ (უნდა: ენერგიად), მოძრაობის ერთი ფორმის გარდაქმნა სხვა ფორმებში„ (უნდა: ფორმებად), „ეს შენობა უნდა გადავცეთ ექსპლოატაციაში“ (უნდა: საექსპლოატაციოდ), „მოსკოვში გაემგზავრა“ (უნდა: მოსკოვს), „სოფლებში ახლა საგაზაფხულო სამუშაოებია გაჩაღებული“ (უნდა: სოფლად), „პატრონის ხმის გაგონებაზე ყურებს ცქვეტდა“ (უნდა: გაგონების დროს), „დილაზე“ (უნდა: დილას, დილით), „სალამოზე“ (უნდა: სალამოს, სალამოთი), „კულტურისადმი სიყვარული“ (უნდა: კულტურის), „საქმისადმი სიყვარული“ (უნდა: საქმის), „უნდა აღვზარდოთ სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობა“ (უნდა: სამშობლოს ერთგულების გრძნობა)...

ასევე არ არის სწორი: „შრომის ნაყოფიერების ამაღლების როლი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის“ (უნდა: გადიდებაში), „სასუქების როლი უხვი მოსავლის მიღებისათვის“ (უნდა: მიღებაში), „ხელმძღვანელის როლი თანამშრომელთა შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად“ (უნდა: განტკიცებაში), „მასწავლებლის როლის გაკვეთილის ეფექტურობის ასამაღლებლად“ (უნდა: ამაღლებაში)...

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მიხედვით: ბინაში, ბინაზე

არ არის სწორი: პანაშვიდი გაიმართა განსვენებულის ბინაზე (უნდა: ბინაში), თავისი ოთხი ბავშვით ახალშერთული მეუღლის ბინაზე გადასახლდა (უნდა: ბინაში).

-გან/(ი)დან.

არ არის სწორი: „ჭინჭრის ფოთლებიდან წამალი მოვამზადეთ“ (უნდა: ფოთლებისაგან), „თესლიდან წამლის მომზადების წესი ასეთია“ (უნდა: თესლისაგან), „კურდღლის ხორციდან შეიძლება დამზადეს“ (უნდა: ხორცისაგან), „ხორბლის ფქვილიდან გამომცხვარ პურს სწირავდნენ“ (უნდა: ფქვილისაგან), „ამ ქსოვილიდან შეკერეს“ (უნდა: ქსოვილისაგან)...

„თავი დააღწია ამხანაგის პარაშუტის თოკებიდან“ (უნდა: თოკებისაგან), „არაერთხელ დააყენეს სანიაღვრე ქსელის საკანალიზაციო ქსელიდან განცალკევების საკითხი“ (უნდა: ქსელისაგან), „მისი გამოსწორება საზოგადოებიდან იზოლირების გარეშე შეუძლებელი გახდა“ (უნდა: საზოგადოებისაგან), „ხიდის წესრიგში მიყვანა ამ გასაჭირიდან გვიხსნის“ (უნდა:

გასაჭირისაგან), „ადამიანის პირუტყვიდან გამოირჩევა“ (უნდა: პირუტყვისაგან), „ლოთები შორს საჭიდან“ (უნდა: საჭისაგან), „მწვავედ განიცდიდა სამშობლოდან დაშორებას“ (უნდა: სამშობლოსაგან), „შორსაა ვართ იმ აზრიდან“ (უნდა: აზრისაგან), „იგი გაათავისუფლა მოვალეობიდან“ (უნდა: მოვალეობისაგან)...

-დმი(-დამი)

არ არის სწორი: „ჩაიდო გულში ადამიანებისადმი სიძულვილი“ (უნდა: ადამიანების), „მტრისადმი სიძულვილი“ (უნდა: მტრის), „განსვენებულისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად“ (უნდა: განსვენებულის პატივისცემად), „ჯარისკაცებისადმი ხელმძღვანელობის განვაგრძობდი“ (უნდა: ჯარების), „ეხება ბუნების დაცვისადმი ხელმძღვანელობა“ (უნდა: დაცვის), „მეურნეობისადმი მოვალეობა“ (უნდა: მეურნეობის), „ეკისრება ორგანოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა“ (უნდა: საქმიანობის), „ხალხისადმი სამსახური“ (უნდა: ხალხის) „ქვეყნისადმი სამსახური“ (უნდა: ქვეყნის), „მიზნებისადმი სამსახური“ (უნდა: მიზნების), „მადლობა გადაუხადა საქმისადმი ერთგულებისათვის“ (უნდა: საქმის), „სამშობლოსადმი ერთგულებას ასწავლის“ (უნდა: სამშობლოს), „ინვესტს სინათლისადმი შიშს“ (უნდა: სინათლის), „წყლისადმი შიში იგრძნო“ (უნდა: წყლის) „წარმოიშვა რწმენა საკუთარი ძალების უკმარისობისადმი“ (უნდა: უკმარისობა), „ვკარგავდი საკუთარი თავისადმი რწმენას“ (უნდა: თავის), „რწმენა შეარყია ნათელი მომავალისადმი“ (უნდა: მომავლისა).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, „-ადმი(-დამი) თანდებულისანი სახელები უნდა შევცვალოთ ნათესაობითში დასმული უთანდებულო სახელით“.

ზაფხულში//ზაფხულზე

არ არის სწორი: „ჭორფლი ძირითადად უჩნდებათ ქერათმიან ადამიანებს და განსაკუთრებით შეინიშნება გაზაფხულზე და ზაფხულზე“, (უნდა: ზაფხულში), „ელენესეული ნახატებითაა მოფენილი თბილისი გაზაფხულზე, თბილისი შემოდგომაზე, თბილისი ზამთარზე“, (უნდა: ზაფხულში, ზამთარში), „ზაფხულზე მას ისევ მიელიან ამერიკაში“ (უნდა: ზაფხულში).

ტრანსპორტში//ტრანსპორტზე

არ არის სწორი: ავლენ ტრანსპორტზე (უნდა: ტრანსპორტში) ავა ტრანსპორტზე (უნდა: ტრანსპორტში), ვერც კი გაბედავს ავიდეს ტრანსპორტზე (უნდა: ტრანსპორტში), ავტობუსზე ავედი (უნდა: ავტობუსში), კონტროლიორს იშვიათად ნახავთ ტრამვაიზე, ავტობუსზე, ტროლეიბუსზე (უნდა: ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში).

ქურაზე//ქურაში

არ არის სწორი: „ყმანვილმა ქურაზე ბავშვი დაინახა“ (უნდა: ქურაში), „გადატვირთულ ქურაზე მანქანის გაჩერება სამოძრაო ნაწილის ერთი რიგის გაუქმებას ნიშნავს“ (უნდა: ქურაში), „მეზობელ ქურაზე იწყება ხმაურიანი ცხოვრება“ (უნდა: ქურებში), „გავერანებულ ქურებზე მივდიოდით“ (უნდა: ქურებში).

ნესრიგში//ნესრიგზე მოჰყავს

სწორია: -ში თანდებულებიანი კონსტრუქცია: ნესრიგში მოჰყავს.

არ არის სწორი: გზები ნესრიგშია მოყვანილი (შეიძლება გზები შეკეთებულია), ნესრიგზე მოიყვანეს ფიზიკის კაბინეტი (უნდა: დაალაგეს), სახლის ტერიტორია ნესრიგშია მოყვანილი (უნდა: მონესრიგებულია, გასუფთავებულია)...

§ 8. ნაწილაკი

გიორგი შალამბერიძის „მეტყველების კულტურის საკითხებში“ საუბარია შემდეგ ნაწილაკებზე:

1. „აგრეთვე“ ზმნიზედა და „ც“ ნაწილაკი ერთი და იმავე ფუნქციით იხმარება. ამის გამო მათი ერთ წინადადებაში გამოყენება გაუმართლებელია, მაგალითად: შეცდომაა: „ვიყიდე აგრეთვე ინდაურიც“, „მოაწყვეს აგრეთვე მონინავეთა დაფაც“, „აგრეთვე გუშინაც წვიმდა“... „აგრეთვე“ არ არის ჩართული და მძიმეებში არ ჩავსვათ. ზემოთ დასახელებული წინადადებები ასე გასწორდეს: ვიყიდე ინდაურიც, მოაწყვეს მონინავეთა დაფაც, გუშინაც წვიმდა...

2. ორმაგი უარყოფის შესახებ აზრი აქვთ გამოთქმული ვ. თოფურიას (იხ. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I-II, 1923-1924), ზ. ჭუმბურიძეს (იხ. მისი

„უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი“, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970, 2.

მაგალითად: „ჩვენს ხსოვნას არაფერი არ მოაგონებს შენს აქ ყოფნასა“, „ახლა ამის მეტს ვერაფერს ვერ გაიგებ ჩემგან“, „პირველად სულ ვერაფერი ვერ გააკეთა“... ზემოთ: მოყვანილ წინადადებებს შეუდარეთ ცალმაგი იმავე შინაარსის წინადადებები: ჩვენს ხსოვნასა არაფერი მოაგონებს შენს აქ ყოფნასა, ახლა მეტს ველარ გაიგებ ჩემგან ან: ვერაფერს გაიგებ, პირველად სულ ვერაფერი გააკეთა, ან: ვერ გააკეთა... წარმოდგენილ წინადადებათა შორის არსებული სხვაობა სტილისტიკის სფეროს განეკუთნება „მისი ხმარება ავტორის სუბიექტურ სტილზეა დამოკიდებული და ზოგ შემთხვევაში აუცილებელიც არის“...

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მიხედვით: არცთუ

არცთუ ნაწილაკის დართვას ოდნაობითი შინაარსი შეაქვს ზედსართვეებში, ამიტომ ოდნაობით ფორმებზე (მოდილო, მოცრო, მომსხო, მომალლო, მოზრდილი...) მისი დართვა უკვე აღარ არის საჭირო. იგი ზედმეტია, მაგ., შემდეგ წინადადებებში: „არცთუ მოზრდილ კაბინეტებში სურათები ეკიდა“ (უნდა: არცთუ დიდ ან: მომცრო).

3. ვ. თოფურიას სტატიაში „-მე, -ვე, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნებაში“ წერს:

1. -მე, -ვე, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნების სამგვარი სახეობა გვხვდება თანამედროვე ქართულში. შეუხორცელებელი (რითმე, რადმე), იგი ძველია, შეუხორცელებელი წარმოება დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. ძირითად ფორმად დარჩეს შეხორცელებული სახეობა (ვინმეს, რამეს, ...), მესამე სახეობა არის ნარევი, მაგ., ვისმე, რასმეს... ნარევი სახეობა უნდა უარყოფილ იქნეს როგორც წარმოების მიხედვით არასწორი.

არ არის სწორი: ვისმეს, რაიმე, რასმეს, რაიმედ, რისიმე, რაიმეთი, რილას, რილათი, რილით, რილაცის, რილაცით, ვილაცეები, ვილაცეებმა, ვილაცეებს, ვილაცეებად, ვილაცეების, ვილაცეებით, ვილაც-ვილაცეები, ვილაც-ვილაცეებმა, ვილაც-ვილაცეებს, ვილაც-ვილაცეებად, ვილაც-ვილაცეების, ვილაც-ვილაცეებით, რალაცეები, რალაცეებმა, რალაცეების, რალაცეე-

ბის, რალაცეებით, რალაცეებად, რალაც-რალაცეები, რალაც-რალაცეებმა, რალაც-რალაცეებს, რალაც-რალაცეებად, რალაც-რალაცეების, რალაც-რალაცეებით და მისთანანი.

სწორია: რამე, რამ, რაიმე, რამემ, რამეს, რამედ, რამის, რამეთი, რამით, რალას, რალათი, რალაცის, რალაცათი//რალაციით, ვილაცები, ვილაცებმა, ვილაცებს, ვილაცებად, ვილაცების, ვილაცებით, ვილაც-ვილაცები, ვილაც-ვილაცებმა, ვილაც-ვილაცებს, ვილაც-ვილაცებად, ვილაც-ვილაცების, ვილაც-ვილაცებით, ვილაც-ვილაცებს, ვილაც-ვილაცებად, ვილაც-ვილაცების, ვილაც-ვილაცებით, რალაცეები, რალაცეებმა, რალაცეებს, რალაცეების, რალაცეებით, რალაც-რალაცეები, რალაც-რალაცეებმა, რალაც-რალაცეებს, რალაც-რალაცეებად, რალაც-რალაცეების, რალაც-რალაცეებით და მისთანანი.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1987.
2. ე. ბაბუნაშვილია, ანტონი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
3. ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
4. ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის — „სულხან-საბა ორბელიანი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1959.
5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.
6. თ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხები, თბ., 1965.
7. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.
8. ლია ლეჟავა, სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვათგანლაგებისას ქართული პრესის ენაში. კრ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბ., 1980.
9. ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1987.
10. თ. სანიკიძე, გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, I-V ტ. თბ., 1990-1996 წ.წ.
11. სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონის და გრ. ყიფშიძის მიერ, თბ., 1899.
12. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მიხ. ჭაბაშვილი, თბ., 1973.
13. ბიძ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იკე, XIII, თბ., 1962.
14. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I-X, თბ., 1972-1933 წ.წ.
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII ტ. თბ., 1950-1964 წ.წ.
16. თინ. ღვინაძე, ვნებიტის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე პრესის ენაში, კრ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბ., 1980.
17. ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

18. გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974.
19. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1998.
20. გ. შალამბერიძე, უტკბესი და უმწარესი, თბ., 1968.
21. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
22. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბ., 1946.
23. მ. ციკოლია, სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი, თბ., 1972.
24. შ. ძიძიგური, ენა და ლიტერატურა, თბ., 1965.
25. ანდრო ჭილაია, რამაზ ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.
26. Д. Э. Розенталь, Практическая стилистика русского языка, М. 1998.
27. С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, Изд. 2-е, М., 1946.

სარჩევი

I ტავი

სტილისტიკის რაობა, ფუნქციური სტილი	3
§ 1. სტილისტიკის ცნება, მიზანი და ამოცანები	3
§ 2. ფუნქციური სტილის გაგება	5
§ 3. სამეცნიერო სტილი	8
§ 4. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი	12
§ 5. პუბლიცისტური სტილი	19
§ 6. მხატვრულ-ლიტერატურული სტილი	24
§ 7. სასაუბრო სტილი	26

II ტავი

ლექსიკური სტილისტიკა	31
§ 1. სიტყვის ესთეტიკური ფუნქცია	31
§ 2. სინონიმის სტილისტიკური ფუნქცია	35
§ 3. ანტონიმების სტილისტიკური ფუნქცია	45
§ 4. ომონიმი	50
§ 5. პარონიმები	58
§ 6. ისტორიზმებისა და არქიზმების სტილისტიკური ფუნქცია	66
§ 7. ნეოლოგიზმები	70
§ 8. დიალექტიზმი და სტილი	73
§ 9. პლეონაზმი	76
§ 10. შტამპი და კანცელარიზმი	80
§ 11. სიტყვის ემოციური შეფერილობა და სტილისტიკა	86

III ტავი

ენის გამომსახველობითი საშუალებანი და სტილისტიკა. ტროპი და ფიგურები	90
§ 1. ტროპის სახეთა სტილისტიკური ფუნქცია	90
§ 2. სტილისტიკური ფიგურები	98

IV თავი

გრამატიკული სტილისტიკა

(პრაქტიკული ნაწილი)	107
§1. არსებითი სახელები (საწყისები)	107
§2. ზედსართავი სახელი (//მიმღობა)	123
§3. რიცხვითი სახელი	133
§4. ნაცვალსახელი	133
§5. ზმნა	135
§6. ზმნიზედა (//ზმნისართი)	160
§7. თანდებული	166
§8. ნაწილაკი	170
გამოყენებული ლიტერატურის სია	173